ალექსანდრე რონდელი

საერთაშორისო ურთიერთობები

გამომცემლობა „ნეკერი“
2003

რედაქტორი: დოც. ზურაბ დავითაშვილი

საგამომცემლო ჯგუფი:

გ. ბაგრატიონი
ნ. კალანდაძე
ი. მარგველაშვილი
ნ. ქვაჩახია
ნ. ჩაველეშვილი
ნ. ჩიტაია
დ. ჯაბუა

© ალექსანდრე რონდელი, 2003
© გამომცემლობა „ნეკერი“, 2003, მეორე გამოცემა

პირველი გამოცემა – 1996

ISBN 99928-58-79-6

როცა ერი ყოველს მოელინებას და საქმეს მის გარშემო მომხდარს, ყოველს ნახულს, გაგონილს და ყოფილს საზოგადო მნიშვნელობისას – გონებით დააკვირდება, ღირსსახსოვარს, ავსა თუ კარგს, – ხსოვნისათვის ანუსხავს, გულში ჩაირჩენს და სასწორზედ სწორის ფასის დასადებად, – მაშინ პირდაპირ და უგყუარად შეიძლება კაცმა სთქვას, რომ იგი ერი გონებითად პასაკში მედის, ჭკუა, გული და ცნობიერება დასძერია მოქმედებისათვის და ფები მინდამ გარეთ გამოუდგამს კაცური ცხოვრებისათვის.

ილია

წინასიტყვაობა

საერთაშორისო ურთიერთობები ყოველთვის ურთულეს სფეროდ იყო მიჩნეული. პლატონისა და არისტოტელეს, თომას ჰობსისა და ჯონ ლოკის შრომებში საერთაშორისო ურთიერთობების საკითხები ჩვეულებრივ სალაც ბოლოს ან გაკვრით არის განხილული. ალბათ შემთხვევითი არ იყო, რომ ჟან-ჟაკ რუსომ აღარ დაწერა მისი ცნობილი „საზოგადოებრივი ხელშეკრულების" მეორე ნაწილი, რომელშიც აპირებდა საერთაშორისო ურთიერთობების განხილვას და ამით მთელი მისი შეხედულებების შეჯამებას და დაგვირგვინებას. არც კარლ მარქსს დაუსრულებია თავისი „კაპიტალი", რომლის დასკვნით ნაწილში ჩაფიქრებული ჰქონდა საერთაშორისო ასპექტების განხილვა.

რატომაა, რომ ნებისმიერი სუვერენული სახელმწიფო ძალისხმევას არ იშურებს ქვეყნის შიგნით წესრიგის, მშვიდობის დასამყარებლად და შესანარჩუნებლად, მაგრამ საერთაშორისო ასპარეზზე კი იგი ხშირად აგრესორად და ომის გამჩაღებლად გვეველინება? იქნებ ნიკოლო მაკიაველი მართალი იყო, როცა პოლიტიკაში ძალაუფლებისათვის ბრძოლისა და ქიშპის მეტს ვერაფერს ხედავდა? ან იქნებ ოდესმე გამართლდეს იმანუელ კანტის წინასწარმეტყველება, რომ საბოლოოდ კაცობრიობა მარადიულ მშვიდობას დაამყარებს?

სამწუხაროდ, ყველა ამ და ბევრ სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან კითხვაზე თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა თეორია ერთ პასუხს ვერ გეთავაზობს, რაც არა მხოლოდ მის სისუსტეზე, არამედ მის მიერ შესასწავლი ობიექტის ურთულეს ბუნებაზეც მიგვითითებს. სახელგანთქმულ ფიზიკოსს ალბერტ აინშტაინს ერთხელ პკითხეს: „რაგომაა, რომ ადამიანის გონებამ ატომის სტრუქტურის აღმოჩენა შეძლო, მაგრამ ვერ შევძელით ისეთი პოლიტიკური საშუალებების გამონახვა, რომლებიც იმავე ატომით საკუთარი თავის მოსპობისაგან გადაგვარჩენდა?", ამაზე აინშტაინმა მიუგო: „ეს მარტივად აიხსნება, ჩემო ბატონო. რადგან პოლიტიკა ფიზიკაზე რთულია, ბევრად უფრო რთული."

საერთაშორისო ურთიერთობები ადამიანთა ურთიერთობების უძველესი სფეროა, მაგრამ, როგორც აკადემიური დისციპლინა, საერთაშორისო ურთიერთობები საკმაოდ ახალგაზრდაა – მისი ასაკი საუკუნესაც არ აღწევს.

ქართული საზოგადოებისათვის საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაც და პრაქტიკაც 90-იან წლებამდე მაინცადამაინც აქტუალური ვერ იქნებოდა. ჩვენი სამშობლო არ იყო სუვერენული სახელმწიფო და ამდენად ეს დარგი ჩვენში ვერ

განვითარდა ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო. საერთაშორისო ურთიერთობები, როგორც აკადემიური დისციპლინა, სათანადოდ ვერც საბჭოთა კავშირში განვითარდა, რადგან იგი „ჩაჭედილ" იქნა მარქსისტულ პროკრუსტეს სარეცელში და ამის გამო ჩანასახშივე დასაჭურისდა.

ახლა, როცა საქართველო სუვერენული სახელმწიფოა და იგი თანდათანობით საკუთარ გზას იკვლევს საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებში, ჩვენი საზოგადოებრიობის ინტერესი საერთაშორისო ურთიერთობათა პრობლემატიკისადმი მკვეთრად გაიზარდა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტმე 1991 წელს პირველად დაარსდა საერთაშორისო ურთიერთობათა კათედრა.

ავტორი მადლობას უხდის აშშ-ის „საერთაშორისო კვლევისა და გაცვლის საბჭოს" (IREX), რომლის სტიპენდიამ მას საშუალება მისცა ემუშავა ვუდრო ვილსონის საზოგადოებრივ და საერთაშორისო საქმეთა სკოლაში (პრინსტონის უნივერსიტეტი, აშშ) 1993/94 სასწავლო წლის განმავლობაში, რის გარეშეც წინამდებარე წიგნის მომზადება ვერ მოხერხდებოდა.

ავტორი მადლობას უხდის ბატონ ვახტანგ როდონაიას ხელნაწერის წაკითხვისა და გამოთქმული შენიშვნებისთვის, აგრეთვე ბატონებს ლევან ბერძენიშვილს და გია გეწაძეს ცალკეული ნაწილების წაკითხვისთვის. ბუნებრივია, რომ ყველა შეცდომასა და ხარვეზზე პასუხს მხოლოდ ავტორი აგებს.

ავტორი მადლიერია ქალბატონების ნანა ლიბრაძის და ნატო ალხაზიშვილის, აგრეთვე ბატონ თემო ჯორბენაძისა, რომელთა ენთუზიაზმისა და დახმარების გარეშე წიგნის ხელნაწერი ვერ მომზადდებოდა.

და ბოლოს, განსაკუთრებული მადლობა ბატონ პარმენ მარგველაშვილს, თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის რექტორს, რომელმაც წიგნის გამოცემაში უდიდესი წვლილი შეიტანა.

ავტორი მადლიერების გრძნობით მიიღებს ყველა შენიშვნას.

The author would like to acknowledge the support of Internatinal Research and Exchanges Board (IREX), which granted him a fellowship to spend 1993/94 academic year at Woodrow Wilson School of Public and International Affairs (Princeton University), making this book possible.

I. საერთაშორისო ურთიერთობები როგორც სამეცნიერო დისციპლინა

არის ქვეყანაზე ბევრი იმისთანა საგანი, რომლის გამოც ჰოც ითქმის და არაყა, რადგან საგანი ან გამოძიებული არ არის ჯერაც მთლად, ან მეტად რთულია და დახლართული და ჯერ კაცის თვალი ვერ მიმწვდარა მრავალ-გვარის ხლართის ერთ კრებულად დანახვისათვის.

ილია

„საერთაშორისო პოლიტიკა", „საერთაშორისო ურთიერთობები", „საგარეო პოლიტიკა", „მსოფლიო პოლიტიკა" – ეს ტერმინები ხშირად იხმარება როგორც სინონიმები, მაგრამ მათ განსხვავებული მნიშვნელობა აქვთ. უფრო მეტიც, ზოგიერთ მათგანს სხვადასხვა კონტექსტში აგრეთვე განსხვავებულ მნიშვნელობას ანიჭებენ.

რა არის „საერთაშორისო ურთიერთობები"? იგივე საერთაშორისო პოლიტიკაა, თუ მათ შორის არსებითი სხვაობაა? რა ტერმინი ეიხმაროთ, „საერთაშორისო ურთიერთობები" თუ „სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები"? რას მოიცავს საერთაშორისო ურთიერთობები?

აღიარებულია, რომ ყოველმა სამეცნიერო დისციპლინამ უნდა შეძლოს საკუთარი დეფინიციის ჩამოყალიბება, კელეევის საგნისა და ობიექტის განსაზღვრა, მაგრამ ხშირად ისეც ხდება, რომ ზოგიერთი სამეცნიერო დისციპლინის შექმნის შემდეგ ზოგვიანებით ყალიბდება მისი დეფინიცია და არცთუ იშვიათად დეფინიციისა და თეორიული „ჩარჩოების" მონახვის ცდები დიდხანს უშედეგოდ მთავრდება.

საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, ჩამოყალიბების პროცესი რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე იყო. უკვე თითქმის ერთი საუკუნეა თეორიული დებატები გრძელდება და დღესაც არ არსებობს ამ დისციპლინის ყველას მიერ აღიარებული დეფინიცია, მისი კელეევის ობიექტისა და ძირითადი პოსტულატების ერთნაირად გაგება და ფორმულირება. ამის მიზეზი პირველ ყოვლისა არის ის, რომ საერთაშორისო ურთიერთობათა შესწავლა მოითხოვს ისტორიის, პოლიტიკის, ეკონომიკის, რელიგიის, გეოგრაფიის, დიპლომატიის, დემოგრაფიის, საერთაშორისო სამართლის, ეთიკის, აგრეთვე ტექნიკური და ტექნოლოგიური მიღწევების ცოდნას. ამის მიზეზი იყო, რომ თითქმის 50-იანი წლების მიწურულამდე გრძელდებოდა დავა, ეღიარებინათ საერთაშორისო ურთიერთობები როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინა, თუ მისი „ენციკლოპედიურობისა" და დისციპლინათაშორისი ხასიათის გამო იგი რამდენიმე დისციპლინად „დაენაწილებინათ".

ნიშანდობლივია, რომ დიდ ბრიტანეთში ჯერ კიდევ 1916 წელს გამოცემული „საერთაშორისო ურთიერთობათა შესწავლის შესავალი" დაწერილი იყო რამდენიმე ავტორის მიერ, რომლებიც წარმოადგენდნენ სხვადასხვა

სამეცნიერო დისციპლინას (ისტორია, სამართალი, ეკონომიკა, ფილოსოფია). 1955 წელს ქუინსი რაიტის ცნობილ შრომაში „საერთაშორისო ურთიერთობათა მესწავლა" ხაზგასმულია, რომ საერთაშორისო ურთიერთობათა დისციპლინა თორმეტი სხვადასხვა დარგიდან ღებულობს „შეესებას".[1] ზოგიერთი თანამედროვე ავტორი საგანგებოდ აღნიშნავს ამ დისციპლინის მჭიდრო კავშირს ბევრ სხვა სამეცნიერო დისციპლინასთან.[2]

ამერიკელმა ნიკოლას სპაიკმენმა 30-იან წლებში ერთ-ერთმა პირველმა განმარტა საერთაშორისო ურთიერთობები, როგორც „ინდივიდთა ურთიერთობები, რომლებიც სხვადასხვა სახელმწიფოებს მიეკუთვნებიან" მისი აზრით, „ეს ურთიერთობები ინდივიდებისა და ჯგუფების სოციალური ქცევაა განპირობებული სხვა ინდივიდებისა და ჯგუფების არსებობით თუ ქცევით, რომლებიც სხვა სახელმწიფოებს მიეკუთვნებიან."[3] ამ დისციპლინის განმარტების უფრო ადრეული ცდების საბოლოო შედეგი იყო ის, რომ საერთაშორისო ურთიერთობები განსილულ იქნა როგორც დარგი, რომელიც მოიცავს ნებისმიერი სფეროდან ისეთ ცოდნას, რომლის მეოხებითაც შესაძლოა ახალი საერთაშორისო პრობლემების დაძლევა და ძველი პრობლემების გაგება.[4]

თანამედროვე ავტორებს შორისაც არ არის ერთიანობა იმის თაობაზე, თუ რა არის საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ობიექტი. მაგ., სტენლი პოფმანი მიიჩნევს, რომ ეს არის „ის ფაქტორები და საქმიანობა, რომლებიც განაპირობებენ საგარეო პოლიტიკას და მსოფლიოს შემადგენელი ძირითადი ერთეულების ძლიერებას."[5] ყველაზე უფრო გავრცელებულია შეხედულება, რომ ეს დისციპლინა შეისწავლის ყველა სახის ურთიერთობებს სხვადასხვა საზოგადოებათა შორის, ე.ი. მოიცავს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სხვა ურთიერთქმედებებს. ეს ნიშნავს იმას, რომ საგარეო პოლიტიკური პროცესების შესწავლასთან ერთად ეს დისციპლინა შეისწავლის საერთაშორისო ეაჭრობას, საერთაშორისო ორგანიზაციებს და მათ საქმიანობას, საერთაშორისო ეთიკას, საერთაშორისო ტურიზმს, საერთაშორისო პროფკავშირულ, სპორტულ და სხვა საქმიანობას და ა.შ. მაგრამ ეს უკანასკნელნი საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის

---

[1] Q. Wright. The Study of International Relations. New York, Appleton -Century-Crofts, 1955

[2] W.C.Olson and N.G.Onuf. The Study of "I.R.": How It Developed. In: W.C.Olson. The Theory and Practice of International Relations. 7th Edition. Prentice-Hall, Inc. Englewood Cliffs, 1987

[3] N.J.Spykman. Methods of Approach to the Study of International Relations. Proceedings of the Fifth Conference of Teachers of International Law and Related Subjects. Wash.: Carnegie Endowment for International Peace, 1933, p.60

[4] F.S.Dunn. The Scope of International Relations. "World Politics", I, October 1948, p.142

[5] S.Hoffman (Ed.). Contemporary Theory in International Relations. Englewood Cliffs, N.J. Prentice-Hall, 1960, p.6

ინტერესების სფეროში ხვდებიან, თუ ისინი ზეგავლენას ახდენენ საერთაშორისო (სამთაერობათაშორისო) ურთიერთობებზე.[6]

ტერმინი „საერთაშორისო ურთიერთობები" (ეს ტერმინი პირველად გამოიყენა თითქმის ორი საუკუნის წინათ ბრიტანელმა ფილოსოფოსმა ჯერემი ბენთამმა) ერთდროულად მიგეითითებს სამეცნიერო დისციპლინაზეც და მისი კელევის ობიექტზეც. მოხდა ისე, რომ საერთაშორისო ურთიერთობები დიდხანს შეისწავლებოდა რამდენიმე სამეცნიერო დისციპლინის (დიპლომატიის ისტორია, საერთაშორისო სამართალი, საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორია, მსოფლიო ეკონომიკა და სხვ.) თვალსაწიერიდან. ამის გამო, ისეთი სპეციფიკური სფერო, როგორიც სახელმწიფოთა შორის ურთიერთობათა კომპლექსია, სპეციალური თეორიული კელევის გარეშე აღმოჩნდა.

დღეისათვის გამოიკვეთა ტენდენცია, რომლის შედეგად საერთაშორისო ურთიერთობები ჩამოყალიბდა როგორც დისციპლინათაშორისი დარგი, რომელიც რამდენიმე სფეროს (საერთაშორისო უსაფრთხოება, საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია, საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორია, საერთაშორისო ურთიერთობათა სოციოლოგია, და სხვ.) მოიცავს, მაგრამ როგორც პოლიტიკური მეცნიერება, საერთაშორისო ურთიერთობათა დისციპლინა შეისწავლის საერთაშორისო პოლიტიკას – სახელმწიფოთა შორის ურთიერთიერთობათა კომპლექსს. ამერიკელი ჯოშუა გოლდსტაინის აზრით, საერთაშორისო ურთიერთობათა დისციპლინის უპირველესი ამოცანა მდგომარეობს მსოფლიოს ეროვნულ მთავრობათა შორის ურთიერთობათა კვლევაში.[7] მაგრამ ამგვარი ურთიერთობების განყენებულად, მსოფლიოში არსებული საერთაშორისო ორგანიზაციების, ტრანსნაციონალური კორპორაციების, ეკონომიკური, საზოგადოებრივი, კულტურული და სხვა სახის მოვლენებისა და პროცესებისაგან მოწყვეტილად კელევას აზრი არა აქვს. თუ 70-იან წლებამდე საერთაშორისო ურთიერთობათა კელევაში უსაფრთხოების, ომის, სამხედრო ასპექტების შესწავლა ჭარბობდა, შემდგომში გაცხოველდა ინტერესი საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მიმართ. არცთუ დიდი ხანია, რაც დისციპლინის ჩარჩოებში მკვეთრად გაიზარდა ინტერესი რეგიონული კონფლიქტების პრობლემატიკის, მშვიდობის პირობების შესწავლის მიმართაც, მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, საერთაშორისო ურთიერთობათა პრობლემატიკის ბირთვი მაინც სუვერენულ სახელმწიფოთა ურთიერთობებია.

ბრიტანელი მკვლევარის ჯ. რეინოლდსის შეხედულებით, საერთაშორისო ურთიერთობები შეიძლება დაიყოს ე.წ. მიკრო და მაკრო საერთაშორისო ურთიერთობებად. პირველი სფერო მოიცავს საერთაშორისო ასპარეზზე მოქმედი ინდივიდების, ჯგუფების, სახელმწიფოების და ორგანიზაციების ქმედებების შესწავლას, ხოლო მეორე შეისწავლის მათ შორის

---

[6] K.J.Holsti. International Politics: A Framework for Analysis. 4th Edition. Englewood Cliffs, N.J., Prentice-Hall, Inc., 1983, pp.19-20.

[7] J.S Goldstein. International Relations. Harper Collins Publishers, 1994. p.1

არსებული ყველა სასის ურთიერთქმედებას და მათ ურთიერთმიმართებას დინამიკაში.[8]

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები არსებობს და ეფუძნება საერთაშორისო სისტემის, საერთაშორისო საზოგადოების ჩარჩოებში. ამიტომ, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ხსენებული სისტემის თუ საზოგადოების არსებითი ნიშნების, სტრუქტურის, განვითარების ხასიათისა და სისტემური დინამიკის გაცნობიერებას. ეს კი მსოფლიოს, საერთაშორისო სისტემის/საზოგადოების ობიექტური სურათის, მისი სისტემური მოდელის წარმოდგენას გულისხმობს. ამგვარი უნივერსალური, ყველასთვის მისაღები მსოფლიოს კონცეფცია თუ მოდელი არ არსებობს და ეს გარემოება კიდევ უფრო ართულებს საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიის განვითარებას.

საერთაშორისო ურთიერთობათა დისციპლინა, ფაქტობრივად, ამ საუკუნეში შეიქმნა და განვითარდა. როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა, რომელიც ისტორიისა და სამართლის წიაღიდან გამოვიდა, საერთაშორისო ურთიერთობები მიმდინარე საუკუნის შუა წლებში ჩამოყალიბდა. ამ დისციპლინის გამოჩენას უნივერსიტეტებსა და კელევით დაწესებულებებში ბიძგი მისცა პირველმა მსოფლიო ომმა და 30-იან და 40-იან წლებში დაგრიალებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა. საერთაშორისო ურთიერთობათა პირველი კათედრა შეიქმნა 1919 წელს უელსის საუნივერსიტეტო კოლეჯში (აბერისთვეთი, დიდი ბრიტანეთი). საყურადღებოა, რომ კათედრის მოწყობისათვის ფული გაიღო სპონსორმა, ერთმა უელსელმა მეწარმემ. მან კათედრის გახსნის მიზნად გამოაცხადა სამართლისა და პოლიტიკის, ეთიკისა და ეკონომიკის იმ ურთიერთდაკავშირებული პროგრამების მესწავლა, რომლებიც დღის წესრიგში დააყენა ერთა ლიგის შექმნამ. სულ მალე საერთაშორისო ურთიერთობათა კათედრები შეიქმნა აგრეთვე ლონდონის უნივერსიტეტში (დიდი ბრიტანეთი) და კოლამბიის უნივერსიტეტში (ნიუ-იორკი, აშშ).

პირველ მსოფლიო ომამდე საერთაშორისო პოლიტიკა ამ სფეროში ჩაბმული პროფესიონალების საქმედ ითვლებოდა. საგარეო პოლიტიკა საგარეო საქმეთა სამინისტროებისა და ქვეყნის მმართველი წრეების საქმიანობა იყო და დემოკრატიულ სახელმწიფოებშიც კი იგი პარტიული ინტერესების სფეროდ არ განიხილებოდა, არ შედიოდა პარტიების კომპეტენციაში და იდუმალებით იყო მოსილი; მართალია, ამ დროს საზოგადოებრივი აზრი დროდადრო ბობოქრობდა რომელიმე საგარეო პოლიტიკური საკითხის გამო და საერთაშორისო პრობლემები ზოგჯერ ამა თუ იმ პოლიტიკური მოძრაობის რეზოლუციაში და პრესაში აისახებოდა. აშშ-ს კონსტიტუციაშიც კი აღნიშნულია, რომ ხელშეკრულებები იდება პრემიდენტის მიერ „სენატის რჩევითა და მასთან შეთანხმებით."[9]

არც უნივერსიტეტებში და არც ფართო ინტელექტუალურ წრეებში საერთაშორისო მოვლენების და მათთან დაკავშირებული პრობლემების შეს-

---

[8] P.A. Reynolds An Introduction to International Relations. Longman, London, 1990, p.7

[9] ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია. თბილისი, 1993, გვ.18-19

წაელა არ იყო ორგანიზებული. ომი სამხედროების საქმედ იყო მიჩნეული, ხოლო საერთაშორისო პოლიტიკა – დიპლომატების ასპარეზად.

პირველმა მსოფლიო ომმა, მისმა საზარელმა შედეგებმა შეცვალა ამგვარი შეხედულება. განმტკიცდა აზრი, რომ საგარეო პოლიტიკა უნდა გახდეს საჯარო და იგი მხოლოდ დიპლომატების საქმიანობის სფეროდ არ უნდა დარჩეს, უნდა აიკრძალოს ყოველგვარი საიდუმლო ხელშეკრულებები და ომი გამოცხადდეს საგარეო პოლიტიკის მიუღებელ ინსტრუმენტად. ყოველივე ამან ყურადღების ცენტრში მოაქცია ომისა და მშვიდობის პრობლემები, საერთაშორისო პოლიტიკა. მოხდა საერთაშორისო პოლიტიკის „პოპულარიზაცია", ამან კი თავის მხრივ საერთაშორისო პრობლემების სერიოზული კვლევის საჭიროება განაპირობა.

პირველი მსოფლიო ომისშემდგომი მსოფლიო, შეძრწუნებული მომხდარი ტრაგედიით, იმედით შეპყურებდა მომავალს. დამკვიდრდა შეხედულება, რომ ომები პოლიტიკურ გაუგებრობათა და საგარეო პოლიტიკაში საზოგადოებრიობის ჩაურეველობის შედეგია და მათი თავიდან აცილება შეიძლება ყველა ქვეყნის კეთილი სურვილით, საერთაშორისო თანამშრომლობითა და კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის შექმნით. იმ დროის გავლენიანი ავტორი ინგლისელი გ.ლ. დიკინსონი აღნიშნავდა: „ომი არ არის ადამიანის ბუნების გარდაუვალი შედეგი, ის ამ ბუნების გარკვეულ პირობებში გამოელენაა."[10] ამერიკელი გ.მარი აცხადებდა: „ომის აპოლოგეტები არ არიან მართლები, როცა ომს ადამიანის ბუნების ელემენტად თვლიან ომი სახელმწიფოს ქმედების ფორმაა პოლიტიკური პროგრამის ნაწილია"[11] ცნობილმა ბრიტანელმა ისტორიკოსმა არნოლდ ტოინბიმ ომს კაცობრიობის „მომაკვდინებელი სენი" უწოდა.[12]

იმ ეპოქის უდიდესი მოვლენა იყო ერთა ლიგის შექმნა (1919 წ.). ერთა ლიგა ჩაფიქრებული იყო კიდევ ერთი მსოფლიო ომის თავიდან აცილების მიზნით.[13] 20 წლის განმავლობაში იარსება ამ მეტად მნიშვნელოვანმა საერთაშორისო ორგანიზაციამ და, საბოლოო მარცხის მიუხედავად, ერთა ლიგამ ბევრ შემთხვევაში შეძლო საერთაშორისო კონფლიქტების თავიდან აცილება და მოგვარება.[14] ხუთ უმნიშვნელოვანეს შემთხვევაში (იაპონიის მიერ მანჯურიის ოკუპაცია, იტალიის აგრესია აბისინიაში, ბოლივია-პარაგვაის ომი, ესპანეთის სამოქალაქო ომი და სსრკ-ფინეთის ომი) ერთა ლიგამ სრული

---

[10] G. Lowes Dickinson. Causes of International War. London, 1920, Swarthmore Press, p.16

[11] G.Murray. The Ordeal of This Generation. New York, Harper and Brothers, 1929, p.29

[12] A.J.Toynbee. Survey of International Affairs:1928. London, Oxford Univ. Press, p.1

[13] იხ.:F.R.Walters. A History of the League of Nations. London, Oxford University Press, 1952.

[14] J.C.Plano, R.E.Riggs. Forging World Order: The Politics of International Organization. New York, Macmillan, 1967, p.28

მარცხი განიცადა, და 30-იანი წლების ამ და სხვა მოვლენებმა ცხადყო, რომ საერთაშორისო პოლიტიკაში გადამწყვეტი საბოლოო ფაქტორი ძალაა, ხოლო საერთაშორისო პოლიტიკური სისტემა ეერ „ეგუება" კოლექტიურ უსაფრთხოებასა და მშვიდობას. ეს კი დიდი იმედგაცრუება იყო ყველასათვის, ვისაც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ეგონა, რომ ამიერიდან კაცობრიობის კეთილი სურვილის გამო ომები, ყოველ შემთხვევაში, დიდი ომები მაინც, აღარ მოხდებოდა.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ საზოგადოებაში და, განსაკუთრებით, აკადემიურ წრეებში გაბატონებული წარმოდგენა, რომ თითქოს საყოველთაო მშვიდობის მიღწევა შესაძლებელია მოლაპარაკებათა მაგიდასთან მოსული სახელმწიფოების დიალოგისა და საერთაშორისო სამართლის უმენაესობის მეშვეობით, სათანადო საერთაშორისო ინსტიტუტების შექმნით და საგარეო პოლიტიკაში მნეობრივი და სამართლებრივი ნორმების დამკვიდრებით, საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში ცნობილია იდეალიზმად ან უტოპიზმად. სურვილი და იმის იმედი, რომ ომების თავიდან აცილება და მშვიდობის დამყარება შესაძლებელია, დამკვიდრდა საერთაშორისო ურთიერთობათა ახლადაღმოცენებულ სამეცნიერო დისციპლინაში და ამ დარგის წარმომადგენლებმა თავიანთი ამოცანა მშვიდობისათვის, სტაბილურობისათვის საჭირო აუცილებელი პირობების კვლევაში დაინახეს. ზემოთ უკვე ნახსენები საერთაშორისო ურთიერთობათა მსოფლიოში პირველი კათედრის (უელსის საუნივერსიტეტო კოლეჯი, აბერსთვეითი, დიდი ბრიტანეთი) პირველი გამგე ა.ციმერნი უკვე 1936 წელს, მაშინ, როცა სრულიად ნათელი გახდა, რომ პოლიტიკური იდეალიზმი არ მართლდება, თავის შრომაში ისევ აღნიშნავდა, რომ პოლიტიკოსი იდეალისტი უნდა იყოს და „ცივილიზაციის მომავალი ერთა ლიგაზეა დამოკიდებული„.[15] ბევრი მეცნიერი დარწმუნებული იყო, რომ პოლიტიკაში და საერთაშორისო ურთიერთობებში ახალი პრინციპების დამკვიდრება აუცილებელი და შესაძლო რამ იყო. განსაკუთრებით ძლიერი იყო იმის რწმენა, რომ საჯაროობა და საზოგადოების ფართო ფენებში მშვიდობის იდეის გავრცელება გარდაგეხას შეიტანდა პოლიტიკურ პრაქტიკაში.

რწმენა, რომ მშვიდობა ყველა სახელმწიფოს საერთო ინტერესი და სურვილია და რომ ყველა პოტენციური კონფლიქტის თავიდან აცილება შეიძლება, იდეალიზმის საფუძველი იყო, ხოლო ერთა ლიგის შექმნას პირველი მსოფლიო ომის „დიდ მონანიებად" აცხადებდნენ.[16] ერთა ლიგაში ცივილიზაციის გადარჩენის ბოლო შანსს ხედავდნენ.

საყურადღებოა, რომ მსგავსი რამ გამეორდა მეორე მსოფლიო ომის მიწურულს და მისი დამთავრების შემდეგაც. მოგიერთი მეცნიერი და პოლი-

---

[15] A.E.Zimmern. The League of Nations and the Rule of Law, 1918-1935. London, Macmillan, 1936, p.5

[16] G.Murray. The Ordeal of This Generation. New York, Harper and Brothers, 1929, p.221

პოლიტიკოსი აცხადებდა, რომ საჭირო ახალი ერთა ლიგის შექმნა, რომ ბირთვულ ეპოქაში მსოფლიო მთავრობის შექმნის გარეშე გადარჩენა შეუძლებელია და ა.შ. იდეალისტებისათვის მსოფლიოში არსებული საერთაშორისო ანარქია და სუვერენული სახელმწიფოების სისტემა ყველა უბედურების მიზეზი იყო და ამიტომ -მიუღებელიც. უფრო მეტიც, ბევრი თანამედროვე ექსპერტი ზუსტად იმაზე პოზიციაზე დგას.[17]

ორ მსოფლიო ომს შორის გაბატონებული იდეალიზმის ილუზიების უმაღლესი მწვერვალი იყო 1928 წლის 27 აგვისტოს პარიზის პაქტი, რომელიც ცნობილია ბრიან-კელოგის პაქტის სახელწოდებით. თხუთმეტმა სახელმწიფომ მოაწერა ხელი ამ პაქტს, რომლის თანახმადაც საერთაშორისო წინააღმდეგობების ომის მეშვეობით დაძლევა მიუღებლად ცხადდებოდა და ყველა კონფლიქტი მხოლოდ მშვიდობიანი გზით უნდა მოგვარებულიყო. ბრიან-კელოგის პაქტი საერთაშორისო ურთიერთობების ტრიუმფად იქნა მიჩნეული და განიხილებოდა როგორც ტრადიციებზე იდეების გამარჯვებად, ეფემერულ და „კუთხურ" ეროვნულ ინტერესებზე, ერთხელ და საბოლოოდ დადგენილი ტრძელვადიანი ინტერესების გამარჯვებად განიხილებოდა..[18] 1932 წელს აშშ-ის მთავრობამ მიიღო ე.წ. „სტიმსონის დოქტრინა", რომლის მისედვითაც აშშ უარს აცხადებდა ძალის ნებისმიერი გამოყენებით შექმნილი ტერიტორიების დიპლომატიურ ცნობაზე. იდეალიზმის გარეგნული ტრიუმფის მიუხედავად, ძალადობა არა მარტო არ გაქრალა, არამედ კელავ ბატონობდა საერთაშორისო ურთიერთობებში. 1932 წელს იაპონია თავს დაესხა ჩინეთს და მის ტერიტორიაზე შექმნა მარიონეტული სახელმწიფო მანჯოუ-გო, ხოლო გერმანიამ მოასდინა რაინის ოლქის ოკუპაცია, დაარღვია ვერსალის ხელშეკრულება და დაიწყო გამალებული შეიარაღება.[19] იტალიამ 1934 წელს მოახდინა აბისინიის (ეთიოპიის) ოკუპაცია, გერმანია მუქარის გამოყენებითა და დასაელეთ ევროპის ქვეყნების ხელშეწყობით დაეუფლა ჩეხოსლოვაკიას, შემდეგ- ავსტრიას („ანშლიუსი"), ესპანეთის სამოქალაქო ომში (1936-1938წ.წ.), ფაქტობრივად, მონაწილეობდნენ იტალია, გერმანია და სსრკ. 1939 წლის 1 სექტემბერს კი მეორე მსოფლიო ომიც დაიწყო. საერთაშორისო ურთიერთობებზე იდეალისტურ შეხედულებებს ბოლო მოეღო.

მწარე სინამდვილე ახალ სედვას, ახალ მიდგომას მოითხოვდა. ახალი დისციპლინა იმის კელეევით იყო გართული, თუ როგორი უნდა ყოფილიყო მსოფლიო და კაცობრიობა, როგორ უნდა დამყარებულიყო მშვიდობა და სახელმწიფოთა თანამშრომლობა. გამოირკეა, რომ ამგვარი მიდგომა რეალური

---

17 J.Shell. The Fate of the Earth. New York, 1982, pp. 187, 193,226

18 J.T.Shotwell. War as an Instrument of National Policy. New York, Harcourt Brace, 1929, p.221; A.Zimmern. The League of Nations and the Rule of Law, 1918-1935..., p.392; G.Murray. The Ordeal of This Generation....., p.201; A.Toynbee. Survey of International Affairs..., p.8

19 ყურადღების ღირსია ფრანგი მხედართმთავრის, მარშალ ფერდინანდ ფოშის, წინასწარმეტყველება, როცა მან 1919 წელს, ვერსალის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, შენიშნა: „ეს არ არის მშვიდობა. ეს მხოლოდ ოცწლიანი ზაეია."

პოლიტიკური ეითარებისაგან დაშორებული იყო. საერთაშორისო ურთიერთობათა დისციპლინაშიც დაიწყო გარდატეხა. ასალი ხედვის პრინციპები ყველაზე კარგად გამოხატა ბრიტანელმა ედვარდ ქარმა თავის გახმაურებულ წიგნში („ოცწლიანი კრიზისი, 1919-1939: საერთაშორისო ურთიერთობათა შესწავლის შესავალი"), რომელიც წიგნის მალაშიების თაროებზე უკვე 1939 წლის ნოემბერში, მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან ორი თვის შემდეგ, გამოჩნდა.[20]

ეს წიგნი საერთაშორისო ურთიერთობათა დისციპლინის ახალი, რეალიზმის ეტაპის ნიშანსვეტად არის ალიარებული. ე.ქარის აზრით, დისციპლინას, რომელმაც ვერ შეძლო სინამდვილის ანალიზის გამიჯვნა სასურველის ანალიზისაგან, არ უნდა ჰქონდეს მეცნიერების პრეტენზიები.[21] მისივე აზრით, პოლიტიკურ მეცნიერებაში უტოპია და რეალობა ყოველთვის უპირისპირდებიან ერთმანეთს, მაგრამ საჭიროა თითოეულმა თავისი კუთვნილი ადგილი დაიკავოს. პირველ ყოელისა, საჭიროა იმის შესწავლა, თუ რა არის და შემდეგ, რა უნდა იყოს. ქარის შეხედულებების თანახმად, საერთაშორისო ურთიერთობებში რეალიზმის გამოჩენა ნიშნავდა ამ დისციპლინის წინასამეცნიეროდან სამეცნიერო ფაზაში გადასვლას.

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიასა და პრაქტიკაში გაბატონებულ იდეებს ქარმა უტოპია უწოდა.[22] თეორიულ ლიტერატურაში მათ იდეალიზმის სახელწოდებით ეხვდებით. ეს იდეალიზმი იყო ტელეოლოგიური, ეოლუნტარისტული, რაციონალური და უტოპიური.[23] მისი მიზანი იყო ისეთი საერთაშორისო ცხოერების მოწყობა, რომელიც დაეყრდნობოდა კოლექტიურ უსაფრთხოებას, განიარაღებასა და მსოფლიო მთაერობას. იდეალიზმი მომდინარეობდა იქიდან, რომ ომების მიზეზი საერთაშორისო ანარქიაა, რომლის ფესვები სახელმწიფოთა სუეერენულობაშია საძიებელი, ეროენული ინტერესები უაზრო, რეტროგრადული ცნებაა და პოლიტიკური პროეინციალიზმის, „კუთხურობის" გამოხატულებაა; ნაციონალიზმი ჩამორჩენილობაა და საერთაშორისო პოლიტიკაში მას არაფერი ესაქმება. ყველაფერი, რაც ხელს უწყობს ერების მშეიდობიან თანამშრომლობასა და საერთაშორისო წესრიგს, უნდა დაგმობილიყო და ამოღებულიყო პოლიტიკური არსენალიდან; საერთაშორისო პოლიტიკაში ზნეობრიობის საკითხი მარგინეა – ყველა მთაერობამ უნდა შეასრულოს ის, რაც საერთაშორისო ინსტიტუტებმა (ერთა ლიგა, საერთაშორისო სასამართლო, კონეენციები და ა.შ.) და საერთაშორისო სამართალმა დაადგინა. როგორც ეხედავთ, ამგვარი ნორმატიული შეხედულებები საერთაშორისო თეორიასა და პრაქტიკაზე იმდროინდელი სინამდვილისაგან ძალიან შორს იდგა და ეერ დაეხმარა

---

20 Edward H.Carr. The Twenty Years' Crisis, 1919-1939: An Introduction to the Study of International Relations. Macmillan and Company, London, 1939.

21 იქეე., p.9

22 იქეე., p.5

23 J.Barrea. Theories des Relations Internationales, CIACO editeur, 1978, p.1

რეალური საერთაშორისო ვითარებისა და მასთან დაკავშირებული მნეობრივი პრობლემების გაგებას და გადაწყვეტას.

როგორი იყო ამ ვითარებაში პატარა, სუსტი ქვეყნების მდგომარეობა? როგორ განიხილავდა მათ პრობლემებს საერთაშორისო ურთიერთობათა ახლადდამკვიდრებული დისციპლინა? პატარა ქვეყნები ტრადიციულად უმწეონი იყვნენ საერთაშორისო ასპარეზზე. არც სამხედრო და არც პოლიტიკური ძალა მათ არ გააჩნდათ და ძლიერი ქვეყნების ბატონობის პირობებში მათ დაქვემდებარებარებული ადგილი ეკავათ. XIX საუკუნის მიწურულიდან საერთაშორისო ურთიერთობებში ძალიან ნელა, მაგრამ მაინც შესამჩნევად იჩენს თავს სახელმწიფოთა „ქცევის" ახალი ნორმები: ყოველი ერის თვითგამორკვევის უფლება; სახელმწიფოთა სუვერენული უფლებები საკუთარ ტერიტორიაზე; საერთაშორისო ორგანიზაციებში სახელმწიფოთა თანასწორუფლებიანობის ზრდა; საერთაშორისო სამართლის წინაშე სახელმწიფოთა თანასწორუფლებიანობა; სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში ძალის გამოყენების დაგმობა. ეს ძვრები წარმოადგენდა მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენას, რადგანაც სახელმწიფოებისათვის დადგა ახალი დრო, რომელშიც საერთაშორისო წესები და ნორმები ასალი შინაარსით ივსებოდა.[24] ეს ძვრები დასავლურ საზოგადოებაში დემოკრატიული, ლიბერალური და ეგალიტარული ნორმების დამკვიდრებასთან იყო დაკავშირებული. ამასთანავე, ის, რაც ამ დროის მოწინავე სახელმწიფოების საშინაო პოლიტიკაში მკვიდრდებოდა, იმავე სახით და მოცულობით ვერ გადავიდოდა საერთაშორისო პოლიტიკაში, რადგან ძალის პოლიტიკა და ეროვნული ინტერესების პრიმატი საერთაშორისო ურთიერთობათა პრაქტიკის საფუძველს წარმოადგენდა.

XIX საუკუნის განმავლობაში დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, აშშ-სა და მოგიერთ სხვა დიდ თუ პატარა ქვეყანაში განუხრელად ვითარდებოდა დემოკრატიული ინსტიტუტები. ეს იყო ყველა მოქალაქის საარჩევნო უფლებები, კანონის წინაშე ყველას თანასწორობა და კანონის უზენაესობა, პროგრესული გადასახადები, შემოსავლის უფრო თანასწორი განაწილება და სხვ. ამავე დროს იგივე სასელმწიფოები საერთაშორისო ასპარეზზე იმპერიალისტურ პოლიტიკას ატარებდნენ. ძალით პქონდათ დაპყრობილი კოლონიები და მათ ექსპლუატაციას უწევდნენ, მსოფლიო დაყოფილი პქონდათ გავლენის სფეროებად, პატარა ქვეყნებს ეპყრობოდნენ როგორც მეორეხარისხოვან სასელმწიფოებს და მათ ხშირად საკუთარი საგარეო საქმეების გაძღოლის უფლებასაც არ აძლევდნენ. ორ პოლიტიკურ სისტემას (საშინაო და საგარეო) შორის უფსკრული იყო. მეტროპოლიების მოსახლეობას უფლებები პქონდა, ხოლო მათი კოლონიების მოსახლეობას – არა, სახელმწიფოს შიგნით ძალადობა აკრძალული იყო, მაგრამ საგარეო საქმეებში ძალადობა უპირველეს საშუალებად მიიჩნეოდა. ეკონომიკური თანასწორობისკენ

---

24 K.W.Thompson. Political Realism and the Crisis of World Politics. Princeton, Princeton University Press, 1960, p.136

სწრაფეა შინ და ამავე დროს სხვა ხალხების ექსპლუატაცია – აი, ამგვარი დისონანსი იყო საშინაო და საერთაშორისო სისტემებს შორის.

მშვიდობიანი მსოფლიოს მოწყობისა და სახელმწიფოთა თანამშრომლობის დამკვიდრების იდეებთან ერთად, ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდში ტანეთარდა ე.წ. „ტეოპოლიტიკა", რომლის მოშველიება იმპერიალისტური, ექსპანსიონისტური პოლიტიკის გასამართლებლად აგრესიული, რევანშისტულად განწყობილი სახელმწიფოებისათვის მეტად სარწმუნო საქმე გახდა.[25]

შვედმა პოლიტოლოგმა რ.ჩელენმა, რომელსაც რუსეთისა და სლავური სამყაროს ექსპანსიისა ეშინოდა და თავისი ქვეყნის გადარჩენას ძლიერ გერმანიასთან კავშირში ხედავდა, 1916 წელს გამოაქვეყნა წიგნი „სახელმწიფო როგორც სიცოცხლის ფორმა". ეს წიგნი 1917 წელს გამოიცა გერმანიაში და დიდი მოწონება დაიმსახურა.[26] ცნება „ტეოპოლიტიკა" სწორედ ჩელენის წიგნიდან მომდინარეობს, რომელშიც სახელმწიფო შედარებულია ორგანიზმთან. ამგვარი შედარება პირველად დიდი გერმანელი გეოგრაფის ფ.რაგცელის შრომებში გვესვდება. რაგცელი გეოგრაფიულ თეორიას აყალიბებდა ევოლუციისა და ბუნებრივი შერჩევის თეორიის შუქზე, მაგრამ, ჩელენისაგან განსხვავებით, მან სახელმწიფო ორგანიზმს შეადარა არაპირდაპირი გაგებით. თუ სახელმწიფო ორგანიზმია, მაშინ იგი ადამიანებისა და მათი ჯგუფებისაგან დამოუკიდებლად ეთარდება და მოქმედებს. ამის მსგავსი რამ ადრეც იყო თქმული დარეინამდელი გერმანელი ფილოსოფოსების (ფიხტე, ჰეგელი, ფონ შლეგელი) მიერ. ჩელენის თეორიამ გერმანულ პოლიტიკურ ფილოსოფიას „თანამედროვე მეცნიერების" სამოსელი ჩააცვა. გერმანელმა კ. ჰაუსჰოფერმა თავის მიმდევრებთან ერთად 20-იანი და 30-იანი წლების განმავლობაში განაგითარა ჩელენის შეხედულებები (გამოაცხადა გეოგრაფია გეოპოლიტიკად) და შექმნა ე.წ. გეოპოლიტიკური მეცნიერება, რომელიც სინამდვილეში მძლავრ პროგერმანულ პროპაგანდას წარმოადგენდა. გერმანული გეოპოლიტიკის თანახმად, გერმანია იყო ორგანიზმი, რომელიც უკვე საუკუნეების განმავლობაში ვითარდებოდა და რომელიც უნდა გაფართოებულიყო იქამდე, სანამ მთელ მსოფლიოს არ დაიმორჩილებდა. ჰაუსჰოფერმა გამოიყენა ინგლისელი გეოგრაფის ჰ.მაკინდერის თეორია „შუაგული მიწის" შესახებ.[27] გეოპოლიტიკა გერმანული ნაციონალიზმის პრაქტიკულ ფილოსოფიად იქცა. იგივე მოხდა იტალიასა და იაპონიაში. სწორედ ამ ქვეყნებმა, ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდში, საგარეო საქმეებში ძალის გამოყენება და სხვა სახელმწიფოთა მიმართ აგრესია პოლიტიკის მისაღებ ინსტრუმენტად მიიჩნიეს. ამგვარად, საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში გაბატონებულ იდეალიზმთან ერთად, ზოგიერთ ქვეყანაში (გერმანია, იტალია, იაპონია) ძალის პოლიტიკის, ექსპანსიის იდეებიც ვითარდებოდა. როდესაც ამ იდეებს კონფლიქტები და აგრესია მოპყვა, იდეალიზმი რეალიზმმა შეცვალა.

---

25 გეოპოლიტიკის შესახებ იხ.:ა.გეგეშიძე. გეოპოლიტიკა. ESM, თბილისი, 1992

26 R.Kjellen. Der Staat als Lebensform. Leipzig, 1917

27 H.J.Mackinder. Democratic Ideals and Reality. New York, Henry Holt and Co. 1919

II. საერთაშორისო პოლიტიკური სისტემა

საერთაშორისო ურთიერთობები როგორც სისტემა

ყოველი წესი, ჩემო საყვარელნო, პაჭიჭსა პგავს: თუკი ერთი წვერი შემოერღვა, გათაედა კიდეც – სულ ბოლომდე რღვევით წავა.

ილია

საერთაშორისო სისტემის კონცეფცია გამომდინარეობს სისტემური ანალიზიდან. სისტემას უწოდებენ ელემენტთა სიმრავლეს, რომლებიც ერთმანეთთან მიმართებაში და ურთიერთქმედებაში ქმნიან მთლიანობას, ერთიანობას. სისტემის შესახებ წარმოდგენა დაკავშირებულია ცნებებთან: ელემენტი, მთლიანობა, სტრუქტურა, კავშირი, იერარქია, ქვესისტემა. სისტემური ანალიზის მეთოდოლოგიური სპეციფიკა განპირობებულია იმით, რომ იგი მიმართავს კელევას ობიექტის მთლიანობის და ამ მთლიანობის უზრუნველმყოფი მექანიზმების, რთული ობიექტის მრავალგვარ კავშირთა ტიპების გამოსაელენად და მათ შესახებ ერთიანი თეორიული წარმოდგენის შესაქმნელად.

საერთაშორისო ურთიერთობებში სისტემური ანალიზი მიმდინარე საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან დამკვიდრდა.* სწორედ ამ დროიდან საბოლოოდ დამკვიდრდა ცნება „საერთაშორისო სისტემა".

სისტემას ახასიათებს სტაბილური ან არასტაბილური მდგომარეობა. სტაბილური სისტემა საჭიროებს მნიშვნელოვან ძალისმიერ იმპულსს სტაბილური მდგომარეობის შესანარჩუნებლად. არასტაბილური სისტემა უფრო ადვილად კარგავს ნორმალური ფუნქციონირების უნარს. ყოველი სისტემა ნებისმიერი „ტალიზიანების" შემდეგ ცდილობს გაწონასწორებულ მდგომარეობას დაუბრუნდეს. წონასწორობა კი თავის მხრივ შეიძლება იყოს სტაბილური ან არასტაბილური. დიდი სისტემა შეიძლება მოიცავდეს უფრო პატარა ქვესისტემებს. საერთაშორისო სისტემის შემთხვევაში ამგვარი ქვესისტემები ცალკეული სუვერენული სახელმწიფოებია.

სისტემის შემადგენელი ელემენტები ურთიერთდამოკიდებულნი არიან

---

* საერთაშორისო ურთიერთობებში სისტემური კონცეფციის გამოყენების შესახებ იხილეთ: M.A. Kaplan, System and Process in International Politics. John Wiley and Sons, New York;1957. C.A. Mc-Clelland. Theory and the International System. Macmillan, New York, 1966; A.M. Scott. The Functioning of the International System. Macmillan, New York, 1967; J. J. Weltman. Systems Theory in International Relations. A Study in Metaphoric Hypertrophy. Lexington Books, Lexington, D.C., Heath and Company, 1973; M. Haas. International Systems. A Behavioral Approach. Chandler Publishing Company, New York, 1974; Э.А. Поздняков, Системный подход и международные отношения. М., "Наука", 1976.

და ფუნქციონირებენ ურთიერთქმედების მეშეეობით. რაც უფრო დიდია ურთიერთდამოკიდებულება, მით უფრო მეტია და ინტენსიურია ურთიერთქმედება. ამ შემთხვევაში სისტემა კიდევ უფრო რთული ხდება. თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში შიდასისტემური ურთიერთქმედებები მოიცავს არა მხოლოდ სუვერენული სახელმწიფოების, არამედ სისტემის სხვა ელემენტების – „მონაწილეების" (საერთაშორისო ორგანიზაციები, საერთაშორისო ეკვრობა, ფინანსები, ტურიზმი და ა.შ.), ურთიერთქმედებასაც. ტექნოლოგიის სწრაფმა განვითარებამ, ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების და ინტეგრაციის ზრდამ, მოდერნიზაციის პროცესმა საერთაშორისო პოლიტიკური სისტემა უაღრესად რთული და ამავე დროს გლობალური გახადა.

საერთაშორისო სისტემას, ან, უფრო მუსტად რომ ვთქვათ, საერთაშორისო სისტემებს, სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებში განსხვავებული საზღვრები ჰქონდა. საერთაშორისო სისტემა მოიცავს იმ მოქმედ პირებს-სახელმწიფოებს, რომელთა ქმედებები და საპასუხო ქმედებები ანგარიშგასაწევია დანარჩენებისათვის თავიანთი საგარეო პოლიტიკის შემუშავებისას, რადგან საერთაშორისო სისტემა ის ასპარეზია, რომლის ჩარჩოებში ხორციელდება სახელმწიფოთა მიერ ურთიერთშეფასება და ურთიერთდამოკიდებული გადაწყვეტილებების მიღება. ბუნებრივია, რომ კოლუმბამდელი ამერიკული იმპერიები არ წარმოადგენდნენ გლობალურ საერთაშორისო სისტემას. ისინი სრულებით იზოლირებულნი იყვნენ დანარჩენი სამყაროსაგან. ძველი რომი და ძველი ჩინეთი გარკვეულწილად ურთიერთდამოკიდებულნი იყვნენ, რადგან მათ შორის მდებარე ცენტრალური აზიის ტერიტორიაზე მომთაბარე მოსახლეობის დიდი მიგრაციები ხორციელდებოდა, რომლებიც ამ ორივე იმპერიაზე დიდ ზეგავლენას ახდენდა, მაგრამ ეს იმპერიები არ მიეკუთვნებოდნენ ერთსა და იმავე საერთაშორისო სისტემას. მხოლოდ თანამედროვე საერთაშორისო სისტემა არის ჭეშმარიტად გლობალური სისტემა.

საერთაშორისო პოლიტიკური სისტემა უმარმაზარი, რთული და ჩაკეტილი სისტემაა. ჩაკეტილია იმიტომ, რომ დედამიწის გარედან ამ სისტემაზე ზემოქმედება არ ხორციელდება. საერთაშორისო სისტემის და დედამიწის საზღვრები ერთი და იგივეა. მსოფლიოს მთელი ტერიტორია პოლიტიკურად „ათვისებულია", ანტარქტიდაც კი საერთაშორისო ხელშეკრულებათა ობიექტია. საერთაშორისო სისტემა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან გლობალური სისტემაა და ეს როგორც დედამიწის გეოგრაფიული ათვისების, ასევე მისი პოლიტიკურ-ეკონომიკური განვითარების შედეგია.

თანამედროვე საერთაშორისო სისტემა შედგება, პირველ ყოელისა, სუვერენული პოლიტიკური ერთეულებისაგან, რომლებიც ურთიერთქმედებენ სხვადასხვა სიხშირით და სიმძაფრით, საერთაშორისო ურთიერთობათა რამდენადმე დარეგულირებული პროცესის ჩარჩოებში. საერთაშორისო სისტემა მოიცავს გარკვეულ ელემენტებს და მათ შორის ურთიერთკავშირებს. ამ სისტემის შემადგენელი ელემენტები, სახელმწიფოებთან და სხვა კოლექტიურ მონაწილეებთან ერთად, ცალკეული პიროვნებებიცაა და მათ შორის

ურთიერთქმედებაც არის. საერთაშორისო ურთიერთობათა გარკვეულ სისტემად წარმოდგენა არ იქნებოდა მართებული, ხსენებული ურთიერთობები შემთხვევითი, უსისტემო და არარეგულარული რომ ყოფილიყო. კავშირურთიერთობის მკვეთრი გაადვილების, ინტენსიური პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების, გლობალური პრობლემების წინა პლანზე წამოწევის გამო თანამედროვე სახელმწიფოები იმდენად ურთიერთდამოკიდებულნი და ურთიერთდაკავშირებულნი აღმოჩნდნენ, რომ საერთაშორისო ურთიერთობები სისტემურ პროცესად იქცა.

საერთაშორისო სისტემის ძირითადი შემადგენელი ელემენტები- სუვერენული სახელმწიფოები- მართალია, ფორმალურად დამოუკიდებელნი და თანასწორუფლებიანნი არიან, მაგრამ ისინი ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავდებიან სიდიდით, პოლიტიკურ-ეკონომიკური ძლიერებით და შესაძლებლობებით. ეს თანამედროვე საერთაშორისო სისტემის უკიდურესი სირთულის ერთ-ერთი მიზეზია. გარდა ამისა, ყოველი ქვეყანა არ არის თანაბრად განეითარებული, მისი ზოგიერთი რაიონი დანარჩენებთან შედარებით უფრო განეითარებულია და ამის შედეგად ქვეყნის შიგნით ბევრი რთული პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული პრობლემა არსებობს. თუ ქვეყნის შიგნით რაიონული დისპროპორციების შერბილება ხერხდება შემოსავლის გადანაწილებისა და სელექციური კაპიტალდაბანდებების მექანიზმების მეშვეობით, ამას ვერ ვიტყვით საერთაშორისო სისტემის შესახებ, რომელშიც ქვეყნებს შორის განსხვავებები ძალზე ღრმაა; მას ჯერ არ გააჩნია ხსენებული მექანიზმები და შესაძლებლობები, რომლებიც მოეპოვება სუვერენულ სახელმწიფოს საკუთარი შიდა პრობლემების მოსაწესრიგებლად. სხვა სისტემებისაგან განსხვავებით, საერთაშორისო სისტემა არის ძალიან კონკრეტული, გეოგრაფიულად განსაზღვრული და ჩაკეტილი. მას არ გააჩნია რეგულირების ადექვატური საშუალებები და სწორედ ეს არის ამ სისტემის სირთულეების და საერთაშორისო ურთიერთობათა კონფლიქტურობის ძირითადი მიზეზი.

როგორც აღინიშნა, საერთაშორისო სისტემის ძირითადი ელემენტები სუვერენული სახელმწიფოებია, მაგრამ მათ გარდა კიდევ არის სხვა ელემენტები ანუ მონაწილეები – საერთაშორისო ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ეკლესია, საერთაშორისო კორპორაციები და სხვ. კიდევ არის რეგიონული სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირები და ორგანიზაციები.

საერთაშორისო სისტემის მთავარი ელემენტები – სუვერენული სახელმწოფოები იურიდიულად თანასწორია, ე.ი. თანაბარია საერთაშორისო სამართლის წინაშე.[28] თანამედროვე საერთაშორისო სამართალში ბატონობს სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპი, რომელიც კანონის წინაშე პიროვნებისა და მოქალაქის თანასწორობის დემოკრატიული

---

[28] ლ. ალექსიძე. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი, თბ., 1994, გვ. 33

პრინციპის საერთაშორისო „ვარიანტია". ამ პრინციპის თანასმად, ყველა სახელმწიფოს ერთნაირი უფლებები და მოვალეობები აქვს და არც ერთ ძლიერ სახელმწიფოს არა აქვს უფლება, სუსტს თავს მოახვიოს თავისი ბატონობა ან პრიველეგიურ მდგომარეობაში დააყენოს თავისი თავი.[29] ამავე დროს, საერთაშორისო პრაქტიკიდან ვიცით, რომ იურიდიული თანასწორობა სულაც არ ნიშნავს სახელმწიფოთა პოლიტიკურ თანასწორობას. სახელმწიფოთა რეალური პოლიტიკური უთანასწორობა საერთაშორისო ურთიერთობათა დინამიკის ძირითადი წყაროა და ეს უთანასწორობა აისახება თუნდაც სახელმწიფოთა დაჯგუფებაში პატარა ან სუსტ, საშუალო, ძლიერ და სუპერძლიერ ქვეყნებად. აქვე უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ, როგორც ერთა ლიგაში, ასევე გაეროში მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოებს მიენიჭა განსაკუთრებული, პრივილეგირებული სტატუსი. თუ ერთა ლიგაში ეს ქვეყნები ლიგის საბჭოში შედიოდნენ, რომელიც პრაქტიკულად ყველა საკითხს წყვეტდა, გაეროშიც უძლიერესი ქვეყნები უშიშროების საბჭოს წევრები არიან და მათ ვეტოს უფლებაც აქვთ. ეს, რა თქმა უნდა, უძლიერესი სახელმწიფოების ჭეშმარიტი როლისა და მშვიდობის შენარჩუნების საქმეში მათი განსაკუთრებული პასუხისმგებლობის აღიარებაა.[30] ამით არ დარღვეულა საერთაშორისო სამართლის სუვერენული თანასწორობის პრინციპი, მაგრამ საერთაშორისო ორგანიზაციებში კოლექტიური უსაფრთხოების პრინციპის მიმართ რეალისტური მიდგომა სუფევდა. საერთაშორისო სისტემაში სტაბილურობის დასამყარებლად და შესანარჩუნებლად საჭიროა უძლიერესი სახელმწიფოების ძალა და ავტორიტეტი. მათი დიდი სამხედრო უპირატესობის გამო, სწორედ მათ ძალუძთ დათრგუნონ მოსალოდნელი კონფლიქტი, დაამყარონ „წესრიგი" და საერთაშორისო სისტემას სტაბილურობა შეუნარჩუნონ. უძლიერესი სახელმწიფოების ადგილი და როლი საერთაშორისო სისტემაში მართლაც განსაკუთრებული და განმსაზღვრელია.

როგორც უკვე აღინიშნა, საერთაშორისო სისტემის ქვესისტემებად მიჩნეულია სუვერენული სახელმწიფოები, მაგრამ მოგიერთი ავტორი ქვესისტემებად მიიჩნევს აგრეთვე რეგიონულ დაჯგუფებებს, კავშირებს.[31] ამგვარ ქვესისტემად შეიძლება ჩაეთვალოთ ყოფილი „სოციალისტური ბანაკი", „ევროპის ეკონომიკური კავშირი" და ა.შ. საერთაშორისო სისტემა – შენიშნავს მორტონ კაპლანი – უკვე რამდენიმე საუკუნეა, რაც ქვესისტემათა დომინი-

---

29 ლ. ალექსიძე, გვ.33

30 Encyclopedia of Public International Law. Vol. 10, North-Holland, Amsterdam, 1987, p.477

31 M.Banks. Systems Analysis and the Study of Regions. "International Studies Quarterly", 13, No. 4, 1969; L.J. Cantori and S.L.Spiegel. The International Politics of Regions: A Comparative Approach. Englewood Cliffs, Prentice - Hall, 1970; W.R. Thompson. The Regional Subsystem: A Conceptual Explication and a Propositional Inventory. "International Studies Quarterly", 17, No. 1, 1973

რების ტენდენციას აავლენს.[32] საერთაშორისო სისტემაში შეიძლება გაბატონდეს ერთი რომელიმე სახელმწიფო ან სახელმწიფოთა ბლოკი, რომლებსაც შეუძლიათ არა მხოლოდ თავს მოახვიონ მთელ სისტემას „თამაშის წესები", არამედ გამოიწვიონ მასში კიდეე უფრო დიდი ცელილებები.

საერთაშორისო სისტემათა ექვსი შესაძლებელი ნაირგვარობა არსებობს: 1. ძალთა წონასწორობის სისტემა; 2. „რბილი" ბიპოლარული სისტემა; 3. „ხისტი" ბიპოლარული სისტემა; 4. უნივერსალური სისტემა; 5. იერარქიული სისტემა; 6. „ერთეული ვეტოს" სისტემა.[33] ზემოთ ჩამოთვლილი სისტემების ტიპები ერთმანეთისაგან განსხვავდება ინტეგრირების ხარისხით. ყველაზე უფრო ინტეგრირებულია იერარქიული და ყველაზე ნაკლებად – „ერთეული ვეტოს" სისტემა. ამავე დროს, ჯერჯერობით მხოლოდ პირველი ორი სისტემის (ძალთა წონასწორობის და „რბილი ბიპოლარული") ისტორიული ანალოგები მოგვეპოვება.

პირველი, ძალთა წონასწორობის ტიპის სისტემა გულისხმობს, რომ იგი წონასწორობაშია. ამ ტიპისა იყო საერთაშორისო სისტემა XVIII და, განსაკუთრებით, XIX საუკუნეში. ძალთა წონასწორობის სისტემაში მოქმედი პირები – სუვერენული სახელმწიფოები, ჩვეულებრივ, მოქმედებენ რეალიზმის „საუკეთესო" ტრადიციის თანახმად – ცდილობენ მაქსიმალური ძლიერების მიღწევას ანარქიულ საერთაშორისო გარემოში, ცდილობენ საკუთარი უსაფრთხოების უმრუნველყოფას კავშირების შექმნით და, თუ საჭირო გახდა, ომის საშუალებით. ძალთა წონასწორობის სისტემა შეიძლება გახდეს არასტაბილური ზოგიერთ შემთხვევებში (მაგ., მსოფლიო ომი ან რომელიმე ტოტალიტარული ბლოკის აღმოცენება) და მაშინ სისტემამ შეიძლება სახე იცვალოს, გადაიმარდოს, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება, „რბილ" ბიპოლარულ სისტემაში.

„რბილი" ბიპოლარული სისტემა ხასიათდება ძალის ორი პოლუსის დომინირებით და კონფრონტაციით, მაგრამ ამგვარ სისტემაში სუვერენულ სახელმწიფოებთან ერთად მნიშვნელოვანი მონაწილეების როლს ასრულებენ აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციები და სხვა მონაწილეები. კავშირების შექმნა ხორციელდება ორი ძალის, ორი პოლუსის ჩარჩოებში, მაგრამ ორივე პოლუსი- ბლოკი არ არის ხისტად ორგანიზებული და ამის გამო საერთაშორისო სისტემა უფრო მოქნილია. ცივი ომის პერიოდი სწორედ „რბილი" ბიპოლარული სისტემის ეპოქა იყო.* ამ ტიპის საერთაშორისო სისტემაში მოქმედებს ორი წამყვანი სუვერენული სახელმწიფო, რომლებიც თავიანთი მოკავშირეებით ორ მოწინააღმდეგე ბლოკს ქმნიან. ამავე დროს, ამ ტიპის სისტემაში წარმოდგენილია სახელმწიფოები, რომლებიც არც

---

[32] M.A. Kaplan. System and Process in International Politics. John Wiley and Sons, New York, 1967, p.17

[33] იქვე., p.21

* ბიპოლარული სისტემის შესახებ დაწერილებით იხ.: P.J. Fliess. International Relations in the Bipolar World. Random House, New York, 1968

ერთ ბლოკში არ შედიან, საერთაშორისო ორგანიზაციები და სხვა არასახელმწიფო მონაწილეები. ბუნებრივია, რომ „თამაშის წესები" ამ ტიპის სისტემაში არ არის ერთი და იგივე ყველა მონაწილისათვის. ეს ნიშნავს იმასაც, რომ განსხვავებული შესაძლებლობებისა და აქედან გამომდინარე ფუნქციების მქონე მონაწილე სახელმწიფოები უნდა აღიარებდნენ და ემორჩილებოდნენ იმას, რომ სხვას „თამაშის წესები" განსხვავებული აქვს. „რბილ" ბიპოლარულ სისტემაში, როგორც წესი, ორივე ბლოკი (განსაკუთრებით კი მათი „ლიდერები") ცდილობს, ბლოკების გარეთ მოქცეული სახელმწიფოები თავისი ბლოკის ჩარჩოებში მოაქციოს. თუ ეს მოხდა, მაშინ ხსენებული სისტემა „ხისტ" ბიპოლარულ სისტემად გადაიქცევა. ამ შემთხვევაში საერთაშორისო ორგანიზაციების როლი ძალზე შემცირდება და, რაც მთავარია, ბლოკებს გარეთ მყოფი სახელმწიფოების სამშვიდობო მისია და საქმიანობა მთლიანად მოისპობა. „რბილი" ბიპოლარული სისტემა იგანს ორ ბლოკზე მეტის არსებობას, მაგრამ დანარჩენი ბლოკი ან ბლოკები აუცილებლად უფრო მომცრო უნდა იყოს და მათი შესაძლებლობები ორ ძირითად ბლოკთან შედარებით – ბევრად უფრო შეზღუდული.[34] ამ ტიპის სისტემა ძლიერი შიდასისტემური ცელილებების შეგავლენის შედეგად შეიძლება გადაგვარდეს როგორც „ხისტ" ბიპოლარულ, ასევე იერარქიულ ძალთა წონასწორობის ან უნივერსალურ სისტემად გადაგვარდეს.

<u>„ხისტი" ბიპოლარული სისტემა,</u> მართალია, თავის წინამორბედს პგავს, მაგრამ მათ შორის განსხვავებები საკმაოდ მნიშვნელოვანია. ამ ტიპის სისტემაში მონაწილეთა რიცხვი შეზღუდულია და „თამაშის წესებიც" განსხვავებული. ამგვარი სისტემა სტაბილურია მხოლოდ მაშინ, როცა ორივე ბლოკის მონაწილეები იერარქიულად არიან ორგანიზებულნი. თუ ეს ასე არ არის, მაშინ ორივე ბლოკი საკმაოდ არასტაბილურია და სისტემა იხრება „რბილ" ბიპოლარულობისაკენ. ამ ტიპის სისტემაში, როგორც უკვე დავინახეთ, არ არის ბლოკებს გარეშე მყოფი სახელმწიფოები, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციები ან მხოლოდ სიმბოლური სახით არსებობს, ან მათი როლი თითქმის ნულამდეა დაყვანილი. „ხისტი" ბიპოლარული სისტემის პირობებში ნებისმიერი ტექნოლოგიური ან სხვა უპირატესობა, მოპოვებული ერთ-ერთი ბლოკის მიერ, აცდუნებს მას გამოიყენოს ეს უპირატესობა მუქარის ან ძალის გამოყენების გზით, რაც კონფლიქტს ან მეტოქე ბლოკის კაპიტულაციას გამოიწვევს. ამ ტიპის სისტემას არ გააჩნია თვითრეგულირების, ინტეგრაციის საკმარისი მექანიზმები.

<u>უნივერსალური საერთაშორისო სისტემა</u> შეიძლება წარმოიშვას „რბილ" ბიპოლარულ სისტემაში საერთაშორისო მონაწილეების (საერთაშორისო ორგანიზაციები და ა.შ.) ფუნქციების გაფართოებისა და გაძლიერების შედეგად. ამგვარ საერთაშორისო სისტემაში უნდა გაჩნდეს, როგორც ქვესისტემა, პოლიტიკური სისტემა, რომელიც იურიდიულად განსაზღვრავს სისტემის სახელმწიფოთა მოქმედების, სულ ცოტა, ზოგიერთ წესს

---

[34] M.A.Kaplan..., p.40

და მღვარს მაინც. ამგვარი სისტემა იქნება ძალზე ინტეგრირებული და საერთაშორისო სოლიდარობის მაღალი დონის მქონე. უნიეერსალურ სისტემაშიც შეიძლება იყოს სახელმწიფოთა დაჯგუფების ტენდენციები, მაგრამ ამგვარი მანევრირება მაინც გარკეეულწილად შეზღუდული იქნება სისტემის ფორმალური პოლიტიკური წესებით. ამიტომ ამგვარ სისტემაში შემაეალი სახელმწიფოების ფასეულობათა სისტემები ან ერთნაირი, ან გარკვეულწილად მსგაესი უნდა იყოს, რაც კაცობრიობის განვითარების საკმაოდ მაღალ დონეს გულისსმობს. უნივერსალური საერთაშორისო სისტემა შეიძლება გადაგვარდეს სსვა სახის სისტემად, თუ მასში შემაეალი ზოგიერთი სახელმწიფოს (განსაკუთრებით უძლიერესის ან უძლიერესების) შიგნით მოხდება იმგვარი ცვლილებები, რომელთა შედეგები სისტემაში მიღებულ ფასეულობებსა და წესებთან წინააღმდეგობაში აღმოჩნდება. ასეთ შემთხვევებში საერთაშორისო უნიეერსალური სისტემა გადაგვარდება ბიპოლარულ ან ძალთა წონასწორობის სისტემად. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ საერთაშორისო უნივერსალური სისტემის უძლიერესმა მონაწილემ ძალით გადააქციოს იგი იერარქიულ სისტემად.

<u>იერარქიული საერთაშორისო სისტემა</u> შეიძლება იყოს ორი ტიპისა: დირექტიული და არადირექტიული. ეს უკანასკნელი ფუნქციონირებს დემოკრატიის პირობებში მიღებული პოლიტიკური წესების მიხედეით, ხოლო დირექტიული სისტემა თავისი ხასიათით ავტორიტარულია. იერარქიული სისტემა შეიძლება განვითარდეს უნიეერსალური სისტემიდან და მაშინ იგი, ალბათ, არადირექტიული ხასიათისა იქნება. თუ იერარქიული სისტემა ძალით ექნება თავს მოხვეული ბიპოლარულ ან უნიეერსალურ სისტემას, ამ შემთხვეეაში უფრო მოსალოდნელია, რომ იგი დირექტიულ ხასიათს შეიძენს. იერარქიულ საერთაშორისო სისტემაში სუეერენული სახელმწიფოების, როგორც მონაწილეების, ფუნქციები შეზღუდული იქნება და ეს სახელმწიფოები დამოუკიდებელი პოლიტიკური სისტემების მაგიერ იარსებებენ, როგორც საერთაშორისო სისტემის ტერიტორიული ქვესისტემები. ამგვარი საერთაშორისო სისტემა სტაბილური იქნება ინტეგრაციის მაღალი დონის გამო. საყურადღებოა, რომ ამგვარი სისტემის ჩამოყალიბება შეიძლება მოხდეს ერთი ძლიერი სახელმწიფოს მსოფლიოზე გაბატონების შედეგად და ეს სახელმწიფო შეიძლება იყოს რასისტული, ფაშისტური, კომუნისტური და ა.შ.

<u>„ერთეული ეგოს“ საერთაშორისო სისტემა</u> ჰობსისეული „ყველას ომი ყველას წინააღმდეგ“ ეითარების სისტემური ასახვაა. ამგვარი სისტემის ჩამოყალიბება შესაძლებელია, თუმც კი ძალიან საეჭვოა. იგი შეიძლება ჩამოყალიბდეს მხოლოდ ერთ შემთხვევაში, თუ თითოეულ მონაწილე სუეერენულ სახელმწიფოს ექნება ისეთი სახის იარაღი, რომ შეეძლება ნებისმიერი აგრესორის მოსპობა, თუნდაც საკუთარი გაქრობის ფასად. ამგვარ სისტემაში საერთაშორისო ორგანიზაციების არსებობას აზრი ეკარგება. ეს სისტემა სტაბილური შეიძლება იყოს მხოლოდ იმ შემთხვეეაში, თუ ყველა მონაწილე მზად არის გაუძლოს მუქარას და აგრესიის შემთხვეეაში საპასუხო ზომები

მიიღოს. რომელიმე მონაწილის უუნარობა (გამოწვეული შიდა პრობლემებით), გაუძლოს ძალადობას ან შანტაჟს, ნიშნავს ამ მონაწილის გაქრობას და სისტემის ელემენტთა რიცხვის შემცირებას, ან ერთი ან მეტი ბლოკის დამატებას. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ერთმა მონაწილემ შეძლოს ყველა დანარჩენის დაშინება. მაშინ „ერთეული ვეტოს" სისტემა გადაიქცევა იერარქიულ სისტემად. „ერთეული ვეტოს" სისტემა მოითხოვს ისეთ ვითარებას, როცა ტექნიკურად შეუძლებელია მოულოდნელი გამანადგურებელი დარტყმის მიყენება. ამ სისტემაში დაძაბულობამ შეიძლება ისეთ დონეს მიაღწიოს, რომ სისტემა ქაოსმა მოიცვას.

მართალია, კაპლანის ექვსი მოდელი უფრო მარტივია რეალური სამყაროს საერთაშორისო სისტემასთან შედარებით, ისინი ტვეხმარება საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიის ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხის გარკვევაში. მხოლოდ ორი მათგანი – ძალთა წონასწორობის და „რბილი" ბიპოლარული სისტემა – არის ტესტირებული ემპირიული წესით და აღიარებული, როგორც სანდო. ზოგიერთი ავტორის აზრით, „ერთეული ვეტოს" სისტემა გარკვეულ შუქს ჰფენს თანამედროვე თერმობირთვული სამყაროს პრობლემებს, ხოლო უნივერსალური საერთაშორისო სისტემა წარსულისა და თანამედროვეობის ბევრი მკვლევარისა და პოლიტიკოსის გონებაში გლობალური სისტემის იდეალურ ტიპს განასახიერებს.[35]

როგორც დავინახეთ, კაპლანის ექვსივე ჰიპოთეტიკურ მოდელში არის საკუთარი „თამაშის წესები". ეს წესები არსებითი ხასიათისაა თითოეული ტიპის სისტემისათვის, რადგან ისინი წარმართავენ მონაწილეთა ქმედებებს სისტემის წონასწორობის შენარჩუნების მიმართულებით.*

ავტორებმა, რომლებიც სისტემის კონცეფციას საერთაშორისო ურთიერთობათა რთული სამყაროს ანალიზისათვის იყენებდნენ, თავიანთ გამოკვლევებში „სისტემის" მნიშვნელობათა და „სისტემურ" მიდგომათა მთელი სპექტრი წარმოადგინეს. სპექტრის ერთ კიდეში დგას მ.კაპლანი, რომელიც ცდილობს, საერთაშორისო პოლიტიკის პროგნოსტიკული პიპოტეზები (ე.წ. „დედუქციური სისტემები") სისტემურ დინამიკაზე დაყრდნობით შეიმუშაოს. მეორე კიდეში კი ის მრავალრიცხოვანი ავტორები აღმოჩდნენ, რომლებიც რეგიონების საერთაშორისო პოლიტიკას სისტემის, როგორც სტილისტური ხერხის გამოყენებით სწავლობენ. კაპლანსა და ამ უკანასკნელთა შორის დგანან ამერიკელები ე.ჰაასი და რ.როუზკრენსი, რომლებიც საერთაშორისო პოლიტიკის საკვლევ სისტემათა თეორიის რაღაცნაირ გამოყენებას შეეცადნენ.

ე.ჰაასმა სისტემათა თეორია ინსტრუმენტად გამოიყენა საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევაში დიდძალი ემპირიული მასალის „მოწესრიგე-

---

[35] J.E. Dougherty , R.L. Pfaltzgraff, Jr., Contending Theories of International Relations. Third Edition. Harper Collins Publishers, New York, 1990, p.158

* კაპლანის მოდელების კრიტიკული განხილვა იხ.: K.N.Waltz. Theory of International Politics. McGraw-Hill, New York, 1979, pp.50-59

ბისათვის". ჰაასის აზრით, სისტემათა თეორია შესაძლებლობას გვიქმნის, „მოვაწესრიგოთ მოელენები, აეხსნათ ურთიერთობები, გამოეარკვიოთ ტენდენციები და ამაზე დაყრდნობით განეჭერიტოთ მომავალი".[36]

რ. როუზკრენსი კი იყენებს სისტემურ ანალიზს, როგორც ინსტრუმენტს, საერთაშორისო პოლიტიკური მოელენების პროგნოზისათვის. როუზკრენსის გამარტივებული „რეტულირება-გაღიზიანება" (regulation-disturbance) მოდელი კიბერნეტიკიდან არის ნასესხები.* როუზკრენსის მიერ შემუშავებულ საერთაშორისო სისტემათა ტიპებს ჯ.ველტმანმა „ისტორიული სისტემები" უწოდა..[37] როგორც ვსედავთ, სამივე ხსენებული მკელევარი (მ.კაპლანი, ე.ჰაასი და რ.როუზკრენსი) სისტემათა თეორიას სხვადასხვაგვარად იყენებს. თუ როუზკრენსი სისტემას კიბერნეტიკიდან „სესხულობს", ხოლო ჰაასი – ფუნქციური სოციოლოგიიდან, კაპლანი სისტემათა ზოგად თეორიას ეყრდნობა. მოყვანილი მაგალითები კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რა სირთულეებთან არის დაკავშირებული საერთაშორისო ურთიერთობათა შესწავლამი ფორმალური მეთოდების გამოყენება.

---

[36] E. Haas. Beyond the Nation-State: Functionalism and International Organization. Stanford, Stanford University Press, 1964, p.52

* R. Rosecrance. Action and Reaction in World Politics. Boston, Little, Brown and Co., 1963

[37] J.J. Weltman. Systems Theory in International..., p.49

საერთაშორისო სისტემის ანარქიულობა

მანამ ეცოცხლობთ მტერი გეყავ.
ვაჟა

იმისი გეშინოდეს, ვისაც შენი ეშინიაო.
ქართული ანდაზა

საერთაშორისო პოლიტიკური სისტემა განსაკუთრებული ტიპის პოლიტიკური სისტემაა – მას არ გააჩნია ხელისუფლება, უზენაესი ორგანო, რომელიც მოწოდებულია იმისათვის რომ, მაგალითად, სახელმწიფოს მიგნით უმრუნველყოს წესრიგი, კანონიერება და „დამრღვევეთა" წინააღმდეგ ლეგიტიმური ძალადობა გამოიყენოს.

საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემას დღესდღეობით საერთაშორისო რეჟიმის ხასიათი უფრო აქვს, ვიდრე პოლიტიკური სისტემისა.[38] საერთაშორისო სისტემაში სუვერენული სახელმწიფოების ქმედებები არ იზღუდება მათზე მაღლა მდგომი რომელიმე უზენაესი ორგანოს მიერ.[39] მართალია, სუვერენული სახელმწიფოების ქმედებებს გარკვეულ ჩარჩოებში აქცევს საერთაშორისო სამართალი, საერთაშორისო ორგანიზაციები, საერთაშორისო „ქცევის" ნორმები და წესები, სუვერენული სახელმწიფო მაინც არ არის იგივე, რაც მოქალაქე სახელმწიფოში, რომელიც ვალდებულია დაემორჩილოს კონსტიტუციას, კანონებს და კანონის წინაშე პასუხი აგოს. მამასადამე, საერთაშორისო სისტემას არ გააჩნია სახელმწიფოსათვის აუცილებელი ორი ელემენტი: საზოგადოების სოციალური საფუძველი და მთავრობის პოლიტიკური სტრუქტურა.[40] საერთაშორისო სისტემას სწორედ ამიტომ უწოდებენ ანარქიულს. ანარქია ამ შემთხვევაში არ ნიშნავს ქაოსს, სრულ უწესრიგობას, მაგრამ სუვერენულ სახელმწიფოთაგან შემდგარი საერთაშორისო სისტემა გულისხმობს ძალზე დეცენტრალიზებულ სისტემას, რომელსაც არ აყავს ისეთი უზენაესი ხელისუფლება, როგორიც სახელმწიფოში მთავრობაა.

საერთაშორისო სისტემაში შემავალი სუვერენული სახელმწიფოები თავიანთ თავზე მაღლა მდგომ პოლიტიკურ ხელისუფლებას არ აღიარებენ და ამგვარი ხელისუფლება არც არსებობს. საკვლევით ლოგიკური იქნება დავასკვნათ: თუ სისტემის შემადგენელი ერთეულები სუვერენულია, მათი ურთიერთქმედება ანარქიული ხასიათისა უნდა იყოს. ამავე დროს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი „ანარქიული", უკიდურესად უარყოფითი

---

38 M.B.Nicholson, P.A.Reynolds. General Systems, the International Systems and Eastonian Analysis. "Political Studies", XV, 1967, pp.12-31

39 R.Art, R.Jervis. International Politics, 3rd Edition. Boston, Harper Collins, p.1

40 J.Frankel. International Relations in a Changing World. Fourth Edition. Oxford University Press, Oxford, 1990, pp.160-161

ელერადობის მიუხედავად, საერთაშორისო სისტემასთან მიმართებაში, უპირველეს ყოელისა, ნიშნავს მთავრობის, უზენაესი ხელისუფლების არარსებობას. სუვერენულ სახელმწიფოთა შორის ანარქიულ ურთიერთობათა პროცესი შეიძლება ქაოსშიც გადაიზარდოს, მაგრამ საერთაშორისო ურთიერთობების პრაქტიკა ტვიჩვენებს, რომ ასე არ ხდება. უფრო მეტიც, პიროვნებათა შორის ურთიერთობები უფრო ხშირად ემტეანება ქაოსს, მაგრამ სახელმწიფოთა ურთიერთქმედება, როგორც წესი, გარკვეულ წესრიგს ემორჩილება, თუმცა ხსენებული წესრიგი შეიძლება სხვადასხვა ხასიათისა და დონის იყოს.

საერთაშორისო ანარქია ნიშნავს სუვერენული სახელმწიფოების ურთიერთობათა ძირეულ სტრუქტურას, რომლის ჩარჩოებში შეიძლება იყოს მრავალნაირი სისტემური ეარიაციები. ანარქიული სისტემა შეიძლება შეიცავდეს ორ ან, თუნდაც 250 მონაწილეს, მასში ძალა, ძალაუფლება შეიძლება თანაბრად ან ძალზე არათანაბრად იყოს განაწილებული (ძლიერი და სუსტი სახელმწიფოები). ამიტომ საერთაშორისო სისტემა შეიძლება სტრუქტურულად ანარქიული იყოს, მაგრამ სხვადასხვა ხასიათი ჰქონდეს. ამა თუ იმ ისტორიულ ეპოქაში საერთაშორისო სისტემას განსხვავებული ხასიათი აქვს, მაგრამ იგი ანარქიულია, რადგანაც მისი შემადგენელი ერთეულები სუვერენული სახელმწიფოებია. როგორც ქენეთ უოლცი შენიშნავს, სწორედ სისტემის სტრუქტურა განსაზღვრავს ყველა მის დანარჩენ თავისებურებას.[41]

საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა განსაზღვრავს, თუ როგორი ხასიათის ურთიერთქმედება შეიძლება იყოს სისტემის შემადგენელ ნაწილებს შორის. შიდასახელმწიფოებრივი სტრუქტურა იერარქიულად არის აგებული. მისი შემადგენელი ერთეულები გარკვეულ პირამიდას ქმნიან – ზოგიერთი ერთეული მართავს, მბრძანებლობს, ზოგიერთი კი მხოლოდ ემორჩილება მას. საერთაშორისო სისტემა კი ამგვარად ცენტრალიზებული და იერარქიული არ არის. ამ სისტემის შემადგენელი ნაწილები ფორმალურად არ იყოფა „მბრძანებლებად" და „მორჩილებად" – ყველა თანასწორია და არ არსებობს უზენაესი ხელისუფლება. აქედან გამომდინარე, საერთაშორისო სისტემაში არ უნდა იყოს ორგანიზებულობა და წესრიგი. იმავე უოლცის სამართლიანი მითითებით, როგორ შეიძლება სისტემას სტრუქტურა ჰქონდეს (რაც მის გარკვეულ ორგანიზებულობას, სისტემურობას გულისხმობს) და ამავე დროს იგი იყოს ანარქიული.[42] მართლაც, როგორ შეიძლება სისტემაში სუფევდეს გარკვეული წესრიგი, თუ არ არსებობს წესრიგის დამამკვიდრებელი? მაგრამ ხომ ფუნქციონირებს ეკონომიკური ბაზარი, რომელშიც უამრავი კერძო ფირმა მოქმედებს კონკურენციის პირობებში. სწორედ ისევე, როგორც ეკონომიკური ბაზრის კონკურენციის პირობებში, საერთაშორისო სისტემის შემადგენელი ერთეულები – სუვერენული სახელმწიფოები

---

41 K.N.Waltz. Theory of International Politics. McGraw-Hill, New York, 1979, pp. 79-80.

42 K.N.Waltz. Theory ...., p.89

ურთიერთსაწინააღმდეგო მიზნებით, მაგრამ ამავე დროს გარკვეული თანამშრომლობის ჩარჩოებში მოქმედებენ. საერთაშორისო სისტემა თავად განუსაზღვრავს თავის შემადგენელ ელემენტებს – სუვერენულ სახელმწიფოებს მათი ქმედებებისათვის შესაძლებლობებსა და შეზღუდვებს.

საერთაშორისო სისტემას სამი თავისებურება ახასიათებს. <u>პირველი</u> ის, რომ იგი შედგება არაერთნაირი, „არაგოლფასოვანი" ერთეულებისაგან. <u>მეორე</u> თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ სისტემის შემადგენელი ელემენტები რეგულარულ ურთიერთქმედებაში (ომიდან მჭიდრო ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთდამოკიდებულებამდე) იმყოფებიან. თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში ხსენებული ურთიერთქმედება უაღრესად ინტენსიური და ორგანიზებული გახდა. შრომის საერთაშორისო დანაწილების გაღრმავებამ ამ პროცესში დიდი და დადებითი წვლილი შეიტანა. საერთაშორისო სისტემის <u>მესამე</u> თავისებურება მდგომარეობს ამ სისტემის „მართვის" ხასიათში. ბევრს მიაჩნია, რომ საერთაშორისო სისტემაში მისი ანარქიული ბუნების გამო. არავითარი „მმართველი" მექანიზმი არ არსებობს. საერთაშორისო სისტემის დახასიათებისას, სწორედ ეს მესამე თვისება არის ყველაზე მნიშვნელოვანი. ანარქიულ საერთაშორისო სისტემას და, მაშასადამე, სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებს ახასიათებს წესრიგის საკმაოდ მაღალი „დონე" და სისტემა „აკონტროლებს" სახელმწიფოთა ქმედებებს უზენაესი მმართველი ორგანოს არარსებობის პირობებში.

როდესაც ესაუბრობთ საერთაშორისო სისტემის მართვისა თუ მასზე დაწესებული კონტროლის შესახებ, მხედველობაში შეიძლება გქონდეს მსოლოდ „გარკვეული კონტროლი" ან კონტროლისა თუ მართვის მცდელობა.[43] ისევე, როგორც დღემდე ვერც ერთმა მთავრობამ, ყველაზე უფრო ტოტალიტარულმაც კი, ვერ შეძლო სახელმწიფოს შიგნით საზოგადოების მთლიანად გაკონტროლება, არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია სრული კონტროლი დაამყაროს საერთაშორისო სისტემაზე. სრული კონტროლი თუ დამყარდა ნებისმიერ საზოგადოებასა ან მთელ კაცობრიობაზე, ცვლილებები, პროგრესი ეეღარ მოხდება. ტექნოლოგიური, პოლიტიკური თუ ეკონომიკური ცვლილებები სწორედ იმიტომ ხდება, რომ ამგვარი კონტროლის დამყარება შეუძლებელია.

რ.გილპინის აზრით, საერთაშორისო სისტემის ფუნქციონირებას ყოველთვის სამი ფაქტორი განსაზღვრავდა: სისტემის სტრუქტურა (მასში ძალთა განაწილებით), სისტემის სახელმწიფოთა შორის პრესტიჟის იერარქია და სისტემაში მიღებული გარკვეული უფლებები და ქცევის წესები.[44]

საერთაშორისო სისტემაში ყოველთვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ძალის, ძალაუფლების დანაწილების ხასიათი სახელმწიფოთა ან მათ კოალიციებს შორის. ყოველ საერთაშორისო სისტემაში გაბატონებული,

---

[43] R.Gilpin. War and Change in World Politics. Cambridge University Press, Cambridge, 1989, p.28.

[44]. R. Gilpin...,p.28

უძლიერესი სახელმწიფოები განსაზღვრავენ სისტემის იერარქიულობასა და მის შემადგენელ ნაწილებს (სახელმწიფოებს) შორის ურთიერთობათა ხასიათს. საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა ყოველთვის ოლიგოპოლური ხასიათისაა და ყოველ მოცემულ პერიოდში წამყვანი მონაწილეები უფრო მეტად განსაზღვრავენ სისტემის ხასიათს, ვიდრე თავად სისტემა განსაზღვრავს მათ ქმედებებს. ამა თუ იმ წამყვანი სახელმწიფოს რეჟიმში მომხდარი ცელილებები, – შენიშნავს რ.არონი, – საკმარისია იმისათვის, რომ შეიცვალოს საერთაშორისო ურთიერთობათა ხასიათი.[45] სისტემაში გაბატონებული სახელმწიფოები საკუთარი ინტერესების უმრუნველსაყოფად ცდილობენ მასზე კონტროლი დაამყარონ.

<u>სისტემის სტრუქტურა.</u> რ.გილპინის აზრით, ისტორიის მანძილზე, საერთაშორისო სისტემებს ახასიათდებდა კონტროლის სამი ფორმა ანუ სტრუქტურის სამი ტიპი: იმპერიული (პეგემონური), ბიპოლარული და ძალთა წონასწორობის.[46] იმპერიულ (პეგემონურ) სისტემაში ერთი უძლიერესი სახელმწიფო ბატონობს ან აკონტროლებს სისტემის უფრო სუსტ ქვეყნებს. უკანასკნელ ხანებამდე ამ ტიპის სისტემა უფრო ხშირად გეხვდებოდა. მეორე, ბიპოლარული ტიპის სტრუქტურა, როდესაც ორი უძლიერესი სახელმწიფო აკონტროლებს მთელს სისტემას და ამყარებს თავისი გავლენის სფეროებს, როგორც წესი, ხანმოკლეა ხოლმე. მესამე ტიპის, ძალთა ბალანსის, სისტემაში, სამი ან მეტი სახელმწიფო აწონასწორებს და აკონტროლებს სისტემას დიპლომატიური საქმიანობის, კავშირების შექმნისა და ომის მეშვეობით. ამ ტიპის სისტემის კლასიკური მაგალითია ევროპის ძალთა წონასწორობის სისტემა ვესტფალიის ზავიდან (1648 წ.) მოყოლებული პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე (1914 წ.).[47]

<u>პრესტიჟის იერარქია.</u> პრესტიჟი ძალაუფლების, ძლიერების მაჩვენებელი და, გარკვეულწილად, მისი ფუნქციური ექვივალენტია. სახელმწიფოთა პრესტიჟი გამომდინარეობს მათი რეალური ან წარმოსახული ეკონომიკური და სამხედრო ძლიერებიდან. ძალა, ძლიერება სახელმწიფოს ეკონომიკურ, სამხედრო და სხვა სახის შესაძლებლობებს ასახავს, ხოლო პრესტიჟი წარმოსახვითი ხასიათისაა. ამიტომ სისტემაში ძალის დანაწილება და პრესტიჟის იერარქია შეიძლება სშირად არ იყოს იდენტური და ეს საერთაშორისო სისტემაში ცელილებათა მნიშვნელოვანი ფაქტორია.

საერთაშორისო ურთიერთობებში პრესტიჟს უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს, რადგან, თუ რომელიმე სახელმწიფოს ძლიერება აღიარებულია, მას შეუძლია საკუთარ მიზნებს მიაღწიოს ძალის გამოყენების გარეშეც. ეს გან-

---

[45] R.Aron. Peace and War: A Theory of International Relations. F.Praeger, New York, 1968, p.95

[46] R.Gilpin ..., p.29

[47] ამ ტიპის სისტემის დეტალური განხილვა იხ.:E.V.Gulick. Europe's Classical Balance of Power. A Case History of the Theory and Practice of One of the Great Concepts of European Statecraft. The Norton Library. W.W.Norton and Company, Inc. New York, 1955

საკუთრებით კარგად ჩანს ხოლმე დიპლომატიური მოლაპარაკებებისა და კონფლიქტების მოგვარების პროცესში, როცა „ვაჭრობისა" და „ტარიგების" შედეგები, პირველ ყოვლისა, მონაწილეთა თუ მედიატორთა პრესტიჟშია დამოკიდებული. საერთაშორისო სისტემის ყველაზე პრესტიჟიან სახელმწიფოებად მიიჩნევენ ისეთებს, რომლებმაც სულ ახლახან შედეგიანად გამოიყენეს სამხედრო ან ეკონომიკური ძლიერება და თავიანთ მიზნებს მიაღწიეს სხვებზე გამარჯვებით.

<u>სისტემაში დამკვიდრებული უფლებები და „ქცევის" წესები.</u> ადამიანებისა თუ სახელმწიფოების ურთიერთქმედებათა ნებისმიერი სისტემა გარკვეული უფლებებისა და ქცევის წესების მინიმუმს მაინც გულისხმობს. ნებისმიერი სოციალური სისტემა ქმნის და ამკვიდრებს ქცევის მარეგულირებელ წესებსა და ნორმებს და ასე ხდება საერთაშორისო სისტემებშიც. უფრო მეტიც, საერთაშორისო სისტემაში მოქმედი სახელმწიფოები ქცევის გარკვეული ნორმებისა და წესების დაცვას უფრო ახერხებენ, ვიდრე ადამიანები; ამას სახელმწიფოები ახერხებენ უმნიშვნელოვანესი ხელისუფლების გარეშეც, ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში.[48]

სახელმწიფოთა ურთიერთქმედების გარკვეულწილად მარეგულირებელი წესები სამ სფეროს მოიცავს. პირველი არის დიპლომატიური საქმიანობა და პოლიტიკური ურთიერთობები. მეორე სფერო ომის წარმოების წესებია; ამის საუკეთესო მაგალითია ჟენევის კონვენცია და ომთან დაკავშირებული სხვა საერთაშორისო იურიდიული ნორმები. მესამეში კი იგულისხმება ის წესები, რომლებიც ეკონომიკურ და სხვა სფეროებში მოქმედებენ. სწორედ ყველა ხსენებული წესი და ნორმა (უფლებების ჩათვლით) გვაძლევს იმის საფუძველს, რომ საერთაშორისო სისტემასთან ერთად ეისაუბროთ სახელმწიფოთა საზოგადოების შესახებაც, რომელშიც სისტემის წევრი სახელმწიფოები იზიარებენ საერთო ფასეულობებს, წესებსა და ნორმებს. ყველა ხსენებული უფლება, წესი და ნორმა შეიძლება იყოს არაფორმალური, დამკვიდრებული ტრადიცია; აგრეთვე იყოს ფორმალური და ჰქონდეს საერთაშორისო შეთანხმების სახე. ამაზე დროს უნდა ითქვას ისიც, რომ, გარკვეული წესებისა და ნორმების არსებობის მიუხედავად, საერთაშორისო სისტემაში დამკვიდრებული ქცევის წესები და ნორმები გამომდინარეობს სისტემაში გაბატონებული სახელმწიფოების ძლიერებიდან და მათი ინტერესებიდან.

---

[48] H.Bull. The Anarchical Society. Columbia University Press, New York, 1977, p.49

არის ზოგიერთი იმისთანა ბნეობრივი კანონი, რომელიც კაცთა ერთმანეთობით ცხოვრებას საძირკველად უდევს და რომელიც ყველასათვის ერთნაირად საჭალდებულოა, რა დასისა და რწმენითაც გინდ იყოს, და ერთი ამ კანონთაგანი ის არის, რომ, რაც შენ არ გინდა ზოგივიდეს, იმას ნურც სხვისთვის ზოინდრომებო.

ილია

საზოგადოებრივ ცხოვრებაში, საზოგადოებაში წესრიგი ნიშნავს სოციალური ცხოვრების იმგვარად აწყობას, რომ შესაძლებელი გახდეს გარკვეული ფასეულობებისა და მიზნების რეალიზება.

საერთაშორისო წესრიგი სახელმწიფოთა შორის წესრიგია, რომელიც საშუალებას ქმნის, მიღწეულ იქნას საერთაშორისო სისტემაში შემავალი სახელმწიფოების უპირველესი და ყველაზე ზოგადი მიზნები. პირველი მიზანი თავად საერთაშორისო სისტემის ან საზოგადოების შენარჩუნებაა. მეორე მიზანია მონაწილე სახელმწიფოების დამოუკიდებლობისა და სუვერენულობის შენარჩუნება. მესამე მიზანს მშვიდობა და უსაფრთხოება წარმოადგენს. მეოთხე მიზანი ძალადობის შეკავება, შეზღუდვა და ამავე დროს დადგენილი წესების თუ შეთანხმებების პატივისცემაა, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოები პატივს სცემენ ერთმანეთის იურისდიქციის სფეროებს.[49]

საერთაშორისო წესრიგი და მსოფლიო წესრიგი ერთმანეთისგან განსხვავდება. საერთაშორისო წესრიგი, როგორც აღინიშნა, სახელმწიფოთა შორის წესრიგია, ხოლო მსოფლიო წესრიგი მოიცავს აგრეთვე ქვეყნების შიგნით და მუნიციპალურ დონეზე წესრიგსაც. წესრიგი არა მხოლოდ საერთაშორისო პოლიტიკის ეითარების მახასიათებელია, არამედ ფასეულობაა. ასეთივე ფასეულობას წარმოადგენს სამართლიანობა. საერთაშორისო პოლიტიკაში ეს ორი ფასეულობა დაკავშირებულია ერთმანეთთან და ურთიერთგანმსაზღვრელიც არის. ამავე დროს წესრიგი და სამართლიანობა საერთაშორისო პოლიტიკაში, სამწუსაროდ, ხშირად ერთმანეთს უპირისპირდება. საერთაშორისო ურთიერთობებში სამართლიანობის მოთხოვნები პრივილეგიებისა და დისკრიმინაციის მოსპობის, ძლიერი და სუსტი სახელმწიფოების თანასწორობის მოთხოვნებია. როგორც ეხედავთ, ეს სახელმწიფოთაშორისი სამართლიანობის მოთხოვნებია.

საერთაშორისო სისტემაში უფლებები და მოვალეობები ყველაზე მეტად სუვერენულ სახელმწიფოებს გულისხმობს და ამასობაში ადამიანისუფლებე-

[49] H.Bull. The Anarchical Society..., pp.16-18

ბისა და მოვალეობების საკითხი ერთგვარად ჩრდილში აღმოჩნდა.[50]

საერთაშორისო სისტემაში წესრიგისა და სამართლიანობის პრობლემის მეტად აქტუალური შემადგენელი ელემენტია ერთა თვითგამორკვევის პრინციპის ცხოვრებაში დამკვიდრება. ალბათ, არც ერთ თანამედროვე საერთაშორისო პრობლემას ამდენი შიდა წინააღმდეგობა არ ახასიათებს და ამდენი თაესაგები არ მოაქვს თეორეტიკოსებისა და პრაქტიკოსებისათვის, როგორც ერთა თვითგამორკვევის პრინციპს და მის განუხრელ გავრცელებას საერთაშორისო პრაქტიკაში. საერთაშორისო სამართლის ნორმების თანასმად, ყოველი სასელმწიფო სუვერენულია თავის უფლებებში. ამავე დროს, იგივე სამართალი თვითგამორკვევის უფლებას ანიჭებს ერებსა და ხალხებს.[51] ამგვარად, ერთა თვითგამორკვევის პრინციპი პირდაპირ ეწინააღმდეგება სასელმწიფოთა სუვერენული მთლიანობის საერთაშორისო სამართლის ნორმას და უკვე საკმაოდ სშირად გვეელინება სუვერენულ სახელმწიფოთა ფრაგმენტაციისა და დაშლის მძლავრ ფაქტორად. საერთაშორისო სისტემაში სტაბილურობასა და გარკვეულ წესრიგს თუკი რაიმე უქმნის ხიფათს, ეს სწორედ ერთა თვითგამორკვევის პრინციპია.[52] დედამიწაზე ორი ათასზე მეტი სხვადასხვა ხალხი ცხოვრობს და თუ მათი გარკვეული რიცხვი ეთნიკურ საფუძველზე საკუთარი სახელმწიფოს შექმნას შეუდგება ხსენებული თვითგამორკვევის პრინციპის გამოყენებით, საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემები ამას ვერ გაუძლებს, მოხდება პოლიტიკური და ეკონომიკური კატასტროფა. ყოფილი იუგოსლავიის, საბჭოთა კავშირის და მოგიერთ სხვა ტერიტორიებზე მომხდარი და მიმდინარე პროცესები ამ გლობალური საშიშროების ბარს რეკავენ. ეს პრობლემა უალრესად რთული და მტკივნეულია და მისი გადაწყვეტის გზები ჯერჯერობით არ ჩანს.

საერთაშორისო სისტემაში წესრიგი შეიძლება დამყარდეს სამართლიანობის გარეშე, მაგრამ სამართლიანობა სისტემაში წესრიგის გარეშე შეუძლებელია. მხოლოდ გარკვეული წესრიგის პირობებში არის შესაძლებელი ბევრი ფასეულო-

---

50 საერთაშორისო ურთიერთობებში ადამიანის უფლებათა საკითხის მიმართ ინტერესმა საგრძნობლად იმატა. ამის შესახებ იხ.: R.J. Vincent. Human Rights and International Relations. Cambridge University Press, Cambridge, 1988.

51 ლ. ალექსიძე. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი 1994, გვ.გვ 43-49

52 H. Bull. The Anarchical Society..., pp.81-82; R.Stavenhagen. Self-Determination: Right or Demon? "Stanford Journal of International Affairs", Vol.2, Issue 2, Summer 1993, pp. 1-12; A.Etzioni. The Evils of Self-Determination. "Foreign Affairs", Winter 1993, pp. 21-35; M.H. Halperin, D.I.Scheffer, P.L Small. Self-Determination in the New World Order. Carnegie Endowment for International Peace, Washington, D.C., 1992; G.Hunt. A Precarious Balance: The Role of the International Community in Weighing Self-Determination Against Ethnic Conflict. "The Journal of Public and International Affairs", Vol. 5, Spring 1994, pp.17-35; E.Kedourie. A New International Disorder. In: "The Expansion of International Society". Edited by H.Bull and A. Watson. Clarendon Press, Oxford, 1989, pp.347-355.

ბისა და მიმნის, მათ შორის, სამართლიანობის რეალიზება. საყურადღებოა, რომ თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში წესრიგის უზრუნველყოფა ხორციელდება ძალთა წონასწორობის მექანიზმის, ომისა და საერთაშორისო სამართლის მეშვეობით. არც პირველი, არც მეორე და, რამდენად პარადოქსულადაც არ უნდა მოგეჩვენოს, ხშირად, საერთაშორისო სამართალიც არ უწყობს ხელს სამართლიანობას.[53] საერთაშორისო სისტემაში წესრიგის უზრუნველყოფა ხორციელდება აგრეთვე უძლიერესი სახელმწიფოების, პეგემონების მეშვეობითაც. ადვილი წარმოსადგენია, რომ მათ მიერ დამყარებული და შენარჩუნებული წესრიგი სამართლიანობას არ ემყარება და სწორედ სახელმწიფოთა შორის არსებული უსამართლობიდან გამომდინარეობს.[54]

რომელ ფასეულობას უნდა მიეანიჭოთ უპირატესობა, – სამართლიანობასა თუ წესრიგს? არსებობს შეხედულება, რომლის თანახმად უპირატესობა წესრიგს უნდა მიენიჭოს, რადგან საერთაშორისო ურთიერთობებში ყველაზე მეტი, რისი მიღწევაც შეიძლება, არის მინიმალური წესრიგი ანუ თანაარსებობა. საპირისპირო მოსაზრების თანახმად, ყველაზე წინ სამართლიანობა უნდა დაეყენოთ, რადგან მასზე უფრო ღირებული ფასეულობა არ არსებობს. მესამე შეხედულების მიხედვით კი საერთაშორისო პოლიტიკაში ამ ორ ფასეულობას შორის, მართალია, წინააღმდეგობა არსებობს, მაგრამ გარკვეულ ეითარებაში შესაძლებელი ხდება წესრიგისა და სამართლიანობის შესამება, ერთად მოქმედება.

რაც შეეხება სამართლიანობას, მის შესახებ არ არსებობს ერთიანი შეხედულება. სხვადასხვა ეპოქაში და სხვადასხვა კულტურაში სამართლიანობა ერთსა და იმავეს როდი ნიშნავს. უნდა ვაღიაროთ, რომ არც წესრიგი არის ერთნაირად გაგებული ყველას მიერ. საზოგადოებრივ ცხოვრებაში წესრიგის გარეშე შეუძლებელია სხვა უმნიშვნელოვანესი ფასეულობების განხორციელება. არც საერთაშორისო ცხოვრებაში შეიძლება რაიმე პოზიტიურის მიღწევა, თუ არ არსებობს ძალადობის შემთხვევაში მინიმალური უსაფრთხოება. ამგვარად, საერთაშორისო პოლიტიკაში წესრიგი არა მხოლოდ აუცილებელია, არამედ, შესაძლოა, იგი წინაც უსწრებდეს სხვა მიზნებს, მათ შორის სამართლიანობასაც. ამავე დროს, ეს არ ნიშნავს, რომ სხვადასხვა ფასეულობათა შორის წესრიგი ყველაზე მნიშვნელოვანია და ის სამართლიანობაზე მეტად ფასობს.

როდესაც ვამბობთ, რომ წესრიგი არსებობსო, ვგულისხმობთ, რომ მოცემულ ერთეულებს გარკვეული კონფიგურაცია, ორგანიზაცია ახასიათებთ. რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა, საჭიროა ეიცოდეთ ამ ერთეულების ბუნება და

---

53 წინააღმდეგობა საერთაშორისო სამართალსა და საერთაშორისო სამართლიანობას შორის გამომდინარეობს თუნდაც იმიდან, რომ სამართალი აღიარებს და აკანონებს უკვე მომხდარს, ძალადობითა თუ მუქარით მიღწეულს. საერთაშორისო სამართალი ახალ ეითარებას უმეტესწილად აღიარებს, როგორც ლეგიტიმურს, თუმცა ძალიან ხშირად ხსენებული ახალი ეითარება იქმნება უსამართლობის, ძალის გამოყენების შედეგად.

54 J.S.Nye, Jr.Superpower Ethics: An Introduction. "Ethics and International Affairs". Vol. I, 1987, pp.5-6

თვისებები, რადგან ყველაზე ხშირად სწორედ ისინი განსაზღვრავენ „წესრიგის“ ხასიათს. წესრიგი საერთაშორისო სისტემაში მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა და მის შესახებ ერთიანი შეხედულება ჯერჯერობით ვერ ჩამოყალიბდა. საერთაშორისო ურთიერთობებში გაირჩევა სუთი სახის წესრიგი: ქარტიისეული (ტაეროს ქარტიისა და საერთაშორისო სამართლის ნორმებიდან გამომდინარე) წესრიგი, რეალიზმის წესრიგი, საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგი, მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი და მსოფლიო წესრიგი.[55]

<u>ქარტიისეული წესრიგი.</u> – იგი სახელმწიფოთა სისტემის თანამედროვე დოქტრინიდან გამომდინარეობს. ეს დოქტრინა გამოხატულია გაეროს ქარტიაში, საერთაშორისო სამართლის მრავალ ნორმასა და თანამედროვე დიპლომატიის პრაქტიკაში. ამ სახის წესრიგის ამოსავალი წერტილია ის, რომ იგი ასახავს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობათა ხასიათს. სახელმწიფოთა შორის წესრიგი გულისხმობს უომრად ყოფნას ან სახელმწიფოთა შორის კონფლიქტების მოგვარებისთვის საჭირო გარკვეული ინსტიტუტებისა და პრაქტიკის არსებობას. ქარტიისეული წესრიგის თანახმად, საერთაშორისო საზოგადოებას საფუძვლად უდევს სახელმწიფოთა სუვერენულობა. მხოლოდ სუვერენული სახელმწიფო შეიძლება იყოს საერთაშორისო საზოგადოების წევრი, მხოლოდ მას შეუძლია სარგებლობდეს სუვერენულობის უფლებით თავის ტერიტორიაზე. ამავე დროს იგი, როგორც ყველა დანარჩენი სახელმწიფო, უნდა იზიარებდეს გარკვეული მოვალეობების შესრულების აუცილებლობასაც. ამ ძირეული პრინციპების გამოხატულებაა რიგი საერთაშორისო ინსტიტუტები და პროცედურები, პირველ ყოვლისა, გაერო. საერთაშორისო სამართლის უდიდესი ნაწილიც აგრეთვე ამ პრინციპების გამოხატულებაა. ამ პრინციპების არსებობა და ცხოვრებაში დამკვიდრება გარკვეული სახის წესრიგს ქმნის საერთაშორისო სისტემაში და ამ წესრიგის ქვაკუთხედს ომის თავიდან აცილების სურვილი წარმოადგენს.

<u>რეალიზმის კონცეფციიდან</u> გამომდინარე წესრიგი დაფუძნებულია სუვერენულ სახელმწიფოთა ურთიერთობათა ხასიათზე და, განსაკუთრებით, უსაფრთხოების აუცილებლობის პრიმატზე. „რეალისტურ წესრიგში“ წესრიგის წყაროს წარმოადგენს საერთაშორისო სისტემის იერარქიულობა. ამ სახის წესრიგში ყველაფერი დამოკიდებულია უძლიერესი ქვეყნების უნარზე, „უპატრონონ“ საერთაშორისო საზოგადოებას და დაამყაროონ წესრიგი. რეალისტური წესრიგი დამყარებულია ძალის იერარქიასა და ძალის მანიპულირებაზე – საერთაშორისო სისტემის უძლიერესი სახელმწიფოები ქმნიან სამხედრო წონასწორობას, კავშირებს, გავლენის სფეროებს, ზეწოლას ახდენენ იმ უფრო სუსტ სახელმწიფოებზე, რომლებიც „არღვევენ წესრიგს“ და ა.შ.

<u>საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგი</u> არსებითად წარმოადგენს ქარტიისეული წესრიგის ლიბერალურ ეკონომიკურ ვარიანტს, რეალიზმის ზოგიერთი

---

[55] I.Clark. The Hierarchy of States. Reform and Resistance in the International Order. Cambridge University Press, 1993, pp.36-37

ელემენტის ჩართვით. ეს წესრიგის პლურალისტური კონცეფციაა, რომელშიც მაინც დომინირებს წესრიგის იდეა, დაფუძნებული სახელმწიფოთა ეკონომიკური კეთილდღეობის წინასწორობაზე.[56] სახელმწიფოთა ეკონომიკური განვითარებისა და კეთილდღეობის დონეთა შორის სხვაობები პოტენციური კონფლიქტების წყაროა და, წესრიგის ამ კონცეფციის თანახმად, ყველა სახელმწიფოში კეთილდღეობა და მათი ეკონომიკური თანამშრომლობა საერთაშორისო სისტემაში წესრიგის გარანტი იქნება. მიმდინარე საუკუნის 70-იან წლებში აშკარად ახალი საერთაშორისო წესრიგის მოთხოვნები, რომლებიც სუსტად განვითარებული ქვეყნებიდან, ე.წ. „მესამე სამყაროდან" მომდინარეობდა. ახალი ეკონომიკური წესრიგის მიღწევა გულისხმობდა საერთაშორისო საფინანსო და საკაპრო რეჟიმების ისეთ შეცვლას, რომელიც გააუმჯობესებდა სუსტად განვითარებული ქვეყნების მდგომარეობას. ამ კონცეფციის ვარიანტი, განვითარებულ სახელმწიფოთა შორის არსებული საფინანსო და საკაპრო რეჟიმების კორექტირების თვალსაზრისით, იყო ე.წ. ტრილატერალიზმი 70-იანი წლების მიწურულში და ეკონომიკური სამიტები, რომლებიც 80-იან წლებში დაიწყო.[57]

<u>მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი</u> საერთაშორისო სისტემაში წესრიგის სტუქტურული კონცეფციაა და არა – პლურალისტური. ეს რადიკალური კონცეფციაა, რომელშიც საერთაშორისო სისტემის იერარქია წარმოდგენილია როგორც სტრუქტურა – „ცენტრი – პერიფერია". ეს ექსპლუატაციური იერარქიაა, რომელიც წარმოებისა და გაცვლის მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის ბუნებიდან გამომდინარეობს.[58] მსოფლიო კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემა კი, რადიკალ მკვლევართა აზრით, ყოველთვის ქმნის და შექმნის ეკონომიკურ უთანასწორობასა და კონფლიქტურ ვითარებას.

<u>მსოფლიო წესრიგის</u> კონცეფციის თანახმად კი მსოფლიო წესრიგი დაფუძნებულია არა სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებსა და საერთაშორისო ეკონომიკურ სტუქტურებზე, არამედ ინდივიდების ურთიერთობებზე და მათ მიზნებზე. ამგვარი წესრიგი კაცობრიობის ერთიანობის დასაყელური კონცეფციიდან გამომდინარეობს და გულისხმობს სახელმწიფოთა შიდა წესრიგისა და საერთაშორისო საზოგადოებაში წესრიგის გაიგივებას. ეს აგრეთვე გულისხმობს იმასაც, რომ ამ კონცეფციის თანახმად ხორციელდება მსოფლიოს ყველა ადამიანის ფასეულობებისა და მიზნების რეალიზაცია, ხოლო ამ გზით მიღწეული წესრიგის დონე განსაზღვრავს ხსენებული ფასეულობებისა და მიზნების განხორციელების დონესაც.

---

[56] L.Anell. Recession, the Western Economies and the Changing World Order. Frances Pinter, London,1981, pp.11-25

[57] S.Gill.American Hegemony and the Trilateral Commission. Cambridge University Press, Cambridge,1991,pp.20-32

[58] მსოფლიო ეკონომიკის რადიკალური კონცეფციების (დაქვემდებარება, ი. ვალერსტეინის „კაპიტალისტური მსოფლიო ეკონომიკა") შესახებ იხილეთ თავი „საერთაშორისო სისტემის სამი მოდელი".

III. რეალიზმი

კლასიკური ტრადიციის ჩამოყალიბება

ერთი იყინის, სხვა ტირის-
ესეთი არის ქვეყანა.
ეაეა

იდეალიზმისა და რეალიზმის შეჯახება ამ უკანასკნელის გამარჯვებით დასრულდა. მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან დღემდე საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში რეალისტური სკოლა ბატონობს და, სამწუხაროდ, საერთაშორისო სინამდვილე პოლიტიკური რეალიზმის გაბატონების განმსაზღვრელი ფაქტორია.

უკვე აღინიშნა, რომ პოლიტიკური რეალიზმის შემოჭრა საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში დაკავშირებულია ე.ქარის გახმაურებულ შრომასთან, რომელმაც სათავე დაუდო ახალ აზროვნებას საერთაშორისო ურთიერთობების მესწაელის სფეროში. არ უნდა გამოგერჩეს მხედველობიდან ის გარემოებაც, რომ მეორე მსოფლიო ომის წინ გერმანელი, იტალიელი და იაპონელი ავტორები, მათი ქვეყნების იმპერიალისტური, მილიტარისტული და ნაციონალისტური მისწრაფებების გამართლების მიზნით, ეულგარულ გეოპოლიტიკურ იდეებს ქადაგებდნენ, რომლებიც უფრო რეალიზმისკენ იყო გადახრილი, ვიდრე იდეალიზმისკენ [59]

მეორე მსოფლიო ომის წლებში, როცა ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით აშშ ანტიპიტლერული კოალიციის ყველაზე ძლიერ სახელმწიფოდ იქცა და მისმა საგარეოპოლიტიკურმა ინტერესებმა გლობალური განზომილება მიიღო, საერთაშორისო ურთიერთობათა საკითხების მიმართ ინტერესი ამ ქვეყანაში მკვეთრად გაიზარდა. ამერიკელი ნ.სპაიკმენის გახმაურებული წიგნი „ამერიკის სტრატეგია მსოფლიო პოლიტიკაში: შეერთებული შტატები და ძალთა წონასწორობა" შეეხო სწორედ აშშ-ის ახალ როლსა და ამოცანებს საერთაშორისო ასპარეზზე.[60] სპაიკმენმა სამართლიანად მიუთითა იმ ახალ ეითარებაზე, რომელიც აშშ-ის მსოფლიო პეგემონობას მოასწავებდა. ზოგის აზრით, სპაიკმენის წიგნი აშშ-ში გეოპოლიტიკური აზროვნების დამკვიდრებას ნიშნავდა, მაგრამ ყველაზე მეტად ეს წიგნი მსოფლიოში ძალთა ახალი განაწილების შეფასების ცდას წარმოადგენდა.

მწარე სინამდვილე, რომელიც შორს იყო იდეალისტთა მოდელისაგან, საერთაშორისო ურთიერთობათა დისციპლინისაგან მოითხოვდა საერთაშო-

---

[59] R.Strausz-Hupe. Geopolitics. G.P.Putnam's Sons, New York, 1942; ა.გეგეშიძე. გეოპოლიტიკა. ESM, თბილისი, 1992

[60] N.Spykman. America's Strategy in World Politics: The United States and the Balance of Power. New York, Harcourt, Brace and Company, 1942

რისო პოლიტიკისა და ეკონომიკის რეალური ვითარების ანალიზს, პრაქტიკოსი პოლიტიკოსები კი პრაქტიკულ რეკომენდაციებსა და პროგნოზს ელოდნენ.

საერთაშორისო ურთიერთობები, როგორც სამეცნიერო დისციპლინა, თავისი განვითარების ყოველ ეტაპზე არ შეიძლებოდა იმ დროის გაბატონებული ან პოპულარული იდეებისა და კონცეფციების გაელენის ქვეშ არ მოქცეულიყო. ასე მოხდა ამ დისციპლინის განვითარების საწყის ეტაპზე, როცა მისი დაწინაურება იკისრეს უმთავრესად იურისტებმა და საერთაშორისო სამართლის სპეციალისტებმა. ეს კი, პირველ ყოელისა იმიტომ მოხდა, რომ საერთაშორისო სისტემაში არ არსებობდა კანონის უზენაესობა, სამართლიანობა და მსოფლიო მთავრობა იმდროინდელ სამოგადოებრიობას ადვილად დასამყარებელი ეჩვენებოდა. 30-იანი წლების მიწურულიდან მოყოლებული, საერთაშორისო ურთიერთობები უფრო პოლიტიკური მეცნიერებების გაელენას განიცდის და დისციპლინა მზერას მიაპყრობს საგარეო პოლიტიკისა და საერთაშორისო ორგანიზაციის ურთიერთმიმართების პრობლემებისაკენ.[61]

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საერთაშორისო ურთიერთობები, როგორც აკადემიური სფერო, ყველაზე სწრაფად ვითარდება აშშ-ში.[62] ასობით უნიეერსიტეტსა და კოლეჯში იქმნებოდა საერთაშორისო ურთიერთობათა კათედრები და განყოფილებები, გარდა ამისა, იქმნება უსაფრთხოების, სტრატეგიული პრობლემების, საერთაშორისო პრობლემების კვლეევითი ცენტრები. აშშ-ში საერთაშორისო ურთიერთობათა დისციპლინის ომისშემდგომი ბუმი დაკავშირებული იყო ამ ქეეყნის მსოფლიო პეგემონად გადაქცეევასთან, მის ასალ და მეგად მნიშვნელოვან როლთან საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებში. აშშ-ის ახალი როლი ქეეყნის ეროვნული ინტერესების, ეროვნული უსაფრთხოების, საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების ახლებურად გააზრებასა და განსაზღვრას, საერთაშორისო სისტემის განვითარების ხასიათისა და მექანიზმების ღრმა ცოდნას მოითხოვდა.

40-იან წლებში გამოქეეყნდა რამდენიმე შრომა, რომლებმაც დიდი ხნით განსაზღვრეს საერთაშორისო ურთიერთობათა დისციპლინის თეორიული და პრაქტიკული ინტერესები და მთელი ამ დარგის შემდგომი განვითარების ხასიათი. მათ შორის გამოირჩეევა ამერიკელი ჰ. მორგენთაუს „ქეეყნების პოლიტიკა: ბრძოლა ძალაუფლებისა და მშვიდობისათვის", რომელიც პოლიტიკური რეალიზმის ერთგვარ მანიფესტადაც კი ითელება.[63]

ჰ. მორგენთაუმ თავის წიგნში პოლიტიკური რეალიზმის შემდეგი ექვსი პრინციპი ჩამოაყალიბა:

---

61 K.W.Thompson. Traditions and Values in Politics and Diplomacy. Louisiana State University Press, Baton Rouge and London, 1992. p. 43

62 ამ აკადემიური დისციპლინის სწორედ აშშ-ში გაფურჩქვნის გამოა, რომ საერთაშორისო ურთიერთობათა დისციპლინა „ამერიკულ გამოგონებად" მონათლეს.

63 H.J.Morgenthau. Politics Among Nations: The Struggle for Power and Peace. New York, Alfred A. Knopf, 1948

1. პოლიტიკა იმართება ობიექტური კანონებით, რომელთა ფესვები ადამიანის ბუნებაშია. ეს კანონები რჩება ისეთივე, როგორიც პირველად აღწერეს ძველი ჩინეთის, ინდოეთისა და საბერძნეთის ფილოსოფოსებმა. საერთაშორისო პოლიტიკის ხასიათი შესაძლოა დადგინდეს მხოლოდ პოლიტიკური ქმედებებისა და მათი უშუალო შედეგების შეფასების გზით. სახელმწიფო მოღვაწემ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება გარკვეულ საგარეო პრობლემასთან დაკავშირებით გარკვეულ პირობებში და ეს გადაწყვეტილება უნდა იყოს სპონტანური, გამომდინარე რეალური ვითარებიდან.
2. საერთაშორისო პოლიტიკაში გზის გაგნების მთავარი საშუალება ეროვნული ინტერესების კონცეფციაა. ეროვნული ინტერესები კი ძლიერების, ძალაუფლების მიღწევაში მდგომარეობს, ამიტომ პოლიტიკა აეტონომიურია სხვა სფეროებისაგან (ეკონომიკა, ეთიკა, რელიგია და სხვ.). სახელმწიფო მოღვაწე ფიქრობს და მოქმედებს ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე. პოლიტიკური რეალიზმი მიიჩნევს, რომ კარგი საგარეო პოლიტიკა არის რაციონალური საგარეო პოლიტიკა, რადგან იგი ამცირებს რისკს და ზრდის შედეგს.
3. ინტერესები გამოიხატება ძლიერებაში, ძალაუფლებაში და პოლიტიკური რეალიზმი მიიჩნევს, რომ სუვერენული სახელმწიფო და მისი ინტერესები ისტორიული პროცესის შედეგია. თუ სუვერენული სახელმწიფოების სამყარო აღარ იქნება, მაშინ ეროვნული ინტერესებიც აზრს დაკარგავს.
4. პოლიტიკურ ქმედებებს ზნეობრივი განზომილება და ზნეობრივი ზნიშვნელობა აქვთ. ზნეობრივ მოთხოვნილებებსა და შედეგიან პოლიტიკურ ქმედებას შორის ხშირად წინააღმდეგობა არსებობს. რეალიზმიდან გამომდინარე, უნივერსალური ზნეობრივი პრინციპები არ შეიძლება გამოყენებულ იქნას სახელმწიფოთა ქმედებებთან მიმართებაში მათი აბსტრაქტული უნივერსალური მნიშვნელობით და ისინი უნდა „ტაიფილტროს" დროისა და სივრცის კონკრეტულ პირობებში. შესაძლებელი შედეგებიდან ყველაზე მომგებიანის „არჩევა" პოლიტიკოსის უმაღლესი მიღწევაა.
5. არც ერთი ერისა და სახელმწიფოს ზნეობრივი მიზნები არ შეიძლება მივიჩნიოთ საყოველთაო ზნეობრივ კანონებად.
6. პოლიტიკის სფერო აეტონომიურია. პოლიტიკის სფეროში ქმედებების შეფასება უნდა მოხდეს არა საყოველთაო ზნეობრივი ნორმებისა თუ წესების თანახმად, არამედ პოლიტიკური შედეგიანობის მიხედვით. ეს არ ნიშნავს იმას, რომ პოლიტიკოსი უზნეო უნდა იყოს, მაგრამ მისთვის უმაღლესი ზნეობა მისი ქვეყნის ინტერესებია.[64]

ხსენებული პრინციპები არ ეღერს როგორც ახალი იდეები. მსგავსი რამ მორგენთაუზე ბევრად უფრო ადრე არაერთგზის გამოითქვა სხვადასხვა მოაზროვნისა თუ სახელმწიფო მოღვაწის მიერ.

---

[64] H.J.Morgenthau. Politics Among Nations ...., pp.4-14

პოლიტიკური რეალიზმის ფესვების ძებნას მიეყავართ ძველი საბერძნეთის ისტორიკოს თუკიდიდემდე (V ს. ჩვ. წელთაღრიცხვამდე). თავის საყოველთაოდ ცნობილ ნაშრომში „ისტორია", რომელიც პელოპონესის ომს მიუძღვნა, თუკიდიდე აღწერს ომს საბერძნეთის პოლისებს შორის და მათი ურთიერთობების, კავშირების, ომის მიზეზების შესახებ მსჯელობს ზუსტად ისევე, როგორც ამას თანამედროვე რეალისტები აკეთებენ. თუკიდიდე აღწერს ძველი საბერძნეთის ქალაქ-სახელმწიფოთა სისტემის იერარქიულობას, ორი პეგემონის – ათენისა და სპარტის კოალიციებს, მათ შორის არსებულ ძალთა წონასწორობის დარღვევას და ომის მიზეზად სწორედ ათენის განდიდებასა და ამის გამო სპარტის საწინააღმდეგო ქმედებას მიიჩნევს. საყურადღებოა, რომ თუკიდიდე დიდ ადგილს უთმობს უფრო პატარა პოლისების ლავირებას დიდ პოლისებთან ურთიერთობებში, მათ სურვილს, მეომრონ უფრო ძლიერს, რათა თავი გადაირჩინონ ან ძალთა წონასწორობა შექმნან და საომარი მოქმედება თავიდან აიცილონ. ერთი სიტყვით, თუკიდიდე ლამის თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკას აგვიწერს. მის ნაშრომში ნაჩვენებია, რომ სახელმწიფოები იღვწიან ძალაუფლებისაკენ, რომ ისინი თავიანთ ინტერესებს მნეობაზე მაღლა აყენებენ, რომ ადამიანში ჩადებულია ბატონობის, ძალაუფლების სურვილი.[65] შემთხვევით არ არის, რომ თუკიდიდეს პოლიტიკური რეალიზმის ერთ-ერთ წინამორბედად მიიჩნევენ.

ფლორენციელი ნიკოლო მაკიაველი (1469-1527 წწ.) აგრეთვე პოლიტიკური რეალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელია. მისი ცნობილი ნაწარმოები „მთავარი" ამის დადასტურებაა.[66] მაკიაველი ძლიერი სახელმწიფოს მომხრეა. თუ თუკიდიდესათვის ისტორია ტრაგიკული პროცესია, მაკიაველი ისტორიულ მოვლენებს პრაქტიკოსის თვალით უყურებს და საკუთარ პოლიტიკურ ფილოსოფიას რჩევა-დარიგების სამოსელში წარმოგვიდგენს. მაკიაველის აზრით, პოლიტიკაში მნეობრივი ნორმები ემორჩილება სახელმწიფოს ინტერესებს.[67] მისთვის პოლიტიკა და მნეობა სხვადასხვა სფეროებია, სახელმწიფოთა შორის კონფლიქტი კი ბარდუვალი, ჩვეულებრივი მოვლენაა საერთაშორისო პოლიტიკაში და ამიტომ უმცირესი ბოროტების არჩევა პოლიტიკოსის სიბრძნის ნიშანია.[68]

ინგლისელი თომას ჰობსის (1588-1679 წწ.) შეხედულებები აგრეთვე ამაგრებს პოლიტიკური რეალიზმის საძირკველს. ჰობსისათვის სამყაროში, რომელშიც არ არის უმენაესი ხელისუფლება, ბუნებრივი მდგომარეობაა „ყველას ომი ყველას წინააღმდეგ".[69] იქ, სადაც არ არსებობს უმენაესი ხელისუფლება, არ არსებობს კანონიც. ხოლო იქ, სადაც არ არის კანონი, არ

---

[65] M.J.Smith. Realist Thought From Weber to Kissinger. Louisiana State University Press, Baton Rouge, 1986, pp.9-10.

[66] ნიკოლო მაკიაველი. მთავარი. „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1984 (თარგმანი ბ.ბრეგვაძისა)

[67] იქვე, გვ. 181-185

[68] იქვე, გვ. 213

[69] Т. Гоббс, Сочинения. Т.2., "Мысль", Москва., 1991, с.95

შეიძლება არსებობდეს სამართლიანობა.[70] პობსის შეხედულებათა თანახმად, ადამიანებისა და ხალხების ბუნებრივი მდგომარეობა ომისთვის მზადება და ომია. მშვიდობაც კი ომის მოლოდინი და მისთვის მზადებაა.

რეალიზმის სამივე წინამორბედის შეხედულებებიდან ცხადად იკვეთება საერთაშორისო ურთიერთობათა ისეთი სურათი, რომელშიც ბაგონობს ძალა და სადაც სუსტი განწირულია. ამ შეხედულებებიდან გამომდინარეობს აგრეთვე ისიც, რომ საერთაშორისო ვითარება ყოველთვის ანარქიით ხასიათდება, რომ ყოველთვის არსებობს ომის საშიშროება, რომ ამგვარ პირობებში ზნეობრივი ნორმების გამოყენება მეტად სათუოა.

<u>თანამედროვე რეალიზმის ფესვები.</u> თანამედროვე რეალიზმის კონცეფციაზე დიდი გავლენა იქონია გერმანელი მაქს ვებერის (1864 – 1920წწ.) შეხედულებებმა. მიუხედავად იმისა, რომ ავტორთა უმრავლესობა საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიის განხილვისას აქამდე რაგომღაც გვერდს უვლიდა ვებერს, უნდა გვასსოვდეს, რომ მისი გავლენა მთელ საზოგადოებრივ მეცნიერებებზე უაღრესად დიდია. მ.სმითის აზრით, სწორედ ვებერმა ჩამოაყალიბა თანმიმდევრულად რეალიზმის ძირითადი საკითხები.[71] ვებერის წვლილი რეალიზმის კონცეფციაში, სულ ცოტა, შემდეგია: 1. სახელმწიფოსა და პოლიტიკის მისეული განსაზღვრა; 2. საერთაშორისო პოლიტიკა, როგორც ქვეყნებს შორის დაუსრულებელი ბრძოლა; 3. პოლიტიკაში პასუხისმგებლობის ეთიკა.[72] ვებერის აზრით, სახელმწიფოები ჩაბმულნი არიან გადარჩენისათვის დაუსრულებელ ბრძოლაში და ამდენად მშვიდობა მხოლოდ კონფლიქტის სხვა ფორმაა. საერთაშორისო გარემოსა და საერთაშორისო პოლიტიკის ვებერისეული ხედვა გამომდინარეობს პოლიტიკისა და სახელმწიფოს მისივე განმარტებებიდან, რომლებიც ძალაუფლებისათვის ბრძოლის პრიმატს ემყარება.[73]

ზემოთ უკვე განვიხილეთ ე.ქარისა და ჰ.მორგენთაუს წვლილი პოლიტიკური რეალიზმის თეორიაში. მათ გარდა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აგრეთვე ამერიკელმა პროტესტანტმა თეოლოგმა რაინჰოლდ ნიბურმა (1892-1971წწ.). გამოჩენილმა ამერიკელმა დიპლომატმა ჯორჯ ქენანმა ერთხელ შენიშნა:, „ნიბური ყველა ჩვენგანის მამაა". ნიბურის წვლილი პოლიტიკური რეალიზმის განვითარებაში, პირველ ყოვლისა, არის ადამიანის ბუნების ქრისტიანული კონცეფცია და ამ კონცეფციის გავლენის გავრცელება საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.[74] მიუხედავად იმისა, რომ ნიბური თეოლოგი იყო, იგი პოლიტიკურად მეტად აქტიური იყო და მისმა მრავალრიცხოვანმა ნაწერებმა ძალზე დიდი გავლენა იქონიეს პოლიტიკური რეალიზმის განვითარებასა და აშშ-ის საგარეო პოლიტიკის საფუძვლების ჩა-

---

[70] Т. Гоббс, Сочинения. Т.2., "Мысль", Москва., 1991, с.97

[71] M.J.Smith. Realist Thought from Weber to Kissinger...p.15

[72] М.Вебер. Избранные произведения. "Прогресс", Москва,1990, сс.644-706

[73] იქვე, ... сс.645-646

[74] ამ კონცეფციის არსია ბიბლიური შეხედულება ადამიანზე, რომელიც ცოდვილია და ამიტომ ბოროტების ჩამდენიცაა.

მოყალიბებაზე ციეი ომის ეპოქაში. ნიბურის აზრით, საერთაშორისო პოლიტიკაში უძლიერესი ქეეყნების პეგემონობა გარდუვალია, რაც იმპერიალიზმსაც შეიძლება ნიშნავედეს. ამიტომ ყეელა ქეეყანა უნდა ეწინააღმდეგებოდეს იმპერიალიზმის გაბატონებას. ამის საშუალება არის ძალთა წონასწორობის მექანიზმი, მაგრამ ქეეყნების შიგნითაც და ქეეყნებს შორისაც კონსტიტუციური სამართალი უნდა სუფეედეს.[75]

ნიბურის აზრით, მნეობრივი ქცევა ადამიანისათვის ძნელი, მაგრამ შესაძლებელია, მაგრამ ამგვარი რამ ურთულესი ამოცანაა, თუ შეუძლებელი არა, ადამიანთა ჯგუფებისათეის, განსაკუთრებით, დიდი ჯგუფებისათეის. პიროენება, როცა იგი მოქმედებს როგორც ჯგუფის წევრი, კარგაეს პიროენულობას და ხდება ანონიმური მასის ნაწილი.[76] ადამიანის ბატონობისაკენ სწრაფეა ეროენულ დონეზე თაეის დასრულებულ სახეს იღებს და ამ დონეზე ძალადობა გარდუვალია. ნიბურმა მკაცრად გააკრიტიკა იმდროინდელი ამერიკული წარმოდგენები საგარეო პოლიტიკაზე და ხაზი გაუსვა ერთ გარემოებას: ხანგრძლივი იზოლაციის შედეგად აშშ სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობებში ვერ გრძნობდა იმას, რომ საერთაშორისო პოლიტიკის საფუძველს მაინც ძალა წარმოადგენს. აშშ ჩაერთო მსოფლიო ბატონობისთეის ბრძოლაში და იდეალისტური წარმოდგენები მსოფლიო წესრიგზე დაეიწყებას უნდა მიეცეს.[77] ნიბურის აზრით, პოლიტიკური თეორია პოლიტიკური პრაქტიკიდან, სინამდვილიდან გამომდინარეობს.[78]

პოლიტიკური რეალიზმის კიდევ ერთი ცნობილი „მშენებელი" ამერიკელი დიპლომატი ჯორჯ ქენანია (დაბ. 1904 წელს). საერთაშორისო ურთიერთობათა ამ მძლაერ კონცეფციაში მისი მთაეარი წელილი აქტიური დიპლომატიის გამოყენების აუცილებლობის იდეაა. ქენანის აზრით, დახეეწილ დიპლომატიას დიდი შესაძლებლობები აქვს და, გულუბრყეილო მორალიზმთან და წმინდა სამხედრო მიდგომასთან შედარებით, პოლიტიკურ მოქნილობას უპირატესობები მოეპოვება. ქენანი მნიშენელოვან როლს ანიჭებს დიპლომატიურ მანეერირებას, თუმცა მას არ აეიწყდება, რომ ისტორიული სინამდვილე და ეროენული ინტერესები დიპლომატიის შესაძლებლობებს გარკვეულ ჩარჩოებს უქმნიან. ჩეენთვის მეტად საყურადღებოა ქენანის შეხედულება პატარა სახელმწიფოებზე თანამედროვე საერთაშორისო სისტემის პირობებში. ქენანი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო სისტემა იერარქიული უნდა იყოს, რომელშიც წესრიგს ძლიერი ქეეყნები დაამყარებენ; ის ლიბერალურ-ამერიკული წარმოდგენა კი, რომლის თანახმადაც დიდი სახ-

---

[75] H.K.Davis, R.C.Goad (Eds.). Reinhold Niebuhr on Politics: His Political Philosophy and Its Application to Our Age as Expressed in His Writings. New York, Scribner's, 1960, p.65

[76] R.Niebuhr. Moral Man and Immoral Society. New York, Scribner's, 1947, pp.XI-XII

[77] R.Niebuhr. The Irony of American History. New York, Scribner's, 1952, p.2

[78] R.Niebuhr. The Illusion of World Government. "Bulletin of the Atomic Scientists", V, October 1949, p.290

ელმწიფოები ბუნებით ცუდები არიან, ხოლო პატარა ქვეყნები – უმანკონი და კეთილნი, ბავშვური სიზმარია. ამგვარი წარმოდგენის შედეგია, ქენანის აზრით, „სუსტი და უუნარო ქვეყნების მთელი გროვა, რომელთა სუვერენული სტატუსი სრული უაზრობაა".[79] ვიეტნამში დაწყებულ ომთან დაკავშირებით, კონგრესის ერთ-ერთ კომიტეტში მოწყობილ სხდომაზე გამოსვლისას ქენანი შეეხო ანარქიას საერთაშორისო სისტემაში და ძლიერი ქვეყნების და, პირველ ყოვლისა, აშშ-ის როლი დაახასიათა როგორც მსოფლიო მშვიდობის, სტაბილურობის ფაქტორი და შენიშნა, რომ „არსებობს ძალიან ბევრი ახალი პატარა სახელმწიფო გამოუცდელი მთავრობით, ქვეყნები ეროვნული სახელმწიფოებრიობის სუსტი ტრადიციებით. მერწმუნეთ, ისინი ერთმანეთთან ბრძოლას დაიწყებენ და ჩვენი, როგორც ძლიერი ქვეყნის, როლი უნდა იყოს ამ კონფლიქტების იზოლირება, შერბილება, რადგან ისინი დიდ ზიანს მიაყენებენ მსოფლიო მშვიდობას."[80]

საერთაშორისო ურთიერთობებში დიპლომატიის მნიშვნელოვან როლს აღნიშნავს აგრეთვე ცნობილი მეცნიერი და სახელმწიფო მოღვაწე ჰენრი კისინჯერი (დაბ. 1923წ.), რომელიც თანამედროვე რეალიზმის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენლად არის მიჩნეული. ჩვენთვის საყურადღებოა კისინჯერის კონცეფციის ის ელემენტი, რომელიც საშინაო და საგარეო პოლიტიკის ურთიერთდამოკიდებულებას ეხება. კისინჯერისათვის ქვეყნის შიდა პოლიტიკური სტრუქტურა საერთაშორისო ურთიერთობათა საკვანძო საკითხია. საერთაშორისო სისტემა სტაბილური ხდება მაშინ, როცა მასში შემავალი სახელმწიფოების შიდა პოლიტიკური სტრუქტურა საგარეო პოლიტიკის მსგავს მიზნებსა და საშუალებებს ითვალისწინებს. სტაბილური პოლიტიკური სტრუქტურების მქონე სასელმწიფოები არ წარმართავენ რეოლუციურ და აეანტიურისტულ საგარეო პოლიტიკას.[81] მსგავსი შიდა პოლიტიკური სტრუქტურები საერთაშორისო პოლიტიკაში კონსენსუსისა და კანონიერების საწინდარია.

ფრანგი რაიმონ არონი (1904-1983წწ.) აგრეთვე შეგვიძლია მივიჩნიოთ საერთაშორისო ურთიერთობათა ერთ-ერთ იმ თეორეტიკოსად, რომლის შეხედულებანი ამაგრებენ პოლიტიკური რეალიზმის კონცეფციას. არონიც ფიქრობს, რომ პეგემონური საერთაშორისო სისტემები უფრო სტაბილური და „მშვიდია".[82] არონის აზრით, არსებობს მშვიდობის სამი ტიპი: წონასწორობა, პეგემონობა და იმპერია. ყოველ ისტორიულ პერიოდში საერთაშორისო ურთიერთობათა პროცესის მონაწილე სახელმწიფოთა ძალები სამიდან ერთ-ერთ მდგომარეობაში იმყოფება. ესენია: 1. წონასწორობა; 2.

---

79 G.F.Kennan. The Cloud of Danger: Current Realities of American Foreign Policy. Boston, Atlantic-Little, Brown, 1977, p.29-31

80 J.W.Fulbright (Ed.) The Vietnam Hearings, New York, 1966, pp.150-151

81 H.A.Kissinger. American Foreign Policy: Three Essays. W.W. Norton and Company, New York, 1969, pp.11-16.

82 R.Aron. Peace and War: A Theory of International Relations. F.A.Praeger, New York,1968, p.100

ერთ-ერთი მონაწილის დომინირება; 3. ერთ-ერთი მონაწილის სრული უპირატესობა. მართალია, უფრო პატარა სახელმწიფოებს არ ძალუძთ სტატუს-კვოს შეცვლა, ჰეგემონი სახელმწიფო ურიგდება მათს არსებობას და არ შთანთქავს მათ, რასაც ვერ იტყვი იმპერიაზე.[83]

ამერიკელი არნოლდ ვოლფერსი (1892-1968) საერთაშორისო ურთიერთობათა არსს სუვერენულ სახელმწიფოთა ურთიერთქმედებაში ხედავს. ქვეეროვნული, ტრანსეროვნული და სხვა მონაწილეებიც, მისი აზრით, აგრეთვე მონაწილეობენ საერთაშორისო ურთიერთობათა პროცესში, მაგრამ ძირითადი და განმსაზღვრელი მონაწილეები მაინც სუვერენული სახელმწიფოები არიან.[84] თუმცა ვოლფერსი უფრო „მოქნილი" რეალისტია; იგი სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკურ მიზნებს წყვილ-წყვილად აჯგუფებს: 1. „ფლობის" მიზნები, ე.ი. ეროვნული დამოუკიდებლობა, ფიზიკური გადარჩენა და ტერიტორიული მთლიანობა; 2. „ტარემოს" მიზნები ანუ ისინი, რომლებმაც ეროვნულ სამღვრებს გარეთ საერთაშორისო გარემოზე მემოქმედება უნდა მოახდინონ. ვოლფერსს მიაჩნია, რომ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა უნდა წარიმართოს ეროვნულ (სახელმწიფო) ინტერესებიდან გამომდინარე, ხოლო ეროვნული ინტერესები მოიცავს, პირველ ყოვლისა, ტერიტორიულ მთლიანობას, დამოუკიდებლობას და გადარჩენას. ამავე დროს, „გადარჩენას" სხვადასხვა მნიშვნელობა ენიჭება სხვადასხვა პირობებში მყოფი სახელმწიფოების მიერ.[85] ეროვნული ინტერესების განსაზღვრა კი ხდება ფასეულობათა იერარქიიდან გამომდინარე, მაგრამ ყველაზე ხშირად ყველაფერი ეროვნული უსაფრთხოებით იწყება.[86]

მეტად საყურადღებოა ვოლფერსის შეხედულებები სუსტი ქვეყნების ადგილსა და როლზე საერთაშორისო სისტემაში. მიუხედავად იმისა, -აღნიშნავს ვოლფერსი,- რომ ძლიერება მძლავრი, დიდი ქვეყნებისათვის არის დამახასიათებელი, არსებობს „პარადოქსული ფენომენი, რომელსაც ეუწოდებთ „სუსტის ძლიერებას" და რომელიც ასე კარგად გამოიხატა მთელი რიგი სუსტი სახელმწიფოების შედეგიან პოლიტიკაში სუპერ-ძალების სამყაროში, განსაკუთრებით კუბისა და ალბანეთის მაგალითზე, რომლებმაც, თუნდაც გამონაკლის შემთხვევაში, შეძლეს მათზე ბევრად ძლიერი მეზობლების დაწოლის გაძლება. „სუსტის ძლიერების" მთავარი მიზეზი თვით ძლიერი ქვეყნების ურთიერთობებში ძევს."[87] ვოლფერსს მიაჩნია, რომ პატარა, სუსტ ქვეყნებს შეუძლიათ შედეგიანი პოლიტიკა გაატარონ არა მხოლოდ სხვისაგან ძალის „სესხებით", არამედ საკუთარი შესაძლებლობების მართებული გამოყენებით, სუსტი ქვეყნების სოლიდარობაზე დაყრდნობით.[88]

---

[83] R.Aron. Peace and War...., pp.151-152

[84] A.Wolfers. Discord and Collaboration: Essays on International Politics. Baltimore, The Johns Hopkins University Press, 1988, pp.19-24.

[85] იქვე, ..., p.73

[86] A.Wolfers. Discord and Collaboration ...., pp.147-165

[87] იქვე, ..., p.111

[88] იქვე, ..., p.112

კარვი ხარ ყველასათვისა,
მანამ რამა გაქვს ძალია,
და როცა ძალა წაგერთმის,
გამოგეთხრება თვალია.
ვაჟა

პოლიტიკური რეალიზმი საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში 40-იანი წლებიდან გაბატონდა. უფრო მეტიც, ის, რასაც ამ დისციპლინის კლასიკურ ტრადიციას უწოდებენ, რეალიზმის თეორიიდან გამომდინარეობს.

რეალიზმის თეორია შემდეგნაირად განსაზღვრავს საერთაშორისო ურთიერთობებს: 1. საერთაშორისო სისტემის წამყვანი მონაწილეები ერი-სახელმწიფოები ანუ სუვერენული სახელმწიფოებია; 2. საშინაო პოლიტიკა და საგარეო პოლიტიკა განსხვავდება; 3. საერთაშორისო პოლიტიკა ანარქიულ გარემოში ძალაუფლებისათვის ბრძოლას წარმოადგენს; 4. მიუხედავად იმისა, რომ ყველა სუვერენული სახელმწიფო თანასწორუფლებიანია, ძლიერი და სუსტი სახელმწიფოების შესაძლებლობები და როლი საერთაშორისო ურთიერთობებში მაინც მნიშვნელოვნად განსხვავდება.

რეალიზმის კონცეფციის თანახმად, საერთაშორისო ურთიერთობები არსებითად კონფლიქტურია. სოციალური სინამდვილის არსი არის ჯგუფი, განსაკუთრებით, კონფლიქტური ჯგუფი (ტომი, ქალაქი-სახელმწიფო, სამეფო, იმპერია, ერი-სახელმწიფო) და არა ცალკეული პიროვნება, ხოლო მთელი პოლიტიკური ცხოვრების წამყვანი მოტივაცია ძალაუფლება და უსაფრთხოებაა.[89]

რ. ქიოპეინმა თანამედროვე, კლასიკური რეალიზმის არსი შემდეგი პრინციპებით გამოხატა:

1. სუვერენული სახელმწიფოები მსოფლიო პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი მონაწილეები არიან;
2. სახელმწიფოები არიან რაციონალური, უნიტარული მონაწილეები, რომლებიც მოქმედებენ სტრესის, განუსაზღვრელობისა და სრულყოფილი ინფორმაციის ნაკლებობის პირობებში;
3. სახელმწიფოები იბრძვიან ძალაუფლებისათვის და თავიანთ ინტერესებს ძალის, ძლიერების კატეგორიებით განსაზღვრავენ.[90]

რეალიზმის კონცეფცია, როგორც დავინახეთ, მიმართულია პოლიტიკური იდეალიზმის ანუ უტოპიზმის წინააღმდეგ და იგი უარყოფს საერთაშო-

---

[89] R. G. Gilpin. The Richness of the Tradition of Political Realism. In: "Neorealism and Its Critics", R. O. Keohane (Ed.). New York, Columbia University Press, 1986, pp. 304-305.

[90] R. O. Keohane. Theory of World Politics: Structural Realism and Beyond. In: "Neorealism and Its Critics". R. O. Keohane (Ed.), New York, Columbia University Press, 1986, pp. 164-165.

რისო სისტემის ძირეული მახასიათებლების შეცელისა და გაუმჯობესების შესაძლებლობებს. რეალიზმის თანახმად, საერთაშორისო სისტემის განმსაზღვრელი ბევრი ფაქტორი ვერასოდეს შეიცელება. სუვერენულ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში და მათ ინტერესებში პარმონიის მიღწევა შეუძლებელია, ხოლო სუვერენული სახელმწიფოების ეროვნული მიზნები და ინტერესები ხშირად კონფლიქტური ხასიათისაა და ომების გამომწვეველიც. ამიტომ, ამგვარ პირობებში წინა პლანზე გამოდის სახელმწიფოთა ძალის, ძლიერების საკითხი.

როგორც მორგენთაუ შენიშნავს, საშინაო და საერთაშორისო პოლიტიკა ერთი და იმავე ფენომენისთვის, ძალაუფლებისათვის, ბრძოლის ორი განსხვავებული გამოხატულებაა.[91] ისინი ერთმანეთისაგან იმით განსხვავდებიან, რომ პოლიტიკის აღნიშნულ ორ სფეროში განსხვავებული ზნეობრივი, პოლიტიკური და სოციალური პირობებია გაბატონებული. მაგრამ ყველა შემთხვევაში პოლიტიკის არსი მდგომარეობს ძალაუფლების შენარჩუნებაში, გაზრდაში ან დემონსტრირებაში.[92] სახელმწიფო, რომელიც ძალაუფლების შენარჩუნებას ცდილობს და საერთაშორისო სისტემაში ძალის, ძლიერების გადანაწილებას ეწინააღმდეგება, სტატუს-კვოს შენარჩუნების პოლიტიკას მიმართავს. სახელმწიფო, რომელიც ძალის, ძლიერების გადანაწილების გზით, ცდილობს საერთაშორისო სისტემაში საკუთარი ძალაუფლების გაზრდას , იმპერიალისტურ პოლიტიკას აწარმოებს, ხოლო სახელმწიფო, რომელიც ცდილობს საკუთარი ძლიერების დემონსტრირებას, პრესტიჟის პოლიტიკას მიმართავს .[93]

სახელმწიფოს ძლიერება ზოგჯერ წარმოუდგენიათ როგორც მისი შესაძლებლობების ჯამი, მაგრამ ძლიერების კომპონენტები სხვადასხვა ხასიათისაა, ზოგი რაოდენობრივი, ზოგიც თვისებრივი, და მათ შეფასებას მნიშვნელოვნად განაპირობებს აღქმითი და ფსიქოლოგიური მომენტები. ძალის, ძლიერების გაზომვა, შეფასება ერთობ რთული საქმეა და მსოფლიო ისტორიაში უამრავი ისეთი შეთხვევაა ცნობილი, როცა არც საკუთარი და არც მეტოქის ძალა ყოფილა ჯეროვნად შეფასებული და ამის გამო ბევრი ომიც წაგებულა.

საერთაშორისო ურთიერთობებში და ყოველდღიურ ცხოვრებაში ტერმინები „ძალა", „ძლიერება", „დიდი ძალა", „სუპერძალა", „ძალთა ბალანსი" იმდენად მოარულია, რომ ხშირად არც ეუფიქრდებით მათ ზუსტ მნიშვნელობას, მათ რაოდენობრივ-თვისებრივ პარამეტრებს. როცა აშშ-ის შეიარაღებული ძალები თავს ესხმიან გრენადას, როცა საბჭოთა ჯარები შედიან ჩესოსლოვაკიაში, ხოლო ბოლშევიკური რუსეთი იქრება დემოკრატიულ საქართველოში, ან როცა მოკავშირეები, აშშ-ის მეთაურობით, მიწასთან ასწორებენ ერაყს – ყველამ ეიცით, რომ ძალა იქნა გამოყენებული. ყველამ

---

[91] H. Morgenthau, Politics Among Nations..., p. 36.
[92] იქვე, , 36.
[93] იქვე,..., p. 37.

ვიცით, რომ სიტყვები – „უფრო ძლიერი“ და „უძლიერესი“, პირველ ყოვლისა, გულისხმობს სამხედრო ძლიერებას. არავინ ალიქვამს ბელგიასა თუ პარაგვაის როგორც „ძლიერებს“, რადგან მათი სამხედრო ძლიერება „ჩვეულებრივი“ და „ბირთვული“ სტანდარტებით მცირეა. ძლიერის იარლიყს აკუთვნებენ, ჩვეულებრივ, იმ სახელმწიფოს, რომელმაც შედეგიანად ომმა, დაამარცხა სერიოზული მეტოქე. სანამ ეს არ მომხდარა, რანაირად შეგვიძლია დავადგინოთ, ვინ არის ძლიერი ან უძლური? სამხედრო გამარჯვება ადასტურებს ძლიერებას, ძლიერის რეპუტაციას. XIX საუკუნის მეორე ნახევარში პრუსიის მიერ ზედიზედ მოპოვებულმა ორმა სწრაფმა გამარჯვებამ (ჯერ, 1866 წელს, სერიოზულ და „პატივსაცემ“ იმპერიაზე – აესტრო-უნგრეთზე, და 1870 წელს, კონტინენტის უძლიერეს ქვეყანაზე საფრანგეთზე), არავისში აღძრა იმის ეჭვი, რომ გაერთიანებული გერმანია ძლიერია. როცა აშშ-მა 1898 წელს კუბაში „წაარტყა“ ესპანეთს, ხოლო 1903–1904 წწ. ომში იაპონიამ რუსეთს აჯობა, „სერიოზული“ საერთაშორისო პოლიტიკის ამ ორ ახალბედას „ძლიერთა“ სტატუსი მიენიჭა. პირველ მსოფლიო ომში (1914–1918 წწ.) საფრანგეთის სისხლისაგან დაცლამ და ბეწვზე გადარჩენამ, ხოლო 1940 წელს გერმანიასთან სამარცხვინო დამარცხებამ საფრანგეთის რეპუტაციას ძირი გამოუთხარა.

ძლიერის რეპუტაციას ეჭვქვეშ აყენებს არა მხოლოდ ომში დამარცხება, არამედ სუსტი მოწინააღმდეგის ფონზე „უხეიროდ“ გამოჩენა. ასე მოხდა 1939–1940 წლების სსრკ-ფინეთის ომში, რომელიც, მართალია, სსრკ-მა მოიგო, მაგრამ მისი, როგორც „ძლიერი ქვეყნის“, პრესტიჟი, მნიშვნელოვნად შეირყა. ინგლისმა 1956 წელს, სუეცის კრიზისის შედეგად, დაკარგა ძლიერის სახელი და ამიტომ 1981 წელს არგენტინასთან ფოლკლენდის კუნძულებისათვის ომში შეეცადა საკუთარი შელახული რეპუტაციის აღდგენას. აშშ-ს იგივე მოუვიდა ვიეტნამის ომში. ამერიკელებს გაუჩნდათ ე.წ. „ვიეტნამის სინდრომი“, რომელიც ვერ ამოძირკვა გრენადისა და პანამის წინააღმდეგ ჩატარებულმა შედეგიანმა სამხედრო ოპერაციებმა, მაგრამ ერაყის დამარცხების შედეგად ვიეტნამის სინდრომი მნიშვნელოვანწილად დაძლეულ იქნა. ამგვარი მაგალითი ბევრია.

ქვეყნის ძლიერება მხოლოდ ბრძოლის ველზე რიდი მოწმდება. 60-იანი წლებიდან კოსმოსში მოპოვებული მიღწევები ძლიერთა მიერ თავიანთი „ძლიერების“ დადასტურების ასპარეზი გახდა. სუპერძალებს შორის თერმობირთვული ომი პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა და კოსმოსში კონკურენციამ ნამდვილი ომის როლი შეასრულა. აშშ-სა და სსრკ-ს შორის მეტოქეობაში რეპუტაციის სიმბოლოდ არა მხოლოდ ცხოვრების წესი და დონე, არამედ კოსმოსური ტექნოლოგიაც იქცა.

ძლიერის რეპუტაცია შეიძლება შეირყეს (ან, პირიქით, განმტკიცდეს) ქვეყნის საშინაო პოლიტიკური მოვლენების შედეგადაც. როცა 1937 წელს სტალინმა მუსრი გაავლო თავისი ქვეყნის ოფიცერთა კორპუსს, სსრკ-ის ძლიერება მისი პოტენციური მეტოქეებისათვის საეჭვო გახდა. საფრანგეთმა ამის შედეგად პოლონეთი სსრკ-ზე ძლიერად მიიჩნია. უფრო მეტიც, გერმანი-

ასთან ომში ჩაბმულმა საფრანგეთმა და ინგლისმა გადაწყვიტეს სსრკ-ის აგრესიის მსხვერპლად ქცეული ფინეთისათვის აღმოეჩინათ დასმარება.

ქვეყნის ძლიერების, ძალის შეფასება გარკვეულწილად აღქმითი შეფასებაა.. ძლიერის რეპუტაცია ქვეყანას ძლიერებას ანიჭებს. ამიგომაც მეტოქე, ისევე როგორც საკუთარი ძლიერება, შესაძლოა სათანადოდ ვერ შეაფასო ან გადამეტებულად შეაფასო. პოლიტიკოსები გადაწყვეტილებებს იღებენ საკუთარ და სხვათა (დაზვერვა, სამხედროები და ა.შ.) აღქმაზე დაყრდნობით. ამას ზოგჯერ შეცდომები მოპყვება და იქმნება პრობლემები. ამ მხრივ უთუოდ საყურადღებოა გერმანიის კანცლერის ოტო ფონ ბისმარკის დამაფიქრებელი შენიშვნა რუსეთის ძლიერების თაობაზე: „რუსეთი ყოველთვის იმაზე უფრო ძლიერი ან უფრო სუსტი გვეჩვენება, ვიდრე იგი არის სინამდვილეში".

იმის გამო, რომ მეხსიერებაში შემორჩენილი იყო პირველ მსოფლიო ომში გერმანელების მიერ გამოჩენილი ბრძოლისუნარიანობა და სოლიდურობა, ამჯერად კი პიტლერი ბლეფს ოსტატურად იყენებდა, 30-იან წლებში საფრანგეთსა და ინგლისს ბევრჯერ მოუხდათ გერმანიის სამხედრო შესაძლებლობების გადაფასება. მეტოქის შეუფასებლობის მაგალითებად შეიძლება გამოდგეს ეიეტნამის ომში აშშ-ის ჩართვა და სსრკ-ის აღდანეთში შეჭრა. ვერც ჰიტლერმა და ვერც იაპონიის ხელმძღვანელობამ თავის დროზე ჯეროვნად ვერ შეაფასეს აშშ-ის სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალი (აშშ-ის პოტენციალი იაპონიისას კი თითქმის ათჯერ აღემატებოდა).[94]

ამიგომ, როგორც ჯ. სპენიერი, შენიშნავს სანამ კონფლიქტი ომში გადაიზრდება, ძალა, ძლიერება – გონებაში, ფიქრებშია დამკვიდრებული და მხოლოდ ბრძოლის ველზე გამოჩნდება, რამდენად სწორად იყო იგი შეფასებული.[95] რეალური ძლიერება და აღქმული ძლიერება ყოველთვის სხვაობენ, ზოგჯერ – მნიშვნელოვნადაც. 1939 წელს ჰიტლერის გენერლებს ეშინოდათ საფრანგეთის ძლიერებისა, თეითონ ჰიტლერს კი – არა. გენერლების შეფასება უფრო რაოდენობრივი და სამხედრო ესქსპერტიზა იყო, ჰიტლერის შეფასება კი, – თვისებრივი და პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური. მართალი იგი აღმოჩნდა.

---

[94] Sir G. Sansom. Japan's Fatal Blunder. In: "The Use of Force", R. J. Art, K. N. Waltz (Eds.). 3rd Edition, University Press of America, Lanham, 1988, p. 183.

[95] J. Spanier. Games Nations Play: Analizing International Politics. New York, Praeger Publishers, 1973, p. 105.

ჩვენ ერს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია ისტორიულის ცხოვრებით. ბევრი ბაგარი და ბევრიც უვარგისი ქვა ჩაუდეია იმ საძირკველში, რომელშედაც დღეს ჩვენი აწმყოა დამყარებული მერმისის ამოსაგებად.

ილია

სახელმწიფოს ძლიერება რამდენიმე კომპონენტისაგან შედგება*. პირველ ყოვლისა, ტრადიციულად ქვეყნის <u>გეოგრაფიულ მახასიათებლებს</u> (მდებარეობა, სიდიდე, საზღვრების ხასიათი, რელიეფის თავისებურებანი და ა.შ.) ასახელებენ. იმავე მორგენთაუს მიაჩნია, რომ „ყველაზე სტაბილური ფაქტორი, რომელსაც ქვეყნის ძლიერება ემყარება, მისი გეოგრაფიული თავისებურებებია".[96] თუმცა ამ მოსაზრებას ბევრი არ იზიარებს. ჯ. ჰერცი, მაგალითად, ფიქრობს, რომ თანამედროვე სამხედრო ტექნიკის პირობებში გეოგრაფიულ ფაქტორს გადამწყვეტი მნიშვნელობა აღარა აქვს.[97] უნდა ვიფიქროთ, რომ ბირთვული იარაღის გამოყენება არ მოხდება და სამხედრო შენაერთებს მაინც მოუწევთ ომის პირობებში როგორც ვრცელი ტერიტორიის, ასევე რთული რელიეფის, ბუნებრივი საზღვრების, სიცხისა და ყინვის, დიდი მდინარეების დაძლევა. გარდა ამისა, ზოგიერთი ქვეყნის ოკეანეში ან პოტენციური აგრესორისაგან მოშორებით მდებარეობა გეოგრაფიულ ფაქტორს მნიშვნელობას არ უკარგავს.

სახელმწიფოს ძლიერების მეორე მნიშვნელოვანი კომპონენტი მისი <u>ბუნებრივი რესურსებია,</u> თუმცა გადამწყვეტ მნიშვნელობას არც ამ კომპონენტს ანიჭებენ. ბუნებრივი რესურსების ოდენობასა და ხასიათს ქვეყნის ძლიერებისათვის ადრე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, დღეისათვის კი უფრო დიდი მნიშვნელობა რესურსების გამოყენების უნარს, ტექნოლოგიის დონეს ენიჭება.. რასაკვირველია, საკმარისი და მრავალფეროვანი სარესურსო ბაზა ნებისმიერი ქვეყნის სამხედრო-ეკონომიკურ ძლიერებას მხოლოდ ხელს შეუწყობს. როგორც საფრანგეთის პრეზიდენტმა კლემანსომ პირველი მსოფლიო ომის დროს შენიშნა: „ნავთობის ერთი წვეთი ჩვენი ჯარისკაცების წვეთი სისხლის ტოლფასია".

დღეისათვის ქვეყნის ძლიერების ძალზე მნიშვნელოვან კომპონენტად მიიჩნევენ მის <u>სამრეწველო პოტენციალს.</u>[98] ბუნებრივია, რომ განვითარებული, ეოწინავე ტექნოლოგიით აღჭურვილი მრეწველობის მქონე სახელმ-

---

* ამ საკითხის შესახებ ყველაზე ერუდად იხილეთ: К.Кнорр. Военный потенциал государств. изд. ИЛ, М., 1956; Т.К. Финлеттер. Сила и политика. Издат. ИЛ., М., 1956 г.

96 H. Morgenthau, ..., p. 106.

97 J. H. Herz. International Politics in the Atomic Age. New York, Columbia University Press, 1959, p. 108.

98 H. Morgenthau, ..., p. 112-114.

წიფო ძლიერი იქნება. მოგიერთი ავტორის აზრით, ქვეყნის ძლიერების უმნიშვნელოვანესი „სამრეწველო" კომპონენტი თანამედროვე შეიარაღების საჭირო მასშტაბით წარმოების უნარია.[99] თუმცა ამავე დროს არის ისეთი შემთხვევები, როცა ქვეყანა თვითონ არ აწარმოებს იარაღს (ფურ და იაპონია 50-იან და 60-იან წლებში), მაგრამ მაინც დიდ გაელენას ახდენს საერთაშორისო პოლიტიკაზე.

სახელმწიფოს ძლიერების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი მისი მოსახლეობაა. ეს იმას ნიდი ნიშნავს, რომ მრავალრიცხოვანი მოსახლეობა ძლიერების გარანტიაა, მაგრამ ძალზე მრავალრიცხოვან ქვეყანას ძლიერების დიდი პოტენციალი აქვს როგორც შრომითი რესურსების, ასევე დიდი შეიარაღებული ძალების გამოყენების თვალსაზრისით. ნაპოლეონის თქმით, „ღმერთი ყოველთვის დიდი ბატალიონების მხარეშეა". დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის მოსახლეობის საერთო კულტურულ დონეს, განათლების და კვალიფიკაციის დონეს და ა.შ. მორგენთაუ და ზოგიერთი სხვა ავტორი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ეროვნულ ხასიათს და სულისკვეთებას, როგორც სახელმწიფოს ძლიერების მნიშვნელოვან კომპონენტებს.[100] დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მოსახლეობის სამხედრო ტრადიციებს, სამხედრო სამსახურის მიმართ განწყობას, სამხედრო-პატრიოტულ სულისკვეთებას.

ძლიერების კიდევ ერთი კომპონენტია ქვეყნის მთავრობა. მას უნდა შესწევდეს უნარი ისე წარმართოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რომ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად სახელმწიფო იყოს ძლიერი, მოსახლეობა – შეკავშირებული და მობილიზებული გარეშე საფრთხის შემთხვევაშიც. გარდა ამისა, ძლიერი მთავრობა ნიშნავს ოსტატურ და შედეგიან დიპლომატიასაც, რომელიც ნებისმიერი ქვეყნის ძლიერების მნიშვნელოვან კომპონენტად მიიჩნევა.[101] დღესაც დაობენ იმის თაობაზე, თუ მმართველობის რომელი ფორმა, დემოკრატია თუ დიქტატურა, უწყობს უფრო ხელს სახელმწიფოს ძლიერებას, ამ მხრივ ეფექტური დემოკრატია უნდა, თუ დიქტატურა. ამას ემატება ძლიერი, ზოგჯერ ქარიზმატული ლიდერის საკითხიც. ბევრის აზრით, დემოკრატიას მეტი შეუძლია, რადგან დემოკრატიულ სახელმწიფოში მოსახლეობა ნებაყოფლობით და შეგნებულად უჭერს მხარს საკუთარ მთავრობას, დიქტატურის პირობებში კი ყველაფერი ძალდატანებით ხდება. მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიული სახელმწიფო საყოველთაოდ არის აღიარებული, როგორც მმართველობის საუკეთესო და უნივერსალური ფორმა, ისტორიამ ბევრი ისეთი მაგალითი მოგვცა, როცა ომიდან გამარჯვებულნი სწორედ ავტორიტარული და დიქტატორული რეჟიმები გამოსულან.

---

[99] Ch. P. Kindleberger. Power and Money: The Economics of International Relations and The Politics of International Economics. New York, Basic Books, 1970, p. 58.

[100] H. Morgenthau, ..., pp. 122-132; J. G. Stoessinger. The Might of Nations: World Politics of Our Time. 4th Edition. Random House, New York, 1973, pp. 21-24.

[101] H. Morgenthau, ..., p.135-139.

ძლიერება არის ძალა, მისი ეფექტურად და მოქნილად გამოყენების, ახალ ვითარებასთან სწრაფი შეგუების უნარი. ძლიერების კომპონენტების გამოყენების დროს მოქნილობა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც საკუთრივ ფიზიკური თუ სამხედრო ძალა.

ძლიერება პოლიტიკური ფენომენია. ძალა, ძლიერება მის მფლობელ ქვეყანას მესაძლებლობას უქმნის, დაიცვას საკუთარი ეროვნული ინტერესები ანარქიული საერთაშორისო პოლიტიკური სისტემის პირობებში. როგორც უკვე აღინიშნა, ქვეყნის ძლიერების ყველაზე ნაცადი ინდიკატორი მისი სამხედრო ძლიერებაა. სახელმწიფოები დღესაც განაგრძობენ ურთიერთობებს, პირველ ყოვლისა, სამხედრო ძლიერების გათვალისწინებით და მშვიდობას მასზე დაყრდნობით ეძიებენ. თანამედროვე მსოფლიოს სამი მნიშვნელოვანი მოელენა – სამხედრო ხარჯების ზრდა, სამხედრო პოტენციალის განუხრელი ზრდა და გამალებული საერთაშორისო ვაჭრობა იარაღით – ამის დამადასტურებელია. საკმარისია გაეცნოთ თანამედროვე სახელმწიფოების პირდაპირ და არაპირდაპირ სამხედრო ხარჯებს, რათა დაერწმუნდეთ, რომ სამხედრო ძლიერებას მნიშვნელობა არ დაუკარგავს. საყურადღებოა, რომ ადრე ყველაზე შეიარაღებულნი მდიდარი ქვეყნები იყვნენ. ამჟამად კი ეს სენი ღარიბ ქვეყნებსაც გადაედო. ღარიბ ქვეყნებს სამხედრო ხარჯების კიდევ უფრო გაზრდის საშუალებას მხოლოდ მძიმე ეკონომიკური ვითარება არ აძლევს. ბევრი მთავრობა უცხოელთა შესაძლო შემოტევისაგან საკუთარი მოქალაქეების დასაცავად, მეტს ხარჯავს, ვიდრე ამ მოქალაქეების სოციალურ დაცვაზე, მათ განათლებასა და ჯანმრთელობაზე.

თუ წარსული მომავლის გზამკვლევია, მაშინ, როგორც ჩანს, სამხედრო ძლიერება საერთაშორისო ურთიერთობების უმნიშვნელოვანეს ფაქტორად კიდევ დიდხანს დარჩება. ამგვარ შესედულებას დღეს ყველა როდი ეთანხმება. ერთნი მიიჩნევენ, რომ ბირთვული იარაღის არსებობა გამორიცხავს ომს მსოფლიოს უძლიერეს ქვეყნებს შორის, მაგრამ ამგვარი ომი სწორედ იმიტომ არ მომხდარა, რომ უმარმაზარი სამხედრო ძლიერება არეგულირებს ამ ქვეყნებს შორის ურთიერთობებს. მეორენი მიიჩნევენ, რომ კაცობრიობის მწვავე გლობალურმა პრობლემებმა (გარემოს დაბინძურებამ, ენერგიისა და ნედლეულის ნაკლებობამ და ა.შ.) ომისა და სამხედრო ძლიერების მნიშვნელობა ძალზე შეამცირა. ეს ძლიერი არგუმენტია – გლობალურმა პრობლემებმა მართლაც შეაკავშირა კაცობრიობა და აიძულა იგი, დაეწყო საერთაშორისო თანამშრომლობა ზემოხსენებული პრობლემების გადასაჭრელად. მაგრამ ეს თანამშრომლობა ჯერ მხოლოდ დაიწყო და ის სამომავლო იმედი უფრია, ვიდრე არსებული საერთაშორისო ვითარების გადამწყვეტი, განმსაზღვრელი ფაქტორი. სხვადასხვა სახელმწიფოებს საკუთარი, ძალზე განსხვავებული პრობლემები აქვთ მოსაგვარებელი და ჯერჯერობით დედამიწაზე არ არსებობს ისეთი ორგანიზაცია თუ ორგანო, რომელიც მათ აიძულებდა შეთანხმებულიყვნენ. მსოფლიო მთავრობაც რომ შეიქმნას, მასაც შეიარაღებული ძალები, ე.ი. სამხედრო ძალა დასჭირდება, პოლიციური ფუნ-

ქციების შესასრულებლად.[102]

ექსპერტთა გარკვეული ჯგუფის აზრით, მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ინტეგრაციული პროცესი იმდენად დინამიურია და ქვეყნები ეკონომიკურად უკვე იმდენად ურთიერთდაკავშირებულნი და ურთიერთდამოკიდებულნი არიან, რომ სამხედრო ძლიერებას აზრი ეკარგება.[103] მაგრამ სწორედ ინტეგრირების მაღალი დონის მქონე დასავლეთის ქვეყნების მაგალითზე კარგად ჩანს, რომ ეს არგუმენტი სუსტია. განა სწორედ აშშ-ის სამხედრო ძლიერების წყალობით არ შეიქმნა პირობები დასავლეთ ევროპისა და იაპონიის სწრაფი ეკონომიკური აღმავლობისათვის, დასავლეთ ევროპის ინტეგრაციისათვის? აშშ-ის სამხედრო ძლიერების გარეშე ეს ვერ მოხერხდებოდა და, რა თქმა უნდა, ამის გამო აშშ-საც განეითარების უკეთესი პირობები შეექმნა. სწორედ უზარმაზარ სამხედრო ძლიერებაზე დაყრდნობით შეძლო აშშ-მა, გაეტარებინა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ისეთი საფინანსო, საევაჭრო და სხვა პოლიტიკა, რომელიც მას ხელს აძლევდა. თუნდაც სსრკ-ის მაგალითზეც ჩანს კარგად, რომ სამხედრო ძლიერებას ჯერ მნიშვნელობა არ დაუკარგავს.

ევროპიდან საერთაშორისო სისტემა ანარქიულია, ძალა და პოლიტიკა ურთიერთდაკავშირებულია. სამხედრო ძალა თავისთავად გადარჩენის და კეთილდღეობის გარანტია ვერ იქნება, მაგრამ იგი ორიენტაციის არსებითი კომპონენტია.

სამხედრო ძალის გარეშე დიპლომატიასაც აზრი ეკარგება. ძალა ნებისმიერი სახელმწიფოს ბოლო „კარტია" პოლიტიკურ თამაშში. ძალის ჩვენება ან თუნდაც მისი არსებობა თავის როლს ყოველთვის ასრულებს. დიპლომატები მიდიან გარიგებაზე, კომპრომისზე, რადგან იციან, რა მოხდება ძალის გამოყენების შედეგად. ძალა დიპლომატების პასუხისმგებლობის, „დისციპლინის" საწინდარია. დიპლომატია ევაჭრობაა, მოლაპარაკებაა – მისი მიზანი ისეთი შედეგის მიღწევაა, რომელიც იდეალური შეიძლება არც იყოს მონაწილე მხარეებისათვის, მაგრამ სჯობდეს ზოგიერთ ალტერნატიულს, რომლებიც სამხედრო ძალის გამოყენებას გულისხმობს. რანაირადაც არ უნდა წარიმართოს მოლაპარაკება და რანაირად ცუდ ურთიერთობებშიც არ უნდა იმყოფებოდნენ მხარეები, მოლაპარაკებებში ყოველთვის შეინიშნება საერთო ინტერესი და ორმხრივი ზიანის თავიდან აცილების მცდელობა.

როცა საკმარისი ძალა გაქვს, – შენიშნავს თომას შელინგი, – მაშინ დიპლომატია – „ევაჭრობაც" აღარ გინდა. დიდი სამხედრო ძლიერების მქონე სახელმწიფოს ძალით შეუძლია მოიპოვოს ის, რაც სჭირდება და დაიცვას ის, რაც აბადია. ქვეყანას ყველაფერი ძალუძს, თუ მას აქვს საკმარისი

---

102 R. J. Art. The Four Functions of Force. In: "International Politics: Enduring Concepts and Contemporary Issues", 3rd Edition, R. J. Art and R. Jervis (Eds.). Harper Collins Publishers, 1992, pp. 140-142.

103 R. O. Keohane. J. S. Nye. Power and Interdependence. 2rd Edition, Scott, Foresman and Company, Glenview, 1989, pp.11-19.

ძლიერება, „საკმარისი“ კი იმით განისაზღვრება, თუ როგორ სამხედრო ძლიერებას ფლობს მოწინააღმდეგე.[104] სამხედრო ძალის გამოყენება ომს, ძალადობას ნიშნავს. ომი კი სულიერი და მატერიალური ფასეულობების მოსპობას, ადამიანთა ტკივილს, შიშსა და ტანჯვასაც ნიშნავს. სამხედრო ძლიერების ეს მხარე, – ტკივილის შიში, – იწვევს შესაძლო „მსხვერპლის“ მოტივაციას, სურვილს, თავი დააღწიოს ამ ტკივილს. ძალადობის შიშით პიროვნებებს და სახელმწიფოებს შეუძლიათ დათმონ, სხვაგვარად მოიქცნენ, თავის არჩევანზე თუ გადაწყვეტილებაზე უარი თქვან, მაგრამ ყოველივე ეს სხვისგან მომდინარე ძალადობაა. ძალადობის, ტკივილის მიყენების შესაძლებლობა – მოლაპარაკებათა მიღმა მდგომი სამხედრო ძალა, „ეაჭრობის“ ნაწილია. მისი გამოყენება დიპლომატიაა, – შენიშნავს შელინგი, – უზნეო, მაგრამ მაინც დიპლომატიაა.[105]

სახელმწიფო ძლიერების კიდევ ერთი და სულ უფრო მზარდი მნიშვნელობის მქონე კომპონენტი <u>ეკონომიკური ძლიერებაა.</u> თანამედროვე სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების დონე და ხასიათი, მისი ეკონომიკის დივერსიფიცირებულობა, მსოფლიო ეკონომიკური კონიუნქტურის ცვლილებებზე სწრაფად რეაგირება, საკუთარი საწარმოო სიმძლავრეების განახლების და მოწინავე ტექნოლოგიის და ტექნიკის დროული დანერგვის უნარი განსაზღვრავს საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებში მის ადგილს. თანამედროვე სამხედრო ძლიერება პრაქტიკულად მთლიანად ეფუძნება ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს. განვითარებულ, მდიდარ სახელმწიფოს ძალუძს არა მხოლოდ აწარმოოს და იყიდოს ძვირადღირებული შეიარაღება და სხვადასხვა სამხედრო მასალები და ტექნიკა, არამედ გაწვრთნას და შეინახოს მრავალრიცხოვანი შეიარაღებული ძალები. რაც უფრო აღჭურვილი, გაწვრთნილი და მობილურია ქვეყნის შეიარაღებული ძალები, მით უფრო ძლიერია ქვეყანა, მაგრამ ეფექტურ სამხედრო პოტენციალს უზარმაზარი ხარჯები სჭირდება. დიდი სამხედრო ხარჯები დამამძიმებელია თვით ყველაზე განვითარებული სახელმწიფოებისათვისაც კი; დიდი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი ხელს არ უწყობს ქვეყანაში ეკონომიკურ დინამიზმს და დროთა განმავლობაში ეკონომიკისა და საზოგადოებისათვის მძიმე ტვირთად გადაიქცევა. გამალებული შეიარაღება და ეკონომიკის მილიტარიზაცია ამუხრუჭებს ეკონომიკის განვითარებას, ხოლო თავდასხმისა თუ თავდაცვის ახალ-ახალი საშუალებების ძებნა სულ უფრო მეტ ხარჯებსა და ძალისხმევას მოითხოვს. ამგვარად, სამხედრო ძლიერება დღეისათვის უშუალოდ არის დამოკიდებული ეკონომიკურ ძლიერებაზე, მაგრამ სამხედრო ძლიერება ხელს როდი უწყობს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის სრულ ამოქმედებას, მის დინამიზმსა და ცვალებადი ეკონომიკური ვითარებისადმი შეგუების უნარს.

---

[104] T. C. Schelling. Arms and Influence, New York, Yale University Press, 1966, p. 1.

[105] T. C. Schelling, ..., p. 2.

ბუნებრივია, რომ პატარა ქვეყნებს არ გააჩნიათ საკმარისი ეკონომიკური პოტენციალი საკუთარი ძლიერი სამხედრო მანქანის შესაქმნელად. უფრო მეტიც, სამხედრო აღჭურვილობასა და მასალებზე ფასების განუხრელი მატება და ეფექტური შეიარაღებული ძალების შენახვისათვის საჭირო მზარდი ხარჯები ძალზე უარყოფითად მოქმედებენ ამ ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.

თეითონ სიფრთხილე სჭირდება,
სხვას ვინც დაუგებს მახესაო.
ქართული ანდაზა

ომი. ომი, როგორც ისტორიული ცვლილებების ძირითადი წყარო და მთელი პოლიტიკური ცხოვრების განმსაზღვრელი ფაქტორი, საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიის ყურადღების ცენტრში ყოველთვის იდგა; ამავადაც ასეა. საერთაშორისო ურთიერთობათა თეორია და პრაქტიკა ერთი ცენტრალური პრობლემის ირგვლივ ტრიალებს; ეს პრობლემა არის „ომის მიზეზები და მშვიდობის, უსაფრთხოების, წესრიგის პირობები". მაშასადამე, საერთაშორისო ურთიერთობათა არსებითი საკითხები დაკავშირებულია ომთან და მშვიდობასთან, ხოლო ომი კი საერთაშორისო ურთიერთობათა ფუნდამენტური პრობლემაა.[106]

რა არის ომი? ჰედლი ბულის განმარტების თანახმად, „ომი არის ორგანიზებული ძალადობა, რომელსაც ახორციელებს ერთი პოლიტიკური ერთეული მეორის მიმართ".[107] ძალადობა ომი არ არის, სანამ იგი პოლიტიკური ერთეულის მიერ არ გაგარებულა. ომი პოლიტიკის საშუალებაა. ამის თაობაზე კარლ ფონ კლაუზევიცმა (1780–1831წწ.) მოსწრებულად შენიშნა, რომ „ომი არის პოლიტიკის გაგრძელება სხვა საშუალებებით". ომი პოლიტიკური აქტია, იგი პოლიტიკის ინსტრუმენტია.

ომი კაცობრიობის არსებობის თითქოს აუცილებელ პირობად იქცა. ომს ერთნი თავიდან მოსაშორებელ ჭირად და კაცობრიობის შეცდომად მიიჩნევენ, მეორენი – დანაშაულად, მესამენი – ანაქრონიზმად, სხვები კი, როგორც უკვე დავინახეთ, საერთაშორისო ურთიერთობათა ლოგიკურ მოელენად, პოლიტიკის ერთ-ერთ ინსტრუმენტად მიიჩნევენ.

ჩვენ მიზანს არ შეადგენს ომის, როგორც ფენომენის, როგორც საერთაშორისო ურთიერთობათა უმნიშვნელოვანესი მოვლენის განხილვა.* ჩვენ გვაინტერესებს ომის როლი საერთაშორისო სისტემის ფუნქციონირებისა და ტრანსფორმაციის თვალსაზრისით.

---

[106] K. W. Deutsch. The Analysis of International Relations. Prentice-Hall, Englewood Cliffs, 1968, p. 90.

[107] H. Bull. The Anarchical Society..., p. 184.

* ომის შესახებ იხ.: Q. Wright. A Study of War. 2 Volumes. Chicago, University of Chicago Press, 1942; War. L. Bramson and G. W. Goethals (Eds.). Basic Books, New York, 1968; J. U. Nef. War and Human Progress. Cambridge, Harvard University Press, 1950; G. Blainey. The Causes of War. Third Edition. Free Press, New York, 1988; E. Luard. War in International Society. New Haven, Yale University Press, 1987; M. Walzer. Just and Unjust Wars. Second Edition. Basic Books, 1977; J. T. Johnson. Can Modern War Be Just? New Haven, Yale University Press, 1984.

სახელმწიფოთა შორის ურთიერთობები განისაზღვრება როგორც მონაწილე სახელმწიფოთა ბუნებით, ასევე საერთაშორისო სისტემის სტრუქტურით და ხასიათით, ჩამოყალიბების პროცესში მყოფი საერთაშორისო საზოგადოების წესებითა და ნორმებით. თუ საზოგადოებრივი პროგრესი თანამშრომლობისა და მშვიდობიანობის დონით უნდა შეფასდეს, მაშინ საერთაშორისო საზოგადოება საკმაოდ პრიმიტიულ დონეზე მდგომად უნდა მივიჩნიოთ. სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში ყველა სახის კონფლიქტი გვხვდება, მაგრამ ომი მათ შორის ყველაზე დამანგრეველი და საშინელია. ომის თავიდან აცილების მცდელობები ჯერჯერობით უნაყოფოა და, თუმცა აგრესია დაგმობილია, ომები მაინც ხდება.

ცალკეული სახელმწიფოს პოზიციიდან გამომდინარე, ომი წარმოადგენს პოლიტიკის, საკუთარი მიზნების მიღწევის საშუალებას. როცა სახელმწიფო ომს იწყებს, ეს აუცილებლად როდი ნიშნავს, რომ მისი დაწყება წინასწარ კარგად გათვლილი იყო. ომი შეიძლება დაიწყოს ისეც, რომ მეომარი ქვეყნები ომში ჩათრეულნი აღმოჩნდნენ მასში მონაწილეობის დიდი სურვილის გარეშეც. ამის თაობაზე ბევრი იწერება; იხმარება სპეციალური ტერმინი „შემთხვევითი ომი", რომლითაც აღნიშნავენ ისეთ ომს, რომელიც მხარეთა წინასწარი განზრახვის გარეშე იწყება. „შემთხვევითი" ომების ორ სახეობას გამოყოფენ. პირველი ასახავს ისეთ ვითარებას, როცა ომი ერთ-ერთი მხარის სამხედრო უდისციპლინობის, შეცდომის ან ტექნიკურ საშუალებათა გაუმართაობის მიზეზით იწყება. მეორე ტიპის „შემთხვევითი" ომი მაშინ ხდება, როცა ერთ-ერთი მხარე, მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური სტრესის და დროის უკმარისობის პირობებში, ხშირად სწორად ვერ აღიქვამს შექმნილ ვითარებას, მეორე მხარის ქმედებებს თავისთვის საფრთხედ მიიჩნევს და სამარ მოქმედებას იწყებს.[108] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ავტორი კატეგორიულად უარყოფს შემთხვევითი ომის შესაძლებლობას.[109]

საერთაშორისო ურთიერთობათა გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოები, თავიანთი ეროვნული ინტერესების დაცვის საბაბით, ომს საკუთარი მიზნების მისაღწევად იყენებენ, თუმცა ხშირად ისეც ხდება, რომ ომის დამწყები თვითონვე მარცხდება.

საერთაშორისო სისტემის ფუნქციონირების თვალსაზრისით, ომი ამ სისტემის მდგომარეობისა და ხასიათის მთავარი დეტერმინანტია. ომი ან ომის საშიშროება განსაზღვრავს, რომელი სახელმწიფო გადარჩება, რომელი დაიშლება ან გაქრება, რომელი აღზევდება და გაბატონდება, რანაირ კონფიგურაციას მიიღებს სახელმწიფოთა საზღვრები, ამა თუ იმ ქვეყანაში როგორი პოლიტიკური რეჟიმი დამყარდება და ა.შ. სწორედ ომის შემდეგ ხდება ნათელი, სისტემა ძალთა წონასწორობის სახეს მიიღებს, თუ ერთი რომელიმე სახელმწიფო აავა პეგემონის „ტახტზე". როგორც ჰ. ბული შენიშ-

---

108 G. Evans and J. Newnham. The Dictionary of World Politics. Simon and Shuster, New York, 1990, p. 3.

109 G. Blainey. The Causes of War..., pp. 127-145.

ნაეს, ომი და მისი საშიშროება არა მარტო განსაზღვრაეენ საერთაშორისო სისტემის ხასიათს, არამედ იმ ძირითად ცნებებსაც, რომელთა მეშეეობით ალიწერება ეს სისტემა – ძლიერი და სუსტი ქვეყნები, კავშირები და გაელენის სფეროები, ძალთა წონასწორობა და პეტემონიზმი და ა.შ.[110]

საერთაშორისო საზოგადოების კონცეფციის თვალსაზრისით, ომს მეტად თავისებური როლი ენიჭება. რადგან ომს დესტაბილიზაცია, უწესრიგობა, უბედურება მოაქვს, საერთაშორისო საზოგადოება მას უკიდურესად უარყოფით მოელენად მიიჩნეეს და გარკეეული სამუალებებით (საერთაშორისო სამართალი, საერთაშორისო ორგანიზაციები და სხე.) ცდილობს მის გარკეეულ ჩარჩოებში ჩაყენებას. ამაეე დროს, საერთაშორისო სამართლის ნორმების ცხოვრებაში დამკვიდრება, აგრესორის დასჯა და საერთაშორისო საზოგადოებაში წესრიგის დამყარება-შენარჩუნება ძალის გამოყენებას მოითხოვს. გავიხსენოთ თუნდაც 1991 წლის „დამსჯელი" აქცია ერაყის წინააღმდეგ, რომლითაც საერთაშორისო თანამეგობრობამ დასაჯა ერაყი პაგარა კუვეიტის წინააღმდეგ აგრესიისათვის. ამის მსგავსია გაეროსა და ნატოს მიერ 1995 წელს ჩატარებული დამსჯელი აქციები ბოსნიელი სერბების წინააღმდეგ.

თანამედროეე ეტაპზე, როცა ბირთვულმა იარაღმა მსოფლიოს უძლიერესი (და არა მხოლოდ უძლიერესი!) სახელმწიფოების შეიარაღებაში წამყვანი ადგილი დაიკავა, ძალის გამოყენება, ე.ი. ომის წარმოება ბეერის მიერ განიხილება როგორც უაზრობა. გაბატონებული შეხედულების თანახმად, თუ ყველა სახელმწიფო დაეპატრონა ბირთვულ იარაღს, ომის საშიშროებაც გაქრება.[111]

მართალია, ბირთვული იარაღი სამხედრო-პოლიტიკური მიზნების მისაღწეეად მხოლოდ ორჯერ იქნა 1945 წლის აგვისტოში, გამოყენებული, ბირთეული ომის აჩრდილი მაინც კაცობრიობას 1945 წლიდან 90-იან წლებამდე თაეს დასტრიალებდა და მისი საშიშროება აღმოფხვრილი არც ამეამად არის. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ათობით საერთაშორისო კონფლიქტი, ისეთებიც კი, რომლებშიც უშუალოდ იყო ჩათრეული ბირთვული იარაღის მფლობელი ესა სუ ის სახელმწიფო (აშშ, სსრკ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ჩინეთი, ინდოეთი, ისრაელი), ამ საშინელი იარაღის გამოყენების გარეშე წარიმართა. ბეერი ექსპერტის აზრით, სწორედ ბირთეული იარაღის არსებობას უნდა უმადლოდეს კაცობრიობა იმას, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიო მასშტაბის ომი დედამიწაზე არ მომხდარა. „ცივ ომს" ამის გამო „ხანგრძლივი მშეიდობაც" კი უწოდეს.*

---

110 H. Bull. The Anarchical Society..., p. 187.

111 K. N. Waltz. Toward Nuclear Peace. In: "The Use of Force. Military Power and International Politics". R. J. Art and K. N. Waltz (Eds.). Third Edition. University Press of America, Lanham, 1988, pp. 684-712.

* გამოთქმა „ხანგრძლივი მშეიდობა" შემოიღო ამერიკელმა პოლიტოლოგმა ჯონ გედისმა. იხ.: J. L. Gaddis. The Long Peace: Inquiries Into the History of the Cold

მართალია, ბირთვული იარაღის არსებობის პირობებში მრავალი ლოკალური და რეგიონული ომი მოხდა, ამ იარაღმა გარკვეული და, ალბათ, მნიშვნელოვანი დაღი დაასვა მთელ საერთაშორისო სისტემას, საერთაშორისო ურთიერთობებს, სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკასა და დიპლომატიას. მან მკვეთრად გაზარდა არა მხოლოდ პოტენციური აგრესორის სამხედრო ძლიერება, შესაძლებლობები, არამედ ასევე მკვეთრად გაზარდა მისი შეკავების შესაძლებლობებიც. სწორედ „ბირთვული შეკავება" აღმოჩნდა ის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც დიდი ომის შესაძლებლობა შესამჩნევად შეამცირა.

ცნობილია, რომ სახელმწიფოები ომობენ სამი სახის მიზნისათვის: ეკონომიკური, უსაფრთხოების და იდეოლოგიური. ეკონომიკური მიზნებიდან გამოვყოფდით ნედლეულის წყაროებისა და ბაზრებისათვის ბრძოლას. ამის საუკეთესო მაგალითებად შეგვიძლია მოვიყვანოთ მერკანტილიზმის ეპოქაში ევროპული სახელმწიფოების საეაჭრო და კოლონიური ომები. უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზეზით წამოწყებული ომები ჩვეულებრივ გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როცა სახელმწიფო იბრძვის საკუთარი ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის, პოტენციური მეტოქის დასუსტებისათვის და ა.შ. ამგვარი ომების კლასიკური მაგალითებია: პელოპონესის ომი, ომი ესპანეთის ტახტისათვის, ირან-ერაყის ომი და სხვ. იდეოლოგიური მოტივით წამოწყებული ომების მიზანი, ჩვეულებრივ, რელიგიური და პოლიტიკური იდეოლოგიის ექსპანსიას გულისხმობს. ასეთი იყო ისლამის ექსპანსიასთან დაკავშირებული ომები, ჯვაროსნული ლაშქრობები, ნაწილობრივ, საფრანგეთის რევოლუციური ომები და სხვ. ამავე დროს უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ომების მიზეზებსა და მეომარი მხარეების მიზნებში, ხშირად სხვადასხვა პროპორციით ეხვდებით სამივე სახის მიზნებს.

ყველა ზემოთქმულის გათვალისწინებით, ომი საერთაშორისო სისტემის ხასიათის მთავარ დეტერმინანტად რჩება, მაგრამ ბირთვული იარაღის მქონე უძლიერესი სახელმწიფოების ურთიერთობებს ომის საფრთხე უფრო განსაზღვრავს, ვიდრე თავად ომი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საერთაშორისო სისტემაში შეინიშნება სამი სიახლე: უძლიერესი ქვეყნების კონფრონტაცია არ გადაზრდილა ომში; შედარებით სუსტი ქვეყნების კონფლიქტებიც უძლიერესი ქვეყნების მიერ კონტროლდებოდა და ეს უკანასკნელნი ცდილობდნენ ხსენებული კონფლიქტები არსებულ ჩარჩოებში დაეტოვებინათ; გაიზარდა სამოქალაქო და ეთნიკური კონფლიქტების როლი და საერთაშორისო სისტემაზე სწორედ ამგვარი კონფლიქტები უფრო მეტად ზემოქმედებენ, ვიდრე სახელმწიფოთა შორის წარმოშობილი კონფლიქტები (იშლება იმპერიები, სეპარატიზმი ცელის საზღვრებს და ხელს უწყობს ახალი სუვერენული სახელმწიფოების შექმნას). სწორედ ომისშემდგომი საერთაშორისო

War. New York, Oxford University Press, 1987; The Long Postwar Peace. Ch. W. Kegley, Jr. (Ed.). Harper Collins, New York, 1991.

სისტემის უკანასკნელი თაეისებურებებით განსაზღერულმა ეითარებამ შექმნა ათობით ახალი სახელმწიფო, განსაკუთრებით კი მომრაველდა პატარა სუსტი სახელმწიფოები – ყოფილი კოლონიები.

დროთა განმაელობაში საერთაშორისო სისტემაში შემავალი სახელმწიფოების ინტერესები და ძალთა წონასწორობა იცელება ეკონომიკური, ტექნოლოგიური, იდეოლოგიური და სხვა სასის ცელილებების გამო. ამგვარ ეითარებაში ის სახელმწიფო ან სახელმწიფოები, რომლებმაც ზემოხსენებული ცელილებების შედეგად გარკვეული უპირატესობები მოიპოვეს და გაძლიერდნენ, როგორც წესი, ცდილობენ თავიანთი მიზნების მიღწევას და ამით საერთაშორისო სისტემის სასიათის შეცელას, მის გარდაქმნას. საერთაშორისო ურთიერთობები უკვე ორი ათას წელზე მეტია, რაც ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში მონაწილე სახელმწიფოების ძალაუფლებისა და სიმდიდრისათვის განუწყეეტელ ბრძოლას წარმოადგენს. ნათელია, რომ საერთაშორისო სისტემის ხასიათი ასახავს, ვის ინტერესებს ემსახურება ყველაზე მეტად არსებული სისტემა. მაშასადამე, სისტემაში შემავალი მოქმედი პირები – სუვერენული სახელმწიფოები ცდილობენ თავიანთი უსაფრთხოების, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ იდეოლოგიური მიზნების განხორციელებას. საერთაშორისო სისტემა სტაბილურია, ე.ი. წონასწორობის მდგომარეობაშია, თუ არც ერთი სახელმწიფო არ ცდილობს თავისი მიზნების მიღწევისათვის შეცვალოს სისტემა. სისტემის ნებისმიერი მონაწილე მხოლოდ იმ შემთხვევაში, შეეცდება მასში ცელილებები შეიტანოს, თუ მას მოეჩვენა, რომ „მოგება" „ხარჯებზე" მეტი იქნება. როგორც წესი, საერთაშორისო სისტემა სტაბილური რჩება იმ დროის განმაელობაში, როცა სისტემის უძლიერესი სახელმწიფოები კმაყოფილნი არიან არსებული ეითარებით. ანარქიული საერთაშორისო სისტემის პირობებში ამგვარი წონასწორობა პომეოსტაგიკური ანუ დინამიური წონასწორობაა.

ნებისმიერ სისტემაში წონასწორობის დაკარგვის და აღდგენის პროცესები გარკვეულ „სტაბილურ" ჩარჩოებში რჩება იქამდე, სანამ რაიმე სახის ცელილებები (ეკონომიკური, ტექნოლოგიური, იდეოლოგიური და სხვ.) გარკვეულ ზღვარს არ გადააჭარბებს სისტემის რომელიმე ძლიერ სახელმწიფოში, რის გამოც მისი საგარეო პოლიტიკა შეიძლება შეიცვალოს და სისტემის დესტაბილიზაციის პროცესი დაიწყოს. როგორც წესი, დესტაბილიცაზიის პროცესი დიდი ომის შედეგია.

<u>სახელმწიფოთა მიზნები და ინტერესები.</u> სახელმწიფოს მიზნები და საგარეო პოლიტიკა, პირველ ყოელსა, განისაზღერება მასში გაბატონებული წეერების, დაინტერესებული ჯგუფების თუ კოალიციების ინტერესებით. არსებობს ორი შეხედულება იმის თაობაზე, თუ რა არის ეს მიზნები და ინტერესები. ერთი შეხედულების მომხრეების (განსაკუთრებით, პოლიტიკური რეალისტების) აზრით, სახელმწიფოს უპირველესი მიზნები არის უსაფრთხოება და ძლიერება, ხოლო მეორე შეხედულების მომხრეებს მიაჩნიათ, რომ დღეისათვის ნებისმიერი სახელმწიფოს

უპირველესი ამოცანებია ეკონომიკური სტაბილურობა და კეთილდღეობა.[112]

რ. გილპინის აზრით, სახელმწიფოს მიზნები გამომდინარეობს მისი ეროვნული ინტერესებიდან და ამ ინტერესების განსაზღვრაში გვეხმარება თანამედროვე ეკონომიკური ანალიზი, რომელიც ეროვნულ ინტერესებს არა მხოლოდ პრაგმატულ ხასიათს ანიჭებს, არამედ მათი განსაზღვრის ლოგიკურ, რაციონალურ მექანიზმს გვთავაზობს.[113] გილპინს მიაჩნია, რომ სახელმწიფოს ეროვნული ინტერესები ინდივიდუალური მომხმარებლის მიზნების, მოთხოვნილებებისა და საჭიროების ანალოგიურია. ეკონომიკურ თეორიაში ხსენებულ საკითხებს მომხმარებელთა ქცევის თეორია, კერძოდ, ინდიფერენტულობის ანალიზი განიხილავს.* ამ თეორიის თანახმად, ყოველი მომხმარებლის მიზნები, მოთხოვნილებები და საჭიროებანი ქმნიან გარკვეულ იერარქიას, რომელიც ყალიბდება მომხმარებლის შემოსავლის, მოსალოდნელი ხარჯების (ფასი) და გემოვნების გათვალისწინებით. ინდიფერენტულობის ანალიზის თანახმად, მომხმარებელს სხვადასხვა მიზნები და სურვილები აქვს და მან ისინი ერთმანეთს უნდა შეუთავსოს. მაშასადამე, მიზნების იერარქიის (იგი მაქსიმიზაციას ნიშნავს) ნაცვლად, ინდიფერენტულობის ანალიზი გულისხმობს, რომ ინდიეიდი მიზნების სხვადასხვა კომბინაციებს არჩევს და იყენებს არა მაქსიმიზაციის, არამედ „დამაკმაყოფილებელ" სტრატეგიას, ე.ი. ინდვიდი,მომხმარებელი (ან სახელმწიფო!) ეცდება არა ერთი რომელიმე მიზნის მიღწევას სხვა მიზნების ხარჯზე, არამედ გადაწყვეტს გამოძებნოს გარკვეულად ოპტიმალური პოზიცია ინდიფერენტულობის მრუდზე. მაშასადამე, სახელმწიფო კი არ ეცდება საკუთარი ძლიერების მაქსიმიზაციას კეთილდღეობის ხარჯზე, არამედ ამ ორი მიზნის ოპტიმალურ, მისთვის მისაღებ (დამაკმაყოფილებელ) კომბინაციას შეარჩევს, როგორც სასურველ მიზანს* .

მიზნების, ეროვნული ინტერესების სხვადასხვა კომბინაცია, რა თქმა უნდა, განისაზღვრება სუვერენული სახელმწიფოს განვითარების სტადიით, „ასაკით", მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარებით, მმართველი წრეების იდეოლოგიითა და შესედულებებით, ქვეყნის ადგილითა და როლით საერთაშორისო სისტემაში. როცა სახელმწიფო იმყოფება კრიტიკულ, ექსტრემალურ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ სიტუაციაში, მისი ეროვნული ინტერესები განსხვავებული და, ცხადია, რომელიმე ერთი ან ორი მიზნის მაქსიმიზაციაზე იქნება ორიენტირებული. არასაგანგაშო, შედარებით „ნორმალური" ვითარების პირობებში სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების კომბინაცია ინდიფერენტულობის მრუდის ანალოგიური იქნება.

ეშეტარეშეა, რომ ზემოაღნიშნული ანალოგია სახელმწიფოს მიზნებსა

---

[112] S. Hoffman. Choises. "Foreign Policy", 12, 1973, pp. 3-42.

[113] R. Gilpin. War and Change..., pp. 19-25.

* იხ.: W. J. Baumol, A. S. Blinder. Economics. Fourth Edition. Harcourt Brace Jovanovich, 1988, pp. 469-477.

* К.Р. Макконнелл, С.Л. Брю. Экономикс II, Москва., "Республика", 1992, стр. 39-44.

და ინდივიდუალური მომხმარებლის ქმედებებს შორის საგარეო პოლიტიკური სინამდვილის უკიდურესი გამარტივებაა, მაგრამ რ. გილპინი საკმაოდ დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ თანამედროვე მიკროეკონომიკური თეორია საერთაშორისო ურთიერთობათა საკითხებში გარკვეულისათვისაც გამოსადეგია.

სახელმწიფოები, მათი მმართველი ელიტები იღვწოდნენ და იღვწიან პოლიტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური ხასიათის საკმაოდ ფართო სპექტრის მიზნებისათვის. სხვადასხვა ეპოქებში ეს მიზნები სხვადასხვა იყო. უსაფრთხოებისა და ეკონომიკური მიზნების თანაფარდობა დამოკიდებული იყო საშინაო და საგარეო ფაქტორებზე. გუშინდელი მიზანი დღეისათვის აქტუალური და სასიცოცხლო შეიძლება აღარ იყოს და პირიქით. ადრე რელიგიური მიზნები უფრო გამოკვეთილი იყო, შემდგომში საგარეო პოლიტიკაში უფრო მკვეთრად ჩანდა ლიბერალიზმისა და კონსერვატიზმის პოლიტიკური იდეოლოგიების გავლენა. XX საუკუნის მიწურულისაკენ ძალიან გაიზარდა ეკონომიკური ინტერესებისა და მიზნების მნიშვნელობა.

საშოგადოდ, მთელი ისტორიის მანძილზე სახელმწიფოთა მთავარი საგარეო პოლიტიკური მიზნები სამი სახის იყო:

1. თითქმის ყველა დროს სახელმწიფოთა მთავარი მიზანი უსაფრთხოების, ეკონომიკური და სხვა ინტერესებიდან გამომდინარე ტერიტორიული ექსპანსია იყო. XVIII საუკუნის სამრეწველო რევოლუციამდე, ტერიტორიაზე კონტროლი ძალაუფლების და სიმდიდრის თითქმის სინონიმად რჩება. სახელმწიფო საკუთარ ძლიერებასა და სიმდიდრეს ზრდიდა სხვა ტერიტორიებისა და ხალხების დაპყრობით, შემოერთებით. ეს ექსტენსიური განვითარების შედეგიც იყო. სამრეწველო და სამხედრო ტექნოლოგიამ შეცვალა ეს წრფივი დამოკიდებულება ძლიერებასა და ტერიტორიის სიდიდეს შორის, მაგრამ ინტენსიური განვითარების, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პირობებშიც ტერიტორიაზე კონტროლი სახელმწიფოთა მნიშვნელოვან მიზნად რჩება.
2. მეორე ძირითადი მიზანი იყო და არის სხვა სახელმწიფოთა ქმედებებზე გავლენის გაზრდა მუქარისა და ძალადობის, დიპლომატიის გამოყენებით, კავშირებისა და კოალიციების შექმნით. გავლენის განსაკუთრებული სფეროების შექმნის გზით სახელმწიფოები ცდილობენ ისეთი საერთაშორისო პოლიტიკური „გარემოს" და სისტემაში ქცევის ისეთი წესების შექმნას, რომლებიც მათ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და იდეოლოგიურ ინტერესებს წაადგებოდა, ე.ი. მიზანი საერთაშორისო სისტემის სხვა წევრებზე კონტროლის დაწესება ყოფილა.
3. მესამე ძირითადი მიზანი, რომელიც დღეისათვის სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს, მსოფლიო ეკონომიკაზე (ან უფრო ზუსტად, შრომის საერთაშორისო დანაწილების მექანიზმზე) კონტროლი ან თუნდაც ზეგავლენაა. ეს მესამე მიზანი პირველი ორისაგან იზოლირებული არ არის. მსოფლიო მეურნეობის ჩამოყალიბებისა და საბაზრო ეკონომიკის გაბატონების შედეგად ეკონომიკური ძლიერება სახელმწი-

ფოთა მიერ შრომის საერთაშორისო დანაწილების პროცესის გაკონ-
ტროლების და წარმართვის ძირითად საშულებად იქცა.

შრომის თანამედროვე საერთაშორისო დანაწილება მნიშვნელოვან-
წილად განსაზღვრაეს სახელმწიფოთა სიმდიდრეს, უსაფრთხოებას და პრეს-
ტიეს. საეაჭრო პირობები, რესურსების (კაპიტალის, ტექნოლოგიების,
ნედლეულის) გადაადგილება და საერთაშორისო საეალუტო-საფინანსო სის-
ტემის გაკონტროლება თანამედროეე სახელმწიფოთა ინტერესებისა და
მიზნების უმნიშვნელოეანესი შემადგენელი ნაწილია. სახელმწიფოთა მიზნებს
შორის უმნიშვნელოეანესია ისეთები, რომლებიც მათთეის არის სასიცო-
ცხლო და რომელთა გამო ომსაც არ მოერიდებოდნენ. მართალია, ცნება
„სასიცოცხლო ინტერესები" საკმაოდ ბუნდოეანია, მაგრამ იგი აუცილებელია
სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკისა და ომის მიზნების გაგებისათეის.

ვისაც რომ სამშოლო უყვარს,
სიცოცხლე მისთვის ომია.
ვაჟა

არაერთგზის აღნიშნულა, რომ რეალიზმი დღემდე საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიის ყველაზე უფრო გაელენიან კონცეფციად რჩება.[114] რეალიზმის სახელით ცნობილი შეხედულებათა სისტემა, ფაქტობრივად, უკვე ორ კონცეფციას – პოლიტიკურ რეალიზმსა და ნეორეალიზმს მოიცავს.[115] პოლიტიკური რეალიზმი დაკავშირებულია ჰ.მორგენთაუს, ჯ.ქენანის, ჯ.პერცის, რ.არონისა და სხვათა სახელებთან და მისი ამოსავალი იმის მტკიცებაა, რომ ადამიანის ბუნებაში კონფლიქტურობა, აგრესია არის ჩადებული და რომ საერთაშორისო ურთიერთობები არის ისეთი გარემო, სადაც სუვერენული სახელმწიფოების უმთავრეს მიზანს სამხედრო უსაფრთხოება, ძალაუფლებისათვის ბრძოლა წარმოადგენს. საერთაშორისო სისტემა კი თავიანთი ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფისათვის მებრძოლი სუვერენული სახელმწიფოების ასპარეზია. მიუხედავად იმისა, რომ ამ შეხედულებებს დღემდე ბევრი იზიარებს, პოლიტიკური რეალიზმის ძირითადი პოსტულატები თავიდანვე კრიტიკის ქარცეცხლში აღმოჩნდა.

რეალიზმის თეორიის განვითარებამ მოგვცა მისი თანამედროვე სახესხვაობა, რომელიც ნეორეალიზმის სახელით არის ცნობილი.[116] ნეორეალიზმის „მანიფესტად" აღიარებულია ამერიკელი ქენეთ უოლცის შრომა „საერთაშორისო პოლიტიკის თეორია".[117]

თუ პოლიტიკური რეალიზმის ამოსავალი წერტილია ადამიანის ბუნებაში თანდაყოლილი ნაკლოვანებები, რომლებიც მთელ საერთაშორისო პოლიტიკას განსაზღვრავენ, ნეორეალიზმი აქცენტს საერთაშორისო სისტემაზე აკეთებს და საერთაშორისო პოლიტიკის არსის განმსაზღვრელად სისტემის თავისებურებებს მიიჩნევს.

ნეორეალიზმის თეორიის თანახმად, სახელმწიფოთა შორის ურთიერ-

---

114 აქ იგულისხმება რეალიზმი მთლიანად და არა ჰ.მორგენთაუსეული პოლიტიკური რეალიზმი.

115 ნეორეალიზმს სტრუქტურულ რეალიზმსაც უწოდებენ, მაგრამ ეს უკანასკნელი, ზოგიერთი ავტორის აზრით, ნეორეალიზმის შემდგომი განვითარების შედეგია და ცალკე განხილვას საჭიროებს. ამის შესახებ იხ.:B.Buzan, Ch.Jones, R.Little. The Logic of Anarchy. Neorealism to Structural Realism. Columbia University Press, New York, 1993.

116 ნეორეალიზმის სკოლის ყველაზე ცნობილი მკვლევარი ქ.უოლცი უპირატესობას ანიჭებს ტერმინს „ნეორეალიზმი" და უარყოფს ტერმინს „სტრუქტურული რეალიზმი". იხ.:K.N.Waltz. Realist Thought and Neorealist Theory. "Journal of International Affairs", Vol.44, N1, 1990, p.29

117 K.N.Waltz. Theory of International Politics. McGrow-Hill, New York, 1979.

თობებს, საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა განსაზღვრაეს. მაგრამ საერთაშორისო პოლიტიკა სისტემაში ჩართული სუვერენული სახელმწიფოების და სხვა მონაწილეების საგარეო პოლიტიკის მექანიკურ ჯამს როდი წარმოადგენს და იგი თავად სისტემისათვის დამახასიათებელი თავისებურებებით განისაზღვრება. სტრუქტურა, ნეორეალისტების აზრით, გვიჩვენებს, თუ რანაირად არიან მისი შემადგენელი ელემენტები ამ სისტემად ორგანიზებული. სამინაო პოლიტიკაში მონაწილეთა ურთიერთობა იერარქიული ხასიათისაა, საერთაშორისო სისტემის არსი კი მის ანარქიულობაში, სუვერენულ სახელმწიფოთა ზემოთ მდგომი უზენაესი ხელისუფლების, „ცენტრალური მმართველობის" არარსებობაში მდგომარეობს. აქედან გამომდინარე, სისტემაში ყოველი მონაწილე სახელმწიფო მოქმედებს ფართო დიაპაზონში „გადარჩენიდან მსოფლიო ბატონობამდე" მისი შესაძლებლობების გათვალისწინებით. ძალთა წონასწორობა კი ამგვარი სისტემის ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა. ამგვარ პირობებში მყოფი სახელმწიფოებისათვის არსებობის ორი გზაა: საკუთარი შესაძლებლობების (სამხედრო, ეკონომიკური და სხვა) გაზრდა ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ასპარეზზე მოქმედების საუკეთესო სტრატეგიის გამოყენება.

ნეორეალიზმის თეორიის ორი ძირითადი პოსტულატი საერთაშორისო სისტემის სტრუქტურის ხასიათით განისაზღვრება: 1. საერთაშორისო სისტემა ანარქიული უფროა, ვიდრე იერარქიული ხასიათისა; 2. სისტემაში ურთიერთქმედებენ ერთი და იმავე ფუნქციების მქონე, მსგავსი ერთეულები.

მთელი საერთაშორისო პოლიტიკის არსი ამ ორი მომენტიდან გამომდინარეობს, ხოლო სისტემის სტრუქტურის კიდევ ერთი, მესამე ელემენტი – სისტემის შემადგენელ სახელმწიფოთა შორის შესაძლებლობათა, ძლიერების განაწილება – იცვლება ერთი ისტორიული ეპოქიდან მეორემდე, ერთი სისტემიდან მეორემდე. სისტემის ხსენებული მესამე ელემენტი – ძალის, ძლიერების განაწილება – დიდმნიშვნელოვანია, რადგან სტრუქტურებს „განსაზღვრაეს არა მათში წარმოდგენილი ყველა მონაწილე, არამედ მონაწილეთა შორის ყველაზე უფრო ძლიერები."[118] სწორედ სტრუქტურა განაპირობებს საერთაშორისო პოლიტიკის მოვლენებს, იგი უწყობს ხელს ერთს და აფერხებს მეორეს. ამიტომ, ქ.უოლცის აზრით, საერთაშორისო სისტემის სტრუქტურის თავისებურებათა გაგება ხელს გეიწყობს სახელმწიფოთა ქმედებების შეფასება-ანალიზისას, რადგანაც სახელმწიფოები თავიანთ ეროვნულ ინტერესებსა და სტრატეგიას განსაზღვრავენ საერთაშორისო სისტემაში საკუთარი პოზიციის შეფასების საფუძველზე; ეს პოზიცია კი სახელმწიფოს ძლიერებაზეა დამოკიდებული. ძალა პოლიტიკაში იგივეა, რაც ეკონომიკაში – ფული. ამის თაობაზე ა.ვოლფერსი შენიშნავს: „საერთაშორისო პოლიტიკაში ძალა და გავლენა იმავე როლს ასრულებს, რასაც საბაზრო ეკონომიკაში – ფული".[119]

---

[118] K.N.Waltz. Theory of International Politics, p.93

[119] A.Wolfers. Discord and Collaboration..., p.105

ნეორეალიზმის თეორიიდან გამომდინარე, საერთაშორისო სისტემა თავისთავად „ტამგებელი" და განმსაზღვრელია იმ ერთეულების ქმედებებისა, რომლებიც ამ სისტემას შეადგენენ; ამ ერთეულებმა (სახელმწიფოებმა) კი თვითონ უნდა მიხედონ საკუთარ თავს და ამიტომ სისტემაში ძალთა წონასწორობა სახელმწიფოთა ქმედებების (ომი, კავშირები, გაძლიერება და ა.შ.) ლოგიკური მიზანი და ამავე დროს შედეგიცაა. სისტემა უფრო სტაბილურია, როცა არ არის სისტემის მასშტაბის, მსოფლიო ომი, როცა უძლიერესი სახელმწიფოების რიცხვი უფრო მცირეა, ე.ი. როცა სისტემაში მხოლოდ ორი უძლიერესი სახელმწიფოა წარმოდგენილი.[120]

ნეორეალიზმის თვალით დანახულ საერთაშორისო სისტემაში მხოლოდ სუვერენული სახელმწიფოები როდი მოქმედებენ. ნეორეალიზმის თეორია სისტემაში გარკვეულ როლს ანიჭებს საერთაშორისო ორგანიზაციებს, ტრანსნაციონალურ კორპორაციებს, საერთაშორისო ურთიერთობათა სხვა მონაწილეებსაც. არც ეკონომიკური კონკურენცია და შრომის საერთაშორისო დანაწილება დარჩენილა ნეორეალიზმის მოდელის გარეთ. ვინაიდან, ნეორეალიზმის პრინციპების თანახმად, ყოველი სახელმწიფო თავის საერთაშორისო პოლიტიკურ ქმედებებში საკუთარ ძალებს უნდა ეყრდნობოდეს, საერთაშორისო ეკონომიკურ საქმიანობაშიც სახელმწიფოები, ნეორეალიზმის მოდელის მიხედვით, ასევე საკუთარი ინტერესებისათვის უნდა იბრძოდნენ და საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის ხასიათიც ამით უნდა იყოს განსაზღვრული. მართალია, საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობა არსებობს და ღრმავდება და ამის შედეგად შრომის საერთაშორისო დანაწილებაც ძალზე გაღრმავდა, მაგრამ საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობა მაინც სახელმწიფოთა პოლიტიკური კონკურენციის ჩარჩოებში რჩება.[121] ნეორეალიზმის სკოლის ყველაზე გავლენიანი ავტორი ქ.უოლცი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება კვლავაც არ არის დიდი.[122] ნეორეალიზმის კონცეფციის თანახმად, მსოფლიო ეკონომიკური სისტემის წარმოდგენა ერთი ბაზრის, ერთი სახელმწიფოს ეკონომიკური სისტემის ანალოგად არ შეიძლება და ამის გაკეთება დიდ პოლიტიკურ და ეკონომიკურ განსხვავებებზე, უთანასწორობაზე თვალის დახუჭვას ნიშნავს. ვინაიდან საერთაშორისო სისტემა შედგება *სახელმწიფოებისაგან*, რომლებიც ერთმანეთისაგან თავიანთი შესაძლებლობებით უფრო მეტად განსხვავდებიან, ვიდრე ნებისმიერი სასელმწიფოს *ბაზარი* – ცალკეული რეგიონები, და ამავე დროს ეს სახელმწიფოები *პოლიტიკურად* და *ეკონომიკურად* თუ მტრები არა, მეტოქეები მაინც არიან, *საერთაშორისო* ეკონომიკურ სისტემაში სრულ ურთიერთდამოკიდებულე-

---

120 თუ *ხუთეულში* *ერთი* უძლიერესი სახელმწიფოა, იგი უნიკალურ იმპერიად *იქცევა* და *ხუთეულ* სახეს შეიცვლის.

121 *J.G.Ruggie*. Continuity and Transformation in World Politics:Toward a Neorealist Synthesis. In: "Neorealism and Its Critics", R.O.Keohane (Ed.). New York, Columbia University Press, 1986, pp.137-138.

122 *K.N.Waltz*. Theory of International Politics..., pp.141-142.

ბასა და ინტეგრაციაზე საუბარიც კი ზედმეტია.[123]

უნდა ვალიაროთ, რომ, ნეორეალიზმის ლოგიკის მიუხედავად, მსოფლიოში ურთიერთდამოკიდებულების პროცესი იმდენად გაღრმავდა, რომ ნეორეალიზმის თეორიაში საკმაო ეჭვის შეტანის უფლებაც გაგეიჩნდა.

უკვე 1959 წელს ქ.უოლცმა თავის ცნობილ შრომაში „ადამიანი, სახელმწიფო და ომი" პოლიტიკური რეალიზმის რევიზია მოახდინა, როცა განაცხადა, რომ სახელმწიფოთა შორის მეტოქეობას, ადამიანის ბუნება კი არ განსაზღვრავს, არამედ – ანარქიული საერთაშორისო სისტემა. მასში „ყოველი სახელმწიფო იცავს საკუთარ ეროვნულ ინტერესებს, რომლებსაც იგი შეძლებისდაგვარად განსაზღვრავს. ძალა რჩება სახელმწიფოს საგარეო მიზნების მიღწევის საშუალება, რადგან დაპირისპირებული ინტერესების მოგვარების შედეგიანი, სანდო პროცესი არ არსებობს, ხოლო ეს კონფლიქტები აუცილებლად წარმოიქმნება მსგავს ერთეულთა შორის ანარქიის პირობებში."[124]

ნეორეალიზმის კონცეფციაში სუსტი და ძლიერი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკა ერთმანეთისაგან ძირეულად განსხვავდება. სუსტი სახელმწიფოები ისე არ მოქმედებენ, როგორც ძლიერები, რადგანაც სუსტების შესაძლებლობები მეტად შეზღუდულია არა მხოლოდ გლობალური, არამედ რეგიონული მასშტაბითაც. ბუნებრივია, რომ სუსტი ქვეყნები ცდილობენ გამონახონ მფარველი ან ისეთ კავშირში შევიდნენ, რომელიც მათ საფრთხისაგან გადაარჩენს. ძლიერი ქვეყნები არა მარტო გადარჩენაზე ფიქრობენ, არამედ ცდილობენ რეგიონში თუ გლობალურ დონეზე პოზიციები გაიუმჯობესონ. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული ორი კატეგორიის ქვეყნების საგარეო პოლიტიკური ამოცანები ერთმანეთისაგან განსხვავდება, მათ შორის ბევრი მსგავსებაა. განსხვავება მხოლოდ ქვეყნების შესაძლებლობებში, მათ ძლიერებაში მდგომარეობს. საერთაშორისო სისტემაში შემავალი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკური ფუნქციები ერთი და იგივეა, მათ მხოლოდ შესაძლებლობები აქვთ სხვადასხვა. საერთაშორისო პოლიტიკა შედგება ისეთი ერთეულებისაგან, რომლებიც ერთსა და იმავე „თამაშის წესებს" ემორჩილებიან, ერთნაირად მოქმედებენ საერთაშორისო ასპარეზზე, ვინაიდან ისინი ანარქიული საერთაშორისო სისტემის ელემენტებს („მოქმედ პირებს") წარმოადგენენ.

საერთაშორისო პოლიტიკის ფუნდამენტური პრობლემა მშვიდობიანი განვითარების, მშვიდობიანი გარდაქმნების პრობლემაა.[125] რეალიზმი, პოლიტიკური რეალიზმი და ნეორეალიზმიც გვიჩვენებენ, რომ, იერარქიული სახელმწიფო სისტემისაგან განსხვავებით, საერთაშორისო პოლიტიკაში, ე.ი.

---

[123] ამის შესახებ იხ.:K.N.Waltz. Theory of International Politics, ch.6, p.2, pp.104-107

[124] K.N.Waltz. Man, the State and War. Columbia University Press, New York, 1959, p.238

[125] R.Gilpin. War and Change in World Politics. Cambridge University Press, Cambridge, 1989, p.2

საერთაშორისო სისტემაში მშვიდობიანი ცვლილებების, გარდაქმნების მილწევა ძალზე ძნელია; და, რაც მთავარია, რეალიზმი არ გვთავაზობს მშვიდობიანი გადასვლის, გარდაქმნის არანაირ თეორიას. რეალისტები ამ მხრივ მხოლოდ დიპლომატიის იმედით არიან.[126]

ამგვარად რეალიზმი (მისი ნეორეალისტური სახესხვაობითაც) გვიჩვენებს, რაგომ ვართ ამგვარ უბედურებაში, მაგრამ მისგან თავის დაღწევის თაობაზე ბევრს არაფერს ამბობს. კაცობრიობას კი სურს, ომებს, კონფლიქტებს თავი დააღწიოს და ამ ურთულეს საქმეში საკუთარი წვლილი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიამაც უნდა შეიტანოს.

ამ თეორიას ნეორეალიზმის მრავალი კრიტიკოსი სერიოზულ პრეტენზიებს უყენებს. პირველ ყოვლისა, ნეორეალიზმს ბრალად ედება, რომ იგი უარყოფს ისტორიას, როგორც პროცესს. გარდა ამისა, ნეორეალიზმი თითქოს უარყოფს პრაქტიკის ისტორიულ მნიშვნელობას. აგრეთვე ნეორეალიზმი პოლიტიკას ეკონომიკური თეორიის პოსტულატებით განიხილავს და მას სულსა ხდის, პოლიტიკა მხოლოდ ტექნიკამდეა დაყვანილი.[127] პოლემიკა ნეორეალისტებსა და მათ კრიტიკოსებს შორის არ ცხრება.[128]

70-იან და 80-იან წლებში. ნეორეალიზმის ჩარჩოებში მეტად საყურადღებო კონცეფციები შემუშავდა. ეს არის ძალთა წონასწორობის ქ.უოლცისეული ინტერპრეტაცია,[129] გ.სნაიდერისა და პ.დიზინგის მიერ თამაშთა თეორიის ფორმალური მოდელების გამოყენება კონფლიქტების ანალიზისათვის[130] და რ.გილპინის ჰეგემონური ციკლების თეორია.[131]

რადგან ძალთა წონასწორობის კონცეფციას საგანგებო ადგილს ვუთმობთ, საჭიროდ მიგვაჩნია, შეეჩერდეთ რ.გილპინის „ჰეგემონიისა და ომის" ციკლებზე.

---

126 H.J.Morgenthau. Politics Among Nations. Fourth Edition. A.A.Knopf, New York.1967, pp.418-437, 520-531; G.F.Kennan. American Diplomacy:1900-1950. Chicago, Chicago University Press, 1950, p.98

127 R.K.Ashley. The Poverty of Neorealism. In: "Neorealism and Its Critics" R.O. Keohane (Ed.). Columbia University Press, New York, 1986, pp.290-293

128 რეალიზმისა და, კერძოდ, ნეორეალიზმის თეორიის უაღრესად საინტერესო დაცვას წარმოადგენს რ.გილპინის ცნობილი სტატია „პოლიტიკური რეალიზმის ტრადიციის სიმდიდრე" (R.G.Gilpin. The Richness of the Tradition of Political Realism. In "Neorealism and Its Critics." R.O. Keohane (Ed.) Columbia University Press, New York, 1986. pp.301-321).

129 K.N.Waltz. Theory of International Politics. McGraw-Hill, New York, 1979, pp.102-128

130 G.N.Snyder, P.Diesing. Conflict Among Nations: Bargaining, Decision Making and System Structure in International Crises. Princeton, Princeton University Press, 1977

131 R.Gilpin. War and Change in World Politics. Cambridge, Cambridge University Press, 1989

გილპინის აზრით, მსოფლიო ისტორია ციკლების გაუთაევებელი სერიისაგან შედგება. საერთაშორისო სისტემაში შემავალი სახელმწიფოები რაციონალურად მოქმედებენ (ამისთვის იგი ანალოგად იყენებს ფირმის სტრატეგიას მიკროეკონომიკური თეორიიდან), მაგრამ უძლიერესი სახელმწიფოებიდან ერთ-ერთი საბოლოოდ ჰეგემონობას აღწევს და თავის „ყაიდაზე“ აწესრიგებს საერთაშორისო სისტემას. გილპინი აანალიზებს დასაელეთის 2400-წლიან ისტორიას და იმ დასკვნამდე მიდის, რომ იგი ჰეგემონური სტაბილურობისა და ომების მონაცელეობაა. ჰეგემონი სახელმწიფო საკუთარ წესრიგს ამყარებს სისტემაში და ახერხებს ამ წესრიგის შენარჩუნებას (ამ დროს სისტემა სტაბილური რჩება) იმ დრომდე, სანამ არ გამოჩნდება სსეა ქვეყანა, რომელიც არსებულ ჰეგემონს პირველობას შეეცილება (ასეთ ქვეყანას იგი „ჩელენჯერს“ უწოდებს).[132] რაგომ სუსტდება ჰეგემონი? გილპინი მიიჩნეეს, რომ იმპერიის განვითარებასთან ერთად საჭიროა იმრდებოდეს მისი ეკონომიკური ეფექტიანობა, რომელიც სამხედრო ხარჯების ზრდის ტემპს უნდა უსწრებდეს, რადგანაც ამის გარეშე იმპერია ვერ გადარჩება.[133] მაგრამ დგება დრო, როდესაც ჰეგემონი სახელმწიფო (ადრე ასეთი იყო იმპერიები) მის მიერ დაბანდებულმე მეგს მოიხმარს და იწყება მისი დაკნინება. დგება ახალი იმპერიის ჰეგემონობის ეპოქა.

მსოფლიო მეურნეობისა და თანამედროვე სახელმწიფოთა სისტემის ჩამოყალიბებამ იმპერიების ციკლი ევროპაში ძალთა წონასწორობის სისტემით შეცვალა. XIX და XX საუკუნეებში დაიწყო უძლიერეს სახელმწიფოთა ჰეგემონობის ციკლები. თუ ადრე ბაგონობდნენ მრავალეროვანი იმპერიები და ლოკალიზებული სოციალური ერთეულები (ტომები, ქალაქი-სახელმწიფოები, ფეოდალური ერთეულები) და ისინი საერთაშორისო ურთიერთობათა წამყვანი მოქმედი პირები იყვნენ, თანამედროვე მსოფლიოში მათი ადგილი სუვერენულმა სახელმწიფომ დაიკავა. პოლიტიკური ორგანიზაციის წამყვანი ფორმა ერი-სახელმწიფო, სუვერენული სახელმწიფო გახდა.[134] მართალია, იმპერიები სამხედრო თვალსაზრისით ძლიერნი იყვნენ, მაგრამ ისინი ამავე დროს სუსტებიც იყვნენ, რადგან მათი მოსახლეობის არცთუ ისე დიდი ნაწილი იყო მართლა დაინტერესებული მათი დაცვითა და შენარჩუნებით. იმპერიების მიზნები და ინტერესები, ჩვეულებრივ, საკმაოდ განსხვავდებოდა

---

132 To challenge ინგლისურად ნიშნავს „გამოწვევას“. ჩვენ ვამჯობინეთ „ჩელენჯერი“ გვეხმარა.

133 R.Gilpin. War and Change in World Politics. Cambridge University Press, Cambridge, 1989, p.115.

134 ერი-სახელმწიფოს შესახებ იხ.:Ch.Tilley (Ed.). The Formation of National States in Western Europe. Princeton University Press, Princeton, 1975; John Hall (Ed.). States in History. Oxford, Blackwell, 1986; H.Seton-Watson. Nations and States. London, Methuen, 1977; L.Tivey (Ed.) The Nation-State. Oxford, Martin Robertson, 1980.

მათი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მიზნებისა და ინტერესებისაგან და სწორედ ეს იყო იმპერიების „აქილევსის ქუსლი", მათი შინაგანი სისუსტის მიზეზი.

ერი-სახელმწიფოს, ეროვნული სახელმწიფოს გაბატონება საერთაშორისო სარბიელზე XVII-XVIII სს. დაიწყო.[135] თანამედროვე სახელმწიფოები სწორედ ამ კატეგორიას მიეკუთვნება. საერთაშორისო სისტემაში შემავალი სახელმწიფოები ამავე დროს საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაშიც მოქმედებენ, მსოფლიო მეურნეობის შემადგენელ ელემენტს წარმოადგენენ. მათი ძლიერების, სიცოცხლისუნარიანობის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი ეკონომიკური ძლიერება, ეკონომიკური ეფექტიანობა გასდა. ამიტომ ძლიერი სახელმწიფო, მით უმეტეს პეგემონი, თუ მისი ეკონომიკა ეფექტიანად არ მოქმედებს ან ეელარ მოქმედებს, განწირულია იმპერიული ტიპის ისეთ ეკონომიკად გადაიქცეს, როგორიც საბჭოთა ბლოკი იყო.[136]

მსოფლიო მეურნეობისა და თანამედროვე სახელმწიფოების ჩამოყალიბება საერთაშორისო სისტემაში ძალთა წონასწორობის მექანიზმის გაბატონების პირობებში ხდებოდა. ამიტომ ევროპის ერთ იმპერიად გაერთიანების რამდენიმე მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა და ამან ხელი შეუწყო საერთაშორისო ეკონომიკური ბაზრის განვითარებას, საბაზრო მექანიზმების განმტკიცებას. მსოფლიო მეურნეობა მერკანტილიზმის ბატონობის ასპარეზად იქცა. ეკონომიკური განვითარება გამოიყენებოდა ეროვნული ინტერესების უმრუნველსაყოფად, სახელმწიფოს ყველანაირი მიზნების (სხვა სახელმწიფოებზე გავლენის გაზრდა, კოლონიური დაპყრობა, პრესტიჟი, ძლიერების მიღწევა და ა.შ.) მისაღწევად.[137] ამას ე.წ. თავისუფალი ეაჭრობის ეპოქა მოჰყვა, რაც იმას ნიშნავს, რომ ნაპოლეონის დამარცხების შედეგად მსოფლიო პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებში გაბატონდა დიდი ბრიტანეთი და მან თავისთვის (როგორც ყველაზე განვითარებული ქვეყნისათვის) მომგებიანი საერთაშორისო წესრიგი დაამკვიდრა, რომელშიც საერთაშორისო ეკონომიკა თავისუფალი ეაჭრობის პრინციპებს დაეფუძნა.

XVII-XVIII საუკუნეებში ევროპის ხუთი სახელმწიფო – ბრიტანეთი, საფრანგეთი, ნიდერლანდები, ესპანეთი და პორტუგალია-ამერიკის ეკონომიკური ექსპლუატაციისათვის მეტოქეობას უწევდნენ ერთმანეთს, მაგრამ XIX საუკუნის დასაწყისში დიდი ბრიტანეთი სამრეწველო რევოლუციისა და ძლიერი ფლოტის წყალობით (ამან განაპირობა მისი გაბატონება ზღვებზე) მსოფლიოს პეგემონი გასდა. სწორედ მისი პეგემონობის პერიოდში (პირველ მსოფლიო ომამდე) მსოფლიო ეკონომიკური სისტემა,

---

135 საერთაშორისო ლიტერატურაში მიღებული ტერმინი „ერი-სახელმწიფო" (Nation-State) ქართულად ხშირად ითარგმნება როგორც „ეროვნული სახელმწიფო", რითაც აქცენტი კეთდება სახელმწიფოს ეთნიკურ ასპექტზე, რაც მთლად მართებული არ არის.

136 R.Gilpin. War and Change..., p.129

137 J.Hicks. A Theory of Economic History. Oxford University Press, London, 1969, p.161-162

ანუ მსოფლიო მეურნეობა, სახელმწიფოთა შორის სამდიდრისა და ძლიერების გადანაწილებისა და ამავე დროს მოგიერთი სახელმწიფოს სწრაფი აღმავლობის მექანიზმად იქცა.

მაშასადამე, XIX საუკუნის მიწურულიდან იმპერიების პეგემონობის ჯაჭვი გადაიზარდა ორი სახელმწიფოს – არსებული პეგემონისა (დიდი ბრიტანეთი) და ჩელენჯერის (აშშ) მეტოქეობაში. ორივე ცდილობდა მსოფლიოს პოლიტიკური, ტერიტორიული და, განსაკუთრებით, ეკონომიკური ურთიერთობების იმგვარად მოწყობას, რომ ეს სასარგებლო ყოფილიყო მათი უსაფრთხოებისა და ეკონომიკური ინტერესებისათვის.[138] ჯერ პეგემონი დიდი ბრიტანეთი იყო, შემდეგ კი მისი როლი აშშ-მა დაისაკუთრა.

საერთაშორისო სისტემაში პეგემონის მიერ დამყარებულმა წესრიგმა შეიძლება დიქტატის სახეც მიიღოს, მაგრამ საერთაშორისო ურთიერთობათა პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ პეგემონი ყოველთვის დაინტერესებულია საერთაშორისო სისტემაში წესრიგითა და სტაბილურობით. პეგემონური წესრიგისათვის უცხო თანამშრომლობაც არ არის. პირიქით, როგორც რობერტ ქიოპეინი აღნიშნავს, პეგემონია დაფუძნებულია გარკვეული ტიპის ასიმეტრიულ თანამშრომლობაზე, რომელიც პეგემონის ინტერესებს ესადაგება და რომლის შენარჩუნებასაც იგი ცდილობს.[139]

პეგემონი სახელმწიფოს ბაგონობა არ შეიძლება უსამღეროდ გაგრძელდეს. მართალია, საერთაშორისო სისტემაზე კონტროლი უმრუნველყოფს უფრო ფართო სარესურსო (ბუნებრივი რესურსები, კაპიტალი, მუშახელი) ბაზას პეგემონისათვის, მაგრამ ამ კონტროლის დიდხანს შენარჩუნება სულ უფრო ძვირი ჯდება. ეს სიძვირე მოიცავს სამხედრო ხარჯებს, მოკავშირეთათვის ფინანსურ და სხვა სახის დახმარებას და საერთაშორისო ეკონომიკის გაძღოლისათვის საჭირო ძალისხმევას. სამხედრო ტექნოლოგიაში ლიდერობის შენარჩუნება თანდათანობით ძალიან ძვირი ჯდება (ამავე დროს ასეთივე ტექნოლოგია ჩნდება მეტოქე სახელმწიფოებში, ხშირად კვლევასა და დანერგვაზე გაღებული დიდი ხარჯების გარეშეც!). ეკონომიკური კეთილდღეობაც ვრცელდება, რადგანაც იგივე ეკონომიკური პროცესები, პეგემონს რომ ეხმარება, ბოლოს და ბოლოს სხვა სახელმწიფოებსაც ამდიდრებს და აძლიერებს. კეთილდღეობის, მოხმარების ზრდის დიდი მოთხოვნილება და იმავე დროს პეგემონის სტატუს-კვოს შენარჩუნება ძნელდება, რადგან კეთილდღეობა და დოვლათი ანელებენ ინოვაციებს, ამცირებენ შრომის ნაყოფიერებას და საბოლოო ჯამში, ასუსტებენ სამხედრო ძლიერების საფუძველს.[140] წარმოებაში ინვესტირებისა და გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების საზიანოდ, იზრდება თავდაცვასა და მოხმარე-

---

138 R.Gilpin. War and Change...., p.144

139 R.O.Keohane. After Hegemony. Cooperation and Discord in the World Political Economy. Princeton University Press, Princeton, 1984, p.49

140 P.Kennedy. The Rise and Fall of the Great Powers. Random House, New York, 1987, pp. 536-540.

ბაზე გაღებული ხარჯები, ხოლო სამხედრო დასუსტების შეგრძნება აიძულებს პეგემონს კიდევ უფრო მეტი მოახმაროს სამხედრო სექტორს, რაც ხელს უშლის წარმოებაში ინვესტირების გაფართოებას, ამცირებს შრომის ნაყოფიერებას და, პერსპექტივაში, – თვით ქვეყნის სამხედრო პოტენციალსაც.[141]

პეგემონის დაკნინებისა და სხვა ძლიერი სახელმწიფოს აღზევების შედეგად ირღვევა წონასწორობა, სისტემაში ძალის განაწილების დისბალანსი ჩნდება და პეგემონის მიერ (ბატონობის ზენიტში ყოფნისას) ჩამოყალიბებულ ურთიერთობებში, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ პროცესებში რღვევა იწყება. რ.გილპინის აზრით, ისტორიაში ამგვარი ციკლური ყოველთვის მოასწავებდა პეგემონიისათვის ომს და საერთაშორისო სისტემის „ტადალაგებას" ახალი პეგემონის ინტერესებიდან გამომდინარე.[142] ეს იმას ნიშნავს, რომ ძველი პეგემონი ომში დამარცხების შედეგად ადგილს უთმობს ახალ პეგემონს, რომელიც საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, იწყებს საერთაშორისო სისტემის რესტრუქტურიზაციას. .

ამავე დროს რ.გილპინის თეორია ე.წ. „ხანგრძლივი მშვიდობის" (1945-1991 წწ.) მიზეზების ახსნასაც გვთავაზობს. გერმანია (ჩელენჯერი) დამარცხდა მეორე მსოფლიო ომში და მსოფლიო პეგემონის როლი ბრიტანეთისგან აშშ-მა „გადაიბარა". ამან სისტემაში წონასწორობა აღადგინა და აშშ-მა საკუთარი ძლიერებისა და გავლენის მეშვეობით საერთაშორისო სისტემის რესტრუქტურიზაცია მოახდინა იმგვარად, როგორც მას წესრიგის დასამყარებლად და საკუთარი ინტერესების უზრუნველყოფისთვის საუკეთესოდ ეჩვენებოდა; ეს იყო საერთაშორისო ლიბერალური ეკონომიკის შექმნა, რომელიც ბრეტონ-ვუდსის საფინანსო-სავალუტო სისტემასა და ნატო-ზე დამყარებულ უსაფრთხოებასა და კოალიციათა ჯაჭვს ემყარებოდა. სწორედ აშშ-ის ჰეგემონიის გამო არ მომხდარა დიდი ომი. მშვიდობას ხელი შეუწყო აგრეთვე იმანაც, რომ სისტემაში მიმდინარე პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული პროცესები სისტემის მონაწილეთა უმრავლესობისათვის მისაღები აღმოჩნდა, ხოლო თვით სისტემა გაწონასწორებული იყო. მიუსედავად იმისა, რომ 70-იანი წლებისათვის აშშ-ის სამხედრო და ეკონომიკური უპირატესობა და დომინირება შეფარდებითად კლებას იწყებს, ეს კლება მაინც არ არის დაცემა და არც იმდენად სწრაფია, რომ „ჰეგემონურ ომს" პირობები შეუქმნას..[143]

რ.გილპინის თეორიის მიხედვით, თანამედროვე საერთაშორისო სისტემა სახიფათო მიმართულებით ვითარდება. აშშ-ის შეფარდებითი ეკონომიკური და სამხედრო უპირატესობა თანდათანობით კლებულობს, ხოლო იაპონიისა, გერმანიისა და, უკანასკნელ ხანებამდე, სსრკ-ისა თანდათანობით

---

141 გავიხსენოთ თუნდაც სსრკ-ის მაგალითი, რომელსაც ბილიტარიზაციამ ძირი გამოუთხარა.

142 R.Gilpin. War and Change..., pp. 197-198.

143 J.S.Levy. Long Cycles, Hegemonic Transitions and the Long Peace. In: "The Long Postwar Peace", Ch.W.Kegley, Jr. (Ed.). Harper Collins, 1991, p.152.

მატულობს.[144] ამან, გილპინის აზრით, განაპირობა საერთაშორისო სისტემაში დისბალანსის ზრდა და ძალის დეკონცენტრაცია. ბოლოს და ბოლოს, ერთ-ერთი ჩელენჯერი მოინდომებს პეგემონის როლის შესრულებას და ამისთვის ძალადობას მიმართავს. გილპინის აზრით, კაცობრიობის მომავალი დამოკიდებულია იმ „მშვიდობიანი მექანიზმის" პოენაზე, რომელიც „პეგემონობისათვის ომის", როგორც მსოფლიო პოლიტიკაში სისტემური ცვლილებების მექანიზმის, ადგილს დაიკავებდა.[145] მართალია, გილპინის თეორიის თანახმად, მომავალი საკმაოდ პესიმისტურად უნდა აღვიქვათ, მაგრამ იგი გარკვეულ იმედს მაინც გვაძლევს, რადგან, მისი აზრით, ბირთვული იარაღი, სახელმწიფოთა ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება და საერთაშორისო საზოგადოების ელემენტების დამკვიდრება შეიძლება საერთაშორისო ურთიერთობებში ძირეული ცვლილებების საწინდარი გახდეს.[146]

ჯორჯ მოდელსკის მსოფლიო ლიდერობის გრძელი ციკლები.

ჯ.მოდელსკიმ და უ.რ.ტომპსონმა შეიმუშავეს ე.წ. მსოფლიო ლიდერობის გრძელი ციკლების თეორია, რომელიც აგრეთვე საერთაშორისო სისტემაში ცვლილებების მექანიზმის დადგენის მცდელობაცაა.[147] გრძელი ციკლების თეორია ჯ.მოდელსკიმ ჯერ თავის 1978 წლის სტატიაში წამოაყენა, შემდეგ ეს თეორია მის შემდგომ ნაშრომებში დაიხვეწა და საბოლოო სახე 1987 წელს მის მიერ გამოქვეყნებულ წიგნში მიიღო, იგულისხმება „გრძელი ციკლები მსოფლიო პოლიტიკაში". ეს თეორია უარყოფს საერთაშორისო სისტემის ანარქიულობასა და საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებზე მაღლა საერთაშორისო ეკონომიკური პროცესების დგომას.[148]

---

144 რ.გილპინმა თავისი თეორია განავითარა 80-იანი წლების დასაწყისში. მისი წიგნის „ომი და ცვლილება მსოფლიო პოლიტიკაში" ბოლო ტირაჟი 1989 წელს გამოიცა. ამიტომ ახლა, როცა სსრკ აღარ არსებობს, საინტერესო იქნებოდა ახალი ვითარების გილპინისეული შეფასება.

145 R.Gilpin. War and Change..., p.230.

146 R.Gilpin. War and Change...,p.213

147 G.Modelski. The Long Cycle of Global Politics and the Nation-State. "Comparative Studies in Society and History", 20, 1978, pp.214-235; G.Modelski. The Long Cycles, Kondratieffs and Alternative Innovations. In: "Political Economy of Foreign Policy Behavior", Ch.Kegley, Jr., P.McGovan (Eds.). Sage, Beverly Hills, 1981; G.Modelski. Long Cycles of World Politics. Macmillan, London, 1987; W.R.Thompson. On Global War: Historical-Structural Approaches to World Politics. Columbia, University of South Carolina Press, 1988.

148 ეს თეორია ნეორეალისტური არ არის, მაგრამ აქ რ.გილპინის თეორიასთან შედარების მიზნითაა წარმოდგენილი.

ჯ.მოდელსკის თეორიიდან გამომდინარეობს, რომ თანამედროვე გლობალურ სისტემაში მისი წარმოშობიდანვეა (1494წ.) ჩადებული სისტემური განვითარებისა და გლობალური ომის რეგულარული ციკლები, რომლებიც თითო საუკუნე გრძელდება; ყოველი ასეთი ციკლი დაკავშირებულია ერთ მსოფლიო ლიდერთან – უძლიერეს სასელმწიფოსთან, რომელიც მისი ლიდერობის, ბატონობის პერიოდში (ციკლში) წესრიგს ამყარებს მსოფლიო სისტემაში. ამ თეორიაში ხაზგასმით არის აღნიშნული საზღვაო ძლიერების, როგორც გლობალური მასშტაბის მქონე კონტროლის ფაქტორის მნიშვნელობა. წარმოდგენილია ხუთი ციკლი:

1. XVI ს. - ლიდერი – პორტუგალია
2. XVII ს. - ლიდერი – ნიდერლანდები
3. XVIII ს. - ლიდერი – დიდი ბრიტანეთი
4. XIX ს. - ლიდერი – დიდი ბრიტანეთი
5. XX ს. - ლიდერი – აშშ

როგორც ვხედავთ, დიდმა ბრიტანეთმა ორჯერ მოახერხა მსოფლიო ლიდერობა, ხოლო ესპანეთმა, ჯ.მოდელსკის აზრით, ვერ დაისაკუთრა გლობალური ლიდერის როლი. ამავე დროს, ჩვენ ვხედავთ, რომ საზღვაო ძლიერებასთან ერთად XX საუკუნეში ლიდერს საჰაერო ძლიერებაც დასჭირდა და აშშ-ის მაგალითზე ეს კარგად გამოჩნდა.

ყოველ ციკლში ოთხი ფაზაა გამოყოფილი: 1. გლობალური ომი; 2. მსოფლიო ბატონობა; 3. დელეგიტიმაცია; 4. დეკონცენტრაცია.

გლობალური ომი გლობალური სისტემის უკიდურესი უწესრიგობის ეამს ხდება. ხანგრძლივი და მძაფრი გლობალური ომის შედეგია „მსოფლიო ბატონის", ლიდერის გაჩენა, რომელსაც საზღვაო ძლიერებაში (დღეს – ჰაერშიც!) ვერავინ შეეცილება. ძალის რეკონცენტრაცია და ლეგიტიმაცია, ჩვეულებრივ, ომის შედეგად ხელმოწერილ შეთანხმებებში აისახება. ახალი მსოფლიო ლიდერი, საკუთარი უსაფრთხოებისა და ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებით, მსოფლიო ეკონომიკის რეგულირებისა და პოლიტიკური სტაბილურობისათვის იყენებს თავის ბატონობას ზღვებზე და მსოფლიო ვაჭრობაში. ლიდერობის შენარჩუნების „სიძვირე" და ახალი მეტოქეების გამოჩენა თანდათანობით ასუსტებს მსოფლიო ლიდერის პოზიციებს და მესამე ფაზაში ახალი პრეტენდენტების აღმევება და არსებული მსოფლიო წესრიგის დელეგიტიმაცია ძლიერდება. მეოთხე, დეკონცენტრაციის ფაზაში, ეს პროცესი თავის აპოგეას აღწევს. ამის შედეგად უწესრიგობაში ჩაფლული სისტემის სტაბილურობისათვის პოლიტიკური რესურსები აღარ რჩება და მსოფლიო ლიდერის გეირგვინის მოსაპოვებლად კვლავ გლობალური ომი იწყება. გლობალური ომების პერიოდები იყო: 1. იტალიის ომები (1494-1517 წწ.), რომელთა წიაღიდანაც პორტუგალია აღმევდა, როგორც მსოფლიო ლიდერი; 2. ომი ნიდერლანდების დამოუკიდებლობისათვის (1585-1609 წწ.), რომელმაც ნიდერლანდები მსოფლიო ლიდერის პოზიციაზე გაიყვანა; 3. ლუი XIV-ს ომები (1689-1715 წწ.), რომელთა შედეგადაც მსოფლიოს „ბატონი" დიდი ბრიტანეთი გახდა; 4. საფრანგეთის რევოლუციური და ნაპოლეონის ომები

(1792-1815 წწ.), რომლებმაც განაახლეს დიდი ბრიტანეთის ბატონობა; 5. ორი მსოფლიო ომი XX საუკუნეში (1914-1918 წწ. და 1939-1945 წწ.), რომლებმაც გზა გაუხსნეს აშშ-ს მსოფლიო ბატონობისაკენ.

ჯ.მოდელსკის თეორიის თანახმად, გლობალური ომები არ იწყება როგორც მსოფლიო ლიდერობისათვის მეტოქეთა უშუალო შერკინება; ისინი ლოკალური კონფლიქტებიდან გლობალურში გადაიზრდება ხოლმე.[149] ამ თეორიის თანახმად, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გლობალური ომი არ მომხდარა იმიტომ, რომ მსოფლიო ლიდერმა აშშ-მა საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებში წესრიგის დასამყარებლად საკმარისი ძლიერების შენარჩუნება შეძლო. ტომპსონის გამოთვლების თანახმად, გლობალურ ომებს შორის მშვიდობიანი ინტერვალი 80 წელიწადია. იგი შემდეგი გლობალური ომისათვის საჭირო პირობების შექმნას 2025 წლისათვის წინასწარმეტყველებს.[150] ჯ.მოდელსკის გაანგარიშებით, გლობალური ომის საშიშროება 2030 წლისათვის დადგება. ამ თეორიიდან გამომდინარეობს, რომ ბირთვული იარაღის არსებობას და მისით შეკავებას გრძელი ციკლების განვითარებისათვის მნიშვნელობა არა აქვს და თუ არ გამოინახა რაიმე ახალი მექანიზმი, რომელიც გლობალურ ომს თავიდან აგვაცილებს, მსოფლიო ლიდერობისათვის ბრძოლის ლოგიკა კვლავ მსოფლიო ომამდე მიგვიყვანს.[151] გლობალური ომების არსებითი ფუნქცია კი დედამიწაზე ახალი ლიდერის შემრჩევი მექანიზმის როლის შესრულებაში მდგომარეობს. ამ თეორიას დიდი ყურადღება ექცევა საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში, იგი ამჟამად კრიტიკული ანალიზის სტადიას გადის.[152]

ჯოშუა გოლდსტაინის გრძელი ციკლების თეორია.

საერთაშორისო ურთიერთობათა პროცესებისა და მოვლენების რთულ ალგებრაში გზის გაკვლევისა და გარკვეულ კანონზომიერებათა გამოვლენის კიდევ ერთი ცდაა ამერიკელი ჯოშუა გოლდსტაინის ე.წ. გრძელი ციკლების თეორია.[153] მასში ერთმანეთთან არის დაკავშირებული მსოფლიო ეკონომიკური აღმავლობისა და სტაგნაციის გრძელი ტალღები, ჰეგემონი სახელმწიფოების აღზევება, დაცემა და დიდი ომები.

---

149 W.R.Thompson. Uneven Economic Growth, Systemic Challenges and Global War. "International Studies Quarterly", 27, September 1983, p.349

150 W.R.Thompson. On Global War..., 1988, p.276

151 G.Modelski. Exploring Long Cycles. Boulder, CO.,Lynne Rienner Publishers, 1987

152 J.S.Levy. Long Cycles..., pp.157-160

153 J.Goldstein. Long Cycles: Prosperity and War in the Modern Age. New Haven, Yale University Press, 1988

ამ თეორიაში ნაჩვენებია ხანგრძლივი, 50-წლიანი ეკონომიკური „ტალღების“ არსებობა, მათი მნიშვნელობა საერთაშორისო ურთიერთობებისათვის და, განსაკუთრებით, დიდი ომების ციკლური ხასიათისათვის. გოლდსტაინის თეორიიდან ის აზრი გამომდინარეობს, რომ ეკონომიკური აღორძინება, წარმოების გაფართოება ზრდის რესურსებზე მოთხოვნილებას. რესურსების გამო მეტოქეობას კი დიდ ომამდე მივყავართ, რადგან მათზე კონტროლის დამყარება უამისოდ არ ხერხდება. აღმაელობის გზამე მდგარი ეკონომიკა სახელმწიფოს სამხედრო ძლიერებასა და შესაძლებლობებს ზრდის და მისთვის ომი მისაღები ინსტრუმენტი ხდება. თავის მხრივ, დიდი ომი დიდ ზიანს აყენებს ეკონომიკას; იგი კნინდება და უკვე აღარც ომი შეუძლია და აღარც ეკონომიკური აღმაელობისათვის საჭირო რესურსების სათანადო მოცულობა აბადია. მაგრამ მშვიდობიანი განვითარება ხელახალ ბიძგს აძლევს ეკონომიკას და იწყება აღმაელბის ახალი, 50-წლიანი ციკლი.

გოლდსტაინის თეორიის თანახმად, მსოფლიო ეკონომიკური აღმაელობის პროცესი მოსალოდნელია 1995-2020 წლებში და იგი დაემთხვევა აშშ-ის, როგორც მსოფლიო ჰეგემონის, დაკნინების პროცესს.[154] ამიტომ 2000-2030 წლები იქნება ეკონომიკური აღმაელობისა და სუსტი ჰეგემონის ეპოქა, რაც დიდი ომის შესაძლებლობის პირობებს ქმნის, განსაკუთრებით, ხსენებული პერიოდის მიწურულისათვის, როცა პოტენციური მეტოქეები შეძლებენ საკმარისი სამხედრო ძალის დაგროვებას.

ვერც გოლდსტაინის თეორია გადაურჩა კრიტიკის ქარცეცხლს. სხვა მომენტებთან ერთად კრიტიკოსები, ხაზს უსვამენ იმ გარემოებასაც, რომ მეორე მსოფლიო ომი უდიდესი ეკონომიკური კრიზისის შემდეგ დაიწყო და არა მსოფლიო ეკონომიკური აღმაელობის „ტალღის“ მიწურულში. თვით გოლდსტაინიც ალიარებს, რომ მის თეორიაში, მეორე მსოფლიო ომი მართლაც „ანომალიაა“, მაგრამ დანარჩენ ცხრა შემთხვევაში თავის შეხედულებას მართებულად მიიჩნევს.[155]

ეკონომიკური აღმაელობისა და ომების ციკლების შესწავლა მთელ რიგ საყურადღებო კითხვას ბადებს. მაგალითად, განა წარმოების ზრდას აუცილებლად რესურსებისათვის ბრძოლამდე მივყავართ? თანამედროვე ეკონომიკაში აღმაელობის მიღწევა შესაძლებელი ხდება შიდა რესურსების ინტენსიური გამოყენების გზითაც, გარეშე რესურსების გამოყენება კი შესაძლებელია საერთაშორისო ვაჭრობის მექანიზმების გამოყენებით.[156] გარდა ამისა, გასათვალისწინებელია რ.გილპინის და სხვათა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სახელმწიფოები ომს იწყებენ მაშინ, როცა, მათი „ტამოთელით“, „შემოსავალი“ „სარჯებს“ გადაფარავს. დღევანდელ პირობებში კი დიდი ომი ამ მხრივ უაზროდ გვეჩვენება.

---

154 J.Goldstein. Long Cycles..., pp.350-357.

155 იქვე. ..., pp.242-243.

156 R.Rosecrance. The Rise of the Trading State. Basic Books, New York, 1986.

სამწუხაროდ, ყველა განხილული თეორია სკეპტიკურად ეკიდება საერთაშორისო მშვიდობის დამყარების შესაძლებლობებს და ომს ტრაგიკულ, მაგრამ ლოგიკურ მოვლენად მიიჩნევს.[157] ალბათ, ის მაინც უნდა გვახარებდეს, რომ ვერც ერთი ზემოხსენებული თეორია ვერ ახერხებს დაგვარწმუნოს იმაში, რომ ომი ბუნებრივი, ლოგიკური და „მოუშორებელი ჭირია".

---

157 არის კიდევ ერთი, ე.წ. „ძალაუფლების გადასვლის" თეორია, რომელიც ა.ორგანსკის ეკუთვნის. იგი საკმაოდ პოპულარული იყო თავის დროზე, მაგრამ ზოგიერთი თეორიული შეუსაბამობის გამო იგი დღეისათვის მიეიწყებულია. იხ.:A.F.K.Organski. World Politics. 2nd Edition. A.Knopf, New York, 1968

ეროვნული ინტერესები

არც იმისთანის ნაგერა უნდა, რაც უიმისოდაც არ აგეცდება, და არც იმისთანისა, რასაც თითონ ბუნება უარყოფს და არ გვითმობს.

ილია

საშინაო და საგარეო პოლიტიკაში ცნება „ეროვნული ინტერესები" იმდენად მოარულია, რომ მას ნებისმიერი პოლიტიკური აქციის დასასაბუთებლად და გასამართლებლად იყენებენ.[158] ამ ცნებამ რაღაც განსაკუთრებული, ერთგვარი მისტიკური ელფერიც კი მიიღო. ეროვნული ინტერესები „მაღალი პოლიტიკის" ქვაკუთხედად არის აღიარებული. „მაღალი პოლიტიკა" კი სუვერენული სახელმწიფოს არსებობისა და განვითარების აუცილებელი პირობაა. ე.წ. „ეროვნული მიზნებისა" და „ეროვნული პერსპექტივის" რეალიზაცია ეროვნული ინტერესების განსაზღვრის შედეგად, მათი თანმიმდევრული დაცვით ხორციელდება (ცხადია, აქ აუცილებელი კორექტირებაც იგულისხმება).

ეროვნული ინტერესები საგარეო პოლიტიკის საკვანძო ცნებაა.[159] თანამედროვე, ე.წ. ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში, სადაც არ არის საერთაშორისო კანონების მეობა და არ არსებობს საერთაშორისო წესრიგისა და მშვიდობის გარანტად გამოსადეგი უზენაესი ხელისუფლება, სუვერენული სახელმწიფოები აგარებენ ისეთ საგარეო პოლიტიკას, რომელიც, მათი მთავრობების აზრით, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარეობს, რაც, თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში გაბატონებული ფასეულობების გათვალისწინებით, სახელმწიფოთა პოლიტიკური და ეკონომიკური ძლიერების გაზრდას გულისხმობს.

ეროვნული ინტერესების კონცეფცია პოლიტიკური რეალიზმის სკოლასთან არის დაკავშირებული. იგი ფაქტობრივად, მისი პირმშოა. ეს კონცეფცია პოლიტიკური რეალიზმის შეხედულებათა სისტემის საკვანძო ელემენტია.[160] ამავე დროს იგი ყველაზე ნაკლებად იყო შესწავლილი და ზოგადი ფორმულირებების დონეს ვერ გასცდა. ჰ.რეინოლდსის შეხედულებით, ცნება „ეროვნული ინტერესები", საერთოდ, უვარგისია, რადგანაც მას არ გააჩნია ზუსტი მნიშვნელობა. გარდა ამისა, კონკრეტული ქვეყნის ეროვნული ინტერე-

---

158 ჩვენში „ეროვნული ინტერესების" ნაცვლად ხშირად იყენებენ ტერმინებს „ეროვნულ-სახელმწიფოებრივი" ან „სახელმწიფოებრივი ინტერესები". დასავლურ სპეციალურ ლიტერატურაში „ერი" და „სახელმწიფო" სინონიმებია.

159 ეროვნული ინტერესების შესახებ იხ.:H.J.Morgenthau. Another "Great Debate", The National Interest of the United States. "American Political Science Review". XLVI, 1952, pp 961-978; J.Frankel. National Interest. London, Praeger, 1970; A.Sonderman. The Concept of National Interest. "Orbis", Spring 1977, pp 121-138.

160 H.J.Morgenthau. Politics Among Nations..., pp. 8-9

სების ჩამოყალიბება შეუძლებელია და ამ ცნებას პოლიტიკოსები საზოგადოებრიობისა და საკუთარი თავის მოსაგყუებლად იყენებენ.[161] ზემოთქმულის მიუხედავად, ეს ცნება მეტად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა და იგი დღემდე ფართოდ გამოიყენება საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიასა და პრაქტიკაში.

სახელმწიფო მოღვაწეები, პოლიტიკური პარტიები თუ მოსახლეობის დაინტერესებული ჯგუფები, რომლებიც მონაწილეობენ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის შემუშავებაში ან ამ პოლიტიკას წარმართავენ, თავიანთ შეხედულებებს, გადაწყვეტილებებს და პოლიტიკას სწორედ ეროვნული ინტერესებით ასაბუთებენ და ამართლებენ. ეროვნული ინტერესები და ეროვნული უსაფრთხოება,* იმის გამო, რომ მათ მუსტი მნიშვნელობა არ გააჩნიათ, როგორც ცალკეული პიროვნებების, ასევე საზოგადოებრიობის სხვადასხვა ჯგუფების მიერ სხვადასხვაგვარად აღიქმებიან. ამიტომაც, ძალზე რთულია, მთელი ქვეყნის მასშტაბით კონსენსუსს მიაღწიო, როცა იმაზეა საუბარი, თუ რაში მდგომარეობს ქვეყნის ეროვნული ინტერესები და რანაირი საგარეო პოლიტიკით უნდა მიაღწიოს მან წარმატებას.

<u>ეროვნული ინტერესების არსი.</u> ზოგადად ეროვნული ინტერესები გულისხმობს გარკვეულ მიზნებს, რომელთა მიღწევისათვის სახელმწიფომ უნდა გააგაროს სათანადო პოლიტიკა. ეროვნული ინტერესები გულისხმობს აგრეთვე პოლიტიკის ისეთ მიმართულებას, რომელიც დანარჩენებისაგან გამოირჩევა, მიუხედავად იმისა, რაოდენ ალტერნატიულადაც არ უნდა გამოიყურებოდნენ ისინი. ამგვარი პოლიტიკა გულისხმობს იმ მიზნების მიღწევას, რომლებიც ცალკეული პირების, ჯგუფების ინტერესებს კი არ გამოხატავენ, არამედ მთელი ერის, სახელმწიფოს ინტერესებს. ამგვარი პოლიტიკა იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი ეროვნულ, სახელმწიფო ინტერესებს არის დაქვემდებარებული.[162] პოლიტიკური რეალიზმის ერთ-ერთი „მამამთავარი" ჰ.მორგენთაუ აღნიშნავს, რომ ეროვნულ ინტერესებს დაცვა სჭირდებათ („ეროვნული ინტერესები დაცულ უნდა იქნან არაეროვნული ინტერესების მიერ უზურპაციისაგან").[163]

ნებისმიერი საგარეო პოლიტიკა, რომელიც ეროვნული ინტერესებით განისაზღვრება, აუცილებლად გულისხმობს, ყველაზე ცოტა, ერის, ქვეყნის გადარჩენას, მისი ტერიტორიული მთლიანობის, პოლიტიკური ინსტიტუტების, კულტურის შენარჩუნებას. მაშასადამე, ყოველი სახელმწიფო მოწოდებულია, დაიცვას საკუთარი გეოგრაფიული, პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტუ-

---

161 P.A.Reynolds. An Introduction to International Relations. Second Edition. Longman, London, 1990, pp 48-50

* ზოგჯერ ეს ორი ცნება გაიგივებულია, მაგრამ სინამდვილეში„ეროვნული უსაფრთხოება" ეროვნული ინტერესების უმნიშვნელოვანეს, მაგრამ მაინც ერთ შემადგენელ ნაწილად უნდა ვაღიაროთ.

162 A.Wolfers. "National Security" as an Ambiguous Symbol. "Political Science Quarterly", 67, December 1952, p.481

163 H.J.Morgenthau. Another "Great Debate"...., p.963

რული სახე, როცა სხვა სახელმწიფოსაგან ხელყოფის საფრთხე ემუქრება.

ჰ.მორგენთაუ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სახელმწიფო მოღვაწეები საერთაშორისო ასპარეზზე მოღვაწეობისას სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე ფიქრობენ და მოქმედებენ. ასე იყო წარსულში, ასეა ამჟამად და ასევე იქნება მომავალშიც.[164] აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა ჰ.კისინჯერმა 1974 წელს ვაშინგტონში განაცხადა, რომ აშშ-ის საგარეო პოლიტიკა არის პრაგმატული და იგი ნაკარნახევია ქვეყნის ინტერესებით. მსგავსი შეხედულებანი და განცხადებები საკმაოდ ხშირია განსაკუთრებით პოლიტიკური რეალიზმის სკოლის წარმომადგენელთა და პრაქტიკოს-პოლიტიკოსთა შორის.[165]

პოლიტიკური რეალიზმის პრინციპების თანახმად (საერთაშორისო პოლიტიკაში ჯერჯერობით სწორედ ეს პრინციპებია ყველაზე მეტად გამოყენებული!), საერთაშორისო პოლიტიკა, ისევე როგორც ყველანაირი პოლიტიკა, ძალაუფლებისათვის განუწყვეტელი ბრძოლაა. რადგან სუვერენული სახელმწიფოები საერთაშორისო პოლიტიკის წამყვანი მოქმედი პირები არიან, ძალა პოლიტიკის მისაღები და ეფექტური ინსტრუმენტია, ხოლო ძლიერება – სასურველი მიზანი. საერთაშორისო სისტემას ახასიათებს სახელმწიფოთა შორის აქტიური ან პოტენციური კონფლიქტი და მუდამჟამს ძალის გამოყენების, ომის შესაძლებლობა. ყოველი სახელმწიფო ცდილობს დაიცვას საკუთარი ტერიტორია და ინტერესები ნამდვილი ან მოჩვენებითი საშიშროებისაგან. ქვეყნებს შორის პოლიტიკური ინტეგრაცია სუსტია და იქამდე გრძელდება, სანამ იგი ამ ქვეყნების ეროვნულ ინტერესებს ემსახურება. მხოლოდ ძალის გამოყენება ან მისი დემონსტრირება (მუქარა) არის ქვეყნის გადარჩენის ფაქტორი. როცა პოლიტიკოსები, სახელმწიფოთა ლიდერები თავიანთი ინტერესების ურთიერთშეთანხმებას ახერხებენ, ან როცა მყარდება ძალთა წონასწორობა, საერთაშორისო სისტემა სტაბილურობას იძენს.

სახელმწიფოს ეროვნული ინტერესები, პირველ ყოვლისა, „მაღალი პოლიტიკის", ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებს გულისხმობს. ნებისმიერი მთავრობა, დემოკრატიულია იგი თუ – არა, ეროვნული ინტერესების დაცვის პოლიტიკას გააგარებს, – რადგან დაუნდობელ ანარქიულ საერთაშორისო ასპარეზზე ეს ერთადერთი ლოგიკური არჩევანია.

რას ნიშნავს ეროვნული ინტერესები? კ.დოიჩის აზრით, ინდივიდისა თუ ჯგუფის ინტერესები განისაზღვრება ორი მომენტით: ყურადღების პრიორიტეტითა და „ჯილდოს" მოლოდინით.[166] თუ რაიმემ აღძრა ჩვენი ინ-

---

164 H.J.Morgenthau. Politics Among Nations..., p.5

165 ამ მხრივ საყურადღებოა თანამედროვე რუსეთის ეროვნული ინტერესების ფორმულირების ცდები. იხ.: Преображенная Россия в новом мире. "Международная жизнь". Март-Апрель, 1992, стр. 86-113, Н. Нарочницкая. Национальный интерес России. "Международная жизнь". Март-Апрель, 1992, стр. 114-123.

166 K.W.Deutch. The Analysis of International Relations. Prentice-Hall, Englewood Cliffs, 1968, p.51

ტერესი, იგი ჩვენს ყურადღებას მიიქცევს და გარკვეულ გამოცდილებას, კმაყოფილებას მოგვანიჭებს ან ამგვარი „ჯილდოს“ მიღების იმედს მოგ-ეცემს. „ჯილდოს“ მიღება ნიშნავს ისეთი რამის მიღებას, რასაც ჩვენთვის ფასი აქვს, ან იმის შენარჩუნებას, რაც გვეძვირფასება და რის დაკარგვასაც ვერ შევურიგდებოდით. პოლიტიკაში კი უპირველესი „ჯილდო“ უსაფრთხოებაა. ამასთან ერთად – თავისუფლება, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, ეროვნული ღირსება, ეკონომიკური კეთილდღეობა და სხვ.

როგორც ვხედავთ, ეროვნული ინტერესების საფუძველში გარკვეული ფასეულობები ძევს. ეს ფასეულობები ერის ფასეულობებია, მისი კულტურის პროდუქტს წარმოადგენს და მის ერთიანობას გამოხატავს. ფასეულობები გამოიხატება იდეოლოგიაში, რომელიც შეიძლება დემოკრატიულიც იყოს და ტოტალიტარულიც. მაგრამ იდეოლოგია მხოლოდ მისწრაფებებს გამოხატავს, რადგან არც ერთი საზოგადოება არ გამხდარა აქამდე სრულიად დემოკ-რატიული ან ტოტალიტარული.

ფასეულობათა სისტემები ხანდახან ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მყოფ ფასეულობებს მოიცავენ. ასევე უნდა გვახსოვდეს, რომ სხვადასხვა კულტურები ერთსა და იმაეე ფასეულობებს სხვადასხვა მნიშვნელობებს ანიჭებენ. ადამიანები უმაღლეს ფასეულობას ყოველთვის ეძიებდნენ, მაგრამ ამ როლის შესასრულებლად „ეროვნულ ინტერესებს“ საკმარისად მკაფიო მნიშვნელობა არა აქვთ მინიჭებული, ხოლო უმაღლესი ფასეულობის როლს „ძალაუფლება“, „ძლიერება“ ასევე ვერ შეასრულებს. მართალია, ძალაუ-ფლება, ძლიერება გადარჩენის აუცილებელი პირობაა, მაგრამ იგი საკმარი-სად უნიეერსალური მაინც არ არის. როცა ორი ან მეტი ფასეულობა ერთ-მანეთთან წინააღმდეგობაში მოდის, მათი შეფარდებითი მნიშვნელობა შეიძლება დადგინდეს და „დალაგდეს“, მაგრამ ეს ხშირად იოლი როდია; რადგან ამ პროცესში კონკრეტული ეითარება და ემოციები დიდ როლს ას-რულებენ, რაც ართულებს ფასეულობათა მნიშვნელობის ობიექტურად შე-ფასებას. ფასეულობები თავიანთ სრულ პოლიტიკურ მნიშვნელობას აელენენ ქმედებაში, როცა პოლიტიკოსები მათ აქტიურად იყენებენ.[167] პოლიტიკური გადაწყვეტილება მოითხოვს პოლიტიკოსისაგან, თავისი ფასეულობები შეუ-თავსოს იმ გარემოს, რომელშიც ის იმყოფება. ამიტომ მას სჭირდება სანდო, დიდი ინფორმაცია და პოლიტიკური ინტუიცია. ამის გარეშე ჭირს ფასეულო-ბათა „გადაყვანა“ ეროვნულ ინტერესებში.

სახელმწიფოს ეროვნული ინტერესები გულისხმობს ისეთ ფასეუ-ლობებსა და მიზნებს, რომელთა მისაღწეევად თუ შესანარჩუნებლად იგი შეიძლება უდიდეს მსხვერპლზე დასთანხმდეს. სწორედ ეს ფასეულობები და მიზნები არის, ჩვეულებრივ, ზადებული ქვეყნების საგარეო პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და პრიორიტეტებში.[168] ისინი ამის გამო განიხილება

---

[167] J.Frankel. International Relations in a Changing World. New Edition. Oxford University Press, Oxford, 1990, p.97

[168] G.Modelski. A Theory of Foreign Policy. Praeger, New York, 1962, p.86

როგორც წმიდათაწმიდა ინტერესები და მიზნები. პოლიტიკოსები ამგვარ ინტერესებს „სასიცოცხლოს" უწოდებენ, ხოლო მეცნიერები – ძირითად, მთავარ ფასეულობებს.

რომელი ინტერესები და ფასეულობებია სასიცოცხლო? ტრადიციულად, სახელმწიფოს ასეთი ინტერესები დაკავშირებულია მის სიცოცხლისუნარიანობასა და არსებობასთან. ეს არის სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა, დამოუკიდებლობა, კულტურული თვითმყოფადობა, პოლიტიკური ინსტიტუტები, სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა.

სასიცოცხლო ინტერესებს ხშირად აიგივებენ ეროვნულ უსაფრთხოებასთან. ზოგჯერ სასიცოცხლო ინტერესებად წმინდა პრესტიჟული მომენტებიც კი ცხადდება. მაგალითად, 70-იანი წლების დასაწყისში ისრაელის მთავრობამ იერუსალიმი ქვეყნის დედაქალაქად გამოაცხადა. ეს არ იყო უკიდურესად აუცილებელი არც უსაფრთხოების თვალსაზრისით,. არც ეკონომიკურად და არც იდეოლოგიურად, მაგრამ იერუსალიმს, როგორც სიმბოლოს, სასიცოცხლო ინტერესების „სტატუსი" მიეკუთვნა.

გამოყოფენ ეროვნული ინტერესების სხვადასხვა ტიპებს. მაგალითად, განასხვავებენ სასიცოცხლო და მეორეხარისხოვან, ზოგად და განსაკუთრებულ ინტერესებს. განასხვავებენ აგრეთვე იდენტურ, „ურთიერთშემავსებელ" და წინააღმდეგობრივ ეროვნულ ინტერესებს. ჯ.ფრენკელი გვთავაზობს ეროვნული ინტერესების ფორმულირების ორ დონეს: სასურველსა და ოპერაციულს (შესაძლებელს).[169] პირველი მოიცავს იმ მიზნებსა და ამოცანებს, რომელთა რეალიზება სასურველი იქნებოდა სათანადო წანამძღვრებისა და საშუალებების არსებობის პირობებში. როგორც წესი, ამგვარი ეროვნული ინტერესები გრძელვადიანია. პანარაბიზმი, პანთურქიზმი, მსოფლიო რევოლუცია, კომუნიზმის მსოფლიოში გაბატონება ამგვარი ინტერესების კარგი მაგალითებია. მეორე დონის ინტერესები, ჩვეულებრივ, მოკლევადიანია, არსებული პირობებისა და შესაძლებლობების ადეკვატურია. დიდ ბრიტანეთის ინტერესის მაგალითად მის მიერ ინდოეთისაკენ მიმავალ საზღვაო გზაზე სტრატეგიული ბაზების „ჯაჭვის" (გიბრალტარი, მალტა, კვიპროსი, სუეცი, ადენი) შექმნა და შენარჩუნებაც იკმარებს.

საერთაშორისო ურთიერთობათა თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ეროვნული ინტერესების „ეკონომიკური კომპონენტის" მკვეთრად გაზრდილი მნიშვნელობა. სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაცია, ინტეგრაციული პროცესები, ტრანსნაციონალური კორპორაციების ბატონობა, გეოპოლიტიკის გეოეკონომიკად ტრანსფორმირება, ქმნიან ისეთ ვითარებას, როცა არა მხოლოდ კონფლიქტების მიზეზები, არამედ მათი გადაწყვეტის საშუალებებიც სულ უფრო ხშირად ეკონომიკურია (იმპორტის შემცირება-გადიდება, ექსპორტის სუბსიდირება, კონკურენტუნარიანი ტექნოლოგიური პროექტების დაფინანსება და ა.შ.). ეს კი ეროვნულ ინტერესებს ძლიერ ეკონომიკურ „შეფერილობას" ანიჭებს. ყოველი სახელმწიფო

---

169 J.Frankel. National Interest. London, Praeger, 1970, pp.31-38

ეკონომიკურად იმდენად მჭიდროდ არის დაკავშირებული დანარჩენ სამყაროსთან, რომ მისი სიცოცხლისუნარიანობა, მისი მოსახლეობის დასაქმება და კეთილდღეობა საერთაშორისო სამეურნეო პროცესებზეა დამოკიდებული. ეკონომიკური ფაქტორები ლამის ეროვნული ინტერესების „ჯამგებლებად" იქცნენ.[170] ეროვნული ინტერესების ეკონომიკურ კომპონენტს ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ხოლო თანამედროვე სახელმწიფოების ეროვნული ინტერესები იმდენად „ეკონომიზებულია", რომ ზოგიერთ შემთხვევებში პოლიტიკური მხარე ეკონომიკური ინტერესებით თითქმის იჩრდილება. ამიტომაა, რომ ექსპერტების გარკვეული ნაწილი თანამედროვე სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების განმსაზღვრელ ფაქტორად ეკონომიკურ კეთილდღეობას მიიჩნევს. ეროვნული ინტერესების ფორმულირების მექანიზმი, ზოგიერთი აეტორის აზრით, ეკონომიკურ თეორიაში კარგად ცნობილი ინდივიდუალური მომხმარებლის მიზნებისა და მოთხოვნილებების ფორმულირების ანალოგიურია.[171]

სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური მიზნები უნდა გამომდინარეობდეს მისი ეროვნული ინტერესებიდან.[172] მაშასადამე, ეროვნული ინტერესები გულისხმობს გარკვეული მიზნების იდეალურ შეთანხმებას. ეს ის მიზნებია, რომელთა ცხოერებაში დამკვიდრებას სუვერენული სახელმწიფო (სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის გზით) გარკვეული დროის განმაელობაში ცდილობს.[173] მიზანი ან მიზნები არსებითად არის ისეთი მომაეალი ვითარება ან პირობები, რომელთა მიღწევა საჭიროდ მიაჩნია სახელმწიფოს ხელმძღვანელობას. ზოგიერთი მიზანი, შესაძლოა, კარგა ხანს აქტუალური იყოს, ზოგიერთები კი საკმაოდ სწრაფად ენაცვლებოდეს ერთმანეთს. საგარეო პოლიტიკაში ძალზე ხშირია შემთხვეევები, როცა ეროვნული ინტერესებისა და, მაშასადამე, საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტებისა და მიზნების ფორმულირება არა ხანგრძლივი პროცესის შედეგად, არამედ მოულოდნელი მოელენების საპასუხოდ, „ცაიტნოგის" პირობებში, სწრაფი რეაგირების გზით ხდება. არაერთგზის აღნიშნულა, რომ ყველაზე მნიშვნელოეანი გადაწყვეტილებები ხშირად სწორედ ამგვარ კრიზისულ ვითარებაში და დროის უქონლობის პირობებში ყოფილა მიღებული. ამგვარი პრაქტიკის გამოა, რომ, საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალისტების გარკვეული ნაწილის აზრით, მთაერობებს, ჩვეულებრივ, არ გააჩნიათ „დაგეგმილი" პოლიტიკა და ისინი მხოლოდ სხვათა ქმედებებს უპასუხებენ;[174] თუმცა ამგვარი პოლიტი-

---

170 ამ საკითხის შესახებ იხ.:E.N.Luttwak. From Geopolitics to Geo-economics. Logic of Conflict, Grammar of Commerce. "The National Interest", N20, Summer 1990

171 R.Gilpin. War and Change in World Politics. Cambridge University Press, Cambridge, 1989, pp.18-25

172 A.Tonelson. What is the National Interest. "Atlantic Monthly". July 1991, p.38

173 P.Seabury. Power, Freedom and Diplomacy: The Foreign Policy of the United States of America. Random House, New York, 1963, p.86

174 K.J.Holsti. International Politics. A Framework For Analysis. Prentice-Hall, Englewood Cliffs, 1983, p.125

კაც აუცილებლად უნდა ემყარებოდეს ეროვნულ ინტერესებს, რომლებიდანაც მომდინარეობს სახელმწიფოს პოლიტიკური ორიენტაცია და, საერთაშორისო სისტემასა და საზოგადოებაში მისი ადგილიცა და როლიც.

ეინ აყალიბებს, განსაზღვრავს სასელმწიფოს ეროვნულ ინტერესებს? ჰ.მორგენთაუ აღნიშნავს, რომ საზოგადოების სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფები ეროვნული ინტერესების თავისებურად განსაზღვრას ცდილობენ. მეწარმეები, ეთნიკური უმცირესობები, პარლამენტი, მთავრობა, ყველანაირი იდეოლოგები ერთმანეთს ეჯიბრებიან, თავიანთი კერძო ინტერესები ეროვნულ ინტერესებად გამოაცხადონ და გააასაღონ. მორგენთაუ ამას „ეროვნული ინტერესების" უზურპაციის მცდელობას უწოდებს. მისი აზრით, მთავარია ობიექტური ანალიზის გზით ეროვნული ინტერესების „რაციონალური ბირთვის" განსაზღვრა. როცა ეს ბირთვი იკვეთება, მაშინ ზემოაღნიშნული უზურპაციის მცდელობების მიუხედავად, ეროვნული ინტერესები მართებული და გამჭვრიახი საგარეო პოლიტიკის საძირკველს ქმნის. მნეობრივი აბსტრაქციებით ნაკარნახევი საგარეო პოლიტიკა, ეროვნული ინტერესებისთვის ანგარიშის გაწევის გარეშე, უნაყოფოა.[175]

ეროვნული ინტერესების განსაზღვრა და მათი რეალიზება ქვეყნის პოლიტიკური ელიტის საკმაოდ მაღალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ კულტურასთან ერთად, აგრეთვე დახვეწილ დიპლომატიას მოითხოვს. ამ მხრივ საყურადღებოა ახლადშექმნილი სუვერენული სახელმწიფოების მთავრობათა მიერ ეროვნული ინტერესების შემუშაევება-რეალიზების პროცესთა თავისებურებანი. ამგვარი სახელმწიფოები, როგორც წესი, რევოლუციური ძვრების, პოლიტიკური და ეკონომიკური კატაკლიზმების, ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპის ცხოვრებაში გატარებისა და სეპარატიზმის შედეგად არიან წარმოშობილნი და მათ, მეტწილად, ტამოუცდელი, პოპულიზმისა და ნაციონალიზმის „საფუარით" აღზევებული პოლიტიკური ძალები განაგებენ. სისხლიანი თუ „საევრდოვანი" რევოლუციები, დიდი სახელმწიფოების დაშლა თუ სხვადასხვა ქვეყნების ინტეგრირება არღვეევენ საერთაშორისო და რეგიონულ სისტემებში ძალთა წონასწორობას, ქმნიან ძალის ვაკუუმს, პოტენციურ აგრესორებს სხვათა ხარჯზე საკუთარი პოზიციების გაუმჯობესების ცდუნებებსა და შესაძლებლობებს უქმნიან. რევოლუციურ მთავრობებს რაც შეეხება, მათ ხშირად მეტისმეტი იდეოლოგიზაციითა და უკიდურესი ნაციონალიზმით გამოწვეული იდეოლოგიური პათოლოგია, რეალური პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების უგულებელყოფა და გარე სამყაროსა თუ სხვა საერთაშორისო მოვლენების რამდენადმე სპეციფიური, არარეალისტური, დამახინჯებული აღქმა და ხედვა ახასიათებთ. ამას ემატება ეროვნული სუვერენიტეტისა და ეროვნული თვითგამორკვევის ძალების დაპირისპირება ეთნიკურად არაერთგვაროვან ქვეყნებში (ამის მაგალითებად ყოფილი იუგოსლავია და სსრკ კმარა). ყოველ ერსა და ეთნიკურ ჯგუფს

---

175 H.J.Morgenthau. In Defence of National Interest: A Critical Examination of American Foreign Policy. A.Knopf, New York, 1951, pp.33-34

საკუთარი ისტორიული ხედვა აქვს. საკუთარი წარსულის განდიდება და უკეთესმართი ისტორიული მოვლენების მსხვერპლად საკუთარი თავის გამოცხადებაც აგრეთვე ჩვეულებრივი მოვლენაა. ამგვარ პირობებში მოვლენების ობიექტური, რაციონალური ჭვრეტა და ეროვნული პერსპექტივის, ეროვნული ინტერესების განსაზღვრა და სათანადო პოლიტიკის გატარება მეტად რთული ამოცანაა. რეოლუციური, იდეოლოგიზირებული და ნაციონალისტური რეჟიმების მქონე ახლადწარმოქმნილი, სუვერენული სახელმწიფოების ხელმძღვანელობა, ჩვეულებრივ, დიდ ყურადღებას უთმობს ეროვნული ინტერესების სამხედრო ასპექტებს, მაშინ როცა ეს ინტერესები ეკონომიკურ და კულტურულ მიმნებსაც მოიცავს. სამხედრო ინტერესების მიმართ მეტისმეტი ყურადღება ნიშნავს სამხედრო ხარჯების ზრდას, რაც მოსახლეობის კეთილდღეობას ხელს სულაც არ უწყობს. ამის შედეგად ქვეყნის ეროვნულ ინტერესებში ჩადებულია შიდა წინააღმდეგობა, რომელსაც ხატოვნად „კარაქისა და ზარბაზნის" დილემას უწოდებენ.

დიდი, ძლიერი ქვეყნის ეროვნული ინტერესები მსოფლიოს ყველა მხარეზე და ცხოვრების ყველა სფეროზე ვრცელდება. ასე მაგალითად, XIX საუკუნეში დიდი ბრიტანეთის ეროვნული ინტერესები გულისხმობდა ევროპის კონტინენტზე ძალთა წონასწორობის შენარჩუნებას, მსოფლიო ოკეანეზე ბატონობას, მეტროპოლიასა და კოლონიებს შორის კავშირებისა და ეაჭრობის უზრუნველყოფას. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში აშშ-ის ეროვნული ინტერესები, ჯ.ჩეისის შეხედულების თანახმად, ოთხ უმთავრეს ასპექტს მოიცავდა: ნებისმიერი პოტენციური აგრესორისათვის აშშ-ის ტერიტორიაზე თავდასხმის ყოველგვარი შესაძლებლობის გამორიცხვას; მთელ მსოფლიოში ერთა თვითგამორკვევისა და დემოკრატიისათვის მხარის დაჭერას; საერთაშორისო ვაჭრობის მფარველობას, მისთვის ხელის შეწყობას; მსოფლიოს მასშტაბით აშშ-ისთვის სასურველი ძალთა წონასწორობის დამყარებას.[176]

სამუალო ქვეყნების ეროვნულ ინტერესებში, როგორც წესი, უმნიშვნელოვანესი ადგილი უსაფრთხოების საკითხებს, რეგიონში ლიდერობისათვის ბრძოლას, „ზომგებიან" კოალიციაში შესვლასა და ხელსაყრელი საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებასა და განმტკიცებას უჭირავს.

პაგარა ქვეყნებისათვის უსაფრთხოების საკითხი (ძლიერი მოკავშირის, მფარველის გამონახვის, ხელსაყრელ კოალიციაში შესელისა თუ სხვა გზით) გადამწყვეტია. ვინაიდან პაგარა ქვეყნის ეკონომიკა, მისი შიდა ბაზრის მცირე ტევადობისა და მეურნეობის ნაკლები დიეერსიფიცირებულობის გამო, უფრო გახსნილია, უდიდესი მნიშვნელობა აგრეთვე ხელსაყრელ სტაბილურ ეკონომიკურ კავშირებს ენიჭება. ეროენული თვითმყოფადობისა და კულტურულ ფასეულობათა შენარჩუნების საკითხი პაგარა ქვეყნის ეროვნული ინტერესების მეტად „მგრძნობიარე" კომპონენტია. პაგარა, სამხედრო თვალ-

---

[176] J.Chase. Defining the National Interest of the United States. "Journal of Politics". November 1956, pp.720-734

საზრისით შედარებით სუსტი ქვეყნების ეროვნული ინტერესები, შესაძლოა, სხვათა თვალში შთამბეჭდავად არ გამოიყურებოდნენ, მაგრამ ძალზე შეგ-ღუდული სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალის გამო მათი უმრუნველყ-ოფა უკიდურესად ძნელი საქმეა. სწორედ პატარა ქვეყნების ეროვნული ინ-ტერესების განსაზღვრა და რეალიზება ყველაზე ნაკლებად უნდა შეიცავდეს ემოციურ, პოპულისტურ ელემენტებს; იგი უაღრესად რეალისტური, საკმარი-სად მოქნილი (ამაეე დროს პრინციპული) პოლიტიკის შემუშავებასა და გა-ტარებას მოითხოვს.

ეროვნული უსაფრთხოება

ხმალი მაშინ უფრო კარგია,
როცა იგი ფარია და არა საგევარი.
ილია

სუვერენული სახელმწიფოსთვის უსაფრთხოების საკითხები სასიცოცხლო მნიშვნელობისაა.[177] უსაფრთხოების უმრუნველყოფა გულისხმობს ბევრ რამეს, მაგრამ, პირველ ყოელისა, ეს არის სუვერენიტეტის, ქვეყნის მთლიანობის, პოლიტიკური ინსტიტუტების, კულტურული თვითმყოფადობის დაცვა-შენარჩუნება. ცნებას – „ეროვნული უსაფრთხოება" – ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს. მათი არგუმენტები შემდეგია: 1. ეს ცნება ძლიერი, მაგრამ ძალიან ბუნდოვანი სიმბოლოა.[178] 2. პრობლემა ეროვნული უსაფრთხოება კი არა არის, არამედ საერაშორისო უსაფრთხოება. ადამიანი უნდა ცხოვრობდეს უსაფრთხო მსოფლიოში და არა – უსაფრთხო ქვეყანაში; 3. ეროენული უსაფრთხოება სახელმწიფოს უსაფრთხოებაა და არა – ადამიანისა. მთავრობები ამ ცნებას ხშირად იყენებენ ქვეყნის შიგნით უკმაყოფილებისა და ოპოზიციის დასათრგუნავად. საკუთარი უსაფრთხოებისათვის სახელმწიფოს ზედმეტად აქტიური მრუნვის გამო პიროვნების პირადი უსაფრთხოება ხშირად შეზღუდულია; 4. ეს ცნება ხშირად გამოიყენება გარკვეული ჯგუფის ან პიროვნების ვიწრო ინტერესებისთვის (ამის მაგალითებია: ავტორიტარული ლიდერი, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი, ძალოვანი სტრუქტურები).

ვინაიდან ყოველი სუვერენული სახელმწიფო დღენიადაგ საკუთარ უსაფრთხოებაზე მრუნავს, ამიტომ არ არსებობს საყოველთაო უსაფრთხოება. ამის გამო მსოფლიო „ჩაეფლო" ისეთ ვითარებაში, რომელიც „უსაფრთხოების დილემის" სახელწოდებით არის ცნობილი. იგი ლოგიკურად გამომდინარეობს სუვერენულ სახელმწიფოთა საერთაშორისო სისტემის ანარქიულობიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველი სახელმწიფო საყოველთაო უნდობლობის ვითარებასა და უმენაესი საერთაშორისო ხელისუფლების არარსებობის პირობებში იძულებულია, თავად უმრუნველყოს საკუთარი უსაფრთხოება. მაშასადამე, ყოველი ქვეყანა, უნდა მას ეს თუ არა, იძულებულია გააძლიეროს საკუთარი სამხედრო და სამხედრო-ეკონომიკური შესაძლებლობები, რადგან არ არის დარწმუნებული, რომ მას ხელს არაყინ ახლებს. ამრიგად, ერთი ქვეყნის სამხედრო პოტენციალის მრდა აიძულებს მის მეტოქეს ან მეტოქეებს თავიანთი სამხედრო შესაძლებლობების გაძლიერებაზე იზრუნონ. ნათელია, რომ ყველაზე ძლიერი ქვეყანაც კი არ არის უსაფრთხოების მდგომარეობაში, რადგანაც მისი მეტოქე ან მეტოქეები,

---

177 ეროვნული უსაფრხოების ცნებისა და შინაარსის შესახებ იხ.:მალხაზ მაკაბერიძე. ეროვნული უსაფრთხოება:ცნება და შინაარსი. „პოლიტოლოგიის საკითხები" ნომ.1, თბ.,, 1992, გვ.17-29

178 A.Wolfers. Discord and Collaboration. Essays on International Politics. Johns Hopkins University Press, 1988, pp. 147-167

საპასუხოდ, საკუთარი პოზიციების გაუმჯობესებას ცდილობენ და ამგვარ კონკურენციას ბოლო არ უჩანს. დილემა სწორედ ისაა,, რომ რაც არ უნდა გაძლიერდე, შენი უსაფრთხოება კვლავ არ არის უზრუნველყოფილი.[179] ამგვარი ვითარება და, აბსოლუტური თუ არა, შედარებითი უსაფრთხოებისაკენ დაუცხრომელი ლტოლვა მაინც განაპირობებს არა მხოლოდ გამალებული შეიარაღებისა და სამხედრო-სტრატეგიული პრობლემების მიმართ გამოჩენილ განსაკუთრებულ ინტერესს, არამედ თვით ომების, სამხედრო-პოლიტიკური კავშირების წარმოქმნის მიზეზსაც. საზოგადოდ, საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფა სუვერენული სახელმწიფოს უპირველეს მოთხოვნილებად და ამოცანად არის მიჩნეული.

სამყაროში, სადაც ყველაზე მნიშვნელოვან პოლიტიკურ ფაქტორად ძალას, ძლიერებას აღიარებენ, უსაფრთხოებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება სავსებით გასაგებია. ამავე დროს უნდა ეაღიაროთ, რომ უსაფრთხოების საკითხები დინამიკურ პოლიტიკურ სინამდვილეში სულ ახალ-ახალი რთული პრობლემებისა და დილემების სახით გვევლინება და საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიასა და პრაქტიკას ბევრ თავსატეხს უქმნის.

რადგან საფრთხე არა მხოლოდ ფიზიკურად არსებობს, არამედ ხშირად ძალზე სუბიექტურადაც და იგი ყველას მიერ განსხვავებულად აღიქმება, უსაფრთხოებას მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური ასპექტიც ახასიათებს. უსაფრთხოების ფსიქოლოგიური ასპექტები მის ობიექტურ შეფასებასა და აღქმას მეტად ართულებს და ხშირ შემთხვევებში ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტებისა და პოლიტიკის განსაზღვრისას არარაციონალური გადაწყვეტილებების მიღებას განაპირობებს.[180]

ამშ: ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ევოლუცია.

ყოველ ქვეყანას უსაფრთხოების საკუთარი პირობები და პრობლემები აქვს. ძლიერი ქვეყნის უსაფრთხოების პრობლემები დიდად განსხვავდება სუსტი ქვეყნის ანალოგიური პრობლემებისაგან, თუმცა მათ ბევრი რამ საერთოც ახასიათებთ. ისეთ ძლიერ სახელმწიფოს, როგორიც არის აშშ, უსაფრთხოების ისეთივე რთული და წინააღმდეგობრივი პრობლემები ექმნება, როგორც – ნებისმიერ სხვა ქვეყანას; ამდენად, ინტერესს მოკლებული არ იქნებოდა, აშშ-ის, ამჟამინდელი მსოფლიო ჰეგემონის, უსაფრთხოების პრობლემების მაგალითზე გაგვეხილა, საზოგადოდ, უსაფრთხოების პრობლემები.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდამდე, აშშ-ის მთავრობის ოფიციალურ დოკუმენტებში, პრეზიდენტების გამოსვლებში ტერმინი „ეროვნული უსაფრთხოება“ პრაქტიკულად არ იხმარებოდა. იგი მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 40-იანი წლებიდან მოყოლებული მკვიდრდება აშშ-ის პოლიტიკურ ლექსიკონში.

---

179 R.Jervis. Cooperation Under Security Dilemma. "World Politics", Vol.30, N2, 1978, pp.167-214.

180 D.M.Snow. National Security: Enduring Problems in a Changing Defence Environment. 2nd Edition. St.Martin's Press, New York, 1991, pp.5-6.

ე.მეის აზრით, ეროვნული უსაფრთხოების თაობაზე ამერიკელთა შეხედულებების ევოლუცია შეიძლება ოთხ ისტორიულ პერიოდად დაეყოთ: 1. XVIII ს. 90-იანი – XIX ს. 70-იანი წლები; 2. XIX ს. 70-იანი – XX ს. 30-იანი წლების მიწურული; 3. მეორე მსოფლიო ომის დასაწყისიდან 60-იანი წლების ჩათვლით; 4. 60-იანი წლებიდან დღემდე.[181]

პირველ პერიოდში აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტი იყო ეროვნული საზღვრების უსაფრთხოებისა და შტატებს შორის კავშირის შენარჩუნების უზრუნველყოფა.[182] მართალია, 1820-იანი წლებიდან აშშ-ის სახელმწიფო საზღვრებს საფრთხე აღარ ემუქრებოდა, ხოლო ამ წლების მიწურულს პრეზიდენტმა მონრომ გამოაცხადა, რომ აშშ არ მოითმენს სხვათა ჩარევას ამერიკის კონტინენტის საქმეებში („მონროს დოქტრინა"), და მაინც, აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტად ქვეყნის შიდა უსაფრთხოება და მთლიანობა რჩებოდა.

მეორე პერიოდში, რომელიც მიმდინარე საუკუნის 30-იანი წლების მიწურულამდე გაგრძელდა, აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოება სხვა ამერიკული რესპუბლიკების უსაფრთხოებასთან მჭიდრო კავშირში განიხილებოდა (ეს უკვე „მონროს დოქტრინის" ცხოვრებაში გატარება იყო), მაგრამ პრიორიტეტი ეძლეოდა აშშ-ის შიგნით სოციალურ მშვიდობასა და კლასობრივი კონფლიქტების თავიდან აცილებას.

აშშ-ის შექმნიდან მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე ქვეყნის საგარეო პოლიტიკა არ ატარებდა გლობალურ ხასიათს, საზოგადოებრივი აზრი, პოლიტიკოსთა უმრავლესობა იზოლაციონიზმის, სხვა რეგიონებში კონფლიქტებისა და ომებისაგან აშშ-ის განზე დგომის მომხრე იყო. აშშ დინამიკურად ეითარდებოდა და ძირითადად საკუთარი საშინაო საქმეებით იყო გართული. მხოლოდ პირველი მსოფლიო ომის მიწურულს ჩაება აშშ საომარ მოქმედებებში გერმანიის წინააღმდეგ, მაგრამ ქვეყნის საზოგადოებრივი აზრი ჯერ კიდევ იზოლაციონიზმის მომხრე იყო. როგორც ჯ.სპენიერი აღნიშნავს, აშშ-ს ისტორიული ტრადიცია იზოლაციონიზმი იყო.[183]

მესამე პერიოდში, რომელიც 60-იანი წლების მიწურულამდე გაგრძელდა, აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების „ჩარჩოები" საგრძნობლად გაფართოვდა და უკვე „თავისუფალი სამყაროს" ქვეყნების უსაფრთხოებასაც მოიცავდა. ამავე დროს, ეროვნული უსაფრთხოების მნიშვნელოვან ელემენტად მიჩნეული იქნა ქვეყნის ეკონომიკის დინამიზმისა და მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფა. საყურადღებოა, რომ ამიერიდან აშშ კისრულობს დემოკრატიული სამყაროს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დაცვას კომუნიზმისგან. 1948 წელს პრეზიდენტი ჰარი ტრუმენი აცხადებს,

---

181 E.R.May. National Security in American History."Rethinking America's Security". G.Allison and G.F.Treverton (Eds.) W.W.Norton and Company, New York, 1992, pp. 95-103.

182 E.R.May. National Security in American History..., p.97

183 J.Spanier. American Foreign Policy Since World War II. CQ Press, Wash. D.C., 1991, pp. 6-7

რომ ნებისმიერი ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვა პირდაპირ ემუქრება აშშ-ის და ყველა თავისუფალი ქვეყნის უსაფრთხოებას. ამ დროისათვის აშშ, მსოფლიოს სამხედრო და ეკონომიკური პეტენტონი, დასავლეთის სამყაროს ლიდერია. 1951 წელს, კორეაში ომის დასაწყისში, ჰ.ტრუმენი აცხადებს, რომ აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოება მჭიდროდ არის დაკავშირებული სხვა თავისუფალი ქვეყნების ბედთან. სწორედ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილი ეროვნული უსაფრთხოების საბჭო (1947წ.) იწყებს საიდუმლო დირექტივების მომზადებას, რომლებშიც განსაზღვრულია აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტები უახლოესი მომავლისათვის. გასაგებია, რომ სსრკ-თან დაწყებული „ცივი ომის" პირობებში, ამ დოკუმენტებში აქცენტირებულია პოლიტიკა სსრკ-ის მიმართ, მისი შეკავება, აგრეთვე ევრაზიაში მისი დომინირების წინააღმდეგ ბრძოლა [184]

60-იანი წლებიდან იწყება ახალი პერიოდი აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების იდეოლოგიაში. ბირთვული და სარაკეტო იარაღის განვითარებამ, აშშ-სა და სსრკ-ის გლობალური მასშტაბით შეჭიდებამ, საკუთრივ აშშ-ის ტერიტორიისათვის შექმნილმა საფრთხემ ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების შინაარსი რამდენადმე შეცვალა. ამიერიდან, აშშ-ის უსაფრთხოება განიხილება დასარჩენი ქვეყნების საშინაო მდგომარეობასთან მჭიდრო კავშირში. ამავე დროს ეროვნული უსაფრთხოების მიზნებში პრიორიტეტი აგრეთვე მიენიჭა ეკონომიკურ კეთილდღეობას მთელ მსოფლიოში. სსრკ-სა და კომუნიზმის შეკავება კვლავ წამყვან პრიორიტეტად დარჩა.

ცივი ომის დასრულებამ და სოციალისტური ბანაკისა და სსრკ-ის დაშლამ, კომუნისტური იდეოლოგიის დამარცხებამ დღის წესრიგში დააყენა აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების ახლებურად გააზრებისა და განსაზღვრის ამოცანა. ამჟამად, როცა აშშ-ის ერთადერთი მეტოქე – სსრკ აღარ არსებობს, ამერიკის საგარეოდაბრიობა მოითხოვს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტების გადასინჯვას, შიდა სოციალური და ეკონომიკური პრობლემებისაკენ მიბრუნებას.

როგორც დავინახეთ, აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოება ყოველთვის განიხილებოდა, როგორც შიდა და გარე კომპონენტების შეხამება. ზოგჯერ ისინი ერთმანეთს აესებდნენ, ზოგჯერ კი ერთმანეთთან წინააღმდეგობაში აღმოჩნდებოდნენ ხოლმე. მეორე თავისებურება ის არის, რომ აშშ საკუთარ ეროვნულ უსაფრთხოებას ყოველთვის სხვა სახელმწიფოების უსაფრთხოებასთან კავშირში განიხილავდა. ამას ზოგიერთი ექსპერტი „ინტერნაციონალიზმსაც" კი უწოდებს. ამერიკელი ა.ტონელსონის აზრით, გლობალური მასშტაბის „ინტერნაციონალური" საგარეო პოლიტიკა ცივი ომის დასრულების შემდეგ აშშ-ს აღარ წაადგება და ამიერიდან მან ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტები რეალურ ეროვნულ ინტერესებს უნდა მიუსადაგოს.[185]

---

184 J.L.Gaddis. Strategies of Containment: A Critical Appraisal of Postwar American National Security Policy. Oxford University Press, Oxford, 1982.

185 A.Tonelson. What is the National Interest. "Atlantic Monthly", July 1991, pp.36-38

აშშ-ის საგარეო პოლიტიკის შეურიგებელი კრიტიკოსები ამ პოლიტიკას იმპერიალისტურად, ხოლო ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების დოქტრინებს იმპერიალისტური მიზნებისადმი დაქვემდებარებულად ნათლავდნენ და ამეამადაც ასეა.

90-იანი წლებიდან აშშ-ში ეროვნული უსაფრთხოების პრობლემების მიმართ ინტერესი მკვეთრად გაიზარდა. ცივი ომის დასრულებამ, სსრკ-ისა და სოციალისტური ბანაკის დაშლამ, მსოფლიოში ძალთა თანაფარდობისა და გეოპოლიტიკური ვითარების შეცვლამ მოითხოვა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის მნიშვნელოვანი გადასინჯვა, მისი ახლებურად განსაზღვრა. გაისმა ხმები, რომ ეროვნული უსაფრთხოების საკითხებისადმი მიდგომა უნდა ემყარებოდეს დიდი ბიზნესის მიერ დამუშავებულ და გასინჯულ მეთოდებს. ეროვნული უსაფრთხოება დიდძალი ფული ჯდება, ამიტომ მისი პრიორიტეტების განსაზღვრა და მათი რეალიზაცია ეკონომიკურად ეფექტიანი უნდა იყოს.[186] აშშ-ის უსაფრთხოებაზე დახარჯული ყოველი 5 დოლარიდან 4 სამხედრო დანიშნულებისა იყო, ხოლო უსაფრთხოების ბიუჯეტის თითქმის ნახევარი ბირთვულ იარაღსა და ევროპაში აშშ-ის სამხედრო ხარჯებზე მოდიოდა, რაც კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ ქვეყნის უსაფრთხოების ცენტრალური პრობლემა ევროპაში მესაძლო საბჭოთა შემოტევასთან გამკლავება იყო.[187] უსაფრთხოებისათვის გაღებული არასამხედრო კომპონენტის ხარჯები (1/5) ფულითაც, პერსონალითაც ბევრად ნაკლებია სამხედრო კომპონენტზე (4/5), მაგრამ მისი ეფექტიანობის შეფასება ადვილი არ არის. ამავე დროს ცნობილია, რომ ოსტატურმა დიპლომატიამ შეიძლება ისეთი შედეგები გამოიღოს, რომ მკვეთრად შემცირდეს სამხედრო სფეროს ხარჯები. გარდა ამისა, ქვეყნის შიდა პრობლემების შერბილება, ერის სოციალური და პოლიტიკური ერთიანობის, კეთილდღეობის გაზრდა ასევე აძლიერებს ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას, მაგრამ ამ შედეგების ფულადი შეფასება ძალზე ძნელი საქმეა. ერთი სიტყვით, ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის კრიტიკული შეფასება არა მხოლოდ კონცეფციებსა და პრიორიტეტებს, არამედ მათ ეკონომიკურ ასპექტებსაც შეეხო.

ამერიკელი თ.სორენსონი შენიშნავს, რომ შეკავების ეპოქა დასრულდა და საჭიროა ეროვნული უსაფრთხოების ახალი კონცეფციის შემუშავება. მისი აზრით, თანამედროვე აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას ორი მთავარი მიზანი უნდა ჰქონდეს: ეკონომიკური დამოუკიდებლობა და მსოფლიოში დემოკრატიული განვითარების მხარდაჭერა. ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შიდა პრობლემებს – ტექნოლოგიურ პროგრესს, ტექნიკურ დარგებში კადრების მომზადების მკვეთრად გაუმჯობესებას და ა.შ.[188] თუ სორენსონი მსოფლიოში დემოკრატიული პროცესე-

---

[186] G.Allison and G.Treverton. National Security Portfolio Review. In: "Rethinking America's Security" W.W.Norton and Company, New York, p.39

[187] იქვე. ..., p.48

[188] T.C.Sorenson. Rethinking National Security. "Foreign Affairs", Summer 1990, pp.1-16.

ბის მსარდაჭერას მშვიდობიანი და „ტაქტიანი“ ფორმების გამოყენებით ამ-ჯობინებს, მისი თანამემამულე თ.დიბელი აღიარებს, რომ მსოფლიოში ამერიკულ ფასეულობათა გავრცელება და დემოკრატიული პროცესების მხარდაჭერა სხვა ქვეყნების შიდა საქმეებში ჩარევას ნიშნავს.[189] კიდევ ერთი ამერიკელი ჯ.მურავჩიკი პირდაპირ აცხადებს, რომ დემოკრატიის „ექ-სპორტს“ აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. იგი ასახელებს სამ მიზეზს: 1. დემოკრატია მმართველობის ჯერჯერობით საუკეთესო ფორმაა; 2. რაც უფრო დემოკრატიულია მსოფლიო, მით უფრო მეგობრულია აშშ-ის გარემოცვა; 3. რაც უფრო დემოკრატიულია მსოფლიო, მით უფრო მშვიდობიანია იგი.[190] მურავჩიკი აღნიშნავს, რომ სხვა ქვეყნებისათვის აშშ-ის დასმარება არის არა მხოლოდ ქველმოქმედება, არა-მედ გეოსტრატეგიის, საშინაო პოლიტიკის, ეკონომიკის და ქველმოქმედების ნარევი. მისი აზრით, ქვეყნის გრძელვადიანი უსაფრთხოების პრიორიტეტების წინასწარი განსვრეტა ძნელია, მაგრამ უსაფრთხოების უზრუნველყოფას სწორედ გრძელვადიანი, პერსპექტიული ხასიათი უნდა ჰქონდეს. დემოკ-რატიის ექპორტს კი სწორედ ეს მიზანი აქვს. აშშ-ის შეუძლია დემოკრატიის ექსპორტი, – აღნიშნავს იგი და იქვე დასძენს: „რაც კარგია დემოკრატიისათ-ვის, კარგია ამერიკისათვის“.[191]

ამერიკელ ექსპერტთა უმრავლესობას მაინც მიაჩნია, რომ მიმდინარე ეტაპზე ქვეყანამ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს საკუთარ საშინაო პრობლე-მებს. მათი აზრით, აღარ შეიძლება „საგარეო“ და „საშინაო“ პოლიტიკის გა-თიშვა, მითუმეტეს, რომ, მათი აზრით, აშშ თანდათანობით კარგავს ეკონომიკურ ჰეგემონობას. მისი ბიუჯეტისა და საგადამხდელო ბალანსის დეფიციტი, შენელე-ბული ტექნოლოგიური პროგრესი და სხვა ეკონომიკური პრობლემები ამცირებს ქვეყნის გლობალურ კონკურენტუნარიანობას და სერიოზულ საფრთხეს უქმნის მის ეროვნულ ინტერესებს.[192] შიდა პრობლემებზე ყურადღების გადატანის, გლობალურ „მოვალეობებზე“ უარის თქმის, ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტების გადასინჯვის მოთხოვნები, ბუნებრივია, კრიტიკულ შეფასებ-საც იწვევს იმ ექსპერტთა მხრიდან, რომლებიც ძლიერ სამხედრო პოტენციალში სედავენ აშშ-ის უსაფრთხოების საფუძველსა და გარანტს.[193]

---

189 T.L.Diebel. Strategies Before Containment: Patterns for the Future. "International Security", vol.16, N4, 1992, p.94

190 J.Muravchik. Exporting Democracy: Fulfilling America's Destiny. The AEI Press, Washington, D.C., 1991, p.8

191 J.Muravchik..., p.222

192 P.G.Peterson, J.K. Sebenius. The Primacy of the Domestic Agenda. In:"Rethinking America's Security". W.W.Norton and Company, New York, 1992, pp.61-66.

193 T.H.Henriksen. The New World Order. War, Peace and Military Preparedness. Hoover Institution, Stanford University, 1992, pp. 25-29.

როგორც დავინახეთ, ეროვნული უსაფრთხოება მხოლოდ სამხედრო შესაძლებლობათა უზრუნველყოფასა და მათ გამოყენებას როდი ნიშნავს. სამხედრო ძლიერება თუმცა ყველაზე რჩება ეროვნული უსაფრთხოების წამყვან კომპონენტად, ის სხვებთან ერთად მაინც ერთ-ერთი კომპონენტია. დღეისათვის ყალიბდება ეროვნული უსაფრთხოების უფრო ფართო, კომპლექსური გაგება, რომელიც, სამხედრო კომპონენტებთან ერთად, მოიცავს ეკონომიკურ, დიპლომატიურ, სოციალურ და ეკოლოგიურ კომპონენტებს.

უსაფრთხოება უშუალოდ დაკავშირებულია ფასეულობებთან, მაგრამ იგი თავად არ წარმოადგენს ფასეულობას. სახელმწიფოსათვის იგი ის პირობაა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ფასეულობათა შენარჩუნება. მასასადამე, ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა არის „მთავრობის პოლიტიკის ის ნაწილი, რომლის მიზანია ეროვნულ ფასეულობათა დაცვისა და შენარჩუნებისათვის სახელმწიფო და საერთაშორისო დონეებზე ისეთი პოლიტიკური პირობების შექმნა, რომლებიც არსებული და პოტენციური მეტოქეების წინააღმდეგ იქნება მიმართული."[194]

უსაფრთხოების ობიექტური „გამომვა" ან შეფასება უკიდურესად ძნელია, რადგან ამგვარი შეფასება გულისხმობს არა მხოლოდ მოცემული ძლიერებისა და სისუსტის შეფასებას, არამედ შესაძლებელი საფრთხის აღქმასაც. უსაფრთხოება შეფარდებითი მდგომარეობაა და მისი შეფასება არსებულ და პოტენციურ საფრთხესთან მიმართებაში გვიხდება. ამავე დროს უსაფრთხოება არ არის ეაკუუმში არსებული სტატიკური მდგომარეობა და იგი განისაზღვრება მუდმივად ცვლადი შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო კონტექსტით.[195]

ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის მიზანია ერისა და სახელმწიფოს ფასეულობათა დაცვა და შენარჩუნება. ყველაზე მნიშვნელოვანი ფასეულობა ამ შემთხვევაში არის გადარჩენა. მის გარეშე, ქვეყანას სხვა ფასეულობებთან აღარაფერი ესაქმება. გადარჩენაში, პირველ ყოვლისა, იგულისხმება მოსახლეობის, ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენულობის შენარჩუნება. მხოლოდ ფიზიკური გადარჩენა საკმარისი არ არის – საზოგადოებას ესაჭიროება თავისუფლება, სამართლიანობა, დემოკრატიული ინსტიტუტები, კეთილდღეობა, კულტურა და სხვა ფასეულობები, რომლებიც დაცვასა და შენარჩუნებას მოითხოვენ. ეს ფასეულობები დემოკრატიულ სახელმწიფოში მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს შორის კონკურენციისა და კომპრომისის საფუძველზე განისაზღვრება, ხოლო ტოტალიტარულ სახელმწიფოში –

---

194 F.N. Trager, F.L Simone. "An Introduction to the Study of National Security", In: "National Security and American Society: Theory, Process and Policy". F.Trager and P.Kranenberg (Eds.). Lawrence, University of Kansas Press, 1973, p.36

195 U.S.National Security: A Framework for Analysis. D.J. Kaufman, J.S.McKitrick and T.J.Jeney (Eds.). Lexington Books, D.C.Heath and Co., Lexington, 1985, p. 4

მმართველი ჯგუფის მიერ. ამიტომაც, ამ უკანასკნელში გარკვეული რეჟიმის გადარჩენა მთელი საზოგადოების გადარჩენასთან შედარებით, უფრო მნიშვნელოვან მიზნად განიხილება.

იმისათვის, რომ ხსენებული ფასეულობების დაცვა და გადარჩენა ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის საფუძველი გახდეს, საჭიროა, ისინი უფრო კონკრეტულად განისაზღვროს და კონკრეტულ პოლიტიკურ ვითარებას მიესადაგოს, ე.ი. პოლიტიკოსებმა უნდა განსაზღვრონ ის სპეციფიკური მიზნები და ინტერესები, რომლებიც ქვეყნის შიდა და საერთაშორისო ვითარებასთან ეროვნული ფასეულობების მიმართებიდან გამომდინარეობენ. მაშასადამე, ეროვნული ინტერესები და ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტები განიხილება და განისაზღვრება ფასეულობებსა და არსებულ შიდა და საერთაშორისო ვითარებას შორის ურთიერთქმედების ანალიზის საფუძველზე. ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა ფასეულობათა არსიდან გამომდინარე უნდა შემუშავდეს.

იმის განსაზღვრა, თუ რას მოიცავს ეროვნული უსაფრთხოების სფერო, პოლიტიკური საკითხია და მასში ერთდროულად საშინაო და საგარეო პოლიტიკა, მათი შეჯერებაც იგულისხმება. პირველ ყოვლისა, საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში ინტეგრაციის დონის განუხრელი ზრდის გამო, საგარეო პოლიტიკა დღეს, ისე როგორც არასდროს, არის დაკავშირებული საშინაო პოლიტიკასთან და ფაქტობრივად, გამომდინარეობს მისგან. ამიტომ, ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა ერთდროულად საშინაო და საგარეო ფაქტორებით განისაზღვრება, ე.ი. იგი ერთდროულად მოიცავს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ელემენტებს.

ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკას სამი განზომილება აქვს: დიპლომატიური, ეკონომიკური და სამხედრო. დიპლომატიური პოლიტიკის სფეროა სხვა ქვეყნებთან პოლიტიკური ურთიერთობები, ეკონომიკური პოლიტიკა საზოგადოების შიგნით რესურსების განაწილება და სხვა ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობებია. სამხედრო პოლიტიკა კი არის ყველაფერი ის, რაც ეხება შეიარაღებულ ძალებს და სამხედრო ძალის გამოყენებას. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ხსენებული სამი განზომილება, სამი კომპონენტი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, ურთიერთგანმსაზღვრელია.

ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა ტრადიციულად განიხილება, პირველ ყოველისა, როგორც სამხედრო პოლიტიკა.[196] დღეისათვის სამხედრო კომპონენტი კვლავინდებურად მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ დანარჩენი ორი (დიპლომატიური და ეკონომიკური) სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს.

დიპლომატიური პოლიტიკის მთავარი ამოცანა მდგომარეობს კავშირების ეფექტურობის შენარჩუნებასა და ეროვნული ინტერესებისადმი მათ მუდ-

---

196 B.Buzan. People, States and Fear. Second Edition. Lynne Rienner Publishers, Boulder, 1991, p.133

მივ მისადაგებაში. ისეთ უძლიერეს სახელმწიფოსაც კი, როგორიც არის აშშ, არ მოეპოვება საკმარისი რესურსები, რათა მხოლოდ საკუთარი ძალებით უზრუნველყოს საკუთარი ეროვნული უსაფრთხოება.[197]

ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი ელემენტებია: სხვა ქვეყნებისათვის ეკონომიკური დახმარების გაწევა ან ამგვარი დახმარების მიღება, ეკონომიკური სანქციები, ტექნოლოგიის გადაცემა ან მიღება, საკუთარი საწარმოო დარგების პროტექციონიზმი და სტრატეგიული რესურსებით უმრუნველყოფა და სხვ.*

სამხედრო პოლიტიკის ორი ძირითადი კომპონენტი არსებობს: სამხედრო სტრატეგია და შეიარაღებული ძალების სტრუქტურა (ორგანიზაცია, შეიარაღება, ეფექტურობის გაზრდა და ა.შ.). სახელმწიფო, თუ საქმე მის სასიცოცხლო ინტერესებზე მიდგა, ყოველთვის მზად უნდა იყოს საკუთარი შეიარაღებული ძალების გამოსაყენებლად, მაგრამ სამხედრო ძალის გამოყენება ან მისი გამოყენებით დამუქრება საბოლოოდ მაინც სათანადო პოლიტიკური მიზნებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას ემსახურება.

ეროვნული უსაფრთხოება დინამიკური პროცესია. ცვლილებები, როგორც სახელმწიფოთა შიგნით, ასევე საერთაშორისო მასშტაბით, განაპირობებს ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტებისა და პოლიტიკის გადასინჯვას ან კორექტირებას. ეროვნული უსაფრთხოების პრობლემის არსებობა განპირობებულია საერთაშორისო სისტემის ხასიათით, რომელიც სახელმწიფოთა სუვერენულობის იდეაზე არის დაფუძნებული. საერთაშორისო სისტემის ანარქიულობა განსაზღვრავს სუვერენულ სახელმწიფოთა კონფლიქტურ ურთიერთქმედებას. კონფლიქტის საშიშროება კი სამხედრო ძალას, ძლიერებას მოითხოვს. სამწუხაროდ, სწორედ სამხედრო ძლიერება არის ის ფაქტორი, რომელსაც ძალუძს ერთგვარად შეამციროს რისკი და შემთხვევითობა საერთაშორისო ურთიერთობებში. ამავე დროს ეროვნული უსაფრთხოების თანამედროვე გაგება სულ უფრო ახალი შინაარსით, ახალი ელემენტებით (კეთილდღეობა, ეკოლოგია და სხვ.) ივსება. ბევრი ექსპერტის აზრით, სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციამ, სამხედრო ტექნოლოგიის სწრაფმა პროგრესმა და კაცობრიობის ახალმა „ეკოლოგიურმა" შეგნებამ ძირეულად შეცვალა საერთაშორისო ურთიერთობათა არსი და ამ მოვლენების შედეგად სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკურ მიზნებში უსაფრთხოების ადგილი კეთილდღეობამ დაიკავა.[198] აქედან გამომდინარე,

---

[197] U.S.National Security...., p.19

* იხ. : J. Luciani. The Economic Content of Security. "Journal of Public Policy". Vol. 8, N 2, 1989

[198] D.Pirages. The New Context for International Relations: Global Ecopolitics. Duxbury Press, 1978, pp. 4-12; 258-273; J.MacNeil. The Greening of International Relations. "International Journal", XLV, Winter 1989-90, pp.1-35; M.Renner. Enhancing Global Security. State of the World. W.W.Norton and Company, 1989, pp. 132-153; R.O.Keohane, J.S.Nye. Power and Interdependence. Second Edition. Scott, Foresman and Company, Glennview, 1989.

ძალის ფაქტორს უწინდელი მნიშვნელობა უნდა დაეკარგა და სუვერენული სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო ურთიერთობათა ძირითადი „მოქმედი პირის", მნიშვნელობაც საგრძნობლად უნდა შემცირებულიყო. საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში დღემდე გაბატონებული რეალიზმის სკოლის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ ვერც სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაცია, ვერც ბირთვული ან სხვა სახის მასობრივი მოსპობის იარაღი და ვერც გლობალური ეკოლოგიური პრობლემები ვერ შეცვლიან სუვერენული სახელმწიფოების სამყაროს საერთაშორისო პოლიტიკის არსს. კაცობრიობის გონებრივი, ტექნოლოგიური და ეკონომიკური პროგრესი ვერ მოსპობს ძალაუფლებისათვის ბრძოლას, მაგრამ იგი უთუოდ დადებით გავლენას მოახდენს სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების უკეთ განმვრეტასა და მათ რეალიზებაზე, რ.გილპინს მიაჩნია, რომ საერთაშორისო პოლიტიკა არ შეცვლილა თუკიდიდეს ეპოქიდან (Vს. ძვ. წ.) დღემდე.[199]

<u>ბირთვული იარაღის ფაქტორი.</u> მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ბევრი ისეთი რამ მოხდა, რასაც არ შეეძლო დიდი გავლენა არ მოეხდინა საერთაშორისო ურთიერთობებზე. პირველ ყოვლისა, ეს ბირთვული იარაღის შექმნა იყო, რამაც არა მარტო ომს, არამედ საერთაშორისო პოლიტიკასაც ახალი, სამინელი განზომილება შესძინა. გაჩნდა საყოველთაო ბირთვული ომისა და, მაშასადამე, საყოველთაო თვითმკვლელობის შიში, მაგრამ ბირთვულ იარაღს ომის პრობლემა დღის წესრიგიდან არ მოუხსნია. ბირთვულმა იარაღმა, მართალია, ტოტალური ომი თითქმის შეუძლებელი გახადა და ამგვარი იარაღის მქონე ქვეყნებს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იგი არც გამოუყენებიათ, მაგრამ ამ გარემოებას ძალის, ძლიერების ფაქტორი, როგორც საერთაშორისო პოლიტიკის მთავარი კომპონენტი, არ გაუბათილებია. უფრო მეტიც, ბირთვული იარაღის მფლობელებმა ძლიერებისა და ძალაუფლების თვისებრივად უფრო მაღალ საფეხურს მიაღწიეს, ხოლო ის ეინი, რომელსაც მსოფლიოს ბევრი დიდი და პატარა ქვეყანა „ბირთეულ კლუბში" მოხვედრისათვის აელენს, პოლიტიკაში ძალის ფაქტორის დაკნინებაზე ნამდვილად არ მიგვანიშნებს.

ბირთვულმა იარაღმა მნიშვნელოვნად შეაბრუნა ძალის ვექტორი – „ბირთვული" ძალა უფრო მეტად ქვეყნების უსაფრთხოების, მათი სტატუსკვოს (დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის) შენარჩუნების გარანტი თუ არა, უმძლავრესი ფაქტორი გახდა. აქედან გამომდინარე, ბევრს მიაჩნია, რომ ბირთვული იარაღის ფართო გავრცელება საბოლოოდ საყოველთაო მშვიდობამდე მიგვიყვანს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ბირთეულ" სამყაროშიც ძალებისა და შესაძლებლობების იერარქია კვლავაც

199 R.Gilpin. War and Change in World Politics. Cambridge University Press, 1981, p.211

იარსებებს.[200]

<u>სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის ფაქტორი.</u> უკანასკნელი სამი ათწლეულის მანძილზე სახელმწიფოთა მკვეთრად გაზრდილმა ურთიერთდამოკიდებულებამ და სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციამ, ზოგიერთი აეტორის შეხედულებათა თანახმად, შეცვალეს საერთაშორისო პოლიტიკა და უკანა პლანზე გადაწიეს ტერიტორიული კონფლიქტები, ძალის გამოყენების საჭიროება; მათ აგრეთვე შეცვალეს ეროვნული უსაფრთხოების შინაარსი და სუვერენული სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის ბევრი ტრადიციული ფორმა.[201] სხვები, პირიქით, ფიქრობენ, რომ ნეომერკანტილისტური თეორია და პრაქტიკა სულ უფრო იკიდებს ფეხს და ისეთივე პერსპექტიულია, როგორც ლიბერალური.[202] ეროვნული უსაფრთხოება, პირველ ყოვლისა, კელავაც, სამხედრო უსაფრთხოებაა, მაგრამ ახალი ურთიერთობების სინამდვილე, რომელშიც ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება და სახელმწიფოს კეთილდღეობის მნიშვნელობა მკვეთრად გაიზარდა, ეროვნული უსაფრთხოების ეკონომიკურ ასპექტებს კიდევ უფრო აძლიერებს.

<u>ეკოლოგიური ფაქტორი.</u> ამ ფაქტორის როლი ეროვნული უსაფრთხოების განსაზღვრა-ფორმულირებაში შედარებით ახალი, მაგრამ მეტად ღირსშესანიშნავი მოელენაა. გლობალური და რეგიონული ეკოლოგიური პრობლემების გამწვავება და ამ პრობლემების საერთაშორისო თანამშრომლობის გზით გადაჭრის აუცილებლობის გაცნობიერება კაცობრიობის საერთაშორისო ცხოვრების მეტად თვალსაჩინო მოელენებია.[203] ეკოლოგი-

---

200 ამ საკითხის შესახებ იხ.:B.Roberts. From Nonproliferation to Antiproliferation. "International Security", Vol.18, N1, Summer 1993, pp. 139-173; K.N. Waltz. Toward Nuclear Peace. I n: "The Use of Force".R.J.Art, K.N. Waltz (Eds.) Third Edition, Lanham, University Press of America, 1988, pp. 684-712; J.Mueller. The Essential Irrelevance of Nuclear Weapons. Stability in the Postwar World. "Inernational Security" Vol.13, N12, Fall 1988, pp.55-79; R.Jervis. The Political Effects of Nuclear Weapons. A Comment. "International Security", Vol.13, N12, Fall 1988, pp. 80-90; J.L.Gaddis. The Long Peace: Elements of Stability in the Postwar International System. "International Security". Vol.10, Spring 1986, pp.99-142

201 R.O.Keohane, J.S.Nye. Power and Interdependence..., pp.23-27

202 B.Buzan. Economic Structure and International Security: The Limits of Liberal Case. "International Organization", Vol.38, N4, Autumn 1984, pp. 597-624

203 P.M.Mische. Ecological Security and the Need to Reconceptualise Sovereignity. "Alternatives", XIV, 1989, pp.389-427; Дж.Т. Мэтьюз, Новое определение безопасности. "Диалог - США", ном.43, 1990, стр.57-69. M.Renner. Enhancing Global Security. State of the World. A Worldwatch Institute Report on Progress Toward a Sustainable Society. W.W.Norton and Company, New York, 1989,

ურმა პრობლემებმა მართლაც რომ ახალი განზომილება შესძინა ისეთ ტრადიციულ ცნებებს, როგორიცაა „ეროვნული ინტერესები", „ეროვნული უსაფრთხოება", „ომი", „გადარჩენა", „კეთილდღეობა" და სხვ. ბირთვული ენერგეტიკის განეითარება, რადიოაქტიური და სხვა ნარჩენებისა და გაბინძურების პრობლემები მნიშვნელოვან შემაკავებელ ფაქტორად იქცა ძალის პოლიტიკის „მოთვინიერების" თვალსაზრისით. სახელმწიფოთა ეროვნული უსაფრთხოების კომპონენტთა შორის ეკოლოგიური კომპონენტი სულ უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა პატარა ქვეყნებისათვის, რადგან მათი ტერიტორია, ჩვეულებრივ, მცირეა და სერიოზული ეკოლოგიური საშიშროება ეროვნული კატასტროფის ტოლფასი შეიძლება გახდეს.

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული უსაფრთხოება ახალ შინაარსს იძენს, იგი კვლავაც რჩება სუვერენულ სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედად.

---

pp.132-153; R.H.Ullman. Redefining Security. "International Security". Vol.8, N1, 1983

ძალთა წონასწორობის კონცეფცია

ვინ შეცელის იმას, რაიცა
ცხოერების დანამტკიცია.
ვაჟა

ისევე როგორც „ეროვნული ინტერესების" ცნება, „ძალთა წონასწორობის" კონცეფციაც საკვანძოა საერთაშორისო ურთიერთობათა რეალიზმის თეორიაში.

XIX საუკუნის ინგლისელი პოლიტიკოსი ჯონ ბრაიანი აღნიშნავდა, რომ ძალთა წონასწორობის მთელი იდეა მცდარია, მიუხედავად იმისა, რომ იგი უძველესი დროიდან მოდის. ბრაიანზე ერთი საუკუნით ადრე, ინგლისელმა ფილოსოფოსმა დეივიდ იუმმა ძალთა წონასწორობის კონცეფციას მეცნიერული კანონზომიერება, პოლიტიკური ცხოერების ფაქტი უწოდა. მართლაც, 1713 წლის უტრეხტის ზავის პირობებში მითითებულია, რომ საფრანგეთისა და ესპანეთის ტახტების გამიჯვნა გამართლებულია ევროპაში წონასწორობის საჭიროებით.[204] კარლ პოლანის აზრით, XIX საუკუნის ციეილიზაცია დაფუძნებული იყო ძალთა წონასწორობაზე, საერთაშორისო ოქროს სტანდარტზე, თვითრეგულირებად ბაზარსა და ლიბერალურ სახელმწიფო მმართველობაზე.[205]

ჰ. მორგენთაუს თქმით, „ძალთა წონასწორობა და მისი შენარჩუნებისაკენ მიმართული პოლიტიკა სუვერენულ სახელმწიფოთა საზოგადოებაში არის არა მხოლოდ გარდაუვალი, არამედ არსებითი მასტაბილიზებელი ფაქტორი."[206] საერთაშორისო სისტემაში ძალთა წონასწორობა სახელმწიფოთა მიერ გამოიყენება საკუთარი უსაფრთხოების მიზნებისათვის. მისი ანტიპოდი შეიძლება იყოს „კოლექტიური უსაფრთხოების" პრინციპი, რომლის დამკვიდრებას ეცადნენ 1919 წლიდან, მაგრამ მან არ გაამართლა.

ძალთა წონასწორობის კონცეფცია ყოველთვის კრიტიკულად განიხილებოდა იმის გამოც, რომ ძალიან ბუნდოვანი იყო (ისევე როგორც „ეროვნული ინტერესების" კონცეფცია). ინის კლოდმა მოსწრებულად შენიშნა, რომ „ძალთა წონასწორობასთან დაკავშირებული პრობლემა ის კი არ არის, რომ მას მნიშვნელობა არა აქვს, არამედ სწორედ ის, რომ ძალიან ბევრი მნიშვნელობა აქვს"[207]. ერნსტ ჰაასმა ძალთა წონასწორობის პრინციპს სულ ცოტა რვა მნიშვნელობა მაინც გამოუძებნა: 1.ძალთა ნებისმიერი განაწილება; 2.გამაწონასწორებელი პროცესი; 3.ჰეგემონია ან მისკენ სწრაფვა; 4.სტაბილურობა და მშვიდობა ქვეყანათა თანამეგობრობაში;

---

204 H.Butterfield. "The Balance of Power". In: H.Butterfield and M.Wight. Diplomatic Investigations. Allen and Unwin, 1966, p.139

205 K.Polanyi. The Great Transformation. Beacon Press, Boston, 1957, p.3

206 H.J.Morgenthau. Politics Among Nations ...., p.161

207 I.L. Claude, Jr. Power and International Relations. Random House, New York, 1962, p.13

5.არასტაბილურობა და ომი; 6.ძალის პოლიტიკა; 7.ისტორიის უნივერსალური კანონი; 8.სისტემა და პოლიტიკოსისათვის სახელმძღვანელო პრინციპი.[208]

ჩვეულებრივ, როცა საერთაშორისო პოლიტიკაში ძალთა წონასწორობის პრინციპის შესახებ ვსაუბრობთ, მხედველობაში გვაქვს სამხედრო ძალა, ძლიერება.[209] ჯერ კიდევ დ.იუმი აღნიშნავდა, რომ სამხედრო წონასწორობის პრინციპს დიდი ყურადღება ექცეოდა ანტიკურ ხანაში, რომელმაც აზროვნებისა და ცოდნის ყველა სფეროში ძალიან ბევრი შთამბეჭდავი მაგალითი მოგვცა. ანტიკური ხანის ბრძენი და გამოცდილი მმართველები ძალთა წონასწორობის პრინციპს იცნობდნენ და იყენებდნენ. შუა საუკუნეებში და, განსაკუთრებით, XVIII და XIX საუკუნეებში ძალთა წონასწორობის პრინციპის გამოყენება პოლიტიკოსთა საყვარელ საქმედ იქცა.[210] ძალთა წონასწორობის პრინციპი თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკაშიც სახელმწიფოთა ეროვნული ინტერესებისა და, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული უსაფრთხოების უმრუნველყოფის ერთ-ერთ საშუალებად რჩება.

ძალთა წონასწორობის კონცეფცია გულისხმობს ისეთი საგარეო პოლიტიკის გატარებას, რომელიც მიზნად ისახავს რეგიონში ან გლობალური მასშტაბით ძალთა (პირველ ყოვლისა, სამხედრო ძალთა) წონასწორობის დამყარებასა და შენარჩუნებას. სახელმწიფოები ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში მოქმედებენ და მათი მიზნების დიაპაზონი ასეთია: გადარჩენიდან – მსოფლიო ბატონობამდე. ყოველი სახელმწიფო ცდილობს საკუთარი უსაფრთხოების უმრუნველსაყოფად გამოიყენოს ძალთა წონასწორობის პრინციპი და კავშირებისა და კოალიციების შექმნის გზით გაანეიტრალოს ობიექტურად არსებული ან სუბიექტურად აღქმული საფრთხე. ძალთა წონასწორობის პრინციპის გამოყენება რეგიონულ და გლობალურ საერთაშორისო სისტემას სტაბილურობას ანიჭებს. ძალთა წონასწორობის გლობალური მასშტაბით დამყარება და შენარჩუნება მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოების მეშვეობით ხორციელდება და იგი ამ სახელმწიფოების სურვილსა და შესაძლებობებზეა დამოკიდებული. სწორედ ევროპის უძლიერესი ქვეყნები განსაზღვრავენ მსოფლიოს ამ ნაწილში ძალთა წონასწორობისა და, მამასადამე, საერთაშორისო სისტემების სტაბილურობის ხასიათისა და ხანგრძლივობასაც. XX საუკუნის პირველ ნახევარშიც ძალთა წონასწორობის პრინციპი ბატონობდა მსოფლიო პოლიტიკაში, როგორც საერთაშორისო წესრიგის ერთადერთი ცნობილი ფორმა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩა-

---

208 E.B.Haas. The Balance of Power: Prescribtion, Concept or Propaganda? "World Politics", Vol.V, N4, July 1953, pp.442-477.

209 H.Bull. The Anarchical Society...., p.102

210 ძალთა წონასწორობის შესახებ დაწერილებით იხ.:E.V.Gulick. Europe's Classical Balance of Power. A Case History of the Theory and Practice of One of the Great Concepts of European Statecraft. The Norton Library. W.W.Norton and Company, New York, 1955. А.Дж. Тейлор. Борьба за господства в Европе 1848-1918 гг., М., 1958; Киняпина М.С. Внешняя политика России второй половины XIX века. М., 1974.

მოყალიბებული ბიპოლარული საერთაშორისო სისტემაც ძალთა წონასწორობის ან, როგორც მას უწოდებენ, „ტერორის წონასწორობის“ სისტემა იყო.[211]

ქ.ულლი ძალთა წონასწორობის კონცეფციას თეორიასაც კი უწოდებს და აღნიშნავს, რომ ეს თეორია ზუსტად ასახავს საერთაშორისო სისტემაში მიმდინარე პროცესებს იმ შემთხვევაში, თუ იგი შედგება უნიტარული მოქმედი პირებისაგან (სუვერენული სახელმწიფოებისაგან), რომლებიც, ყველაზე ცოტა, გადარჩენისათვის და, ყველაზე მეტი, მსოფლიო ბატონობისათვის იბრძვიან.[212] ამგვარ სისტემაში ყოველი ქვეყანა ცდილობს ნებისმიერი გზით მიაღწიოს საწადელ მიზნებს. ამ მიზნების მიღწევა კი ქვეყნებს შეუძლიათ საშინაო პოლიტიკის გზით (ეკონომიკური განვითარება, სამხედრო ძლიერების გაზრდა, ტონიერი სტრატეგიის შემუშავება და ა.შ.) და მათ საზღვრებს გარეთ ძალისხმევით (კავშირში შესვლა, „საკუთარი“ კავშირის გაძლიერება, მოწინააღმდეგე კავშირის შესუსტება ან მასში გადასვლა და ა.შ.). ამიტომ საერთაშორისო სისტემაში სამი ან მეტი მონაწილე უნდა იყოს, რადგან ორი მონაწილისაგან შემდგარ სისტემაში შეიძლება ძალები გაწონასწორდეს და ყოველ ქვეყანას წონასწორობის შესანარჩუნებლად შეუძლია მხოლოდ საკუთარი შესაძლებლობები გაზარდოს.

ძალთა წონასწორობის კონცეფციაში მეტად საყურადღებო ადგილი ეთმობა სახელმწიფოთა კავშირებისა და კოალიციების შექმნის პრობლემას. ამის შესახებ ჩვენ დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ.[213]

ძალთა წონასწორობის მდგომარეობა შეიძლება შეიქმნას ყოველგვარი განზრახვის გარეშე, როცა გარკვეული პროცესების შედეგად რეგიონის დონეზე თუ მთელ საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემაში ძალების გაწონასწორება მოხდება. უფრო ხშირად კი ძალთა წონასწორობის მდგომარეობის მისაღწევად სახელმწიფოები თავიანთ საგარო პოლიტიკას სათანადო მიმართულებით წარმართავენ.

ძალთა წონასწორობის ფუნქცია არა მშვიდობის, არამედ თავად საერთაშორისო სისტემის შენარჩუნებაა.[214] სწორედ ამის შედეგად ხდება, რომ ეს პრინციპი სისტემის უძლიერესი ქვეყნის ინტერესების შესაგყვისად გამოიყენება, პატარა, სუსტი ქვეყნების საშიანოდ, რაც ამ უკანასკნელთა დანაწევრებაში ან რომელიმე ძლიერი ქვეყნის მიერ მათ მიერთებაში გამოიხატება. ცალკეული სახელმწიფოს გადარჩენა იმ სისტემის გადარჩენასაც გულისხმობს, რომლის შემადგენელ ელემენტსაც იგი წარმოადგენს. თუ სახელმწიფოთა უპირველესი მიზანი გადარჩენა და დამოუკიდებლობის

---

211 G.H.Snyder. The Balance of Power and the Balance of Terror. In: "Balance of Power", Paul Seabury (Ed.). Scranton, Chandler, 1965, pp.185-201.

212 K.N.Waltz. Theory of International Politics...., p.118

213 ძალთა წონასწორობის ხსენებული ასპექტის შესახებ იხ.:M.A.Kaplan. System and Process in International Politics. John Wiley and Sons, New York, 1967, pp.22-36, 125-129.

214 H.Bull. The Anarchical Society ..., p.107

შენარჩუნებაა და ამისათვის საუკეთესო გზა – თვით საერთაშორისო თუ რეგიონული სისტემის შენარჩუნება, ბუნებრივი იქნება დავასკვნათ, რომ სისტემაში შემავალი არც ერთი ქვეყანა არ უნდა აღმოვიდეს იმდენად, რომ სხვებისათვის საფრთხე შექმნას. ამიტომაც არის, რომ სახელმწიფოები თავის დასაცავად კავშირებს ქმნიან და ფხიზლად ადევნებენ თვალს პოტენციურ მეტოქეებს.

ძალთა წონასწორობის შენარჩუნება თავისთავად სისტემაში მშვიდობას არ გულისხმობს; ეს ჩანს იქიდანაც, რომ სახელმწიფოები ომს მიმართავენ, რათა ძალთა წონასწორობა აღადგინონ და შეინარჩუნონ. სწორედ ომი არის ძალთა წონასწორობის მიღწევის ერთ-ერთი საშუალება.

როცა სახელმწიფო საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფას ცდილობს, სხვა სახელმწიფოებთან კავშირში შედის, მიმართავს ინტერვენციას (პრევენტიულ ომს), რათა არ დაუშვას პოტენციური მეტოქის აღზევება. ამ მხრივ სახელმწიფოებს დიდი მოქნილობა და მობილურობა ესაჭიროებათ, რათა კრიზისის მომენტში მყისვე დაუკავშირდნენ გუშინდელ მეტოქეებს და „ჯაეყარონ" გუშინდელ მოკავშირეებს. ძალთა წონასწორობის პრინციპის პრაქტიკაში გამოყენების ზემოხსენებული გზა საერთაშორისო პოლიტიკის ნორმებითაც ძალზე უზნეო საქმედ მიიჩნევა, რადგან სახელმწიფოს უკიდურესი „ეგოიზმით" არის ხოლმე ნაკარნახევი. ამ მხრივ უფრო იოლ მდგომარეობაში იყვნენ აბსოლუტიზმის ეპოქის სახელმწიფოები, რომლებიც ხელთათმანებიანთ იცელიდნენ მოკავშირეებსა და მეტოქეებს. დემოკრატიული რეჟიმისათვის, რომელიც გარკვეულ მორალურ ფასეულობებსა და პრინციპებს იზიარებს, არ არის ადვილი სწრაფი, გუშინდელის საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღება. იდეოლოგიური ვალდებულებებით „დამძიმებული" რეჟიმისათვის ძალთა წონასწორობის მისაღწევად ასევე არ არის ადვილი გუშინდელ იდეოლოგიურ მეტოქესთან დაახლოება; თუმცა 1939 წელს ფაშისტური გერმანიისა და კომუნისტური სსრკ-ის „დაძმობილება" გვიჩვენებს, რომ საერთაშორისო პოლიტიკაში ყველაფერია შესაძლებელი. ძალთა წონასწორობის პრინციპის გამო გუშინდელი მტრები კავშირს კრავენ, ხოლო გუშინდელი მოკავშირეები მტრები ხდებიან.

ძალთა წონასწორობის პრინციპს, საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიის თვალსაზრისით, რამდენიმე ფუნქცია აქვს. ჯ.ბულის შეხედულებით, ეს ფუნქციები შემდეგია:

1. ძალთა წონასწორობა, საერთაშორისო მასშტაბით, იცავს საერთაშორისო სისტემას დაპყრობათა შედეგად უნიკალურსალურ იმპერიად გარდაქმნისაგან;
2. რეგიონში ძალთა წონასწორობა იცავს სახელმწიფოთა დამოუკიდებლობას ადგილობრივი (რეგიონული) უძლიერესი ქვეყნის ბატონობისა თუ მის მიერ „ჩაყლაპვისაგან";
3. საერთაშორისო და ადგილობრივი (რეგიონული) ძალთა წონასწორობა ქმნის პირობებს, რომლებშიც მოქმედების საშუალება ეძლევა საერთაშორისო წესრიგის დამამყარებელ სხვა ინსტიტუტებს (დიპლომატია,

ომი, საერთაშორისო სამართალი და სხვ.).[215]

ჯ. დოგერტი და რ. პფალცგრაფი მიიჩნევენ, რომ ძალთა წონასწორობის ფუნქციებია:

1. საყოველთაო ჰეგემონიის თავიდან აცილება;
2. საერთაშორისო სისტემის შემადგენელი ელემენტებისა და, საკუთრივ, სისტემის შენარჩუნება;
3. საერთაშორისო სისტემაში სტაბილურობისა და უსაფრთხოებისათვის ხელის შეწყობა;
4. ომის შეკავებით მშვიდობის განმტკიცება და გახანგრძლივება.[216]

ძალთა წონასწორობის კონცეფცია რეალიზმის თეორიის საკვანძო კონცეფციას წარმოადგენს. მას ბევრი მომხრე ჰყავს, მაგრამ ბევრი მას სერიოზულად აკრიტიკებს, პირველ ყოვლისა, იმის გამო, რომ საკუთრივ ცნება „ძალთა წონასწორობა" საკმაოდ ბუნდოვანია და იგი მრავალ რამეს გულისხმობს. ამ კონცეფციას კიდევ იმიტომ აკრიტიკებენ, რომ ძალთა წონასწორობისაკენ სწრაფვას ხშირად ომისკენ მიეყავართ და რომ ამ პრინციპს სახელმწიფო მოღვაწეები ზოგჯერ ბოროტად იყენებენ როგორც საკუთრივ პოლიტიკაში, ისე პროპაგანდისტული მიზნებით.[217] ამავე დროს, ძალთა წონასწორობის მექანიზმს, ზოგის აზრით, თანამედროვე პოლიტიკაში. მნიშვნელობა ეკარგება[218]

ბირთვული იარაღის ეპოქაში ძალთა წონასწორობის კონცეფციამ ახალი შეფერილობა მიიღო და, როგორც უკვე აღინიშნა, „ტერორის წონასწორობის" მეტსახელიც კი დაიმსახურა. ძალთა წონასწორობა ისტორიის კონკრეტული სინამდვილეა და არა მხოლოდ აბსტრაქტული კონცეფცია, მაგრამ ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ობიექტურად არსებული ძალთა წონასწორობა სუბიექტურად აღქმულისაგან ხშირად საკმაოდ განსხვავდება და ეს განსაკუთრებით ბირთვული იარაღის ეპოქის ძალთა წონასწორობის შესახებ ითქმის. „ტერორის წონასწორობა", უბრალო ძალთა წონასწორობასთან შედარებით, კიდევ უფრო სუბიექტურია, რადგან დაპირისპირებული „ბირთვული" სახელმწიფოების ხელმძღვანელებისათვის, როგორც წესი, ძალზე ძნელი ხდება იმის განსაზღვრა, თუ როგორი ზიანი შეიძლება იგულოს მეტოქემ, რა უკიდურეს ნაბიჯზე წასასვლელად არის იგი მზად და ა.შ. „ბირთვულ" საერთაშორისო პოლიტიკაში თავდაცვამ და შეკავებამ ადგილები გაცვალეს. თუ ადრე შეკავებას მეორეხარისხოვანი ფუნქცია ჰქონდა, ბირთ-

---

215 H.Bull The Anarchical Society ..., p.106

216 J.E.Dougherthy, R.L.Pfaltzgraff, Jr. Contending Theories of International Relations. Third Edition. Harper Collins, New York, 1990, p.31

217 P.R.Viotti, M.V.Kauppi. International Relations Theory. Macmillan, New York, 1987, p.64

218 სტენლი ჰოფმანის აზრით, ახალი საერთაშორისო პოლიტიკური სინამდვილე ძალთა წონასწორობის მექანიზმს აზრს უკარგავს, რადგან სხვადასხვა ფაქტორების გაეღენა საერთაშორისო მოელენებზე გაიზარდა, იხ.:S.Hoffman. Primacy of World Order. McGrow-Hill, New York, 1978, p.168-177

ეული იარაღის ეპოქაში, „ტერორის წონასწორობის“ ეითარებაში, მთელი აქცენტი შეკავებაზე გადაეიდა. თუ შეკავებამ არ გაამართლა, მთელი სისტემა დაიღუპება.

უკეე აღინიშნა, რომ ძალთა წონასწორობის პრინციპი ძლიერი სახელმწიფოების სასიკეთოდ და სუსტების საზიანოდ „მუშაობს“. მართლაც, თუ თვალს გადავაველებთ 1648-1914 წწ. ევროპის ისტორიას, დავინახავთ, როგორ მკვეთრად შემცირდა ევროპულ სახელმწიფოთა რიცხვი ამ პერიოდში; და ამის ერთ-ერთი (თუ უმნიშვნელოვანესი არა) მიზეზი, ძლიერი სახელმწიფოების მიერ ძალთა წონასწორობის პრინციპის ცხოვრებაში გატარება იყო. პოლონეთის არაერთგზის დანაწილება სწორედ ამ პრინციპის პრაქტიკული გამოყენების ტრაგიკული მაგალითია.

როგორც ჰ.ბული შენიშნაეს, ძალთა წონასწორობის მსხვერპლი სუსტი სახელმწიფოს პოზიციებიდან, ეს დაუნდობელი პრინციპია, მაგრამ საერთაშორისო წესრიგის შენარჩუნებისათვის ამ პრინციპის გამოყენება საჭიროა; სჯობს სისტემაში საყოველთაო წონასწორობა იყოს, თუნდაც ამას რომელიმე სუსტი სახელმწიფო ან სახელმწიფოები შეეწიროს.[219] როგორც ეხედავთ, სუსტი სახელმწიფო საერთაშორისო სისტემაში ძალთა წონასწორობის პრინციპის მსხვერპლად გვეელინება.

არანაკლები უბედურებაა ეს პრინციპი საერთაშორისო სამართლისთვისაც. მისი მოქმედებისათვის ძალთა წონასწორობის მდგომარეობა არსებითი პირობაა, მაგრამ ამ წონასწორობის შენარჩუნებისათვის (ომები წონასწორობის აღსადგენად, ქვეყნების დანაწილება და ა.შ.) საჭირო ხდება საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვეეა. ამრიგად, ეს პრინციპი და საერთაშორისო სამართალი კონფლიქტში იმყოფებიან.

წონასწორობა ბიპოლარულ და მულტიპოლარულ სისტემებში

ძალთა წონასწორობის კონცეფციის ანალიზისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საერთაშორისო სისტემაში ძალთა განაწილებას, რომელიც მეიძლება ბიპოლარული ან მულტიპოლარული ხასიათისა იყოს. საერთაშორისო სისტემის სხვადასხვა ტიპების განხილვისას უკეე აღინიშნა, რომ ისტორიამ ჯერჯერობით მხოლოდ ეს ორი ტიპი „შემოგეთავაზა“[220]. ამიტომ საჭიროდ მიეეაჩნია მათ განხილვას გარკეეული ადგილი დავუთმოთ.

<u>ბიპოლარული სისტემა.</u> სისტემა ბიპოლარულია, როცა მასში ძალა კონცენტრირებულია ორი პოლუსის, ორი უძლიერესი სახელმწიფოს ირგელიე (როგორც ეს, მაგალითად, „ცივი ომის“ პერიოდში. იყო.). სისტემა მულტიპოლარულია, როცა უძლიერესი სახელმწიფოების რიცხვი ორს აღე-

---

219 H.Bull. The Anarchical Society..., p.107-108.

220 კიდეე ერთი ტიპი არის პეგემონური სისტემა, რომელშიც, ზოგიერთი ექსპერტის აზრით, Cეენ ამეამად ვიმყოფებით (აშშ-ის არნახული უპირატესობის გამო). პეგემონურ სისტემაში მხოლოდ ერთი უძლიერესი სახელმწიფოა (პეგემონი).

მაგება (როგორც ეს XIX საუკუნის მანძილზე, პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში და ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდში იყო). სისტემაში სტაბილურობისა და წონასწორობის დამყარების, მისი „მშვიდობიანობის" თვალსაზრისით, ერთი ან მეორე ტიპის უპირატესობების და ნაკლოვანებების თაობაზე ბევრი დაიწერა. აეტორების უმრავლესობა უფრო სტაბილურ სისტემად ბიპოლარულს აღიარებს.[221]

ტერმინი „ბიპოლარულობა" დამკვიდრდა მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ და მან საერთაშორისო სისტემაში ძალთა განაწილების ახალი ხასიათი ასახა. მსოფლიო პოლიტიკის აღრინდელი სისტემა, რომელშიც, რამდენიმე ძლიერი სახელმწიფო გამუდმებით იმის ცდაში იყო, ძალთა წონასწორობის მექანიზმი საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გამოეყენებინა, წარსულს ჩაბარდა და მის ნაცვლად ჩამოყალიბდა ახალი სისტემა, რომელშიც საერთაშორისო წესრიგის შენარჩუნება მსოფლიოს ორი უძლიერესი სახელმწიფოს პრეროგატივად იქცა. ამგვარად, საერთაშორისო სისტემაში სტაბილურობა ორ გიგანტს, აშშ-სა და სსრკ-ს, შორის წონასწორობას დაეფუძნა.

ისეთ ბიპოლარულ სისტემაში, როცა ორი უძლიერესი სახელმწიფო, სამხედრო შესაძლებლობების თვალსაზრისით, ჩრდილავენ ყველა დანარჩენს (მაგ., აშშ-სსრკ-ის დაპირისპირება), ამ უკანასკნელებს (განსაკუთრებით კი – ყველაზე სუსტებს), პრაქტიკულად არაევითარი გავლენის მოხდენა არ შეუძლიათ ძალთა წონასწორობის „სასწორის" მექანიზმზე. ყველა სუსტი სახელმწიფო ან ერთი ან მეორე სუპერგიგანტის ორბიტაში ექცევა და მათი საგარეო პოლიტიკური მიზნები და შესაძლებლობები ბიპოლარული სისტემის თავისებურებებითა და მოთხოვნებით განისაზღვრება. ჯ.მორგენთაუ სამართლიანად შენიშნავს, რომ ამგვარ სისტემაში მოქცეული ბევრი ქვეყანა შემთხვევით არ იმსახურებს „თანამგზავრის" მეტსახელს.[222] ამავე დროს, ბიპოლარულ სისტემაში ორივე უძლიერესი სახელმწიფო, ჩვეულებრივ, ცდილობს დაეხმაროს თავის უფრო სუსტ მოკავშირეებს სამხედრო და ეკონომიკურ სფეროში, რაც კარგად გამოჩნდა ციივ ომის პერიოდში, როცა ამერიკის შეერთებული შტატებიც და საბჭოთა კავშირიც თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში ბევრს აკეთებდნენ თავიანთი მოკავშირეების გასაძლიერებლად; ბევრმა მათგანმა, (განსაკუთრებით აშშ-ის მოკავშირეებმა), ხსენებული დახმარება თავის სასიკეთოდ გამოიყენა.

ბიპოლარულ საერთაშორისო სისტემაში, რომელშიც მხოლოდ ორი უძლიერესი სახელმწიფო დომინირებს, ქ.უოლცის აზრით, ძალთა წონასწორობა არასტაბილურია. მისივე აზრით, იგი სტაბილური გახდება, როცა სისტემაში ოთხი უძლიერესი ქვეყანაა წარმოდგენილი, ხოლო იმავე რანგის

---

221 R.N.Rosecrance. Bipolarity, Multipolarity and the Future. In: "International Politics". G.S.Masannat, G.Abcarian (Eds.). Charles Scribner's Sons, 1970, pp.212-213; K.N.Waltz. Theory of International Politics ..., pp.161-193.

222 H.J.Morgenthau. Politics Among Nations ..., p.336

მეხუთე „გამაწონასწორებელიც“ თუ გამოჩნდა, სისტემა საკმაოდ სტაბილური ხდება.[223] თუ რომელიმე ქვეყანაზე დაწოლა ძალზე დიდია, ეს ქვეყანა თუნდაც საგანას შეეკვრება,, ოღონდ კი სამხედრო დამარცხებას გადაურჩეს.[224] თუ მულტიპოლარულ სისტემაში, სადაც ხშირად საკმაოდ ჭირს იმის გარკვევა, ვინ ვისი მოწინააღმდეგეა ან მოკავშირე, არჩევანის საშუალება მეტია, ბიპოლარულში ყველაფერი ნათელია; აქ ორივე მხარე მშვენიერად იცნობს თავის მეტოქეს, გაურკვეველობა მინიმუმამდეა დაყვანილი და შეფასების გაკეთებაც ადვილდება. ამგვარ ვითარებაში, როცა ორივე მეტოქის, როგორც დაპირისპირებული ბანაკების ლიდერების, მდგომარეობა მყარია და მოკავშირეთა სურვილებზე და მათ მიმართ ვალდებულებებზე ნაკლებად არის დამოკიდებული, ორივე ლიდერის ხელმძღვანელობას შესაძლებლობა ეძლევა, უფრო დამოუკიდებელი, მოქნილი პოლიტიკა გაატაროს.

ბიპოლარულ სამყაროში ურთიერთობათა ხასიათი გამარტივებულია და ორ მეტოქეს შორის დაძაბულობა (განსაკუთრებით – ბირთვული იარაღის ეპოქაში), ერთსაც და მეორესაც აიძულებს, თავიანთ პოლიტიკაში იყენენ კონსერვატულნი. ბიპოლარული სისტემა უფრო „მშვიდობიანია“ სამი მიზეზის გამო: 1. კონფლიქტური წყვილების რიცხვი მცირეა და ამიტომ ომის შესაძლებლობა ნაკლებია; 2. შეკავება უფრო იოლდება, რადგან ძალთა გაუწონასწორებლობა ნაკლებია და წონასწორობის აღდგენა უფრო იოლად შეიძლება; 3. შეკავების შესაძლებლობები დიდია, რადგან შეფარდებითი ძლიერებისა და მეტოქის მიზნების შეფასება უფრო ადვილია.

ბიპოლარულ სისტემაში ომის შესაძლებლობა პრაქტიკულად მხოლოდ ორ დაპირისპირებულ უძლიერეს სახელმწიფოს შორის არსებობს, რადგან უფრო სუსტი სახელმწიფოები ორი ლიდერის გაელენის ქვეშ იმყოფება და ცხადია, ერთმანეთში ვერ იომებენ.

რ.როუკრენსის აზრით, მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი ბიპოლარული კი არა, ტრიპოლარული უფრო იყო.[225] ჰ.ბულიც მიიჩნევს, რომ 60-იანი წლებიდან 70-იანზე გადასელისას ძალთა პოლარიზაციის სურათი საკმაოდ ბუნდოვანი გახდა და მსოფლიო პოლიტიკაში სხვა სახელმწიფოების „წონა“ ისე გაიზარდა, რომ ორი უძლიერესი ქვეყანა ყველა დანარჩენზე უკვე მთლიანად ვეღარ დომინირებდა მათთან თანამშრომლობის შემთხვევებშიც კი.[226] ორი სუპერსახელმწიფო ბატონობდა, მაგრამ მათი ბატონობა აბსოლუტური აღარ იყო.[227]

<u>მულტიპოლარულ სისტემაში, როგორც ვთქვით,</u> არა ორი, არამედ

---

223 K.N.Waltz. Theory of International Politics ..., p.164

224 იქვე.p.166

225 R.N.Rosecrance. Action and Reaction in World Politics. Boston, Little, Brown, 1963, pp.210-211.

226 H.Bull. Atlantic Military Problems: A Preliminary Essay. Prepared for the Council on Foreign Relations Meeting of November 20, 1963, p.21

227 K.N. Waltz. The Stability of The Bipolar World. "Daedalus", Vol.93, N3, Summer 1964, p.325

სამი და მეტი უძლიერესი სახელმწიფო დომინირებს და სუსტ ქვეყნებს უკეე მეტი მანევრირების, სხვადასხვა კაეშირებში გაერთიანებისა და დამოუკიდებლად მოქმედების მეტი შესაძლებლობა აქვთ.[228]

კ.დოიჩი და დ.ზინგერი ფიქრობენ, რომ, ეინაიდან ძალთა წონასწორობის მექანიზმი ობიექტურად არსებობს და მოქმედებს, მულტიპოლარული სისტემა უფრო „მშეიდობიანია"; ამ დროს ძალთა განაწილების მულტიპოლარული ხასიათის გამო სახელმწიფოთა მანევრირებისა და სტაბილურობის მიღწეევის მეტი შესაძლებლობა იქმნება.[229] სისტემის მონაწილეთა რიცხეის გამრდა დაპირისპირებებისა და ამავე დროს კაეშირების შექმნის ბეერად მეტ შესაძლებლობას იძლეეა. მულტიპოლარულ მსოფლიოში ცალკეულ სახელმწიფოებს სამხედრო და ეკონომიკური შესუსტებისა ნაკლებად ეშინიათ, რადგან მისი კომპენსირება სხვადასხვა კაეშირებში შესელით და ამ გზით დამატებითი „ძალის სესხება" ყოველთეის შეუძლიათ. ამასთანავე მულტიპოლარულობა ხელს არ უწყობს სახელმწიფოთა გამალებულ შეიარაღებას.

მულტიპოლარულ სისტემას ბეერი კრიტიკოსი პყავს. მათი აზრით, ამგვარ სისტემაში საერთაშორისო კონფლიქტების მეტი შესაძლებლობაა ჩადებული, რადგან სისტემაში წარმოდგენილი ბეერი სახელმწიფოს ეროვნული ინტერესები ერთმანეთთან წინააღმდეგობაში აღმოჩნდება.[230] ამგვარ სისტემაში ძნელდება მომავალი ცელილებების პროგნოზირება და ხშირია პოტენციურ მეტოქეთა ზრახეებისა და შესაძლებლობების შეუფასებლობა თუ გადაფასება, რაც კონფლიქტების, ომების მიზეზი ხდება.[231] მულტიპოლარულობა აძნელებს პოლიტიკოსთა საქმიანობას, რადგან მათ უხდებათ მრავალი ეარიანტის გათელა, უამრავი ფაქტის, მოელენისა თუ პროცესის ობიექტურად შეფასება, რაც ურთულეს (შეუძლებელს თუ არა) ამოცანას წარმოადგენს. სამხედრო თეალსაზრისით, მულტიპოლარულ სისტემაში სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულება ძალიან დიდია, განსაკუთრებით – კრიზისებისა და ომების ეამს. ბიპოლარულ სისტემაში დაპირისპირებული ორი მეტოქე შეიძლება „მტერ-პარტნიორებად" იქცნენ, როგორც ეს „ცივი ომის" დროს მოხდა, რადგან, პოლარულად საპირისპირო ინტერესების მიუხედაეად, მათ გლობალური ბირთეული ომის თავიდან აცილების სურეილი აერთიანებდა.[232]

ბიპოლარულობამ ბირთეულ ეპოქაში კაცობრიობა მსოფლიო ომს გადაარჩინა, მაგრამ თავიდან ვერ აგეაცილა უამრაეი ნაკლებმასშტაბიანი

---

228 J.J.Mearsheimer. Back to the Future. In: "The Cold War and After". Edited by S.M.Lynn-Jones. The MIT Press, Cambridge, Mass., 1991, p.150

229 K.W.Deutch, J.D.Singer. Multipolar Power Systems and International Stability. "World Politics". Vol.XVI, N3, April 1964, pp.390-394.

230 R.N.Rosecrance. Bipolarity, Multipolarity and the Future..., p.218

231 G.Blainey. The Causes of War. Third Edition. The Free Press, New York, 1988, p.108-119.

232 R. Aron. Peace and War..., pp. 536-554

ომი. ეს იმის შედეგიც იყო, რომ შეკავება „ბირთვულ დონეზე“ სხვა ხასიათისაა, ვიდრე „ჩვეულებრივი“ სამხედრო თვალსაზრისით შეკავება. მულტიპოლარულ სისტემაში, შედარებით სუსტი სახელმწიფოების რეგიონულ, ლოკალურ კონფლიქტში ჩაბმამ შესაძლოა, ამგვარ კონფლიქტში უფრო მნიშვნელოვანი სახელმწიფოებიც ჩაითრიოს. ძალთა გაწონასწორების მექანიზმი მულტიპოლარულ სისტემაში უფრო მოქნილია, მაგრამ ამავე დროს იზრდება კონფლიქტებისა და ომების, რეგიონული გაუწონასწორებლობის შესაძლებლობები.

ერთი სიტყვით, ბიპოლარული და მულტიპოლარული სისტემების შედარებისას, ექსპერტთა უმრავლესობა იმ დასკვნამდე მიდის, რომ ბიპოლარულ სისტემაში, მულტიპოლარულ სისტემასთან შედარებით, გლობალური ომის საშიშროება (ბირთვულ ეპოქაში!) ბევრად ნაკლებია.

კავშირები

მარტოა ერთი რას იზამს,
თუნდაც ეკუსლს ყრიდეს პირითა.
ვაჟა

ორმე მეტი სახელმწიფოსაგან შემდგარ სისტემაში ძალთა წონასწორობის მოქმედი მექანიზმის აუცილებელ ფუნქციას კავშირები წარმოადგენს. ორ მეტოქე სახელმწიფოს პოზიციის შენარჩუნების ან გაუმჯობესების მხოლოდ სამი გზა აქვს: შეუძლია საკუთარი ძლიერება გაზარდოს; შეუძლია სხვა სახელმწიფოების ძლიერება დაიმატოს; შეუძლია მეტოქე იმით დაასუსტოს, რომ მას სხვა სახელმწიფოს (ან სახელმწიფოების) ძლიერება წაართვას. როცა ისინი პირველ გზას ადგანან, ეს სამხედრო გაძლიერებას, გამალებულ შეიარაღებას ნიშნავს. ორ დანარჩენ შემთხვევაში ისინი კავშირებს იყენებენ.[233] სწორედ სახელმწიფოთა მიერ კავშირებისა და კოალიციების* შექმნაში გამოიხატება ყველაზე მკაფიოდ ძალთა წინასწორობის მექანიზმის არსი.

სახელმწიფოები ქმნიან კავშირებს, როცა მათი ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა, როცა მათ საერთო საფრთხე ემუქრება და როცა კავშირის შექმნით ისინი ერთად აწონასწორებენ მეტოქის რეალურად თუ სუბიექტურად აღქმულ ძლიერებას. პოტენციური აგრესორი საკმარისად ძლიერი კავშირის წინააღმდეგ ბრძოლას მოერიდება. კავშირის შექმნა ძალის „სესხება" და ძალის „დამატებაა". კავშირში მყოფი სახელმწიფოების ვალდებულებები და შესაძლებლობები სინამდვილეში არასოდეს არის ერთი და იგივე „წონისა", რადგან სახელმწიფოები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სიდიდით, სამხედრო-ეკონომიკური შესაძლებლობებით და ა.შ. არის კავშირები, რომლებშიც მოკავშირეები თითქმის თანაბრად ინაწილებენ ვალდებულებებს და სარგებელს, მაგრამ არის ისეთი კავშირებიც, რომლებშიც ვალდებულებების „ლომის წილი" ერთ მოკავშირეზე მოდის, ხოლო მეორე (ან ყველა დანარჩენი) მოკავშირე სარგებლის თითქმის ასეთსავე წილს იღებს. კავშირში გაერთიანებული სახელმწიფოების მიზნებისა და იმედების ზუსტად შეფასება ყოველთვის როდი ხერხდება, მაგრამ მოკავშირეებს ყოველთვის აახლოებს საერთო საფრთხის შეგრძნება. ზოგჯერ ერთსა და იმავე კავშირში სხვადასხვა პოლიტიკური და იდეოლოგიური პრინციპების მქონე მოკავშირეებს ეხედებით, მაგრამ უფრო ხშირად მოკავშირეებს ბევრი რამ

---

[233] H.J. Morgenthan. Politics Among Nations..., p. 175

* კოალიცია ისეთი კავშირია, რომლის შექმნის შესახებ შეთანხმებას ხელი მოაწერა ოთხმა ან მეტმა სახელმწიფომ. კოალიციები, როგორც წესი, იქმნება დიდი კრიზისების პერიოდში, როცა თვით საერთაშორისო სისტემის ყოფნა-არყოფნის საკითხი დგება. კოალიციების შექმნა უფრო ძნელია და ისინი დიდხანს ვერ არსებობენ. კრიზისის დაძლევის, დიდი ომის დასრულებისთანავე კოალიციები იშლება. კავშირებში, Cვეულებრივ, ორი ან სამი სახელმწიფო ერთიანდება.

(პოლიტიკური, იდეოლოგიური, კულტურული მომენტები) საერთო აქვთ. დიდი, უძლიერესი სახელმწიფოებისათვის კავშირში შესვლა ზოგჯერ არც არის ხოლმე აუცილებელი, მაგრამ საშუალო და პატარა ქვეყნები, რომელთა სამხედრო-ეკონომიკური შესაძლებლობები შედარებით მოკრძალებულია, კავშირში შესვლით დამატებით ძალას „სესხულობენ" და თავს უფრო უსაფრთხოდ გრძნობენ.

კავშირის სიცოცხლის ხანგრძლივობა დამოკიდებულია მოკავშირეთა ინტერესებისა და მიზნების ხასიათსა და მნიშვნელობაზე. ეს ინტერესები და მიზნები სტატიკური არ არის და ყოველთვის სხვადასხვა კომბინაციების სახით გვეელინება. კავშირთა მიზნები და შექმნის მიზეზები მხოლოდ ომის დროს იღებს გამოკვეთილ სახეს, მოკავშირეთა მიზნები და მისწრაფებებიც ყველაზე მეტად ამ დროს ემთხვევა ერთმანეთს.

კავშირები იქმნება მოკავშირეთა საერთო ინტერესებისა და მიზნების საფუძველზე, მაგრამ მათი დეკლარირება საკმარისი არ არის. სიცოცხლისუნარიანია ისეთი კავშირი, რომელშიც მოკავშირეთა მიზნები პოლიტიკის კოორდინაციაში, კონკრეტულ ამოცანებში და ღონისძიებებში, დეტალურად შემუშავებულ მოქმედების გეგმაში პოულობს გამოხატულებას. კავშირი სიცოცხლისუნარიანი ვერ იქნება, თუ მოკავშირეთა ინტერესებისა და მიზნების მთავარი ასპექტები მაინც არ ემთხვევა, თუ მათ სერიოზულად არ აქვთ განსაზღვრული და შემუშავებული თავიანთი მონაწილეობისა და მოქმედების ძირითადი პრინციპები და ურთიერთვალდებულებები. თუ ასე არ მოხდა, კავშირის დამდები შეთანხმება ფარაგინა ქაღალდს ემსგავსება.

კავშირები მსოფლიო ბალანსის პრეტენზიის მქონე ძლიერი სახელმწიფოს ან რომელიმე უკვე არსებული კავშირის წინააღმდეგ იქმნება. კავშირები იქმნება გლობალური და რეგიონის მასშტაბით. საერთაშორისო სისტემაში, რომლის არსებობა ძალთა წონასწორობის მექანიზმზეა დამოკიდებული, კავშირების შექმნა, მათი დაშლა, ახალი კავშირების შექმნა, ყოფილი მეგოქეების შეკავშირება და შემდეგ კვლავ ერთმანეთის წინააღმდეგ მიმართულ კავშირებში გაერთიანება ჩვეულებრივი მოვლენებია.* კავშირების წარმოქმნის ზოგიერთი მიზეზი და გზა უმნეობად, უპრინციპობად გეეჩვენება, მაგრამ უკიდურესი საფრთხის პირობებში გადარჩენა თვითმიზანი ხდება.

<u>საერთაშორისო კავშირების შექმნის მიზეზებია:</u> 1. პასუხი გარეშე საფრთხეზე; 2. სახელმწიფოთა იდეოლოგიური სოლიდარობა თუ სიახლოვე; 3. უცხო სახელმწიფოს დახმარება; 4. ერთი სახელმწიფოს მიერ მეორეში „შელწევა" (მის საშინაო პოლიტიკურ სისტემაზე ზეგავლენა, მისი მანიპულირება).

---

* კავშირების შესახებ დაწერილებით იხ.: G. Liska. Nations in Alliance. The Limits of Interdependence. The Johns Hopkins University Press, Baltimore, 1968; R. Neustadt. Alliance Politics. Columbia University Press, New York, 1970; R. Rothstein. Alliances and Small Powers. Columbia University Press, New York, 1968. S.M. Walt. The Origins of Alliances. Cornell University Press, Ithaca, 1987.

კავშირების შექმნის ხსენებული მიზეზებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი და მოხშირებული მიზეზი გარეშე საფრთხეზე პასუხი, მისი თავიდან აცილების სურვილია. როცა ერთი სუვერენული სახელმწიფო რომელიმე სხვა სახელმწიფოს მხრიდან საფრთხეს იგრძნობს, სამი არჩევანი რჩება: 1. არაფერი გააკეთოს; 2. დაუკავშირდეს მესამე სახელმწიფოს (ან სახელმწიფოთა ჯგუფს); 3. გადავიდეს იმ სახელმწიფოს მხარეზე, რომლისგანაც საფრთხეს ელის. საერთაშორისო პოლიტიკაში, რეალურად შექმნილი ან აღქმული საფრთხე აიძულებს სახელმწიფოებს, ან მოკავშირეები იპოვონ, ან კავშირი დაამყარონ საფრთხის „წყაროსთან", მისი მოთვინიერების ან მისგან მფარველობის მიღების მიზნით.

ერთი სახელმწიფოს მხრიდან მოსალოდნელი საფრთხის განეიტრალების მიზნით სხვებთან კავშირში შესვლას გაწონასწორებას უწოდებენ, ხოლო პოტენციურ აგრესორთან, საფრთხის „წყაროსთან" კავშირს – უწოდებენ „მიგმასნებას".** კავშირების წარმოქმნის ორიეე ხსენებული გზა საკმაოდ ხშირად გვხვდება და ერთის ან მეორის ამორჩეეა დამოკიდებულია საერთაშორისო სისტემაში ან რეგიონში კონკრეტულ გეოპოლიტიკურ ეითარებაზე, გადაწყვეტილებათა მიმღების აღქმაზე, სახელმწიფოს მიერ განცხადებულ პოლიტიკურ პრინციპებზე და ფასეულობებზე და სხვ.[234]

გაწონასწორების გზას სახელმწიფო მაშინ აირჩევს, როცა საფრთხის შემქმნელი სახელმწიფო ძალზე ძლიერი ჯერ კიდევ არ გამხდარა და მესამე, უფრო სუსტ სახელმწიფოსთან მოკავშირეობა პოტენციური აგრესორისათვის გამაფრთხილებელი და შემაკავებელი ქმედებაა. როცა ერთი სახელმწიფო კავშირს კრავს მეორე უფრო სუსტ სასელმწიფოსთან, მათი გაერთიანებული შესაძლებლობები აწონასწორებს და აკავებს პოტენციურ აგრესორს.[235] ამავე დროს, უფრო სუსტ სახელმწიფოს ძირად უღირს თავისი ახალი მოკავშირე, დაინტერესებულია მისი შენარჩუნებით, მას თავს ვერ ახვევს საკუთარ ინტერესებს და მათი კავშირი ორიეე მხარისათვის მომგებიანია.

„მიგმასნების" გზას ზოგიერთი სახელმწიფო არჩევს მაშინ, როცა რომელიმე ძლიერი სახელმწიფო აღზევებას იწყებს და მისი შეჩერება, საერთო აზრით, შეუძლებელი ხდება. პოტენციური „მსხვერპლი" ფიქრობს, რომ ძლიერის მხარეზე გადასვლა, მასთან მიგმასნება, გადაარჩენს მას და, ძლიერის საბოლოო გამარჯვების და აღზევების შემდეგ, აღზევებული მას ერთგულებისათვის სიცოცხლეს და რაიმე „საჩუქარს" უწყალობებს. ძლიერი,

---

** სპეციალური ლიტერატურა ასეთ შემთხვევაში ხმარობს ინგლისურ ტერმინს „Bandwagoning" (ოთხთვალაში ჩასტომა), რომელიც მომდინარეობს აშშ-ის დასავლეთის ათვისების დროიდან (XIXს.), როცა ოთხთვალებში გამობმული ცხენები პიონერებს წყნარი ოკეანისკენ მიაქანებდნენ. ინდიელთა შემოტევებისას, ყველანი ოთხთვალებში ჩახტებოდნენ ხოლმე და მტერს იქიდან იგერიებდნენ. ჩვენ კავშირების შეკერის ამ ტიპის არსის გამოხატვისათვის „მიგმასნება" ვამჯობინეთ.

234 A. Wolfers. Discord and Collaboration. The Johns Hopkins University Press, Baltimore, 1988, pp.12-124

235 K.N. Waltz. Theory of International Politics...,p.127

დაუმარცხებელი სახელმწიფო სუსტებისათვის მიმზიდველია, მასში ბევრი მფარველს ხედავს. უფრო მეტიც, მოწინააღმდეგის ბანაკიდან „დეზერტირები" გაჩნდებიან ხოლმე მაშინ, როცა დაინახავენ, რომ მათი მფარველი და მოკავშირე საკმარისად ძლიერი არ არის ან განწირულია. მთელი „ცივი ომის" განმავლობაში აშშ და სსრკ ცდილობდნენ თავიანთი მეტოქის მოკავშირეების გადაბირებას, „ქრთამის" და მუქარის გამოყენებით. ორივეს ესმოდა, რომ გამომეღავნებული სამხედრო თუ ეკონომიკური სისუსტე არსებულ და პოტენციურ მოკავშირეებზე უარყოფით შთაბეჭდილებას ახდენდა და მეტოქის ბანაკში გადასვლის სურვილს აღუძრავდა[236]

ძლიერი სახელმწიფოს მხარეზე გადასვლა, ძლიერთან „მიგმასნება" სუსტისათვის იმ იმედის მომცემია, რომ ძლიერმა სახელმწიფომ, რომლისგანაც საფრთხე მოდის, შესაძლოა „მიგმასნილი" მოკავშირე დაინდოს და თავისი აგრესიული მისწრაფებების მსხვერპლად სხვა შეარჩიოს. გარდა ამისა, ომის დროს, ძლიერ სახელმწიფოსთან კავშირში შესვლით, გამარჯვების შემთხვევაში „უფროსი ძმისაგან" სუსტ მოკავშირეს „საჩუქრად" რამე ერგება. როგორც წესი, ამგვარი მოკავშირე იმედოვნებს, რომ საკუთარ ტერიტორიას გააფართოებს მეზობლების ხარჯზე. თუ პირველ შემთხვევაში „მიგმასნება" თავდაცვის, გადარჩენის მიზნით ხდება, მეორე შემთხვევაში იგი ნადავლის შოვნის სურვილით აიხსნება. რომელიმე სახელმწიფოს ძალა, ძლიერება სხვებისათვის საშიშროების წყაროა, მაგრამ ამავე დროს იგი პოტენციურ მეტოქეებს იზიდავს და მათ მოკავშირეებად გადააქცევს. ძლიერს შეუძლია დასაჯოს მგრები და დაასაჩუქროს მეგობრები. ამიგომ იგი აიძულებს სხვებს, ან გაწონასწორების ან „მიგმასნებს" გზა აირჩიონ.

უმეალო მეზობლები ყოველთვის უფრო მეტ საფრთხეს ქმნიან, ვიდრე მოშორებით მდებარე სახელმწიფოები. საერთაშორისო პოლიტიკაში მანძილს, მეზობლობას ძალზე დიდი, მოგჯერ კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს; ჯერ კიდევ აქტუალურია დიპლომატთა ძველი ხუმრობა, რომ „მეზობლის მეზობელი ჩვენი მეგობარია". სუსტი ქვეყნის მეზობლად მდებარე უძლიერესი სახელმწიფო შესაძლოა აშკარად არ ავლენდეს აგრესიულობას, მაგრამ მის სუსტ მეზობელს მშვიდად ძილი მაინც არ უწერია.

არსებობს მოსაზრება, რომ გაწონასწორების გზით წარმოქმნილი კავშირები უფრო ხშირია, ვიდრე „მიგმასნის" გზით მიღწეული, რომელიც სპეციფიკური პირობების არსებობასაც გულისხმობს.[237] გაწონასწორების გზით თავდაცვითი კავშირის შექმნა და ამით პოტენციური აგრესორის შეჩერება უფრო სანდო გზა ყოფილა, ვიდრე ძლიერთან მიგმასნება და მისი კეთილმოსურნეობისა და კარგი განწყობის იმედით ყოფნა. რაც უფრო სუსტია სახელმწიფო, მით უფრო მეტი შესაძლებლობაა, რომ მან ძლიერთან „მიგმასნის" პოლიტიკა ამჯობინოს. ძალიან სუსტი ქვეყანა ბევრს ვერაფერს არგებს თავდაცვით კავშირს, მაგრამ, ეისგან თავის დასაცავადაც არის შექმ-

236 S.M. Walt. The Origins of Alliances...,pp.19-20
237 S.M. Walt. The Origins of Alliances..., pp.28-29

ნილი კავშირი, იმის დიდ „რისხვას" დაიმსახურებს. განრისხებულის გამარჯვების შემთხვევაში, სუსტი ქვეყნის დღეები დათვლილია. ამიტომაც, ძალიან სუსტები გადარჩენის რაციონალურ გზად მიგმასნას მიიჩნევენ. არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ნებისმიერ შედარებით სუსტ სახელმწიფოს აიძულებს ძლიერის მხარე დაიჭიროს და მიეგმასნოს მას – ეს მამინ ხდება, როცა სხვა პოტენციური მოკავშირეები სხვადასხვა მიზეზის გამო უბრალოდ არ არსებობს და გადარჩენის ერთადერთი გზა ძლიერი ქვეყნის მხარეზე გადასვლაა.

შემჩნეულია, რომ მშვიდობის დროს სახელმწიფოები უფრო გაწონასწორების გზას იყენებენ, ხოლო ომის დროს, როცა მათი ყოფნა-არყოფნის საკითხი დგება, ქვეყნები არც მიგმასნაზე ამბობენ უარს; მაშინ კი, როცა გამარჯვებული გაირკვევა, ომში მას უცებ ბევრი ახალი მოკავშირე გამოუჩნდება.*

კავშირების წარმოქმნის კიდევ ერთი გზა შეიძლება <u>იდეოლოგიური სოლიდარობა</u> იყოს, რაც გულისხმობს ისეთი ქვეყნების შეკავშირებას, რომლებსაც ბევრი საერთო აქვთ პოლიტიკური, კულტურული, იდეოლოგიური თვალსაზრისით. ლოგიკურია, რომ, თუ ქვეყნები ერთ კულტურას, ერთ ცივილიზაციას, ერთ რელიგიას, ერთ პოლიტიკურ იდეოლოგიას მიეკუთვნებიან, მათი შეკავშირება უფრო ადვილად უნდა ხდებოდეს, მაგრამ საერთაშორისო ურთიერთობათა რეალისტური სკოლა იდეოლოგიურ სოლიდარობას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს. XX საუკუნემდე, როდესაც იდეოლოგიებმა უმარმამარი როლი შეასრულეს და უდიდესი გავლენა მოახდინეს საერთაშორისო ურთიერთობებზე, იდეოლოგიურ სოლიდარობას დიდი მნიშვნელობა მართლაც არ პქონია კავშირების წარმოქმნისათვის, მაგრამ მიმდინარე საუკუნეში ასეთი სოლიდარობის ფაქტორმა დიდი დაღი დასვა კავშირებისა და კოალიციების შექმნის პროცესებს. მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში დემოკრატიული სახელმწიფოები შეკავშირდნენ ფაშისტური გერმანიისა და იტალიის წინააღმდეგ. ტოტალიტარული კომუნისტური საბჭოთა კავშირი კი ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ მოკავშირეებს ხან დემოკრატიულ დასავლეთში ეძებდა, ხან იდეოლოგიური თვალსაზრისით თავის მოსისხლე მტერს – გერმანიას ეფიცებოდა ერთგულებას, რაც კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ უსაფრთხოების საკითხს იდეოლოგიასთან შედარებით უპირატესობა ენიჭებათ.** მეორე მსოფლიო ომმა ეს კიდევ ერთხელ დაგვისაბუთა. „ცივი ომის" პერიოდში, როცა საერთაშორისო სისტემამ ბიპოლარული ხასიათი მიიღო, ორი დაპირისპირებული ბანაკი იდეოლოგიურადაც

---

* ძლიერის მხარეზე გადასვლის, „მიგმასნების" შესახებ ფრიად საყურადღებო მოსაზრებებია გამოთქმული რ. შველერის ერთ-ერთ ბოლო სტატიაში. იხ.: R.L. Schweller. Bandwagoning for Profit. "International Security". Vol. 19, No. 1, Summer 1994, pp.72-107

** ამის შესახებ იხილეთ: H.S. Dinerstein. The Transformation of Alliance Systems. In: "International Politics". G.S. Masannat, G. Abcarian (Eds.). Charles Scribner's Sons, New York,1970, pp.228-249

დაპირისპირებული იყო, მაგრამ იუგოსლავია, მაგალითად, თუმცა კომუნისტური იყო, ფაქტობრივად, დასავლეთის მხარეზე იყო, რადგან ყველაზე მეტად საბჭოთა აგრესიის ეშინოდა.[238]

იდეოლოგიურ საფუძველზე წარმოქმნილ საერთაშორისო კავშირში, როგორც წესი, ამკარად გამოკვეთილი ავტორიტარული ლიდერიც არის, რადგან თუ იდეოლოგია ლეგიტიმურობის წყაროა (როგორც ეს იყო კომუნისტური იდეოლოგიის ბატონობის დროს მსოფლიოს გარკვეულ ნაწილში), ამგვარი კავშირის ყველა დანარჩენი წევრი იდეოლოგიური მოძრაობის ლიდერის დომინირებას უნდა შეურიგდეს.[239] ამავე დროს, ერთსა და იმავე იდეოლოგიაში მისი პრინციპების სხვადასხვა ინტერპრეტაციებიც ხშირია, რასაც ორთოდოქსი იდეოლოგები რევიზიონიზმს უწოდებენ; ეს გარემოება თვით იდეოლოგიურ მოძრაობაში და, მაშასადამე, მის საფუძველზე წარმოქმნილ კავშირში კონფლიქტებს და კავშირის შესუსტებას ან მოშლას იწვევს. ამგვარი რამ მოხდა „ცივი ომის" პერიოდში, როცა ჩინეთმა და ალბანეთმა საბჭოთა კავშირის მიმართ იდეოლოგიური ურჩობა გამოიჩინეს და კომუნისტურ ბლოკში დიდი ბზარი წარმოქმნეს. მართალია, ამ ქვეყნების ამგვარი ურჩობის მიზეზები მთლად იდეოლოგიური არ იყო, მაგრამ არც იდეოლოგიური განსხვავებები ყოფილა უმნიშვნელო.

საყურადღებოა, რომ იდეოლოგიური სოლიდარობა უფრო მნიშვნელოვანი ჩანს კავშირების შექმნაში, როცა მას სუსტი რეჟიმები იყენებენ და „იდეოლოგიური პოპულიზმის" მოშველიებით ცდილობენ როგორც საკუთარი სისუსტის შენიღბვას, ასევე კავშირის მთავარი „იდეოლოგის" (უძლიერესი ქვეყნის) მეტი ყურადღების მიპყრობას და მისგან დახმარების მიღებას. სუსტი რეჟიმი, უფრო ძლიერ ქვეყნებთან იდეოლოგიური სოლიდარობის წყალობით, შინ საკუთარ პოზიციებსაც იმაგრებს.

საერთაშორისო ურთიერთობათა თანამედროვე ეტაპზე, როცა საერთაშორისო პოლიტიკურ ცხოვრებაში ნაციონალიზმი და რელიგია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფაქტორები გახდა, როგორც ჩანს, საერთაშორისო კავშირებისა და კოალიციების შექმნის პრაქტიკაზე მათი გავლენა უნდა გაიზარდოს. ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა სემიუელ ჰანტინგტონის „ცივილიზაციათა შეჯახების" კონცეფცია, რომლის თანასმად, მომავალი საერთაშორისო პოლიტიკა განპირობებული იქნება კულტურული, ცივილიზაციური განსხვავებებით და ერთი ცივილიზაციის (ისლამური, დასავლურ ქრისტიანული, მართლმადიდებლურ-სლავური და ა.შ.) სახელმწიფოები ერთად იმოქმედებენ პოლიტიკაში და ეკონომიკაში.*

როცა ერთი სახელმწიფო მეორეს ეკონომიკურ თუ სამხედრო სფეროში

---

238 P.J. Fliess. International Relations in the Bipolar World. Random House, New York, 1968, pp. 117-118

239 R. Lowenthal. Factors of Unity and Factors of Conflict. "The Annals", 349, 1963, p. 107

* იხ.: S.P. Huntington. The Clash of Civilizations? "Foreign Affairs".Vol.72, No.3, Summer 1993, pp.22-49

ეხმარება, ეს ხელს უწყობს მათ შორის კავშირის შეკვრას. <u>უცხოური დახმარება</u> კავშირების წარმოქმნის ერთ-ერთი ფაქტორია. მიღებული დახმარება იწვევს მადლიერების გრძნობას, საპასუხოდ მხარში ამოდგომის სურვილს და წარმოშობს გარკვეულ ვალდებულებებს; აგრეთვე დახმარების მიმღები დამოკიდებული ხდება დამხმარეზე.

უცხოური დახმარება ზოგჯერ კავშირების წარმოქმნის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია, განსაკუთრებით მაშინ, როცა დიდი, ძლიერი სახელმწიფო ესმარება სუსტ ქვეყანას და ხსენებული დახმარება ფაქტობრივად, „მონოპოლიზებულია". როცა დახმარების სხვა წყაროები არ ჩანს და ეს დახმარება მეტად საჭირო და მნიშვნელოვანია, საესებით ბუნებრივია, რომ დახმარების მიმღები დამხმარესთან კავშირზე უარს არ ამბობს (და ვერც იტყვის). თუ მიმღებ ქვეყანას ვინმე ემუქრება, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა სამხედრო დახმარებას ენიჭება.

უცხოური დახმარების შედეგად წარმოქმნილი კავშირი ასიმეტრიული ურთიერთდამოკიდებულების სახეს იღებს, რომელშიც დონორ სახელმწიფოს დახმარების მიმღებ სახელმწიფოზე მეგაელენის მოხდენის მნიშვნელოვანი ბერკეტები მოეპოვება. ეს ბერკეტები უფრო ძლიერია, როცა დონორი სახელმწიფო ავტორიტარული ან ტოტალიტარულია. გაეიხსენოთ თუნდაც, კუბისათვის სსრკ-ის მიერ გაწეული დახმარების ხასიათი და მისი მედეგები.

კავშირის წარმოქმნის კიდევ ერთი ფაქტორია <u>ერთი სახელმწიფოს მიერ მეორეში „შეღწევა"</u>, რაც ნიშნავს ერთი ქვეყნის მიერ მეორის საშინაო პოლიტიკური სისტემის მანიპულირების უნარს. ს. უოლტის აზრით, ამგვარი შეღწევა შეიძლება, სულ ცოტა, სამი სახისა იყოს: 1. სახელმწიფო მოღვაწეებს, სხვადასხვა გარემოებათა გამო, სხვა სახელმწიფოსთან დაახლოების მიზნით შეუძლიათ თავიანთი გაელენის გამოყენება. 2. ერთ ქვეყანას ლობირების გზით შეუძლია მეორეში სასურველ გაელენას მიაღწიოს; 3. უცხოური პროპაგანდის შედეგად შესაძლებელია ქვეყნის მმართველმა ელიტამ და მოსახლეობამ სასურველი წარმოდგენები და განწყობა შეიქმნას.[240]

ფართო კონტაქტები (განათლება, სამხედრო კადრების მომზადება და ა.შ.) ორ სახელმწიფოს შორის ხელსაყრელ პირობებსა და წანამძღვრებს ქმნის ერთის მიერ მეორეში შესაღწევად, მის პოლიტიკურ ინსტიტუტებში გაელენის მოსაპოვებლად. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ ღია საზოგადოების მქონე სახელმწიფოში შეღწევა ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე – დახურულში. დემოკრატიულ სახელმწიფოში შეღწევა თეორიულად უფრო ადვილია, ვიდრე – ტოტალიტარულში. სინამდვილეში კი ძალიან ბევრია დამოკიდებული იმაზე, თუ როგორია შეღწევის მიზნები და რა მეთოდებით ხორციელდება იგი. მკრული პროპაგანდა და დისიდენტური, ოპოზიციური ჯგუფებისათვის ხელშეწყობა შეღწევის ძირგამომთხრელი მეთოდებია და, ბუნებრივია, ნებისმიერი სახელმწიფო მათ წინააღმდეგ მიმართული ამგვარი მეთოდების წინააღმდეგ საკუთარ კონტრზომებს მიმართავს. ღია სა-

---

240 S.M. Walt. The Origins of Alliances..., p.46

ზოგადოების მქონე სახელმწიფოში შეღწევა მრავალნაირი მეთოდისა და გზის გამოყენებით შეიძლება, მაგრამ დახურულ საზოგადოებაში შეღწევა, მისი პოლიტიკური კურსის შეცვლა, ფაქტობრივად, მხოლოდ ამ დახურული სახელმწიფოს ხელმძღვანელობაზე ზეგავლენით შეიძლება, რადგან დახურული საზოგადოების მქონე სახელმწიფოს ხელმძღვანელობას შეუძლია, მოელე ვადაში მნიშვნელოვნად შეცვალოს პოლიტიკური კურსი და ახალ კავშირზე წავიდეს. (გავიხსენოთ, როგორ შეაგრიალა სსრკ-ის პოლიტიკური კურსი ი.სტალინმა, როცა 1939 წლის ზაფხულში ფაშისტურ გერმანიასთან შეკრა კავშირი). შედარებით ადვილია ახალგაზრდა სუვერენული სახელმწიფოების პოლიტიკურ სტრუქტურებში შეღწევა, რადგან ეს სტრუქტურები ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია და მას ხშირად უცხოელი ექსპერტები წარმართავენ.

პარადოქსად შეიძლება მოგეჩვენოს, მაგრამ პაგარა, სუსტ ქვეყნებსაც შეუძლიათ დიდი გავლენა მოახდინონ ბევრად უფრო ძლიერ პოტენციურ თუ უკვე რეალურად არსებულ თაეიანთ მოკავშირეებზე. ამ მხრივ ყველაზე ეფექტური გზა ლობირებაა. ხშირად ამგვარი ლობირებისათვის გამოიყენება პაგარა ქვეყნის დიასპორა, მცხოვრები ძლიერ სახელმწიფოში. ამგვარი ლობირების საინტერესო მაგალითებია სამხრეთ კორეის, ისრაელის, ტაივანის ლობი აშშ-ის პოლიტიკურ სტრუქტურებში, რის შედეგადაც ხსენებული ქვეყნები მათთვის სასურველ კავშირში შედიოდნენ ან არსებული კავშირის პირობებს იუმჯობესებდნენ.* უკანასკნელ წლებში ასევე დიდ შედეგებს მიაღწია აშშ-ში სომხურმა ლობიმ, ამ ქვეყანაში დიდი და გავლენიანი სომხური დიასპორის მეცადინეობის წყალობით.

კავშირები პოლიტიკის ინსტრუმენტებია და ამიტომ ისინი მნეობრივად „ნეიტრალურნი" არიან.[241] კავშირების წარმოქმნა, მათი შესუსტება და დაშლა დიდ გავლენას ახდენს საერთაშორისო სისტემაზე. ამავე დროს თავად საერთაშორისო სისტემის ხასიათი ასევე დიდ გავლენას ახდენს კავშირების წარმოქმნაზე, მათ ფუნქციონირებაზე და ა.შ. ბიპოლარულ სისტემაში მოკავშირეთა ინტერესები ჰომოგენურია, ხოლო მულტიპოლარულ სისტემაში – ჰეტეროგენული.[242] ბიპოლარული სისტემა თავად უქმნის მოკავშირეებს გარკვეულ ინტერესებს და ვალდებულებებს. ცივი ომის პერიოდში აშშ-ს ჰქონდა აშკარა მიზანი, დაეცვა საბჭოთა ორბიტის გარეთ მყოფი ყველა ქვეყანა კომუნისტური აგრესიისაგან, ხოლო სსრკ-ს ანალოგიური მიზანი ამოძრავებდა აშშ-ის ორბიტის გარეთ დარჩენილი ყველა ქვეყნის მიმართ. ამიტომ, ნატო-ს და ვარშავის პაქტის წარმოქმნა ხსენებული მიზნების ინსტიტუციონ-

---

* R.O.Keohane. The Big Influence of Small Allies. "Foreign Policy", No. 2, Spring 1971, pp. 161-182

241 R.L. Rothstein. Alliances and Small Powers. Columbia University Press, New York, 1968, p.47

242 R.E. Osgood, R.W. Tucker. Force, Order and Justice. Baltimore, Johns Hopkins University Press, 1967, p.172

ალიმაციის თვალსაზრისით მხოლოდ ლოგიკური ნაბიჯი იყო.[243]

მულტიპოლარულ სისტემაში კავშირების წარმოქმნა, თავის მხრივ, ხშირად იწვევს მასში მონაწილე სახელმწიფოთა ახალ-ახალი პრობლემებისა და ინტერესების წარმოქმნას. ამგვარ სისტემაში არც ერთ სახელმწიფოს არ გააჩნია საკმარისი ძალა, რომ ყველა შესაძლებელ საფრთხეს თვითონ გაუმკლავდეს; ამიტომ, ძალის „სესხება" აუცილებელი ხდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფომ უნდა დაადგინოს, ვინ იქნება მისი მეგოქე, ვინ – მტერი, ვისგან მოდის მეტი საფრთხე, ვისთან კავშირი იქნება ყველაზე აუცილებელი და ა.შ. ეს იმასაც ნიშნავს, რომ რომელიმე სხვა სახელმწიფოსთან კავშირში შესვლა არის აგრეთვე ვალდებულება მისი გარკვეული ინტერესების დაცვისა, ისინი კი, შესაძლოა, ეწინააღმდეგებოდნენ კავშირში შემსვლელი სახელმწიფოს საკუთარ ძირეულ ინტერესებს. მულტიპოლარულ სისტემაში მეგობრებისა და მეგოქეების გამოცნობა, თუ საკუთარი და პოტენციური მოკავშირეების ინტერესების განსაზღვრა და მოკავშირეების „ხარჯებისა" და „მოგების" გათვლა-გამოცნობა კომპლექსურ თაესაგეხს წარმოადგენს. კავშირი დროებითი მოვლენაა; ისევე, როგორც სახელმწიფოთა ზოგიერთი ინტერესი, ისიც მუდმივად იცვლება. ამის გამო ყოველი სახელმწიფო დღენიადაგ იმის ცდაში უნდა იყოს, რომ, კავშირებში შესვლისა და მათში მოღვაწეობის თვალსაზრისით, რაც შეიძლება ოპტიმალურად გაატაროს საკუთარი პოლიტიკა. სწორედ ამისათვის არიან მოწოდებული გამჭრიახი და გამოცდილი ანალიტიკოსები და დიპლომატები.

კავშირები და კოალიციები მონაწილეთა გარკვეული პოლიტიკური მიზნების მიღწევისათვის იქმნება. როცა ეს მიზნები უკვე მიღწეულია, კავშირები იშლება.[244] კავშირები პოლიტიკის ისეთივე პრაგმატული ინსტრუმენტია, როგორც ყველა დანარჩენი.

რადგან თანამედროვე საერთაშორისო სისტემა სახელმწიფოებს აიძულებს, პირველ ყოვლისა, საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე იფიქრონ, მათ უნდა გადაწყვიტონ, საკუთარი უსაფრთხოების გამრდის რომელი გზა აირჩიონ: თავიანთი სამხედრო ძლიერება გაზარდონ, თუ კავშირში შესვლით ძალა „ისესხონ". მ. ალტფელდის აზრით, ამ არჩევანის გაკეთება დამოკიდებულია ხარჯების გაანგარიშებაზე ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმის შეფასებაზე, თუ რისი გაწირვა შეიძლება და რისი არა.[245] უზარმაზარი სამხედრო ხარჯების გაღება, არც ერთი ქვეყნისთვის არ არის ადვილი, ხოლო პატარა ქვეყნისათვის ეს განსაკუთრებით მძიმე ტვირთია, რისი ატანა მის ეკონომიკას ხშირად არც შეუძლია. კავშირში შესული სახელმწიფოები

---

243 G.H. Snyder, P.Diesing. Conflict Among Nations. Princeton University Press, Princeton, 1977, p.426

244 G.F. Liska, Nations in Alliance. The Limits of Interdependence. Johns Hopkins University Press, Baltimore, 1962, p12; W.H. Riker. The Theory of Political Coalitions. Yale University Press, New Haven, 1962, pp.32-76

245 M.F. Altfeld. The Decision to Ally: A Theory and Test. "The Western Political Quarterly", Vol.37, N4, December 1984, pp.523-543

სამხედრო სარჯებს ინაწილებენ და ამ გზით ეს ხარჯები ყველასათვის უფრო ასაგანი ხდება, მაგრამ კავშირში ყოფნა სახელმწიფოს თავისუფლების შეზღუდვას და პოლიტიკური თუ სხვა ხასიათის დამატებითი ვალდებულებების „ულელს" ადგამს. ამიტომ ცალკეულ შემთხვევებში ყოველი სახელმწიფო რთული თავსატეხის წინაშე დგება. ეს განსაკუთრებით ეხება პატარა, სუსტ ქვეყნებს, რომელთა სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური შესაძლებლობები მინიმალურია.

სახელმწიფოები მაშინ ქმნიან კავშირებს, როცა საფრთხეს იგრძნობენ. რომელიმე სახელმწიფოს ან კავშირის მხრიდან მომდინარე საფრთხე საკმაოდ სუბიექტურად ფასდება, მაგრამ აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული საფრთხის „წყაროს" ძალა, გეოგრაფიული სიახლოვე, მიზნები და ინტერესები. უოლტის აზრით, კავშირები იქმნება არა ძალთა წონასწორობის, არამედ, საფრთხის წონასწორობის კონცეფციიდან გამომდინარე, რადგან არა სახელმწიფოთა ძლიერება, არამედ მათგან მომდინარე საფრთხე, ამ საფრთხის აღქმა განსაზღვრავს სხვა სახელმწიფოთა ქმედებებს, მათ შორის – კავშირების წარმოქმნას.[246]

რ.შველერის აზრით, კავშირების წარმოქმნის მიზეზების ანალიზისას შეცდომა იქნებოდა „გაწონასწორება" და „მიგმასნება" უსათუოდ საწინააღმდეგო ან ურთიერთგამომრიცხავ გზებად წარმოგვედგინა.[247] თითოეულის მოგიეაცია მართლაც განსხვავებულია. მიგმასნებას არჩევენ ჩვეულებრივ ჯილდოს, მოგების მოლოდინის მიზეზით, გაწონასწორების მიზნით კავშირის შექმნა კი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ხდება. „მიგმასნა", ძლიერის თუ აგრესორის მხარეზე გადასელა ხშირად მისი სუფრიდან გადმოგდებული ძვლის მოლოდინში იმედიან კუდის ქიცინს ჰგავს და, ამდენად, დანაშაულში თანამონაწილეობასაც გულისხმობს. „მიგმასნა" ხშირად ხომ საესებით გათვლილი და წინასწარ განზრახული ნაბიჯია და არა იძულებით ან უკიდურესი აუცილებლობით გამოწვეული ნამოქმედარი. შველერის შესედულებით, კავშირების წარმოქმნა ინტერესების წონასწორობის მექანიზმის შედეგი უფრაა, ვიდრე – მხოლოდ ძალთა თუ საფრთხის წონასწორობის შედეგი.[248]

---

[246] S.M. Walt..., p.265

[247] R.L.Schweller. Bandwagoning for Profit..., p.106

[248] იქვე .., p.99

IV. უფრო მშვიდობიანი მსოფლიო?

ყოველივე წყობილება, რომლის ძალითაც მოქმედობს მთელი კაცობრიობა, იმიტომ არის შემოღებული, რომ ადამიანი, რამოდენადაც შესაძლოა, ბედნიერი იყოს.

ილია

კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია

კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია საერთაშორისო ურთიერთობათა პლურალისტური ხედვის, კონცეფციის პირმშოა. მისი ავტორები და მიმდევრები პრინციპულ საკითხებში რეალიზმს უპირისპირდებიან და მას თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკური და, განსაკუთრებით, ეკონომიკური მოელენებისა და პროცესების ანალიზისათვის გამოუსადეგარ, მოძველებულ კონცეფციად მიიჩნევენ.

კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორიის თანახმად, თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები ბევრად უფრო რთული და მრავალფეროვანი პროცესია, ვიდრე ამას რეალისტური კონცეფცია გვეხატავს. შემთხვევითი არ არის, რომ ამ კონცეფციის მანიფესტად წოდებული რ.ქიოპეინისა და ჯ.ნაის წიგნი „ძალაუფლება და ურთიერთდამოკიდებულება" შემდეგი სიტყვებით იწყება: „ჩვენ ურთიერთდამოკიდებულების ეპოქაში ვცხოვრობთ. ეს ბუნდოვანი წინადადება გამოხატავს არასაკმარისად გაცნობიერებულ, მაგრამ ფართოდ გავრცელებულ შეგრძნებას, რომ მსოფლიო პოლიტიკის არსი იცვლება".[249] ისეთმა ცნობილმა თეორეტიკოსმა და პრაქტიკოსმა რეალისტმაც კი, როგორიც აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჰ.კისინჯერია, 1975 წელს განაცხადა: „მსოფლიო ურთიერთდამოკიდებული გახდა ეკონომიკურად, კავშირურთიერთობებითა და ადამიანების მისწრაფებებით."[250]

დამოკიდებულება* ნიშნავს, რომ სახელმწიფოს არსებობა და მისი პოლიტიკა გარეშე ძალების მიერ განისაზღვრება ან ეს ძალები მასზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ. ურთიერთდამოკიდებულება კი იმას ნიშნავს, რომ ხსენებული პროცესი ცალმხრივი არ არის და საერთაშორისო ურთიერთობათა მონაწილე სახელმწიფოები და სხვა მოქმედი პირები ერთმანეთზე დიდ გავლენას ახდენენ და ურთიერთდამოკიდებულნი არიან,

---

249 R.O.Keohane, J.S.Nye. Power and Interdependence. Second Edition. Scott, Foresman and Company, Glenview, 1989, p.3

250 A New National Partnership. Speech by Secretary of State Henry A. Kissinger at Los Angeles, January 24, 1975. News Release, Dept.of State, Bureau of Public Affairs, Office of Media Services, p.1

* ინგლისური სიტყვა "dependence" ნიშნავს დამოკიდებულებას და დაქვემდებარებას. ამ კონცეფციის კონტექსტში მართებულია ვიხმაროთ ტერმინები „დამოკიდებულება" და „ურთიერთდამოკიდებულება".

როგორც პოლიტიკურად და ეკონომიკურად, ასევე კულტურულად, ეკოლოგიურად და ა.შ. ურთიერთდამოკიდებულება მღუდაეს ავტონომიას, სუვერენულობას. ურთიერთდამოკიდებულებამ შეიძლება მოიგანოს სიკეთე, მოგება, მშვიდობა, სტაბილურობა, მაგრამ იგი შეიძლება ნეგატიური შედეგების მომტანიც იყოს. თანამედროვე ურთიერთდამოკიდებულება დიდად არ არის დამოკიდებული ჩვენს ნება-სურვილზე და სახელმწიფოები სულ უფრო ურთიერთდამოკიდებულნი ხდებიან არა იმიტომ, რომ ეს ძალიან სწადიათ, არამედ იმიტომ, რომ თანამედროვე ეკონომიკურმა, ტექნოლოგიურმა, საავაჭრო, ეკოლოგიურმა და სხვა პროცესებმა აიძულა ისინი, ერთმანეთზე ურთიერთდამოკიდებულნი გამხდარიყვნენ. ურთიერთდამოკიდებულება ზოგადსაკაცობრიო, გლობალური პროცესია და მასში ერთნაირად არიან ჩართულნი დიდი და პატარა, სუსტი და ძლიერი ქვეყნები.

დღეანდელი მსოფლიო ხასიათდება მრავალგანზომილებიანი ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ურთიერთდამოკიდებულებით და ძალის გამოყენება აღარ განიხილება როგორც ყველაფრის წამალი. სახელმწიფოები ამჯობინებენ, ითანამშრომლონ ეკონომიკაში, პოლიტიკაში და ეკოლოგიაში, თავიანთი მოსახლეობის კეთილდღეობის მისაღწევად. ამავე დროს, ომები ისევ ხდება, თუმცა, ბოლო ხანებში, მას შემდეგ, რაც ბირთვული იარაღი გამოჩნდა, ისინი უფრო ლოკალური და რეგიონული მასშტაბისაა. უძლიერესი სახელმწიფოები კი უფრო ეკონომიკური და ტექნოლოგიური მეთოქეობით ცდილობენ თავიანთი მიზნების მიღწევას.

კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია გვიხსნის, რომ საერთაშორისო სისტემაში შემავალი სუვერენული სახელმწიფოები ერთადერთი ან გამორჩეული მოქმედი პირები არ არიან. მართალია, მათ ეს თეორიაც გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს, მაგრამ უკანასკნელ ხანებში მომძლავრებულ საერთაშორისო ორგანიზაციებს, ტრანსნაციონალურ კორპორაციებსა და საერთაშორისო ურთიერთობათა სხვა არასახელმწიფო მონაწილეებსაც ასევე მნიშვნელოვან როლს მიაკუთვნებს. ამ თეორიიდან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფოთა ქმედებების განსაზღვრის თვალსაზრისით, საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა არ არის მონოპოლისტი, და არსებობს კიდევ სხვა, არასტრუქტურული ფაქტორები. გარდა ამისა, თეორია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფოთა ურთიერთკავშირისა და ურთიერთთანამშრომლობის გაძრდილ აუცილებლობასა და უნარს.

ამ თეორიის თანახმად, საერთაშორისო ურთიერთობებში სუვერენული სახელმწიფო უნიტარულ მონაწილეს არ წარმოადგენს. დღეანდელ სახელმწიფოში არიან ძლიერი დაინტერესებული ჯგუფები, უწყებრივი ბიუროკრატიები, გავლენიანი ინდივიდები, არასახელმწიფო ორგანიზაციები, ეკონომიკური და ფინანსური ძალები, რომლებიც „ხლეჩენ" სახელმწიფოს. ნებისმიერი პოლიტიკური გადაწყვეტილების უკან დგას ან პიროვნება, ან დაინტერესებული ჯგუფი, ან უწყება, ან გარკვეული პოლიტიკური კოალიცია და ა.შ. გარდა ამისა, სახელმწიფო საზღვრები დღეს იმდენად გამჭვირვალეა, რომ სხვადასხვა სახელმწიფოთა მოქალაქეებსა და დაინტერესებულ

ჯგუფებს შორის მთავარობათა გვერდის აელითაც უამრავი სახის არაფორმალური სერიოზული კონტაქტი და გარიგება ხერხდება, რაც უზარმაზარ გავლენას ახდენს საერთაშორისო ურთიერთობებზე.

კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორიის თანახმად, სახელმწიფოთა ურთიერთობები მრავალმხრივია და ისინი სხვადასხვა პრობლემებთან არის დაკავშირებული. ამ პრობლემებში არ შეინიშნება მუდმივი და გამოკვეთილი იერარქიულობა. ეს იმასაც ნიშნავს, რომ სამხედრო უსაფრთხოება არ არის სულ მუდამ ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა.[251] ამიტომ ეროვნული ინტერესებისა და ეროვნული უსაფრთხოების ცნებები თავიანთ მნიშვნელობას პკარგავენ ან სრულებით ახალ შინაარსს იძენენ. პირველ პლანზე სმირად წამოწეულია ეკონომიკური, კეთილდღეობის, ეკოლოგიური პრობლემები, რომელთა გადალახვა სამხედრო ძალის გამოყენებით შეუძლებელია. სახელმწიფოთა ეროვნული ინტერესების მხოლოდ სამხედრო ინტერესებამდე დაყვანა დღეისთვის უაზრობად იქცა, რადგან ეკონომიკური და სოციალური ფაქტორები სმირად სახელმწიფოთა ეროვნული ინტერესების ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტს შეადგენენ.

კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულება ნიშნავს, რომ სხვადასხვა საზოგადოებები, სახელმწიფოები ურთიერთდაკავშირებულები არიან მრავალგვარი ფორმალური და არაფორმალური არხებით. ამამი იგულისხმებიან ფორმალური სამთავრობო, მმართველი ელიტების არაფორმალური, საერთაშორისო ბანკების, საერთაშორისო კორპორაციებისა და სხვა კავშირები.[252] ენერგეტიკის, რესურსების, ბუნებრივი გარემოს, კოსმოსისა და ზღვების პრობლემები ისეთივე მნიშვნელობისაა, როგორიც ადრე მხოლოდ სამხედრო-სტრატეგიული საკითხები, სამხედრო უსაფრთხოება, იდეოლოგია, ტერიტორიისთვის ბრძოლა იყო. სამხედრო ძალის გამოყენებით შეუძლებელია ყველა თანამედროვე პრობლემის გადაჭრა. ამას სჭირდება თანამშრომლობა, ინტეგრაცია, ურთიერთგახსნილობა. თანამედროვე მსოფლიო სწორედ ამ გზას დაადგა და ამის გამოხატულება კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების პროცესის გაღრმავებაა.

სამყაროში, სადაც კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულება ვითარდება და ღრმავდება საერთაშორისო ურთიერთობებში, სამხედრო ძალა აღარ არის ერთადერთი გადამწყვეტი ფაქტორი, თუმცა, კრიტიკულ სიტუაციებში, გარკვეული ტიპის ურთიერთობებში სამხედრო ძალის, ძლიერების მნიშვნელობა კელავაც დიდია.[253] ურთიერთდამოკიდებულების გაძლიერებასთან ერთად საერთაშორისო კონფლიქტებმა სხვა ფორმა უნდა მიიღოს (მაგ. „სავაჭრო ომები") და შესაძლოა კონფლიქტების ახალი მიზეზებიც

---

251 R.O.Keohane, J.S.Nye. Power and Interdependence ...., p.25

252 S.Hoffmann. A New World and Its Troubles. In: "Sea-Changes: American Foreign Policy in a World Transformed." N.X.Rizopoulos (Ed.). Council on Foreign Relations Press, New York, 1990, pp.278-279.

253 R.O.Keohane, J.S.Nye. Power and Interdependence..., p.28

გაჩნდეს. ამ მხრივ მსოფლიო მასშტაბის ინტეგრაცია (მაღალი დონის კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულება კი სწორედ ეს არის!) ხელს შეუწყობს სადავო საკითხების მშვიდობიანი გზით გადაჭრას. სახელმწიფოებისათვის ეკონომიკური თუ სხვა სახის თანამშრომლობა იმდენად ჩვეულებრივი და აუცილებელი გასდება, რომ ომის წარმომშობი პირობებიც კი ძალზე შეიმღუდება. დღეს არსებული ბევრი საერთაშორისო ორგანიზაცია, საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებისა და წინ წაწევის თვალსაზრისით, სულ უფრო და უფრო ეფექტური ხდება. ამავე დროს, კომპლექსურ ურთიერთდამოკიდებულებას, რომელიც უფრო მეტად ეკონომიკურ ურთიერთდამოკიდებულებაში გამოიხატება, კოლექტიური პოლიტიკური ძალისხმევაც ესაჭიროება (ამის კარგი მაგალითია „შვიდეულის" რეგულარული შეხვედრები მაღალ დონეზე, რომლებიც 70-იან წლებში დაიწყო.).[254] პოლიტიკური კონტროლი „ზემოდან" აუცილებელია, რადგან ინტეგრაციის გაღრმავებასთან ერთად სუვერენული სახელმწიფოების სუვერენიტეტი და თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობები ნაწილობრივ იმღუდება და ამან სავსებით შესაძლებელია, ზოგჯერ მოულოდნელი და საწინააღმდეგო რეაქცია მოგვცეს.

კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების სამყარო, როგორც ჩანს, მარტივი არ იქნება და ეს უკვე ამკარად იგრძნობა. რეალიზმის თვალთახედვით აღქმული „თეთრი" და „შავი" აქ, ურთიერთდამოკიდებულების კონცეფციაში, მრავალფეროვანია და ამდენად ბევრი მოვლენისა და პროცესის ადვილად და ერთმნიშვნელოვნად შეფასება შეუძლებელია: ხდება. ურთიერთდამოკიდებულების სამყარო მისი მონაწილეებისაგან პოლიტიკური და ეკონომიკური აზროვნების ახლებურ კულტურას, მოგიერთი ტრადიციული ფასეულობის გადაფასებას მოითხოვს, განსაკუთრებით იქ, სადაც ეროვნული კულტურის, ეროვნული ინტერესების, სუვერენიტეტის და სხვა საკითხები დგება. განსაკუთრებით ეს სუვერენიტეტის პრობლემაზე ითქმის. სახელმწიფოთა ფორმალური სუვერენიტეტი რჩება, მაგრამ იგი მართლაც რომ ფორმალურია და სხვა – არაფერი.[255]

კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების სამყაროში ძალთა წონასწორობამ თავისი მნიშვნელობა თითქოს უნდა დაკარგოს და პატარა, სუსტი ქვეყნებიც, ეკონომიკურ „ლობბას ქსელში" ჩართულნი, თავს თითქოს ბევრად უფრო მშვიდად უნდა გრძნობდნენ, რადგან ყოველ მათგანს ამ ურთულეს ეკონომიკურ მექანიზმში გარკვეული ფუნქციები გამოეძებნება და მათი არსებობითა და კეთილდღეობით ყველა სახელმწიფო იქნება დაინტერესებული.

კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების კონცეფცია, ისევე როგორც პოლიტიკური რეალიზმი და ნეორეალიზმი, სამყაროს გამარტივებული,

---

254 S.Gill. American Hegemony and the Trilateral Commission. Cambridge University Press, Cambridge, 1991, p.23

255 J.E.Thomson, S.D.Krasner. Global Transactions and the Consolidation of Sovereignity. In: "International Politics", R.J.Art and R.Jervis (Eds.). Third Edition. Harper Collins, New York, 1992, p. 311

„იდეალური" მოდელია, საერთაშორისო ურთიერთობათა რთული მოვლენებისა და პროცესების რამდენადმე „ფუტუროლოგიური" სურათიცაა. ეჭვგარეშეა, რომ თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკური და, განსაკუთრებით, ეკონომიკური სინამდვილე უკვე შეიცავს იმ მოვლენებსა და პროცესებს, რომლებიც კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების კონცეფციის „ჩონჩხს" ქმნის. მაგრამ საერთაშორისო სინამდვილე ჯერ მაინც შორს არის იმ მდგომარეობიდან, რომელსაც ხსენებული კონცეფცია მეტნაკლები ადექვატურობით ასახავს. ეს ერთსა და იმავე დროს ხსენებული კონცეფციის უარყოფითი მხარეც არის და დადებითიც. უარყოფითი ისაა, რომ იგი წინ უსწრებს მოვლენებს, ხოლო მისი დადებითი მხარე მის მიერ მომდინარე პროცესების პროგნოზირების შესაძლებლობის მექმნაა.

ამ კონცეფციამ გაბატონებული რეალისტური კონცეფციის წარმომადგენელთა მხრიდან კრიტიკული რეაქცია გამოიწვია. გაცხოველებული თეორიული დებატების შედეგები ასეთია:

1. მართალია, კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების კონცეფციის ავტორები ამას უარყოფენ, მაგრამ სინამდვილეში იგი რეალიზმთან (მეტი სიზუსტისთვის – ნეორეალიზმთან) უფრო ახლო დგას, ვიდრე ეს მის კრიტიკოსებს ჰგონიათ.[256] როგორც ს.გილი შენიშნავს, კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების კონცეფცია სინამდვილეში სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ნეორეალისტური ხედვისა და საერთაშორისო ეკონომიკის ლიბერალური კონცეფციის შეხამებას წარმოადგენს.[257]
2. ეს კონცეფცია წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობათა „იდეალურ" მოდელს და, ამიტომ, ადექვატურად არ ასახავს ამ ურთიერთობათა არსს.
3. ეს კონცეფცია გარკვეულწილად ასახავს საერთაშორისო ურთიერთობებში უკანასკნელ ხანს გაჩენილ თანამშრომლობის აუცილებლობის დანახვის ტენდენციებს და ზოგიერთ პრობლემურ სფეროში (საგარეო ვაჭრობა, ეკოლოგია, კონფლიქტების თავიდან აცილება და სხვა) დაწყებულ თანამშრომლობას.

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა მოვლენებსა და პროცესებს შორის უკანასკნელ ხანებში დიდ ყურადღებას იპყრობს „საერთაშორისო რეჟიმების" საკითხი, რომელიც კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების კონცეფციის ერთ-ერთი არსებითი ელემენტი და სახელმწიფოთა თანამშრომლობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა.

რას ნიშნავს „საერთაშორისო რეჟიმი"? როცა 1975 წელს ჯონ რაგიმ „შემოიტანა" საერთაშორისო ურთიერთობათა ლიტერატურაში საერთაშორისო რეჟიმის კონცეფცია, იგი დაახასიათა, როგორც „საერთო მოლოდინები, წესები, ნორმები, გეგმები, საორგანიზაციო ენერგია და საფინანსო

---

[256]R.O.Keohane, J.S.Nye. Power and Interdependence..., pp. 245-267

[257]S.Gill. American Hegemony..., p.23

ვალდებულებები, რომლებიც მიღებულია სახელმწიფოთა ჯგუფის მიერ."[258] მას შემდეგ რეჟიმის განმარტება რამდენჯერმე სცადეს, მაგრამ, ყველაზე გავრცელებული განმარტების თანახმად, რეჟიმი განიმარტება, როგორც „საერთაშორისო ურთიერთობათა რომელიმე მოცემულ სფეროში განცხადებული ან ნაგულისხმევი პრინციპები, ნორმები, წესები და გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურები, რომლებშიც ერთმანეთს ემთხვევა მონაწილეთა სურვილები და მოლოდინები."[259]

რეჟიმი არ არის მოკლევადიანი, დროებითი შეთანხმება, რომელიც მონაწილეთა ინტერესების ცვლასთან ერთად იცვლება. რეჟიმი ხანგრძლივი თანამშრომლობა უფროა ან, უფრო მუსტად, თანამშრომლობის გამაადვილებელი პირობებისა და წესების სისტემაა. რომელიმე საერთაშორისო რეჟიმის მონაწილე სახელმწიფოები ერთმანეთთან თანამშრომლობენ წინასწარ გაამრებული მიზნებით და გარკვეული შედეგების მოლოდინით. პრინციპები და ნორმები ნებისმიერი რეჟიმის ძირითადი მახასიათებელია და ისინი განაპირობებენ რეჟიმში მიღებულ „ქცევის" წესებსა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურებს. ცვლილებები წესებსა და გადაწყვეტილებების მიღების პროცედურებში გულისხმობს, პრინციპებისა და ნორმების ხელუხლებლად, რეჟიმის ჩარჩოებში ცვლილებებს. როცა პრინციპები და ნორმები იცვლება, ეს თავად რეჟიმის შეცვლასაც ნიშნავს. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ რეჟიმის საბაზო პრინციპები, ნორმები, წესები და გადაწყვეტილებათა მიღების მექანიზმები ვერ „ეგუებიან" ერთმანეთს ან სინამდვილეს და ამის შედეგად რეჟიმი სუსტდება.

ტერმინი „რეჟიმი" ნასესხებია საშინაო პოლიტიკის ლექსიკონიდან, რომელშიც იგი გარკვეულ მმართველობის წესს (დემოკრატია, ავტორიტარიზმი ან სხვ.) ან სახელმწიფოს შიგნით ადამიანების, მათი ჯგუფების ან კლასების ურთიერთობების განმსაზღვრელი წესებისა და ინსტიტუტების გარკვეულ სისტემას ნიშნავს. საერთაშორისო ურთიერთობათა სინამდვილეში, სადაც, სახელმწიფოს სტრუქტურისაგან განსხვავებით უმენაესი ხელისუფლება არ არსებობს, რეჟიმი საერთაშორისო სისტემის მონაწილე სახელმწიფოთა სურვილის შედეგია, როცა ეს სახელმწიფოები ცდილობენ რომელიმე სფეროში გარკვეული წესრიგისა და თანამშრომლობის დამკვიდრებას. საერთაშორისო რეჟიმის კლასიკური მაგალითია ბრეტონ-ვუდსის საფინანსო-სავალუტო სისტემა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თითქმის 25 წლის განმავლობაში მოქმედებდა. GATT* და საერთაშორისო შეთანხმება ზღვების შესახებ საერთაშორისო რეჟიმის ასევეთვე კარგი მაგალითებია.

---

258 J.G.Ruggie. International Responses to Technology: Concepts and Trends. "International Organization." Vol. 29, N3, Summer 1975, p.570

259 S.D.Krasner. Structural Causes and Regime Consequences: Regimes as Intervening Variables. In: "International Regimes". S.D.Krasner (Ed.) Cornell University Press, Ithaca, 1989, p.2

* General Agreement on Tariffs and Trade (ტარიფებსა და ვაჭრობაზე ზოგადი შეთანხმება). ხელმოწერილია 1947 წელს.

საერთაშორისო რეჟიმი სახელმწიფოთა განსხვავებული მიდგომების „შემარბილებელი“ ან საერთო ინტერესების ინსტიტუციონალიზაციის ინსტრუმენტია. რეჟიმები ურთიერთობათა სხვადასხვა სფეროებში კონფლიქტების თავიდან აცილების მიღებული ფორმაა.[260] მაგრამ რანაირად შეიძლება საერთაშორისო რეჟიმების არსებობა და ფუნქციონირება ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში, სადაც სუვერენული სახელმწიფოები თავიანთი ეგოისტური ინტერესების უმრუნველყოფას ცდილობენ? აღმოჩნდა, რომ სწორედ კერძო ინტერესი, ეროვნული ინტერესების უმრუნველყოფის აუცილებლობა და მნიშვნელოვნად შეცვლილი საერთაშორისო გარემო (ახალი ტექნოლოგიები, ბირთვული იარაღი, მწვავე ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური პრობლემები და ა.შ.) აიძულებს სახელმწიფოებს, ითანამშრომლონ საერთაშორისო ურთიერთობათა ზოგიერთ სფეროში, ან გარკვეული წესრიგი დაამყარონ ზოგიერთ რეგიონში მაინც. თანამშრომლობის, გარკვეული წესრიგის გარემე, საერთაშორისო ურთიერთობები კონფლიქტური დარჩება. ამიტომ სახელმწიფოები გარკვეული კონსენსუსის მონასავას ცდილობენ. საკუთარი ეროვნული მიმნების მიღწევა დღეანდელ სამყაროში, თანამშრომლობის გარემე, თვით უძლიერეს სახელმწიფოებსაც კი აღარ ძალუძთ (სუსტებზე კი ლაპარაკიც ზედმეტია). ამიტომ საერთაშორისო რეჟიმები, რაოდენ რთულიც არ უნდა იყოს მათი შექმნა და შენარჩუნება, სულ უფრო ფართოდ ვრცელდება – საერთაშორისო თანამშრომლობა კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების გაღრმავების შედეგია.

ჩვენ ვიცით, რომ საერთაშორისო სისტემა პეგემონი სახელმწიფოების ფასეულობებისა და ინტერესების თანახმად „ეწყობა“ და ფუნქციონირებს. ამიტომ ლოგიკურია, რომ საერთაშორისო რეჟიმები უმეტესწილად (განსაკუთრებით, თუ ისინი გლობალური და მსვილი რეგიონის მასშტაბისაა) ასიმეტრიული იქნება, ე.ი. გაბატონებული, უფრო ძლიერი მონაწილეების სურვილები და პირობები შეუძლებელია არ ითვალოს ამ რეჟიმების პრინციპებში, წესებსა, და გადაწყვეტილებების მიღების პროცედურებში. ეს ნიშნავს თუ არა იმას, რომ პატარა, სუსტი სახელმწიფო ისევე ისე იჩაგრება, ისევე ისე არათანასწორ პირობებშია ჩაყენებული და იძულებულია დასთანხმდეს საკუთარი ეროვნული ინტერესების ნაწილის მაინც დათმობას? პეგემონური საერთაშორისო სისტემის ლიდერი – პეგემონი სახელმწიფო – საკუთარ კონტროლს ვერ დაამყარებს და საკუთარ ინტერესებს ვერ უმრუნველყოფს, თუ საერთაშორისო სისტემაში გარკვეული წესრიგი და თანამშრომლობა ვერ დაამკვიდრა. პეგემონმა თუ პატრონაჟის პოლიტიკა არ გამოიყენა, მას საპეგემონოდ ბევრი არაფერი შერჩება ხელთ, რადგან საერთაშორისო სის-

---

260 საერთაშორისო რეჟიმების კონცეფციას, ბუნებრივია, კრიტიკოსებიც ყავს. ამ მხრივ საყურადღებოა საერთაშორისო ეკონომიკის აღიარებული ბრიტანელი ექსპერტის ქ-ნ ს.სტრეინჯის მოსაზრებები. იხ.: S.Strange. Cave lhic dragons: a critique of regime analysis. In: "International Regimes". S.D.Krasner (Ed.). Cornell University Press, Ithaca, 1989, pp.337-354

ტემის პოლიტიკური და ეკონომიკური მექანიზმები მოიშლება და კელაე ძალის დიქტატის ეკონომიკურად არაეფექტიანი პოლიტიკა გაბატონდება, რაც შეიძლება ტოტალიტარული პეგემონის ინტერესებში იყოს კიდეც, მაგრამ დემოკრატიული პეგემონის ბუნებასა და ინტერესებს არ ესადაგება. პეგემონური ლიდერობა პატრონაჟული ლიდერობაა და მას თანამშრომლობის გარეშე ვერ გაატარებ.

რეჟიმები იქმნება მონაწილე სახელმწიფოების მიერ მათი ინტერესების აღქმის საფუძველზე. თუ ეს ინტერესები სათანადოდ არის განსაზღვრული და დიდხანს არ იცვლება, მაშინ რეჟიმიც კარგა ხანს შეინარჩუნებს მდგრადობას. მაგრამ პრაქტიკულად ჩვენს სინამდვილეში ყველა საერთაშორისო რეჟიმი არათანაბარი ძალისა და შესაძლებლობების მონაწილეების, პეგემონისა და მასზე ბევრად უფრო სუსტი სახელმწიფოების ქმნილებას წარმოადგენს და, ამდენად, ყველა მონაწილისათვის ერთნაირად მისაღები და მომგებიანი ვერ იქნება. თუ რეჟიმის ფუნქციონირება რომელიმე მონაწილეს (ან მონაწილეებს) სარგებლობას არ მოუტანს, ამ რეჟიმის არსებული სახით შენარჩუნება ძნელდება; იგი დასუსტდება და საბოლოოდ, მოიშლება კიდეც. ამიტომ რეჟიმის შექმნისას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ყველა მონაწილის ინტერესების გათვალისწინებას და, განსაკუთრებით, პეგემონის კონსტრუქციულ, ხშირად კონფორმისტულ პოზიციას. პეგემონმა ყველას არა მარტო უნდა უჩვენოს მოცემული რეჟიმის აუცილებლობა და ყველასათვის სარგებლიანობა, არამედ რეჟიმის შენარჩუნებისათვის საჭირო დამატებითი ძალისხმევა და მისი მთლიანი მხარდაჭერა უნდა იკისროს.[261]

რეჟიმის ფუნქციონირების შედეგად ზოგიერთი სასელმწიფო უფრო ძლიერდება, ზოგიერთი კი სუსტდება. მაგ., GATT რეჟიმის რადიკალი კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ამ რეჟიმის ლიბერალურმა პრინციპებმა და წესებმა ხელი შეუწყო განვითარებული სახელმწიფოების კიდევ უფრო გაძლიერებას, ხოლო სუსტები კელავ უმწეო და დაქვემდებარებულ მდგომარეობაში დატოვა.

ბუნებრივია, არც ერთი საერთაშორისო რეჟიმი არ იქნება ისეთი, რომელშიც ყველა ბევრს მოიგებს, მაგრამ რეჟიმის პირობებისა და წესების შემუშავებისას ყველა მონაწილემ მაქსიმალურად უნდა გაითვალისწინოს საკუთარი და საერთო ინტერესები. პატარა, სუსტი სახელმწიფოსათვის ეს, ჩვეულებრივ, რთული ამოცანაა, მაგრამ რეგიონული (უსაფრთხოება, ეკოლოგია, ვაჭრობა და სხვა) ან ზოგიერთი მწვავე საერთაშორისო პრობლემის გამო შექმნილ რეჟიმებში სუსტ სახელმწიფოებს საკუთარი ინტერესების უზრუნველყოფა უფრო უადვილდებათ.

---

261 პეგემონური რეჟიმების შესახებ იხ.:R.O.Keohane. After Hegemony. Princeton University Press, Princeton, 1984; S.D.Krasner. Structural Conflict. University of California Press, Berkeley, 1985.

უკვე არაერთგზის აღინიშნა, რომ მშვიდობის დამყარება, მშვიდობიანი საერთაშორისო ურთიერთობების დამკვიდრება, ომების თავიდან აცილება იყო და რჩება კაცობრიობის ერთ-ერთ მთავარ საზრუნაოად. მშვიდობიანი საერთაშორისო პოლიტიკა განსაკუთრებით აძლევს ხელს პაგარა, სუსტ ქვეყნებს, რომლებსაც ძალის პოლიტიკის ვითარებაში თითქმის მუდმივად საფრთხე ემუქრებათ და დღენიადაგ გადარჩენაზე უწევთ ფიქრი.

70-იანი წლებიდან საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში კვლავ გაცხოველდა დისკუსია მშვიდობის დამყარებისათვის აუცილებელ პირობათა შესახებ. თავის დროზე გერმანელმა ფილოსოფოსმა იმანუელ კანტმა წამოაყენა თემისი, რომლის თანახმად კაცობრიობა აუცილებლად მივა საყოველთაო და მარადიულ მშვიდობამდე, ვინაიდან კაცობრიობის განვითარება საბოლოოდ რესპუბლიკური წესწყობილების საყოველთაო დამკვიდრებამდე უნდა მივიდეს. კანტის აზრით, მარადიული მშვიდობისათვის სამი პირობა უნდა არსებობდეს: 1. ყოველი სახელმწიფო რესპუბლიკა უნდა იყოს; 2. საერთაშორისო სამართალი თავისუფალი სახელმწიფოების ფედერალურ კავშირს უნდა ეფუძნებოდეს; 3. საერთაშორისო სამართალი უნდა გახდეს მსოფლიოს მოქალაქეობის სამართალი, რომელიც საყოველთაო სტუმართმოყვარეობის პირობებით შემოიფარგლება.[262]

გერმანელი ფილოსოფოსი, გეორგ ფრიდრიხ ჰეგელი ფიქრობდა, რომ სახელმწიფოთა ნებისმიერი კავშირი თუ კონფედერაცია უნდა გულისხმობდეს ყველა სახელმწიფოს მშვიდობიანი თანამშრომლობის სურვილს, რაც შეუძლებელია; ამიტომ, მისი აზრით, სინამდვილეში სახელმწიფოთა შორის უთანხმოება ომის საშუალებით გადაწყდება.[263]

კაცობრიობამ გასული საუკუნის მანძილზე თითქმის რევოლუციური გარდაქმნის გზა გაიარა და სამრეწველო საზოგადოების ფაზაში შევიდა. ინტელექტუალური, ტექნიკური, ეკონომიკური რევოლუციების შედეგად კაცობრიობა, როგორც ამას ბევრი (სენ-სიმონი, ო. კონტი, ჰ. სპენსერი და სხვები) წინასწარმეტყველებდა, თითქოს მშვიდობის გამეფების ეპოქაში უნდა შესულიყო. მაგრამ, როგორც ვხედავთ, ასე არ მომხდარა. ეს ასე რატომ არ მოხდა, ამაზე ოთხი პასუხი შეიძლება გაიცეს. კ. მარქსის აზრით, ვინაიდან საზოგადოება ექსპლუატაციაზეა დაფუძნებული, სამრეწველო საზოგადოებას მივყავართ წინააღმდეგობებამდე და კრიზისებამდე, რომლებიც რევოლუციებით და ომებით მთავრდება. თუ ადრე მარქსის პასუხი გამოსადეგი ჩანდა, უკანასკნელმა მოვლენებმა მისი სიმცდარე დაგვიდასტურეს.

მეორე პასუხი შესაძლოა მოგვესმინა იოზეფ შუმპეტერისა და ტორსტენ

---

262 Трактаты о вечном мире. Изд. Соц-Экономической литературы. Москва, 1963, стр.157-165; გ. თეეზაძე. იმანუელ კანტი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1974, გვ.გვ. 133-139

263 Гегель, Сочинения, т.VII, М., 1934, p.351

ეებლენისაგან, რომლებიც გვეგყოდნენ, რომ ომები კაპიტალიზმის პირმშო კი არა, კაპიტალიზმის ჯერჯერობით არასაკმარისი განვითარების, მასში წინაკაპიტალისტური ფასეულობებისა და ჯგუფების არსებობის შედეგია.

რაიმონ არონი გვიპასუხებდა, რომ, პროგრესის მიუხედავად, ისტორიული პროცესი არ იცვლება და იგი იმპერიების, არმიებისა და გმირების დრამად რჩება, მაგრამ მომავალში, იარაღის სრულყოფის და ეკონომიკის განვითარების შედეგად, ომის შესაძლებლობები მინიმუმამდე შემცირდება.

მეოთხე პასუხი ფრიდრიხ ნიცშესი იქნებოდა, რომელიც იტყოდა, რომ თანამედროვე საზოგადოების უცილობელი ხვედრი, თანასწორობისა და მშვიდობისაკენ მისი სვლის გამო, ადამიანის დეგრადაცია და ისეთი ადამიანის ჩამოყალიბებაა, რომელსაც ომიც აღარ შეუძლია. ნიცშემ იწინასწარმეტყველა, რომ XX საუკუნე ომების საუკუნე იქნებოდა; ეს იქნებოდა რეაქცია იმ ადამიანებისა, რომლებიც დეკადანსის პროცესის შეჩერებას შეეცდებოდნენ.

მართლაც, XX საუკუნის ორი მსოფლიო ომი და ორი ტოტალიტარული იმპერიალიზმი ნიცშეს გამჭრიახობაზე მიგვითითებს, მაგრამ ისიც ხომ მართალია, რომ ორივე ტოტალიტარული იდეოლოგია და მათზე ამომრდილი იმპერია დაიმსხვრა და მათ ნანგრევებზე ლიბერალური დემოკრატიის განვითარება მიმდინარეობს.[264] ისიც სიმართლეა, რომ დასავლეთის ლიბერალურ-დემოკრატიულ სახელმწიფოებს შორის უკვე რამდენიმე ათწლეულია, რაც ურთიერთპაციფისტიკის, ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის ეითარება ჩამოყალიბდა; ხომ არ არის ეს სწორედ ამ ქვეყნებში დამკვიდრებული დემოკრატიის შედეგი? იქნებ სწორედ ამგვარი გზა – ყველა სახელმწიფოში ლიბერალური დემოკრატიის დამკვიდრება – არის გზა მშვიდობიანი საერთაშორისო ურთიერთობებისაკენ, სადაც აღარ იქნებიან დიდი და პატარა, ძლიერი და სუსტი ქვეყნები? იქნებ კანტი მართალი იყო, როცა მომავალ მარადიულ მშვიდობაზე მიგვითითებდა?

80-იან წლებში ამერიკელი მეცნიერები, მაიკლ დოილი და ფრენსის ფუკუიამა შეეცადნენ იმის გარკვევას, დადგენას თუ ვინ იყო მართალი, კანტი თუ ჰეგელი?*

ცნობილია, რომ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ეკონომიკური განვითარების შედეგად იქმნება და ძლიერდება საშუალო ფენა, მაღლდება განათლების დონე და ა.შ. საშუალო ფენა სისხლხორცეულად არის დაინტერესებული მშვიდობიანი ეითარებით, რომელშიც იგი გააგრძელებს ეაჭრობას, წარმოებას და საკუთარ სიმდიდრეს გაზრდის. ამიგომ საშუალო ფენა

---

264 P. Hassner. Beyond the Three Traditions: The Philosophy of War and Peace in Historical Perspective. "International Affairs",Vol.70, No.4, October 1994, p.750

* იხ.: M.W.Doyle. Kant, Liberal Legacies and Foreign Affairs. "Philosophy and Public Affairs", Vol.12,No. 3-4, Summer 1983, pts 1 and 2, pp.205-353; F.Fukuyama. The End of History. "National Interest", No.16, Summer 1989, pp.3-18; F.Fukuyama. The End of History and The Last Man. Avon Books, New York, 1992

დაინტერესებულია მშვიდობით, საერთაშორისო თანამშრომლობით. დემოკრატიულ სახელმწიფოში, ამავე დროს, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესი ამ ქვეყნებში არ უწყობს ხელს უკიდურესი ნაციონალისტური, შოვინისტური თუ იმპერიალისტური პოლიტიკის დამკვიდრებას და საგარეო პოლიტიკაში ომის იდეის გაბატონებას. ეს განსაკუთრებით ითქმის დემოკრატიულ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების შესახებ, რომლებიც გამოირჩევა ურთიერთპატივისცემით, მჭიდრო ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობით. უფრო მეტიც, დემოკრატიული ქვეყნები ე.წ. „მშვიდობის ზონასაც" კი ქმნიან, რომელიც თანდათანობით ფართოვდება.

დემოკრატია შედარებით ახალი მოვლენაა, მაგრამ იგი საკმაოდ სწრაფად ვრცელდება. დემოკრატიის გავრცელების პროცესში იყო „შეჩერებები" და უკან „დახევებიც". დღეს მსოფლიოს სახელმწიფოთა 40%-ზე მეტი დემოკრატიულია. ძალა და სიმდიდრე სწორედ დემოკრატიულ სახელმწიფოებშია თავმოყრილი. თუ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დემოკრატიული რეჟიმები თითქმის 30 სახელმწიფომი დამყარდა, მეორე მსოფლიო ომის წლებში მხოლოდ 12 დემოკრატიული ქვეყანა დარჩა. 60-იან წლებში მათი რიცხვი 37 იყო. უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე დაიწყო დემოკრატიზაციის ახალი მძლავრი ტალღა, რომელსაც ბიძგი საბჭოური სოციალიზმის იდეების მარცხმა და საბჭოთა ბლოკისა და სსრკ-ის დამლამ მისცა .

მ. დოილი შენიშნავს, რომ საერთაშორისო ურთიერთობები დაფუძნებულია ეროვნული უსაფრთხოებისა და ძალთა წონასწორობის კონცეფციებზე, მაგრამ ლიბერალური პრინციპები და ინსტიტუტები ცელიან საერთაშორისო ურთიერთობათა ხსენებულ კონცეფციებს და ეს კარგად ჩანს ლიბერალურ-დემოკრატიული სახელმწიფოების ურთიერთობებიდან.[265] რეალისტები მიიჩნევენ, რომ, საერთაშორისო სისტემის შემადგენელი სახელმწიფოების შიდა პოლიტიკური განსხვავებების (ლიბერალური დემოკრატია, ტოტალიტარული რეჟიმი, მონარქია და ა.შ.) მიუხედავად, საერთაშორისო სისტემა ყოველთვის ერთი და იმავე წესების თანახმად ფუნქციონირებს. მისი ანარქიულობა და სახელმწიფოთა ბრძოლა ძალაუფლებისათვის ყოველთვის საერთაშორისო ურთიერთობათა განმსაზღვრელ ფაქტორად რჩება. სახელმწიფოთა შორის დამყარებული მშვიდობა, როგორც რ.არონი შენიშნავს, მხოლოდ სამი გზისა შეიძლება იყოს: იმპერიული, ჰეგემონური და ძალთა წონასწორობისა.[266] რეალისტები მიიჩნევენ, რომ ლიბერალური სახელმწიფო ისევე აგრესიულია, როგორც ყველა დანარჩენი. მ. დოილის აზრით, ლიბერალური სახელმწიფო არალიბერალურის მიმართ შეიძლება აგრესიული იყოს, მაგრამ ლიბერალური სახელმწიფოები ერთმანეთთან, როგორც წესი, არ ომობენ.[267]

თავის დროზე ედუარდ მორშმა, მოდერნიზაციისა და საგარეო პოლიტი-

---

265 M.W.Doyle. Kant, Liberal Legacies..., p.218
266 R.Aron. Peace and War..., p.151
267 M.W.Doyle..., p.225,p.326

კის ურთიერთმიმართებისადმი მიძღვნილ ცნობილ სტატიაში წარმოადგინა მოსაზრება, რომლის თანასმადაც მოდერნიზებული საზოგადოებების საგარეო პოლიტიკა ერთმანეთს წააგავს და არამოდერნიზებული საზოგადოებების საგარეო პოლიტიკისაგან კი განსხვავდება. მან აღნიშნა, რომ მოდერნიზებული საზოგადოებები თავიანთი საგარეო პოლიტიკის მიზნებში წინ წამოსწევენ სიმდიდრეს და კეთილდღეობას და არა – ძალაუფლებას. მოდერნიზებული საზოგადოებების ურთიერთქმედება უფრო ეკონომიკურ ხასიათს ატარებს. მოდერნიზაცია დემოკრატიზაციაზე მეტად ცვლის სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკას, მის მიზნებს, საჯაროს ხდის პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესს. მოდერნიზაციის შედეგად სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკა თანამშრომლობისაკენ იხრება და კონფლიქტებს თავს არიდებს.[268]

მ. დოილს მიაჩნია, რომ ლიბერალური რეჟიმის მქონე სახელმწიფოების ურთიერთობებში არ არსებობს ძლიერი და სუსტი, აზრი ეკარგება ეროვნული ინტერესებისა და ძალთა წონასწორობის პრინციპებს. თუ სახელმწიფოები მტკიცედ იცავენ ლიბერალურ პრინციპებს, მაშინ მათ შორის ურთიერთობებში ორმაგი სტანდარტი აღარ იქნება.[269] დოილის აზრით, კანტი თავის წინასწარმეტყველებაში მართალი აღმოჩნდა; თუმცა „დემოკრატიულ მშვიდობამდე" ჯერ კიდევ დიდი გზაა გასავლელი, საერთაშორისო მშვიდობა უტოპია აღარ არის და ლიბერალურმა სახელმწიფოებმა ერთმანეთთან ურთიერთობით ეს დაასაბუთეს.[270]

ამ საკითხის გამო დიდი დისკუსია იყო გამართული მ. დოილის სტატიაზე ადრე გამოქვეყნებულ რამდენიმე ნაშრომში. მათ შორის გამოირჩევა მ. სმოლისა და ჯ.დ. ზინგერის გამოკვლევა ომთან დემოკრატიული რეჟიმების მიმართების შესახებ.[271] ეს ავტორები ამტკიცებენ, რომ, დემოკრატიული რეჟიმების „მშვიდობისმოყვარეობის" შესახებ დამკვიდრებული შეხედულების მიუხედავად, დემოკრატიული სახელმწიფოები ისევე ხშირად ომობენ, როგორც ავტოკრატიული სასელმწიფოები. მართალია, მათ 1815-1965 წლებში მომხდარი ყველა ომი აქვთ გაანალიზებული და ზოგიერთი არგუმენტიც აქვთ შემოთავაზებული, მაგრამ ისინი მათდა უნებურად მაინც იძულებულნი არიან, აღიარონ, რომ დემოკრატიული რეჟიმები ერთმანეთს თითქმის არ ეომებიან. უკანასკნელ წლებში ამ საკითხის გამო დისკუსია კვლავ გაცხოველდა. ჯერ ჯ. ლევიმ დაუჭირა მხარი „დემოკრატიული მშვიდობის" თეორიას და განაცხადა, რომ დემოკრატიულ რეჟიმებს შორის არსებული

---

268 E.L. Morse. Transformation of Foreign Policies: Modernization, Interdependence and Externalization. "World Politics", Vol. 23, No.3, 1970, pp.371-392

269 M.W.Doyle..., p.345

270 M.W.Doyle..., p.349

271 M.Small, J.D.Singer. The War-Proneness of Democratic Regimes, 1816-1965. "Jerusalem Journal of International Relations", Vol.1, No.4, 1976, pp.50-69

მშვიდობიანობა „საერთაშორისო პოლიტიკაში თითქმის კანონია“.[272] შემდეგ მსგავსი აზრი დ. ლეიკმაც გამოთქვა.[273] ამას მოპყვა საპასუხო რეაქცია. ქ. ლეინმა განაცხადა, რომ საერთაშორისო მოელენების პროგნოზისათვის დემოკრატიული მშვიდობის თეორიაზე მეტად რეალიზმია გამოსადეგი.[274] თავის სტატიაში ლეინს მოპყავს ისტორიიდან ცნობილი ოთხი შემთხვევა, როცა დემოკრატიულ სახელმწიფოებს ერთმანეთთან ომს არაფერი უკლდათ (აშშ და დიდი ბრიტანეთი 1861 წელს ტრენტის გამო; აშშ და დიდი ბრიტანეთი 1895-96 წწ. – ვენესუელის კრიზისი; საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი 1898 წ. – ფაშოდას კრიზისი; საფრანგეთი და გერმანია 1923 წ – რურის კრიზისი). ლეინის აზრით, ოთხივე შემთხვევაში ერთ-ერთი მხარე მშად იყო, ომი დაეწყო და თუ ომი არ დაიწყო, ეს მხოლოდ იმის გამო, რომ მოწინააღმდეგეთაგან ერთმა მხარემ უკან დაიხია. ლეინს მიაჩნია, რომ დემოკრატიული მშვიდობის თეორია მითია და მისი ჭეშმარიტებად გასაღება საერთაშორისო თეორიასა და პრაქტიკას მხოლოდ აავნებს.[275] იმავე აზრს იზიარებს დ. სპირო და დემოკრატიული მშვიდობისა და რეალიზმის დაპირისპირებაში უპირატესობას რეალიზმს ანიჭებს.[276]

მოგიერთი ავტორის აზრით, თუ სახელმწიფოს შიგნით კონფლიქტური ვითარება დამკვიდრებული, მიღებული ნორმების მიხედვით მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით განიმუხტება, იგივე უნდა მოხდეს ორ სახელმწიფოს შორის კონფლიქტური სიტუაციის შემთხვევაშიც. აქედან ამოიზრდება ე.წ. „დემოკრატიული მშვიდობა“, რადგან ზ.მაოზისა და ბ.რასეტის თანახმად, სახელმწიფოებს შიდა ქცევის ნორმები საგარეო ურთიერთობებზე გადააქვთ.[277] ამ თეზისის წინააღმდეგაც ასევე ბევრი ავტორი ილაშქრებს.[278]

დემოკრატიული მშვიდობის თაობაზე გაცხარებული დებატები შემთხვევითი არ არის. კაცობრიობის სანუკვარი ოცნება, დედამიწაზე მშვიდობა დამყარდეს, არასოდეს არ დამცხრალა და იგი დღეს ახალ ძალას იკრებს. თუ დემოკრატიული მშვიდობის თეორიის მომხრეები მართალნი არიან და ეს თეორია ჭეშმარიტად ასახავს თუნდაც დაწყებულ ტენდენციას, რომელიც კანტისეულ მარადიულ მშვიდობაში უნდა გადაიზარდოს, მაშინ ისტო-

---

272 J.S.Levy. Domestic Politics and War. "Journal of Interdisciplinary History", Vol.18, No.4, 1988, pp.653-673

273 D. Lake, Powerful Pacifists: Democratic States and War. "American Political Science Review". Vol.86, No.1, March, 1992, pp.34-37.

274 C.Layne. Kant or Cant: The Myth of the Democratic Peace. "International Security", Vol.19, No.2, Fall 1994, p.7

275 C.Layne..., p.46

276 D.E.Spiro. The Insignificance of the Liberal Peace. "International Security". Vol. 19, No.2, Fall 1994, pp. 50-86

277 Z.Maoz, B.M.Russet. Normative and Structural Causes of Democratic Peace, 1946-86. "American Political Science Review." 87, September 1993, p.625

278 იხ. მაგალითად, J.Gowa. Democratic States and International Disputes. "International Organization". Vol.49, No.3, Summer 1995, pp.511-522.

რიული განვითარება თვისებრივად ახალ საფეხურზე ავა და კაცობრიობას სრულიად განსხვავებულ ისტორიულ სინამდვილეში, მშვიდობიან მსოფლიოში მოუწევს ცხოვრება. თუ კანტი მართალი აღმოჩნდა, ამას განსაკუთრებული შედეგები ექნება კაცობრიობისათვის.

სწორედ ამიტომ არის, რომ დემოკრატიული მშვიდობის თეორიის განხილვა უზარმაზარ ინტერესს იწვევს. კამათში მონაწილე ორივე დაპირისპირებულ მხარეს თავიანთი პოზიციის გამამაგრებელი არგუმენტები მოპყავს, მაგრამ არის საკითხები, რომლებიც დამაჯერებელი სახით ვერც ერთმა მხარემ ვერ წარმოადგინა და ამ თეორიას განაჩენი უკვე ისტორიამ უნდა გამოუტანოს. ერთი რამ კი თითქოს ახლოა ჭეშმარიტებასთან – ფესვგადგმული, „მოწიფული" დემოკრატიის მქონე სახელმწიფოებს აქამდე მართლაც ერთმანეთში არ უომიათ და ეს ფაქტი დემოკრატიული მშვიდობის თეორიის ყველაზე მნიშვნელოვანი და იმედისმომცემი არგუმენტია.

V. საერთაშორისო ეკონომიკური სისტემა

საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება

ქვეყანა ვისია? ყოველივე ჩემიაო, – ამბობს ოქრო. ყოველივე ჩემიაო, – იმახის ხმალი. ყოველსფერს ვიყიდიო, – მოპკვეს ოქრო. ყოველსფერს ხელში ვიგდებო, – იმახის ხმალი. ვითამ ეგრეა? არა მგონია. ჩვენის ფიქრით, თავმოწონებულს ოქროს და გამაჭიადებულს ხმალს, ამ ორს პატიოსანს მეგოქეს, დაპეიწყებიათ, რომ ქვეყანამდე მაგათ გარდა არის ერთი კიდევ რაღაცა, რომელსაც, თუ არა პირველი, უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს ქვეყნის განაწილებაში. მართალია, ის ერთი რაღაცა ქედმოხრილია. ჩუმი, წყნარი, უწყინარი, ტანად მრუდე, მაგრამ გულით მართალი და პირად ბრწყინვალეა. იგი ხმაამოუღებლივ, ხმაგაკმედილი, ფეხმძიმედ დაიარება ქვეყანაზედ: არცა აკვეს, არც ბაქიაობს, არც არავის ერჩის, არც არავის ეცილება და საქმობს თავის-თავად დინჯად, აუშფოთებლად, სულ მუდამ და დაუძინებლივ. იმას რომ ერთს ბეწო ხანს ჩასთვლიმოს, არც ოქროსცა ექმნება რამე სასყიდავი და არც ხმალს მოსაგაცებელი. იმას რომ ერთს ბეწო ხანს ჩასთვლიმოს-მეთქი, არ ვიცი ქვეყანას რა დაემართებოდა, თუნდა ოქროს მთები იდგეს და ხმლების გყეები. უიმისოდ ოქროს ქვეყანამდე მოედანი არა აქვს და არც თითონ ძალოვან ხმალს დიდი და ხანგრძლივი მანძილი. ის ერთი რაღაც – გუთანია.

ილია

საერთაშორისო პოლიტიკა არ შეიძლება განხილულ იქნას ეკონომიკის ასპექტების ცოდნის გარეშე, ხოლო თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები გულისხმობს როგორც საერთაშორისო პოლიტიკურ, კულტურულ და სხვა სახის, ასევე, თუ პირველ რიგში არა, ეკონომიკურ ურთიერთობებსაც.

საერთაშორისო ეკონომიკა შეიძლება აღქმულ იქნას როგორც ცალკე, დამოუკიდებლად მოქმედი სისტემა, თავისი საკუთარი კანონებითა და წესებით, მაგრამ იგი ისე მჭიდროდ არის დაკავშირებული, გადახლართული საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემასთან, რომ თავის უმთავრეს, განმსაზღვრელ ასპექტებში მათი ერთმანეთისაგან გამორჩევაც კი ძნელდება. საერთაშორისო ეკონომიკური სისტემა ხშირად დამოუკიდებელ მოვლენად გვეჩვენება, რომელსაც საკუთარი სტრუქტურა და დინამიკა ახასიათებს. კაპიტალი, ადამიანების მოთხოვნილებებსა და სურვილებთან ერთად, ამ დინამიკის ძირითადი წყარო, ხოლო შრომის საერთაშორისო დანაწილება მისი ფუნდამენტური სტრუქტურაა. საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემას ანუ მსოფლიო მეურნეობას, მეტად რთული და დინამიკური ისტორია აქვს, რომლის გენერატორები იყო: მოსახლეობის რიცხვის ზრდა, ტექნიკური და

ტექნოლოგიური სიახლეები, კლასობრივი ბრძოლა, პოლიტიკური ორგანიზაციის დახვეწა და ეკონომიკური თეორიის განვითარება. თავისი განვითარების მანძილზე საერთაშორისო ეკონომიკურმა სისტემამ შექმნა უზარმაზარი სიმდიდრე, უზრუნველყო მილიარდობით ადამიანი საცხოვრებლით, სურსათით, სამუშაო ადგილებით, უამრავი სხვადასხვა ნიეთითა და მომსახურებით, რომელთა მხოლოდ ჩამოთვლასაც რამდენიმე სქელი ტომი დასჭირდებოდა. საერთაშორისო ეკონომიკამ თავისი განვითარების მანძილზე წარმომეა არა მხოლოდ ძლიერი ეროვნული ეკონომიკები, არამედ მათ შორის ეკონომიკური კავშირებიც წარმოქმნა და გააღრმავა, საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების რთული სისტემა და, პირველ რიგში, საერთაშორისო ვაჭრობა კაცობრიობის არსებობის აუცილებელ და განუყოფელ პირობად აქცია. საერთაშორისო ეკონომიკურმა პროცესებმა მოგვცა ჭეშმარიტად გლობალური ეკონომიკა, რომლის ფონზე საერთაშორისო პოლიტიკური სისტემა ჯერ კიდევ საკმაოდ „განუვითარებელი" და დანაწევრებული მოჩანს. საერთაშორისო კაპიტალი კი, როგორც რ.მარი შენიშნავს, სულ უფრო დამოუკიდებელი ხდება სახელმწიფოთა ინტერესებისაგან.[279]

ეკონომიკის გლობალიზაციისა და საერთაშორისო ეკონომიკური პროცესების ინტენსიფიცირების მიუხედავად, ეროვნული ეკონომიკები მაინც რჩება საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის მთავარ შემადგენელ ელემენტებად. სახელმწიფოთა ეკონომიკური მესაძლებლობები და ძლიერება პირველხარისხოვან მნიშვნელობას იძენს და თვით საერთაშორისო პოლიტიკა მნიშვნელოვანწილად ეკონომიკური პოლიტიკაა. დღეს ბევრი ფიქრობს, რომ უკვე დროა, ერთმანეთისგან აღარ გავმიჯნოთ საერთაშორისო ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემები, რადგან საერთაშორისო ეკონომიკა უკიდურესად გადახლართულია სახელმწიფოთა სტრუქტურებთან და ძალაუფლებისა და უსაფრთხოების დინამიკასთან, ისევე როგორც სახელმწიფო სისტემებია გადახლართული საწარმოო სტრუქტურებთან, მოხმარებასთან, სიმდიდრის დინამიკასთან. მაგრამ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ დღეს ორივე სისტემას საკუთარი სტრუქტურა და დინამიკა ახასიათებს. თეორიულ ლიტერატურაში დიდი დისკუსია მიმდინარეობს იმის თაობაზე, თუ რომელ სისტემას მიეკუთვნოთ უპირატესობა, რომელია განმსაზღვრელი და ა.შ.*

---

279 R.Murray. The Internationalization of Capital and the Nation State. "New Left Review", 67, 1971, pp.104-109

* – სწორედ საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების ურთიერთქმედების ინტენსიფიკაციის გამო იწყება 70-იანი წლებიდან აღორძინება საერთაშორისო ურთიერთობათა პოლიტიკური ეკონომია. ამ დისციპლინის აღორძინებას სიფუძელად დაედო ორი ურთიერთდაკავშირებული მოვლენა. ერთი ის, რომ გაჩნდა უფსკრული პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების ინტეგრაციულ მიდგომებს, რეალურ პოლიტიკასა და ეკონომიკას შორის – თეორია დაშორდა სინამდვილეს. მეორე მიზეზი იყო ის, რომ ამ დროისათვის ეკონომიკური პრობლემები ძალიან პოლიტიზირებული გახდა, ხოლო პოლიტიკური სისტემები, თავის მხრივ, სულ უფრო და უფრო გასაცლიდნენ ეკონომიზაციას. მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის გაჩენილმა უფსკრულმა, გლობალური პრობლემების

(მსოფლიო ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბების პროცესი იმავე კაპიტალიზმის განვითარების პროცესია. XIX საუკუნეში, როცა კაპიტალიზმის განვითარება დაჩქარდა და დიდი ბრიტანეთის ბაგონობის პირობებში ე.წ. „თავისუფალი ვაჭრობის" სისტემა ფუნქციონირებდა, საფუძველი ჩაეყარა მსოფლიო ეკონომიკურ სისტემასაც. კაპიტალიზმის განვითარება იმავე საბაზრო ეკონომიკის განვითარება იყო, მაგრამ საბაზრო ეკონომიკა არც ეროვნული და არც საერთაშორისო მასშტაბით თავისთავად, ავტომატურად ვერ განვითარდებოდა, ამისათვის ზოგიერთი სხვა პირობა რომ არ შექმნილიყო. ერთ-ერთი ასეთი პირობა იყო ლიბერალური სახელმწიფოს ჩამოყალიბება. სახელმწიფო საშინაო და საერთაშორისო პოლიტიკის შემქმნელი და წარმმართველია. ტრადიციული მარქსისტული შეხედულება, რომლის თანახმად სახელმწიფო მხოლოდ მმართველი კლასის ინსტრუმენტად არის წარმოდგენილი, რა თქმა უნდა, მეტად პრიმიტიულია.

სახელმწიფოები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან წარმომობის პირობებით, განვითარების თავისებურებებით, იდეოლოგიითა და პოლიტიკური კულტურით. დასავლეთის სახელმწიფოები XIX საუკუნეში ორი პოლიტიკური კულტურის – ნაციონალიზმის და ლიბერალიზმის – გავლენას განიცდიდნენ. ნაციონალიზმის ბაზაზე აღმოცენებული სახელმწიფო უფრო მილიტარიზებულია, რომელშიც სახელმწიფოს გავლენა დიდია ცხოვრების ყველა სფეროში, ეკონომიკის ჩათვლით. ნაციონალისტურ სახელმწიფოში სამხედრო ელიტა საშინაო და საგარეო პოლიტიკის განსაზღვრასა და რეალიზაციაში მნიშვნელოვან (შეიძლება გადამწყვეტ) როლს ასრულებს. ლიბერალური სახელმწიფო კი მოწოდებულია, მფარველობა გაუწიოს საკუთრებასა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საქმეებს. ამიტომ ნამდვილი ლიბერალური სახელმწიფო მინიმალურად ერევა ეკონომიკურ საქმიანობაში, მისი მთავარი ფუნქცია სამართლიანი და ეფექტიანი კანონების დაწესება და მათი დაცვაა. ჩრდილოეთ ამერიკისა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები წარმოიქმნა ნაციონალიზმისა და ლიბერალიზმის ჭიდილში. პრუსია უფრო ნაციონალისტური სახელმწიფოს ტიპისა იყო, ხოლო აშშ ლიბერალური სახელმწიფო გახდა. აშშ-ში ფედერალური მთავრობა მინიმალურად ერეოდა სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში (მხოლოდ1929-1933 წწ. „დიდი დეპრესიის" დროს ფედერალური მთავრობა საუძველიანად პირველად ჩაერია სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებში). დიდი ბრიტანეთის, XIX საუკუნის უძლიერესი სახელმწიფოს, ეკონომიკა აგრეთვე ლიბერალიზმის პირობებში ეითარდებოდა. იგივე ხდებოდა დასავლეთ ევროპის ბევრ სხვა ქვეყანაშიც.

XIX საუკუნეში საერთაშორისო ურთიერთობები, საერთაშორისო სისტემაში შედარებითი წესრიგი ოთხ ინსტიტუტზე იყო დაფუძნებული: 1. ძალთა წონასწორობის სისტემაზე; 2. ოქროს საერთაშორისო სტანდარტზე; 3. თეითრეგულირებად ბაზარზე და 4. ლიბერალურ სახელმწიფოზე. აქედან ორი

წინა ალანზე წამოწევამ, ახალი ეკონომიკური წესრიგის შექმნის მოთხოვნებმა მკვეთრად გაბარდა ინტერესი საერთაშორისო ურთიერთობათა პოლიტიკური ეკონომიის მიმართ.

ინსტიტუტი ეკონომიკურია, ხოლო დანარჩენი ორი – პოლიტიკური, ორი ეროვნული მასშტაბისაა და ორიც – საერთაშორისო. 1815-1914 წლების პერიოდი, როცა ზემოთ ხსენებული ოთხი ინსტიტუტი ფუნქციონირებდა, „100-წლიანი მშვიდობის" ხანად არის ცნობილი, რადგან დროის ამ მონაკვეთში დიდი, გამანადგურებელი ომი არ მომხდარა. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები რომ მოშლილიყო, მშვიდობას მხოლოდ ძალთა წონასწორობის მექანიზმი ვერ უზრუნველყოფდა.[280] იმდროინდელი მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები, რომლებშიც საბაზრო ეკონომიკა ვითარდებოდა და ლიბერალური სახელმწიფო ინსტიტუტები მტკიცდებოდა, მშვიდობით იყვნენ დაინტერესებულნი, რადგან ეკონომიკური აღმავლობა მხოლოდ მშვიდობის პირობებში იყო შესაძლებელი. იყო აგრეთვე კიდევ ერთი ფაქტორი, – აღნიშნავს კ.პოლანი, – რომელიც თითქოს უხილავი იყო, მაგრამ სწორედ მისი წყალობით მოხერხდა იმდროინდელი მსოფლიოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტრუქტურებს შორის ხიდის გადება. ამან დიდი წელილი შეიტანა მშვიდობის შენარჩუნებაში – ეს ფაქტორი საერთაშორისო ფინანსები, საერთაშორისო ბანკები იყო.[281] საერთაშორისო ვაჭრობას მშვიდობა სჭირდებოდა. დიდი ომის პირობებში საერთაშორისო საკალუტო ურთიერთობებიც მოიშლებოდა და ამიტომ იმდროინდელი მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოები, რომელთა ეკონომიკა დინამიკურად ვითარდებოდა, ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ დიდი მასშტაბის ომი თავიდან აეცილებინათ. ასე რომ, ეკონომიკური ცხოვრების ინტერნაციონალიზაციამ ხელი შეუწყო საერთაშორისო მშვიდობის შენარჩუნებას.

როცა კოლონიებისათვის ბრძოლა უკიდურესად გამწვავდა და წამყვანი ქვეყნები მტრულ დაჯგუფებად დაიყო, ძალთა წონასწორობაც მოიშალა და საერთაშორისო ეკონომიკური კავშირებიც ძალზე შესუსტდა. ფუნქციონირებდა მხოლოდ ოქროს სტანდარტი, რაც საკმარისი არ აღმოჩნდა მშვიდობისა და საერთაშორისო სისტემაში სტაბილურობის შენარჩუნებისათვის.

საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის განხილვისას არ შეიძლება მოკლედ არ შეეხოთ იმპერიალიზმის საკითხს, რადგან მას არა მხოლოდ შემეცნებითი, არამედ იდეოლოგიური მნიშვნელობაც აქვს. ეროვნულ (სახელმწიფო) საზღვრებს გარეთ სხვა ხალხებზე ბატონობა არის ისტორიული მოვლენა, რომელსაც იმპერიალიზმს ან კოლონიალიზმს უწოდებენ.[282] იმპერიების გადაშენებისა და ყოფილი კოლონიების სუვერენულ სახელმწიფოებად გადაქცევის შემდეგ ხშირად რჩება ეკონომიკური ურთიერთობები, რომლებიც უხილავ ან ამკარა

---

280 K.Polanyi. The Great Transformation. Beacon Press, Beacon Hill, Boston, 1957, p.4

281 K.Polanyi....., pp.9-10

282 იმპერიალიზმისა და იმპერიების შესახებ იხ.:M.Doyle. Empires. Cornell University Press, Ithaca and London, 1986; J.Lichtheim. Imperialism. New York, Praeger, 1971; B.J.Cohen. The Question of Imperialism. New York, Basic Books, 1973; E.M.Winslow. The Pattern of Imperialism. New York, Columbia University Press, 1948.

ეკონომიკურ ან პოლიტიკურ დომინირებას, ბატონობას გულისხმობენ. ამ ახალი ტიპის ბატონობას უწოდებენ ნეოიმპერიალიზმს ან ნეოკოლონიალიზმს. რა არის იმპერიალიზმი? იგი ეკონომიკური მიზეზებით არის გამოწვეული თუ წმინდა პოლიტიკური უპირატესობის შედეგია? იმპერიალიზმში რომ ძლიერი ეკონომიკური კომპონენტია – ეს უცილობელი ფაქტია.

კოლონიებისათვის და მსოფლიოს გადანაწილებისათვის ბრძოლამ, პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდში წამყვან კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის ანტაგონიზმმა მკვლევართა განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია, რადგან იმპერიალიზმისა და კაპიტალისტური განვითარების გეურდი-გეურდ სელამ უამრავი თეორიული და პრაქტიკული პრობლემა წარმოშვა. მთავარი იმის დადგენა იყო, თუ რა კავშირშია იმპერიალიზმი კაპიტალიზმის განვითარებასთან. კარლ კაუცკის აზრით, იმპერიალიზმი მაღალგანვითარებული სამრეწველო კაპიტალიზმის პროდუქტია და მისი არსი ისაა, რომ ყოველი სამრეწველო კაპიტალისტური ქვეყანა საკუთარი მრეწველობის მოთხოვნილებების გამო „იძულებულია", დაიმატოს ან დაიმორჩილოს აგრარული ქვეყნები განურჩევლად იმისა, რომელი ხალხებით არიან ისინი დასახლებულნი. კაუცკი ხაზს უსვამდა ანექსიისაკენ სწრაფვას, პოლიტიკურ მხარეს. მისთვის იმპერიალიზმი, პირველ ყოვლისა, პოლიტიკური მოვლენაა. ვ.ლენინისაგან განსხვავებით, კაუცკი იმპერიალიზმში არ ხედავდა კაპიტალიზმის განსაკუთრებულ ფაზას. კაუცკის მიაჩნდა, რომ მომავალში კაპიტალიზმი „ულტრაკაპიტალიზმში" გადავა, როცა კარტელების პოლიტიკა იმპერიალისტური ქვეყნების საგარეო პოლიტიკაზე გაერცელდება. საერთაშორისო მასშტაბით გაერთიანებული საფინანსო კაპიტალის მიერ მსოფლიოს ერთობლივი ექსპლუატაცია მოხსნის ეროვნულ საფინანსო კაპიტალებს შორის მეტოქეობას. ამ გზით, კაუცკის თანახმად, კაპიტალიზმი მიაღწევს თავისი განვითარების უმაღლეს, საბოლოო დონეს, რის შედეგადაც პროლეტარიატი განახორციელებს თავის საბოლოო მიზანს. როგორც ვხედავთ, კაუცკის კონცეფციაში მოცემულია კაპიტალისა და სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის სურათი.

კიდევ ორმა ავტორმა სცადა იმპერიალიზმის არსში ჩაწვდომა. ერთი იყო რუდოლფ ჰილფერდინგი (II ინტერნაციონალის აესტრიელი თეორეტიკოსი), რომელმაც ამ საკითხს მიუძღვნა თავისი წიგნი „ფინანსური კაპიტალი", ხოლო მეორე ინგლისელი ჯ.ჰობსონია, რომლის წიგნი „იმპერიალიზმი" დღესაც არ მოძველებულა.[283] ვ.ლენინმა თავის გახმაურებულ შრომაში „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია" ორივესაგან ბევრი რამ ისესხა.[284] 1917 წელს ლენინის მიერ იმპერიალიზმის შესასებ გამოცემული შრომა იყო არა მხოლოდ პოლემიკა სხვა მარქსისტებთან, არამედ კაპიტალისტური მსოფლიო მეურნეობის მარქსისტული კრიტიკის

---

[283] Дж. Гобсон. Империализм. Ленинград, 1927 (J.A.Hobson. Imperialism: A Study. Ann Arbor, University of Michigan, 1965)

[284] ვ.ი.ლენინი. თხზულებანი. გამოცემა მეოთხე. ტ.22, სახელგამი. თბილისი, 1951, გვ. 231-384

სინთეზიც. საკუთარი პოზიციის გასამაგრებლად, ლენინმა მარქსიზმი შიდა ეკონომიკის თეორიიდან კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის საერთაშორისო პოლიტიკურ ურთიერთობათა თეორიაში „გადაიყვანა". ლენინის ზოგადი იდეა, ასეთია: რადგან კაპიტალისტური ქვეყნები სხვადასხვა ტემპებით ვითარდებიან და კაპიტალიც ასევე უთანაბროდ გროვდება, ამიტომ საერთაშორისო სისტემა არ შეიძლება იყოს სტაბილური (ან თუ იქნება, მხოლოდ მოკლე დროით). კაუცკის „ულტრაიმპერიალიზმის" დოქტრინის საპირისპიროდ, ლენინი ამტკიცებდა, რომ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის ნებისმიერი კავშირი დროებითია და ძალთა „წამიერ" წონასწორობას ასახავს. კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის უთანაბრო განვითარება იწვევს კონფლიქტებს კოლონიური ტერიტორიების გამო. ეს მარქსის თეორიაში შეტანილი შესწორებაა. ლენინმა მარქსის „ინტერნაციონალიზაცია" მოახდინა. მარქსის მიხედვით, თუ კაპიტალიზმის დროს საზოგადოებრივი კლასები ისტორიული პროცესის მთავარი მონაწილეები არიან, ლენინმა მონაწილეების როლში გამოიყვანა ეროვნული სახელმწიფოები, რომლებიც ეკონომიკური აუცილებლობიდან გამომდინარე მოქმედებენ. აქედან გამოდის, რომ, საერთაშორისო კაპიტალიზმის ეკონომიკური ეფექტიანობის მიუხედავად, იგი პოლიტიკურად არასტაბილურია და ომების სისტემას წარმოადგენს. ლენინის მიერ რეფორმირებული მარქსიზმი თითქმის ჩვენთვის ცნობილ პოლიტიკური რეალიზმის დოქტრინას დაემგვანა. ორივე თეორიის მიხედვით სახელმწიფოები სიმდიდრისა და ძალაუფლებისათვის იბრძვიან, მაგრამ ადამიანის მოტივაციაზე, სახელმწიფოს თეორიასა და საერთაშორისო სისტემის არსზე შექმნილი სხვადასხვა შეხედულებებიდან გამომდინარე, ორივე თეორიის წანამძღვრები სხვადასხვაა. მარქსისტული გაგებით, ადამიანის ბუნება კაპიტალიზმის პირობებში „დამთმობი" ხდება და კორუმპირებას იოლად დაპყრობა, მაგრამ სოციალიზმმა შეიძლება იგი გამოასწოროს. რეალისტები კი მიიჩნევენ, რომ პოლიტიკური კონფლიქტი ადამიანის ბუნებიდან გამომდინარეობს. მარქსისტების აზრით, სახელმწიფო, გაბატონებული ეკონომიკური კლასის მსახურია, რეალისტები კი სახელმწიფოს უფრო ავტონომიურ წარმონაქმნად განიხილავენ, რომელსაც ეროვნული ინტერესების დაცვის ფუნქცია აკისრია და იგი მხოლოდ რომელიმე კლასის განსაკუთრებულ ინტერესებამდე არ დაიყვანება.

ისევე როგორც ლიბერალიზმმა და ნაციონალიზმმა, მარქსიზმმაც მნიშვნელოვანი განვითარება პოვა. მასში ორი ძირითადი მიმართულებაა. ერთი სოციალ-დემოკრატიის ევოლუციური მარქსიზმია, რომელიც ე.ბერნშტეინისა და კ.კაუცკის სახელებთანაა დაკავშირებული და თანამედროვე ეტაპზე ლიბერალიზმის ეგალიტარული ფორმებისაგან თითქმის არ განირჩევა, მეორე კი, რევოლუციური, ლენინისეული მარქსიზმია.

აესტრიელი ეკონომისტის იოზეფ შუმპეტერის (1883-1950წწ.) შრომაში „იმპერიალიზმი და საზოგადოებრივი კლასები" ის აზრია გაგარებული, რომ

კაპიტალიზმი და აგრესია ერთმანეთს არ ეთანხმება.[285] კაპიტალიზმის პირობებში სასაქონლო ურთიერთობები აყალიბებენ პიროვნების ახალ ტიპს, რომელიც, მისი აგრესიული წინამორბედებისაგან განსხვავებით, ცდილობს, თავისი პრობლემები მშვიდობიანად გადაწყვიტოს, კეთილდღეობას მიაღწიოს გაცვლის, პატიოსანი გარიგების გზით და არა ძალადობით, როგორც ეს ფეოდალიზმის დროს იყო. ამიტომაც, შუმპეტერის აზრით, არ არის მართებული, კაპიტალისტური ეკონომიკური ურთიერთობებიდან იმპერიალისტური პოლიტიკის „ტამოყვანა", როგორც ამას მარქსისტები აკეთებენ. იმპერიალისტური პოლიტიკა კაპიტალიზმის მაღალი განვითარების, მისი „ტადამწიფების" შედეგი კი არ არის,, არამედ, პირიქით, მისი არასაკმარისი განვითარებისა და მომაკვალში, შუმპეტერის აზრით, იგი, ეტყობა, გაქრება კიდეც.

იმპერიალიზმის თემა აქტუალური დარჩა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიისა და პრაქტიკისათვის და ეს არც არის გასაკვირი, რადგან საერთაშორისო სისტემა, რომელშიაც სახელმწიფოთა სამხედრო-ეკონომიკური შესაძლებლობები და ძალის პოლიტიკა განსაზღვრავენ თითქმის ყველაფერს, იმპერიალისტური მისწრაფებებისათვის ყოველთვის ხელსაყრელი გარემო იქნება. დღეს იმპერიალიზმი უფრო შენიღბულია და უმეტესწილად ეკონომიკური მექანიზმის გამოყენებით ხორციელდება. ამიტომაც მას ხშირად ნეორეალიზმს, არაფორმალურ იმპერიალიზმს და ნეოკოლონიალიზმს უწოდებენ. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი „იმპერიალიზმი" იმდენად მოარული გახდა და ისე ხშირად გამოიყენება პოლიტიკური პროპაგანდისათვის, რომ იაფფასიან და ემოციურ სტერეოტიპად იქცა; და ეს გარემოება კი იმპერიალიზმის კვლევისას ობიექტურ, მეცნიერულ ანალიზს აფერხებს.

XX საუკუნის თითქმის მთელი პირველი ნახევრის მანძილზე საერთაშორისო ეკონომიკური სისტემა, ისევე როგორც პოლიტიკური სისტემა, უმძიმეს კრიზისში აღმოჩნდა. მიმდინარე საუკუნის მეორე ნახევარი კი ამ სისტემის სწრაფი განვითარების, შიდასისტემური კავშირებისა და პროცესების დინამიზმისა და განმტკიცების ეპოქად იქცა. საერთაშორისო ეკონომიკურმა სისტემამ, რომლის საფუძველს შრომის საერთაშორისო დანაწილება და მკვეთრად გაზრდილი საერთაშორისო ვაჭრობა წარმოადგენს, სწორედ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში მიიღო ჭეშმარიტად გლობალური განზომილება.

---

[285] J.A.Schumpeter. Imperialism and Social Classes. Meridian, New York, 1951.

საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში მიმდინარე პროცესების, კონფლიქტებისა და თანამშრომლობის მიზეზებისა და შედეგების ანალიზის მიზნით, ამერიკელი ეკონომისტი ჯოან სპირო გეთავაზობს ხსენებულ სისტემაში სამი შემადგენელი ქვესისტემის (დასავლეთის ანუ ურთიერთდამოკიდებულების, ჩრდილოეთ-სამხრეთისა და აღმოსაელეთ-დასაელეთის) გამოყოფას.[286] გლობალური სისტემის ამგვარად დანაწევრება ასე თუ ისე პირობითია, რადგან ქვესისტემები ერთმანეთისაგან გამოყოფილნი, იზოლირებულნი არ არიან, მაგრამ პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები და მოვლენები თითოეულ ქვესისტემაში მაინც სპეციფიკურია.

<u>დასავლეთის ქვესისტემა.</u> ეს ქვესისტემა მოიცავს ჩრდილოეთ ამერიკის, დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და იაპონიის მაღალგანვითარებულ საბაზრო ეკონომიკას. მასში შემავალი სახელმწიფოები არიან მსოფლიოში ყველაზე მაღალგანვითარებული კაპიტალისტური ქვეყნები, რომლებიც უამრავი ეკონომიკური, საავაჭრო, საფინანსო, ტექნოლოგიური და სხვა კავშირით ყველაზე მეტად არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი. მათ შორის ცხოველი ურთიერთობა განვითარდა და ჩამოყალიბდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ამაში უდიდესი როლი შეასრულა ე.წ. ბრეტონ-ვუდსის საავალუტო-საფინანსო სისტემამ და ვაჭრობისა და ტარიფების თაობაზე დადებულმა მოგადმა ხელშეკრულებამ (GATT), ორმა საერთაშორისო რეჟიმმა, რომლებიც ამერიკულ დოლარზე, ამერიკულ ეკონომიკურ და სამხედრო ჰეგემონობაზე იყო დაფუძნებული. ორივე ხსენებულმა რეჟიმმა ხელი შეუწყო ამ ქვესისტემის სახელმწიფოებში ეკონომიკურ აღმავლობას, წარმოების გაშლას, ექსპორტის ზრდას, ტექნოლოგიურ პროგრესს და ა.შ. ამან საერთაშორისო საფინანსო და საეაჭრო აქტივობა, საფინანსო ბაზრების ინტერნაციონალიზაცია, საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაცია, წარმოების ინტერნაციონალიზაცია და, როგორც ყოველი ამის შედეგი, ხსენებულ სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულება მოიტანა. ამ ქვესისტემის მიგნით ჩამოყალიბდა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ინტეგრაცია. ამეამად ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნების ინტეგრაციაც (NAFTA)* პირველ ნაბიჯებს დგამს.

მკვეთრად გაზრდილმა ურთიერთდამოკიდებულებამ და ინტეგრაციამ, მართალია, კეთილდღეობა მოუტანა ამ პროცესში ჩართულ სახელმწიფოებს, მაგრამ მათ გარკვეული ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემებიც შეუქმნა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქვესისტემაში მოქცეული ქვეყნების ურთიერთდამოკიდე-

---

286 J.E.Spero. The Politics of International Economic Relations. Fourth Edition. St.Martin's Press, New York, 1990, p.11

* North American Free Trade Agreement (ჩრდილო ამერიკის თავისუფალ ვაჭრობის ხელშეკრულება)

ბულების გამო განვითარებული ეროვნული ეკონომიკა სხვა მონაწილეთა ეკონომიკური პოლიტიკისა და ვითარების მიმართ მეტად მგრძნობიარეა. ერთი ქვეყნის მონეტარულ, საფაქრო და დაბანდებათა პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებები უშუალო გავლენას ახდენს სხვა მონაწილეთა იმაეე სფეროებზე. უარყოფითი მოვლენები ამ შემთხვევაში საზღვრებს არ ცნობენ – უმუშევრობა, წარმოების დაცემა და სხვა მოვლენები ქვესისტემის ერთი ქვეყნიდან მეორეში პრაქტიკულად დაუბრკოლებლივ გადადის და ამ ქვეყნების ეკონომიკა გარეშე ზეგავლენების მიმართ გახსნილია. ქვეყნებს შიგნით ურთულეს ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებს ურთიერთდამოკიდებულებით გამოწვეული არანაკლებ რთული ახალი პრობლემები ემატება. ქვეყნების მთავრობები ძალიან ხშირად დგანან ურთულესი არჩევნის წინაშე; რომელ პოლიტიკას მიანიჭონ უპირატესობა, გაწირონ სამინაო ინტერესები თუ, პირიქით, საერთაშორისო კონტაქტები შეამცირონ, რაც ურთიერთდამოკიდებულების პირობებში ისედაც ძნელია. ეროვნული ეკონომიკის მართვა ამგვარ პირობებში რთულ პრობლემებს ქმნის, რასაც ის გარემოებაც ემატება, რომ ურთიერთდამოკიდებულება პოლიტიკურ სუვერენიტეტსაც ზღუდავს. ამიტომ, ეროვნული მთავრობების წინაშე მდგომი ურთულესი პრობლემა არის ეროვნული და „გუნდური" ინტერესების ისეთი შესამება, რომელიც ოპტიმალური იქნებოდა როგორც ცალკეული ქვეყნებისათვის, ასევე მათი პარტნიორებისათვის.[287] ურთიერთდამოკიდებულება გაძლიერდა, ინტეგრაციის პროცესმა გაუსწრო მისი კონტროლისა და მართვისათვის აუცილებელი გამოცდილების დაგროვების პროცესს.

<u>ჩრდილოეთ-სამხრეთის ქვესისტემა.</u> ამ ქვესისტემაში მკაფიოდ გამოხატული დაპირისპირება და დაქვემდებარება შეინიშნება განვითარებულ და ე.წ. განვითარებად ქვეყნებს შორის. თუ დასავლეთის ქვესისტემაში დახლოებით ერთნაირი განვითარების დონის სახელმწიფოებია წარმოდგენილი, ჩრდილოეთ-სამხრეთის ქვესისტემაში განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ურთიერთობა ძალზე განსხვავებული დონეების მქონე ქვეყნებს გულისხმობს. ერთ სულზე ერთობლივი ეროვნული პროდუქტის მაჩვენებლის, ტექნოლოგიური და სხვა მახასიათებლების მიხედვით, ამ ქვესისტემაში, ყველაზე განვითარებული ქვეყნებიდან ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყნებამდე, ყველანაირი უკიდურესობაა წარმოდგენილი. სამწუხაროდ, ეს სხვაობა, (ზოგის თქმით კი – უფსკრული) კიდევ უფრო ღრმავდება.

ამ ქვესისტემის მთავარი თავისებურება დაქვემდებარებაა, რაც ნიშნავს უთანასწორო ეკონომიკურ ურთიერთობებს და ბაზრის კონიუნქტურის მიმართ ძალზე განსხვავებულ მგრძნობიარობას. თუ დასავლეთის ქვესისტემაში გაბატონებული ურთიერთდამოკიდებულება სიმეტრიულია, ამ ქვესისტემაში გაბატონებული დაქვემდებარება ასიმეტრიული ხასიათისაა.

დაქვემდებარება სხვადასხვა ფორმით გვეელინება. პირველ ყოელისა, დაქვემდებარება აშკარად მოჩანს განვითარებულ და განვითარებად ქვეყ-

---

[287] J.Dutheil de la Rochele. Toward a Federal Europe. In:"The European Community in the 1990s." B.Roberts, D.Roberts, W.Veit (Eds.).Berg, New York, p.20

ნებს მორის ვაჭრობაში. განვითარებადი სახელმწიფოების უმრავლესობა, არასაკმარისი ეკონომიკური განვითარების გამო, მცირე, არატვეადი შიდა ბაზრის მქონეა, მათი მეურნეობა და ექსპორტი არ არის დიეერსიფიცირებული. ამიტომ ისინი დიდად არიან დამოკიდებულნი „ჩრდილოეთის" განვითარებული ქვეყნების მძლავრ, ტეად შიდა ბაზრებზე, მათი მოსახლეობის მაღალ მსყიდველობით უნარზე. ამის გამო „სამხრეთის" განვითარებადი ქვეყნები თითქმის მთლიანად დამოკიდებულნი არიან განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ და პოლიტიკურ ეითარებაზე, რომელიც იმპორტზე განვითარებული ქვეყნების მოთხოვნილებას განსაზღვრავს. ეს იმპორტი კი იმავე სასიცოცხლო მნიშვნელობის ექსპორტია განვითარებადი ქვეყნებისათვის, რომლებიც, როგორც წესი, მინერალურ და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულს, ნახეეარფაბრიკატებსა და ზოგიერთი სახეობის სამრეწველო პროდუქციის ყიდიან. განვითარებადი ქვეყნების არსებობა თითქმის მთლიანად მათ ექსპორტზეა დამოკიდებული, ეს ექსპორტი კი მთლიანად დამოკიდებულია განვითარებული ქვეყნების მოთხოვნილებაზე. თუ განვითარებადმა ქვეყანამ ვერ მოახერხა თავისი ძირითადი საექსპორტო პროდუქციის გაყიდვა, მისი ეკონომიკური მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდება, კატასტროფულიც კი გახდება. განვითარებადი ქვეყნების ექსპორტით მიღებული შემოსავლის ორი მესამედიდან სამ მეოთხედამდე ნაწილს სულ რამდენიმე დასახელების გრადიციული პროდუქცია (მინერალები, სასოფლო-სამეურნეო ნედლეული და ა.შ.) ქმნის. თუ ამ პროდუქციის რეალიზება ვერ მოხერხდა, ექსპორტიორი ქვეყანა კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდება.

დაქვეითდებრება ელინდება კაპიტალდაბანდებათა სფეროშიც. განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში კაპიტალდაბანდებათა მოცულობის მნიშვნელოვანი ან უდიდესი ნაწილი განვითარებულ ქვეყნებზე მოდის. ეს კაპიტალდაბანდებანი, ბუნებრივია, მიმდინარეობა იმ დარგებში, რომლებშიც ტექნოლოგიური პროგრესი, თანამედროვე საბრეწველო განვითარება შესაძლებელია; და აქვე უნდა ეიულისმნოთ საეჭარბოდ დარგები, ე.ი. მიმღები ქვეყნების ეკონომიკის საკვანძო, სასიცოცხლო სფეროები. მაგალითად, მიმღები ქვეყანა დაქვემდებარებულია განვითარებულ ქვეყნებზე, საიდანაც შემოდის მისი ეკონომიკისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ინვესტიციები.

დაქვეითდებრების კიდევ ერთი ფორმაა საფინანსო დაქვემდებარება. ეს ისაა, გასაგებია, რომ სუსტად განვითარებული ქვეყანა საფინანსო დასახმარებას ითხოვს საერთაშორისო საფალუტო ფონდიდან, რომელიც სესხისა თუ დასახმარების მიცემით ქვეყნის სამამართ თუ საგარეო ეკონომიკურ პოლიტიკაზე გავლენის მოხდენის უფლებას იტოვებს.[288] განვითარებადი, სუსტი ქვეყნების სესხებს აგრეთვე განვითარებული ქვეყნების კერძო კომერციული ბანკებიც აძლევენ. ამ სესხების მოცულობა დღეს 700 მლრდ. დოლარს აღემატება.

განვითარებადი ქვეყნების ზემოთ ჩამოთვლილ სამივე სახის ეკონომი-

---

288 J.E.Spero..., p.14

კური დაქვემდებარება კიდევ უფრო ღრმავდება განვითარებულ ქვეყნებთან კულტურული კავშირებისა და შეთანხმებების, ანალოგიური პოლიტიკური კავშირების, სამხედრო კავშირების მეშვეობით. ეკონომიკური დაქვემდებარება, სავსებით გასაგებია, პოლიტიკური გაელენისა და დაქვემდებარების წარმოშვა და მიზეზი ხდება. დაქვემდებარების ქვესისტემაში დაქვემდებარებული ქვეყნების ბედს, ფაქტობრივად, განვითარებული ქვეყნები წყვეტენ.

<u>აღმოსავლეთ-დასავლეთის ქვესისტემა.</u> ეს ქვესისტემა, რომელიც ე.წ. სოციალისტური ბანაკის დაშლის შედეგად პრაქტიკულად მოირღვა, რიგი გარეგმოების გამო ყველაზე თავისებური. პირველ ყოველისა, ამ ქვესისტემაში შემავალი პარტნიორები ორ სხვადასხვა და დაპირისპირებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ბანაკს წარმოადგენდნენ. ერთ ბანაკში გაბატონებული იყო საბაზრო ეკონომიკა, ხოლო მეორეში – ე.წ. გეგმიანი ეკონომიკა, რომელშიც უპირველესი იყო კერძო საკუთრების განმსაზღვრელი მნიშვნელობა ეკონომიკური განვითარებისათვის. ამ ორი პარტნიორის, მაღალგანვითარებული დასავლეთისა და კომუნისტური აღმოსავლეთის (სსრკ, ჩინეთი, დანარჩენი სოციალისტური ქვეყნები), ეკონომიკური ურთიერთობები არ იყო მაინცადამაინც ინტენსიური (პრაქტიკულად მხოლოდ ვაჭრობა მიმდინარეობდა) და მსგავსი რიგი სპეციფიკური თავისებურებებით ხასიათდებოდა. სოციალისტური ქვეყნები არ მონაწილეობდნენ საერთაშორისო საბანკო ფონდის, მსოფლიო ბანკის, ვაჭრობისა და ტარიფების შესახებ ზოგადი შეთანხმებით *გათვალისწინებულ* საქმიანობაში. ერთ-ერთი პარტნიორი, აღმოსავლეთი, ცდილობდა *ინტერნაციონალიზებული* დარჩენილიყო და დასავლეთთან ეკონომიკური ურთიერთობა *ბარტყული*, აღმოსავლეთისათვის მისაღებ ჩარჩოებში განეხორციელებინა.

სოციალისტურ აღმოსავლეთს 80-იანი წლების მიწურულსა და 90-იანი წლების დასაწყისში ბოლო მოელო (მართალია, ორ ქვეყანაში, კუბასა და ჩრდილოეთ კორეაში, კიდევ ცდილობენ ძველებურად *ცხოვრებას, მაგრამ ეს* მცდელობას მომავალი არა აქვს). ყოფილი სოციალისტური ქვეყნები (*ბალკანეთი* რიცხვი კი გაიზარდა სსრკ-ის დაშლის შემდეგ) დაადგნენ *საბაზრო ეკონომიკის* შექმნის რთულ გზას. ფაქტობრივად, ისინი ჩრდილოეთ-საბრძოლის *ქვესისტემის* ურთიერთობათა მონაწილენი ხდებიან. ზოგიერთ მათგანს (*ჩეხეთი, უნგრეთი*, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, სლოვენია, ხორვატია, *რუსეთი, ჩინეთი*) *ალბათ* ოდესღაც *რაღაც* შანსი, „ჩრდილოეთის“ სახელმწიფოთა შორის *აღმოჩნდეს, დანარჩენები* კი, როგორც ჩანს, დიდხანს დარჩებიან „საბრძოლეში“, *აქედან გამომდინარე ყველა* შედეგით. აღმოსავლეთის სახელმწიფოთა *რეინტეგრირება* *მსოფლიო კაპიტალისტურ* მეურნეობაში ჩვენი ეპოქის ერთ-ერთ ყველაზე *მნიშვნელოვან, რთულ* და *დრამატულ* პრობლემას წარმოადგენს.[289]

---

289 R.G.Kayser. Eastern Europe and the Soviet Union. In: "Sea-Changes: American Foreign Policy in a World Transformed." N.X.Ruzopocios (Ed.) Council of Foreign Relations Press, New York, 1990, pp.29-31.

საერთაშორისო ეკონომიკური სისტემა ანუ მსოფლიო მეურნეობა, საერთაშორისო პოლიტიკური სისტემის მსგავსად, შეიძლება რამდენიმე განსხვავებული მოდელის, კონცეფციის მეშვეობით განვიხილოთ. ისინი, რა თქმა უნდა, სინამდვილის ძლიერ გამარტივებული, იდეალური მოდელია.

ლიბერალიზმი. ეკონომიკური ლიბერალიზმი, პირველ ყოვლისა, დაკავშირებულია ადამ სმითისა და დეივიდ რიკარდოს მოძღვრებასთან.* აღსანიშნავია, რომ კლასიკური ლიბერალიზმი და ის, რასაც დღეს დასავლეთში ლიბერალიზმს უწოდებენ, ერთი და იგივე არ არის.[290] ნამდვილი (კლასიკური) ლიბერალიზმის მიხედვით, ეკონომიკაში თავისუფალი ბაზარი უნდა ბატონობდეს და მთავრობა რაც შეიძლება ნაკლებად უნდა ერევოდეს ეკონომიკურ პროცესებში. თანამედროვე ლიბერალები კი, პირიქით, მთავრობების აქტიურ ჩარევას მოითხოვენ ეკონომიკაში. ამიტომ, კლასიკური, ნამდვილი ლიბერალები დღეს კონსერვატორებად იწოდებიან.

ლიბერალიზმის კონცეფცია საყოველთაოდ ცნობილია – ეკონომიკაში მთავრობის ჩარევა, ნებსით თუ უნებლიეთ, მღუდავს საბაზრო ძალებს და ხელს უშლის ეკონომიკის ეფექტიან ფუნქციონირებას. ამიტომ, მთავრობის ამოცანა ბაზრის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო აუცილებელი პირობების უზრუნველყოფაა. საერთაშორისო დონეზეც, ლიბერალიზმის კონცეფციის თანახმად, იგივე უნდა ხდებოდეს – სახელმწიფოთა შორის ეკონომიკურ ურთიერთობებში უნდა ბატონობდეს თავისუფალი საბაზრო ურთიერთობები, ხოლო მთავრობები ნაკლებად უნდა ერეოდნენ საერთაშორისო ბაზრის ფუნქციონირებაში. ამავე დროს, სხვადასხვა ეროვნული ვალუტის გაცვლის დასარეგულირებლად მათ გარკვეული წესები და ნორმები (ე.წ. „საერთაშორისო რეჟიმი") უნდა დაამკვიდრონ და „უსამართლოდ" არ დაუშვან რომელიმე ქვეყნის, ან ქვეყნის შიგნით არსებული ჯგუფის „დაჩაგერა" საერთაშორისო კონკურენციის შედეგად.

ლიბერალიზმი „თავისუფალი ვაჭრობის" სახელით არის ცნობილი. შეუზღუდავი თავისუფალი საერთაშორისო ვაჭრობა, ლიბერალების აზრით, წარმოშობს ინტერესთა პარმონიას, საერთაშორისო წონასწორობას და ყველა მონაწილე საბოლოოდ მოგებული რჩება. ნებისმიერი ჩარევა ამ ბუნებრივ პროცესში არც ცალკეულ ქვეყანას წაადგება და არც მთლიანად საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემას. ლიბერალიზმის თანახმად, ეკონომიკა და პოლიტიკა სხვადასხვა სფეროებია, მაგრამ, ბაზარი თუ ნორმალურად ფუნქციონირებს, პოლიტიკური კონფლიქტებისათვის მიმეშებიც აღარ რჩება, რადგან ყველა კმაყოფილია.

---

* ლიბერალიზმი ყველაზე მეტად დაკავშირებულია დ. იუმის, ა. სმითის, ჯ. ბენთამის, დ. რიკარდოს, ფ. ბასტიას და ჯ.ს. მილის შეხედულებებთან.

290 L. Fon Mizes. Liberalism in the Classical Tradition. The Foundation of Economic Education, Inc., New York, 1985, p.2

თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში, ლიბერალური ეკონომიკური ურთიერთობების პირობებში, სუვერენული სახელმწიფო ანაქრონიზმად უნდა იქცეს, რადგან ურთიერთდამოკიდებულების, კომუნიკაციებისა და ტრანსპორტის რევოლუციის, სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის პირობებში სახელმწიფოთა საზღვრებს ფუნქცია და მნიშვნელობა ეკარგება. ამის შესაბამისად, მომავლის უმთავრესი პრობლემა იქნება კონფლიქტი ნაციონალიზმის პოლიტიკურ ძალებსა და იმ ეკონომიკურ ძალებს შორის, რომლებიც მსოფლიოს ინტეგრაციაზე „მუშაობს". ზოგიერთი ლიბერალი ფიქრობს, რომ, ნაციონალიზმის ამეამინდელი გაერცელებისა და გაძლიერების მიუხედავად, დროთა განმაელობაში ინტეგრაციის ეკონომიკური ძალები „გადაწონიან" პოლიტიკურს და საბოლოოდ მსოფლიოს ფედერალური მთავრობა გაჩნდება.[291] მართალია, ლიბერალიზმის ყველა მიმდევარი ამგვარ უკიდურეს შეხედულებამდე არ მიდის და მსოფლიო მთავრობის შექმნის პერსპექტივას უარყოფს, მაგრამ ისინი არ ცდებიან, როცა მსოფლიო მეურნეობის ინტერნაციონალიზაციას მომხდარ ფაქტად მიიჩნევენ. მართლაც, დღეს ვერავინ ურყოფს იმას, რომ ისტორიაში პირველად წარმოება, მარკეტინგი და კაპიტალდაბანდებები არა მხოლოდ იზოლირებულ ეროვნულ მეურნეობებში არის ორგანიზებული, არამედ მსოფლიო მასშტაბით. ტრანსნაციონალური კორპორაციები თავიანთ მრავალმხრივ საქმიანობაში (წარმოება, ბაზრები, ნედლეულით და მუშახელით უზრუნველყოფა) სულ უფრო ნაკლებ ყურადღებას აქცევს სახელმწიფოთა საზღვრებს.* ლიბერალიზმის თანახმად, ეროვნული მეურნეობები ეკონომიკური ურთიერთდაქვემდებარებისა და ურთიერთდამოკიდებულების ისეთ „ობობას ქსელშია" გაბმული, რომლიდანაც თავის დაღწევა საკუთარი მოსახლეობის კეთილდღეობისათვის დიდი ზიანის მიუყენებლად უკვე აღარ შეუძლიათ და მათგან ეროვნული მეურნეობები ხომ მნიშვნელოვან ეკონომიკურ უპირატესობებს ღებულობენ. ქვეყნის მოქალაქეები თავიანთ ეკონომიკურ კეთილდღეობას, ეროვნული ავტონომიისა თუ სხვა ეროვნული მიზნების მიღწევის მოტივით, უარეს პირობებზე აღარ გაცვლიან. ეს ტენდენცია უკვე გამოიკვეთა დასავლეთ ევროპაში და მსოფლიოს ზოგიერთ სხვა ნაწილშიც იგივე შეიმჩნევა. ეკონომიკური მიზნები და ინტერესები უკვე საზოგადოების უმნიშვნელოვანეს მიზნებსა და ინტერესებს წარმოადგენს. სრული დასაქმება, რეგიონული განვითარება და ეკონომიკური კეთილდღეობის სხვა მიზნები

---

291 H.G. Johnson. International Economic Questions Facing Britain, the United States, and Canada in the 1970's. British-North American Research Association, June 1970, p.24

* მსოფლიო მეურნეობის ინტერნაციონალიზაციისა და სუვერენული სახელმწიფოს ადგილისა და როლის დაკნინების შესახებ თანამედროვე ეკონომიკურ სისტემაში იხ.:R. Vernon. Sovereignty at Bay. New York, Basic Books, 1971; V. Cable. The Diminished Nation - State: A Study in the Loss of Economic Power. "Daedalus", Vol. 124, N2, Spring 1995, pp.23-53; S.Strange. The Defective State. "Daedalus", Vol. 124, N2, Spring 1995, pp. 55-74

პოლიტიკური ხელმძღვანელობის უმნიშვნელოვანეს ამოცანებად იქცა. ლიბერალები მიიჩნევენ, რომ ხსენებული მიზნების მიღწევა მხოლოდ მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირებით, მასში აქტიური მონაწილეობით არის შესაძლებელი.

ტრანსნაციონალური კორპორაციები ისეთიეე ძლიერნი (ზოგჯერ უფრო ძლიერნიც!) არიან, როგორც ეროვნული სახელმწოფოები. ამ კორპორაციებს ყოველთვის შეუძლიათ, წარმოება ქვეყნიდან გაიტანონ და ამ შემთხვევაში სახელმწიფო დასაქმების, მსოფლიო ბაზარზე გასვლის, შემოსავლის მსრივ დიდად წააგებს. ეს კორპორაციები უკვე იმდენად დამოუკიდებელ ძალად იქცნენ, რომ საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებზეც დიდი გავლენის მოხდენა შეუძლიათ.

მოქალაქეთა ეკონომიკური და სოციალური მოთხოვნილებები კი ისე იზრდება, რომ მთავრობებს სხვა არაფერი დარჩენიათ, თუ არა ის, რომ ეკონომიკური რაციონალურობისა და ეფექტიანობის ძალებს დაექვემდებარონ. ამ პროცესში ჩამორჩენილი, ღარიბი ქვეყნები კაპიტალის, ტექნოლოგიის, მართვის გამოცდილების „იმპორტის" მეშვეობით შეძლებენ საკუთარი აღმავლობისთვის ხელის შეწყობას. ერთი სიტყვით, ლიბერალიზმი, თავისუფალი ვაჭრობა საყოველთაო აღმავლობის, მთელი საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის მონაწილეთა კეთილდღეობის საწინდრად და აუცილებელ პირობად არის მიჩნეული.

<u>სტრუქტურალიზმი და დაქვემდებარება.</u> სტრუქტურალიზმი ძალიან ახლოს დგას მარქსიზმის ეკონომიკურ მსოფლმხედველობასთან. სტრუქტურალიზმის თანახმად, ლიბერალური კაპიტალისტური მსოფლიო ეკონომიკა ხელს უწყობს განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის არსებულ სხვაობათა შენარჩუნებას და აფერხებს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ აღმავლობას. სტრუქტურალიზმის სკოლის შეხედულებათა მიხედვით, თავისუფალი ვაჭრობა XIX საუკუნეში, მართალია, ხელს უწყობდა მსოფლიო ეკონომიკური სისტემის განვითარებას, მაგრამ, თანამედროვე ეტაპზე ამ ფუნქციას ვეღარ ასრულებს, რადგანაც ეკონომიკურად ჩამორჩენილი სახელმწიფოების დღევანდელი მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა დემოგრაფიული, სოციალური, ეკონომიკური (ნატურალური სოფლის მეურნეობა, ჩამორჩენილი სამეურნეო სტრუქტურა და ა.შ.) თავისებურებების გამო. ისინი თავიანთი მეურნეობის სტრუქტურის ხასიათით განვითარებული კაპიტალისტური სახელმწიფოებისაგან იმდენად განსხვავდებიან, რომ თავისუფალი ვაჭრობის პირობებში ეკონომიკურ წინსვლას ვერ ახერხებენ; თანამედროვე საერთაშორისო ვაჭრობის პირობები და მექანიზმები კი იმგვარია, რომ ჩამორჩენილი ეკონომიკური სტრუქტურის მქონე ქვეყნები, რომლებიც მსოფლიო ეკონომიკის პერიფერიას წარმოადგენენ, თავიანთ გარიყულობას და ჩამორჩენილობას ვერ დაძლევენ, თუ სტრუქტურული ტრანსფორმაცია ვერ შეძლეს. ეს ტრანსფორმაცია უნდა განხორციელებულიყო ჩამორჩენილი ქვეყნების მიგნით და არა მსოფლიო ეკონომიკური სისტემის დონეზე. 60-იან წლებში ნათელი გახდა, რომ ეს ქვეყნები ამ ამოცანას

ეერ დაძლეედნენ; მაშინ სტრუქტურალიზმის წიაღიდან ამოიზარდა უფრო რადიკალური თეორიები, რომელთა შორის ყველაზე გაელენიანი ამეამადაც ე.წ. „დაქვემდებარების" თეორიაა. იგი ლათინურ ამერიკაში რადიკალმა ეკონომისტებმა და პოლიტოლოგებმა შეიმუშაეს* .

დაქვემდებარების თეორია არა მხოლოდ მეცნიერული ანალიზის საყურადღებო ცდაა, არამედ იგი მძლავრი იდეოლოგიური იარაღიც აღმოჩნდა სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის ახალი ეკონომიკური წესრიგის დამკვიდრებისა და მათ მიერ გარკვეული ეკონომიკური და საეაჭრო შეღავათების მოპოვებისათვის ბრძოლაში.

დასავლეთის სამრეწველო ქვეყნებმა და იაპონიამ ეკონომიკური განვითარების გზაზე მრავალი სიძნელე გადალახეს, მაგრამ მათი განვითარების პროცესი შედარებით ხანგრძლივი იყო. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაწყებულმა დეკოლონიზაციის პროცესმა კი ათობით ახალგაზრდა სუვერენული სახელმწიფო წარმოქმნა, რომლებიც სოციალური და ეკონომიკური ჩამორჩენილობის პირობებში აღმოჩნდნენ, მაგრამ სწრაფი განვითარების სურვილი პქონდათ. ამგვარი ქვეყნებისათვის დასავლეთში შეიმუშაეს განვითარების თეორიები, რომელთა უმრავლესობა ამოდიოდა იმ მოსაზრებიდან, რომ ეკონომიკური ჩამორჩენილობა კულტურული ჩამორჩენილობის შედეგია და მოდერნიზაციას ამ ქვეყნებში გაბატონებული რელიგიურ-კულტურული ტრადიციები უშლის ხელს. ჩამორჩენილ ქვეყნებს ხსენებული თეორიები და დასავლეთის რეკომენდაციები თუნდაც იმიტომ არ აკმაყოფილებდა, რომ ამ გზით განვითარებას დიდი დრო დაჭირდებოდა.

დაქვემდებარების თეორიის აეტორებმა და მათმა მიმდევრებმა ირწმუნეს, რომ საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის ჩარჩოებში „ჩრდილოეთსა" და „სამხრეთს" შორის არსებული უფსკრული არის პირველის მიერ მეორის ექსპლუატაციის შედეგი. სწორედ „მდიდარი ჩრდილოეთისა" და „ღარიბი სამხრეთის" ურთიერთმიმართება არის საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის ყველა რადიკალური თეორიის, მათ შორის – დაქვემდებარების თეორიის, არსებითი საკითხი. ეკონომიკური განვითარების პრობლემებისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში „ჩრდილოეთს" აგრეთვე უწოდებენ განვითარებულ ცენტრს, ხოლო „სამხრეთს" კი – განუვითარებელ პერიფერიას. ცენტრისა და პერიფერიის ურთიერთმიმართება, ამ

---

* დაქვემდებარების თეორიის შესახებ იხ.. F.E. Cardozo, E. Faletto. Dependency and Development in Latin America. University of California Press, Berkeley, 1979; A.G.Frank. Crisis in the Third World. Holmes and Meier, New York, 1981; J.N.Bhaghwati (Ed.). The New International Economic Order: The North-South Debate. Cambridge, Mass., M.I.T.Press, 1977; S. Bodenheimer. Dependency and Imperialism: The Roots of Latin American Underdevelopment. In: K.T.Fann and D.C. Hodges (Eds). Readings in U.S.Imperialism. Porter Sargent, 1971, pp.155-182; T.Smith. The Underdevelopment of Development Literature: The Case of Dependency Theory. "World Politics", 31, January 1979; D.Seers. Dependency Theory: A Critical Reassessment. London, Frances Pinter, 1982.

თეორიის თანახმად, თანასწორთა თანამშრომლობა კი არ არის, არამედ ერთის მიერ მეორის ექსპლუატაცია, რადგან პირველის ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა ძირეულად განსხვავდება მეორისაგან. დაქვემდებარების თეორიის მიხედვით, ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნები იმიტომ ვერ ვითარდებიან ნორმალურად, რომ მათ ამის შესაძლებლობას საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის ხასიათი არ აძლევს. ჩამორჩენილი ქვეყნები მსოფლიოს კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემის პერიფერიას წარმოადგენენ. ისინი განვითარებული ცენტრის მიერ იყენებიან. მათი ეკონომიკური განვითარება შენელებულია არა იმის გამო, რომ კაპიტალის ნაკლებობა და კულტურული ჩამორჩენილობა ახასიათებთ, არამედ იმიტომ, რომ ისინი ექსპლუატაციის მარწუხებში მოექცნენ და მას თავს ვერ აღწევენ. დაქვემდებარების თეორია ამოდის იმ მოსაზრებიდან, რომ ისტორიის მთავარ მასტრუქტურირებელ ფაქტორს ეკონომიკური პროცესები წარმოადგენს და უკანასკნელი საუკუნეების განმავლობაში სწორედ ჩრდილოეთის კაპიტალიზმი (ჯერ – მერკანტილიზმის, შემდგომში – თავისუფალი ვაჭრობისა და საერთაშორისო ფინანსების, ხოლო ამჟამად – ტრანსნაციონალური კორპორაციების სახით) იყო ისტორიის მამოძრავებელი ძალა.

უკვე აღინიშნა, რომ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 60-იანი წლების მიწურულამდე, ჩამორჩენილი ქვეყნების განვითარების არასაკმარისი ტემპების მიზეზს დასავლეთის ექსპერტები მოდერნიზაციის პროცესის თავისებურებებსა და სიძნელეებში (ე.ი. ჩამორჩენილი ქვეყნების ტრადიციულიდან თანამედროვე სტადიაზე გადასვლის პრობლემებში) ხედავდნენ. ტრადიციული საზოგადოების ფასეულობები, კულტურა მოდერნიზაციას ხელს არ უწყობს, ამუხრუჭებს მას, რადგან ტრადიციულ საზოგადოებაში უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოციალურ სტატუსს და არა პიროვნების დამოუკიდებელი ქმედების უნარს, მისი ქმედებების შედეგს; ნათესაური კავშირები თრგუნავენ სოციალურ მობილურობას, იერარქიული ავტორიტარიზმი ახშობს პიროვნების ინიციატივას და დინამიზმს. დასავლეთის ექსპერტები, რომლებიც მოდერნიზაციის პროცესში ხედავდნენ ჩამორჩენილი ქვეყნების გადარჩენისათვის აუცილებელ გზას, მიიჩნევდნენ, რომ ეკონომიკურად სუსტ ქვეყნებში უნდა მომხდარიყო განახლება, დამკვიდრებულიყო ის დასავლური ფასეულობები და კულტურის ის ელემენტები, რომლებიც ხელს შეუწყობდა ახალი ტექნოლოგიების, შრომის ნაყოფიერების, მართვის მეთოდების დანერგვას და შემდგომ განვითარებას. მოდერნიზაციის თეორიების თანახმად, ეს პროცესი ფაქტობრივად, სოციალური განვითარების პროცესია, რომელსაც ტრადიციული, ჩამორჩენილი საზოგადოება თანდათანობით აპყავს განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე. ამ პროცესის შედეგად, სხვადასხვა ტრადიციული საზოგადოებები განვითარების უფრო მაღალ საფეხურებზე სულ უფრო მეტად ემსგავსებიან ერთმანეთს. მოდერნიზაცია საფეხურებრივი პროცესია. ამავე დროს იგი ხელს უწყობს საზოგადოებათა კონვერგენციას. მოდერნიზაცია იგივე ევსტერნიზაციაა (ევროპეიზაცია ანუ ამერიკანიზაცია), რადგან მოდერნიზაციის მიზანი სწორედ სამრეწველო განვითარება და დე-

მოკრატიული საზოგადოების შექმნაა. დაწყებული მოდერნიზაცია უკვე შეუბრუნებელი ხდება, რადგან, თუ ჩამორჩენილი საზოგადოება დასავლურ სამყაროსთან კონტაქტში შევიდა და მისი გავლენის ქვეშ მოექცა, ამ პროცესის უკუქცევა შეუძლებელია. მოდერნიზაცია პროგრესული მოვლენაა, მაგრამ იგი ხანგრძლივი და რთული ტრანსფორმაციის პროცესია. ამავე დროს, იგი ევოლუციური და არა რევოლუციური ხასიათისაა.

მოდერნიზაცია სისტემური გარდაქმნის პროცესია, რადგან იგი მოიცავს საზოგადოების ყველა სფეროს და სოციალური ქცევის ყველა ასპექტს. როცა ცვლილებები საზოგადოებრივი საქმიანობის ერთ სფეროში იწყება, ისინი ცვლილებებს აუცილებლად გამოიწვევენ სხვა სფეროებშიც.[292] ტრადიციული საზოგადოების თანამედროვე საფეხურზე ასევა ნიშნავს მასში ტრადიციული ფასეულობებისა და სტრუქტურების თანამედროვე ფასეულობებითა და შესაბამისი სტრუქტურებით შეცვლას.[293]

მოდერნიზაციის თეორიები განვითარდა იმ დროს, როცა დასავლეთი ცდილობდა, განვითარებადი, ახლადწარმოქმნილი სუვერენული სახელმწოფოები არ მოხვედრილიყვნენ მარქსიზმის, კომუნისტური იდეოლოგიის გავლენის ქვეშ. ეს თეორიები „მესამე სამყაროს" სთავაზობდა განვითარების ისეთ გზას, რომელიც მას ეკონომიკურ კეთილდღეობამდე და დემოკრატიული საზოგადოების შექმნამდე მიიყვანდა. ხსენებული თეორიები იხვეწებოდა და უკვე 80-იან წლებში ზოგიერთი მათგანი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა თავიანთი წინამორბედებისაგან, რადგან მოდერნიზაციის ახლებური კონცეფციები შემუშავებულ იქნა ათობით ჩამორჩენილი ქვეყნის განვითარების კონკრეტული გამოცდილების ანალიზის საფუძველზე. ჩვენთვის ამ თეორიების გაცნობა მეტად მნიშვნელოვანია, რადგან პოსტკომუნისტურ სივრცეში წარმოქმნილი ახალი სუვერენული სახელმწიფოებიც ტრანსფორმაციის მტკივნეულ და რთულ გზას დაადგნენ. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწოფოებად გარდაქმნა არ არის იგივე, რაც აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის სუსტად განვითარებული ქვეყნების მოდერნიზაცია, მაგრამ მოდერნიზაციის ზოგიერთ თეორიაში არის ბევრი ისეთი რამ, რაც, ეჭვგარეშეა, წაადგებოდა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში გარდაქმნის პროცესების პრიორიტეტების განსაზღვრასა და ამ პროცესების მართვის საქმეს.*

დაქვემდებარების თეორიული სკოლის წარმომადგენლებმა კრიტიკულად შეაფასეს მოდერნიზაციის თეორიები, რომლებიც დასავლეთის ეკონო-

---

292 E. Hermassi. Changing Patterns in Research on the Third World. "Annual Review of Sociology", 4, 1978, pp.239-257

293 S. Huntington . The Change to Change: Modernization, Development, and Politics. In: C.E. Black (Ed.). Comparative Modernization. A Reader. New York, Free Press, 1976, pp.25-61

* ამ მხრივ საყურადღებოა:M.Weiner, S. Huntington (Eds). Understanding Political Development. Boston, Little, Brown,1987; W.Moore, World Modernization: The Limit of Convergence. New York, Elsevier, 1979.

მისტების, ანთროპოლოგების, სოციოლოგების და პოლიტოლოგების შემოქმედებას წარმოადგენს და სუსტად განვითარებული ქვეყნების უღიმღამო მდგომარეობა სწორედ დასავლეთის განვითარებული სახელმწიფოების მიერ „მესამე სამყაროს" ქვეყნების ექსპლუატაციას დაუკავშირეს. დასავლეთის ინვესტიციები, მისი დახმარება და განვითარებად ქვეყნებთან მისი საგაჭრო ურთიერთობები, დაქვემდებარების თეორიის თანახმად, ამ უკანასკნელთა ექსპლუატაციის, მათგან სიმდიდრის ამოქაჩვის საშუალებებს წარმოადგენს.* დაქვემდებარების თეორიის თანახმად, სუსტად განვითარებული ქვეყნების შიდა ვითარება მსოფლიო კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარების თავისებურებათა შედეგია. მსოფლიო ერთსა და იმავე დროს ინტეგრაციასა და პოლარიზაციას განიცდის. განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური ინტეგრაცია იზრდება, ხოლო მათ შორის პოლარიზაცია, განვითარების დონეებს შორის არსებული უფსკრული იზრდება. ადრე თუ კოლონიური დაქვემდებარება იყო , შემდეგ, XIX საუკუნიდან, დაქვემდებარება უკვე საფინანსო-სამრეწველო ხასიათისა გახდა, ხოლო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაქვემდებარებამ სამრეწველო-ტექნოლოგიური ხასიათი მიიღო. დაქვემდებარების სამივე ჩამოთვლილი ფორმა განაპირობებს და განსაზღვრავს დაქვემდებარებული ქვეყნების არა მხოლოდ საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებს, არამედ მათი ეკონომიკის დარგობრივი და ტერიტორიული სტრუქტურების ხასიათს, მათი ექსპორტისა და იმპორტის სტრუქტურებს, კაპიტალის დაგროვების პირობებსა და ნორმას და ამავე დროს – მათ სოციალურ და პოლიტიკურ სტრუქტურას.[294] ყოველივე ამის შედეგად განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკა ცალმხრივ ვითარდება, მას ახასიათებს მეურნეობის კოლონიური სტრუქტურა, მონოკულტურა. ეროვნული შემოსავლის უდიდესი ნაწილი მიიღება ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების ექსპორტით, მუშახელი განიცდის საშინელ ექსპლუატაციას და მისი მსყიდველობითი უნარი იმდენად დაბალია, რომ მოხმარების დაბალი დონის გამო ქვეყნის შიდა ბაზრის ტევადობა არ იზრდება.

სუსტად განვითარებული ქვეყნები, როგორც წესი, მინერალური და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ექსპორტს ეწევიან (ზოგჯერ ამას მრეწველობის ზოგიერთი დარგის შრომატევადი პროდუქციაც ემატება). დაქვემდებარების სკოლის თეორეტიკოსების აზრით, სუსტად განვითარებული ქვეყნების ამგვარი უმწეობა, მათი დაქვემდებარებული და უიმედო მდგომარეობა

---

* დაქვემდებარების თეორიის სერიოზული ანალიზი იხ:M. Bienefeld. Dependency and the Newly Industrializing Countries (NICs): Towards a Reappraisal. In: "Dependency Theory". D. Seers(Ed.) London, Frances Pinter, 1981, pp.79-96; Ch. P.Oman, G. Wignaraja. The Postwar Evolution of Development Thinking. St. Martin's Press, New York, 1991, pp.137-195

294 T. Dos Santos. The Strucrture of Dependence. In: "The Political Economy of Development and Underdevelopment." Charles K. Wilber (Ed.). Random House, New York, 1973, p.111

მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში, სწორედ მათი პერიფერიული როლისა და ფუნქციიდან გამომდინარეობს.[295]

დაქვემდებარების თეორიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საერთაშორისო ვაჭრობის მექანიზმების თავისებურებებს, რომლებიც უარყოფით როლს ასრულებენ განვითარებად ქვეყნებთან მიმართებაში. საგარეო ვაჭრობას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის. ამ ქვეყნების საგარეო ვაჭრობის 2/3 განვითარებულ ქვეყნებზე მოდის. სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის უცხოური ვალუტის წყაროებს წარმოადგენს: ექსპორტი, უცხოეთის ქვეყნების დახმარება, კომერციული სესხები და კერძო კაპიტალდაბანდებები. ამ ქვეყნების უცხოური ვალუტის მთავარი წყარო არის ექსპორტი, საიდანაც საშუალოდ ამ ვალუტის 75% შემოდის. სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის ექსპორტი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მისი სტაბილურობის ან ზრდის გარეშე ეს ქვეყნები ეკონომიკური კატასტროფის პირას აღმოჩნდებიან. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ წარმოქმნილი საერთაშორისო საავჭრო (GATT) და საგალუტო-საფინანსო (ბრეტონ-ვუდსის) სისტემა ანუ რეჟიმი სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის, დაქვემდებარების თეორიის მომხრეთა აზრით, არახელსაყრელი და დამთრგუნავი აღმოჩნდა. ამ რეჟიმმა, მათი აზრით, ხელი შეუწყო ისედაც განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ აღმავლობას, ხოლო ნაკლებ განვითარებულები კი კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. ლიბერალური საავჭრო რეჟიმი, რომელიც GATT-ის არსს წარმოადგენს, დაქვემდებარებისა და სხვა რადიკალური თეორიების მომხრეთა შეხედულებათა თანახმად, ხელს არ უწყობს სუსტად განვითარებული ქვეყნების აღმავლობას და სინამდვილეში ძლიერი ქვეყნების ინტერესებს უმრუნველყოფს.

გაერო-ს ლათინური ამერიკის ეკონომიკური კომისიის ექსპერტებმა და მეცნიერებმა, რომელთა ლიდერი არგენტინელი ეკონომისტი რაულ პრებიში იყო, დაქვემდებარების თეორიის შემუშავებას და ახალი ეკონომიკური წესრიგის მოთხოვნების იდეოლოგიას დაუდეს სათავე. ამ ჯგუფის აზრით, სუსტადგანვითარებული ქვეყნების ძირითადი და ურთულესი პრობლემა სტრუქტურული ხასიათისაა და იგი საერთაშორისო ვაჭრობის არსებული მექანიზმების პირობებში ამ ქვეყნების თანდათანობით დაქვეითებაში იჩენს თავს, რადგანაც ეს ქვეყნები ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების ექსპორტით თავს ვერ ართმევენ სამრეწველო პროდუქციის საჭირო მოცულობით იმპორტს. ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების ფასი სამრეწველო პროდუქციის ფასებთან შედარებით საერთაშორისო ბაზარზე შეფარდებითად კლებულობს. რადგან სუსტად განვითარებული ქვეყნები, როგორც წესი, ძირი-

---

295 J.S. Valenzuela, A. Valenzuela. Modernization and Dependency: Alternative Perspectives in the Study of Latin American Underdevelopment. "Comparative Politics", 10, July 1978, pp. 535-557: S. Bodenheimer. Dependency and Imperialism: The Roots of Latin American Underdevelopment. In: K.T. Fann and D.C. Hodges (Eds.). Readings in US Imperialism. Porter Sargent, 1971, pp. 155-82

თადად ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების ექსპორტიორები არიან და ამავე დროს მათ უნდა შემოიტანონ დიდძალი სამრეწველო საქონელი (პირველ ყოვლისა, წარმოების საშუალებები), რომელსაც თვითონ ვერ აწარმოებენ, ისინი იძულებულნი ხდებიან, სულ უფრო გაზარდონ საკუთარი ექსპორტი თუნდაც წინანდელი ოდენობის სამრეწველო საქონლის შესაძენად. ამავე დროს, განვითარებული ქვეყნების სამრეწველო პროდუქციის ფასი განუხრელად იზრდება, რადგან თანამედროვე სამრეწველო პროდუქციის წარმოებას დამატებითი ხარჯები სჭირდება სამეცნიერო გამოკელევებისთვის, ახალი ტექნოლოგიების დანერგვისთვის, მუშებისა და ინჟინრების კვალიფიკაციისა და ამის შესაბამისად, შრომის ნაყოფიერების გაზრდისთვის და ა.შ. შრომის ნაყოფიერების ზრდა (გარდა ამისა, პროფკავშირების აქტიურობა!) კი განვითარებულ ქვეყნებში იწვევს ხელფასებისა და სხვა ხარჯების ზრდას, რაც თავის მხრივ პროდუქციის ფასების მატებასაც განაპირობებს. განვითარებად ქვეყნებში კი შრომის ნაყოფიერება ნელა იზრდება და ხელფასებიც პრაქტიკულად არ მატულობს, აქ დიდი უმუშევრობაა და მუშათა ორგანიზაციები და პროფკავშირები სუსტია.

სუსტადგანვითარებული ქვეყნებისათვის (მათი უმრავლესობა კი პაგარა სასელმწიფოებია) ექსპორტს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს და ამიტომ მისი მოცულობის სტაბილურობა, გაზრდა, მათ ექსპორტზე ფასების სტაბილურობა ან, კიდევ უკეთესი, – მატება, ამ ქვეყნებისათვის ყოფნა-არყოფნის ტოლფასია, გადარჩენას ნიშნავს. პრებიშის სკოლის აზრით კი, საერთაშორისო ვაჭრობის პირობები და პრაქტიკა ამ ქვეყნებისათვის საზიანო და სახიფათოა. როგორც ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების ექსპორტიორები, ისინი დიდად არიან დამოკიდებულნი ნედლეულის მიმართ „ტულტრილი" ბაზრის კონიუნქტურაზე, ფასების მერყეობაზე. ამიტომ, დაქვემდებარების თეორეტიკოსების აზრით, სუსტადგანვითარებულ ქვეყნებს, მათი უთანასწორო, დაქვემდებარებული მდგომარეობის გამო, გარკვეული შეღავათები უნდა მიეცეს, მდგომარეობა შეუმსუბუქდეთ და ეს განვითარებულმა ქვეყნებმა უნდა გააკეთონ. 70-იან წლებში დაქვემდებარებული ქვეყნების მხრიდან სულ უფრო ხმამაღლა გაისმოდა ხმები ე.წ. ისეთი ახალი ეკონომიკური წესრიგის დამყარების აუცილებლობის შესახებ, რომელიც ჩამორჩენილ ქვეყნებს განვითარების უკეთეს პირობებს შეუქმნიდა. საერთაშორისო ვაჭრობაში გაბატონებული „თავისუფალი ვაჭრობის" თანამედროვე ვარიანტი კი, მათი აზრით, ხელს უწყობს ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებს და სუსტად განვითარებულებს კი წელში გამართვის საშუალებასაც არ აძლევს.

პრებიშის სკოლის იდეების გამარჯვებად მიიჩნევა 1964 წელს UNCTAD-ის (გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია) შექმნა. ეს საერთაშორისო ორგანიზაცია პრებიშის იდეების ინსტიტუციონალიზაცია იყო (თავად პრებიში მის პირველ გენერალურ მდივნად იქნა არჩეული). ეკონომიკური ლიბერალიზმისა და GATT-ის მოტრფიალეებმა ეს ფაქტი უარყოფითად შეაფასეს, მაგრამ იმ პერიოდში ჩამორჩენილი ქვეყნების მოთხოვნები და უკ-

მაყოფილება იმდენად დიდი იყო, რომ განვითარებული ქვეყნები იძულებულნი გახდნენ, უკან დაეხიათ.

UNCTAD-მა გააგარა რამდენიმე შეღავათიანი პროგრამა და ღონისძიება, რომლებმაც სუსტადგანვითარებული ქვეყნების მდგომარეობა მათი ექსპორტის სტაბილიზაციისა და საეალუტო შემოსავლის ზრდის თვალსაზრისით ერთგვარად შეამსუბუქა. ამ ღონისძიებათა გატარებას განვითარებადი ქვეყნების არასახარბიელო მდგომარეობის ერთგვარი კომპენსაცია უნდა მოეხდინა, მათი ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისთვის უნდა შეეწყო ხელი.

ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებში, მათ მემარცხენე ინტელიგენციაში დაქვემდებარების თეორია უალრესად დიდი პოპულარობით და სიმპათიით სარგებლობდა და ამჟამადაც სარგებლობს. მაგრამ მსოფლიოს ეკონომიკური რეალობა არის განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნებისა და მათ მიერ შექმნილი საერთაშორისო ეკონომიკური ინსტიტუტების, მექანიზმებისა და რეჟიმების ბატონობა. მსოფლიო ეკონომიკური სისტემა, განვითარებადი ქვეყნების პროტესტებისა და ახალი ეკონომიკური წესრიგის მოთხოვნების მიუსედავად, მაინც განვითარებული კაპიტალისტური სახელმწიფოების მიერ იმართება და ვითარდება.

სტრუქტურალიზმი და დაქვემდებარების თეორია ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების მძლავრ იდეოლოგიურ იარაღადაც კი იქცა; იგი ეფექტიანად გამოიყენებოდა 70-იანი წლებიდან და გამოიხატა ე.წ. ახალი ეკონომიკური წესრიგის მოთხოვნებში. ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნები მოითხოვენ არსებული საერთაშორისო ეკონომიკური რეჟიმების შეცვლას, ახალი პრინციპების, ნორმების, წესების და გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურების შემოღებას. სუსტად განვითარებულმა ქვეყნებმა, ერთი ხანობა, შეძლეს კიდეც, საკუთარი თავი გლობალური ეკონომიკური სისტემის მსხვერპლად წარმოედგინათ და საკუთარი ჩამორჩენილობა ამ სისტემის მიერ მათი ექსპლუატაციით აეხსნად. ჩამორჩენილ ქვეყნებს შეუძლიათ ძლიერი იდეოლოგიური არგუმენტების მოშველიება, მაგრამ თავიანთი მოთხოვნების განხორციელებისათვის მათ საკმარისი ეკონომიკური და სამხედრო ძლიერება არ გააჩნიათ.

ამის საპასუხოდ, დასავლეთის ლიბერალმა ეკონომისტებმა და პოლიტოლოგებმა ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნები მათსავე ჩამორჩენილობაში დაადანაშაულეს და „გამოჯანმრთელების" საშუალებების ძებნა მათ საკუთარი ქვეყნების შიგნით მოსთხოვეს და არა – საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის სტრუქტურაში. ჩამორჩენილობა, მათი აზრით, თვით ამ ქვეყნების ბრალია და მათ მხოლოდ საკუთარი საზოგადოების გამოჯანმრთელების გზით შეუძლიათ დაალწიონ თავი კუდში ჩანჩალს და სიღატაკეს.* დაქვემდებარების თეორიისა და ახალი ეკონომიკური წესრიგის

---

* იხ. P.T. Bauer, B.S. Yamey. Against the New Economic Order. "Commentary", April 1977; R.W. Tucker. The Inequality of Nations. New York, Basic Books,

მოთხოვნების მძაფრი კრიტიკა წარმოადგენს ლიბერალურად მოაზროვნე ეკონომისტებისა და პოლიტიკოსების რეაქციას ლიბერალიზმის წინააღმდეგ გაჩაღებულ ბრძოლაზე, რომელმაც 70-იან წლებში კულმინაციას მიაღწია.

როგორც დაქვემდებარების, ისე „მემარცხენე" თეორიებში დიდი ადგილი უკავია, თანამედროვე ეკონომიკური ცხოვრების მეტად საინტერესო და რთული ფენომენის, ტრანსნაციონალური კორპორაციების ადგილისა და როლის ანალიზს. ტრანსნაციონალური კორპორაციების მომძლავრება და გლობალური ექსპანსია 60-იანი წლებიდან შეიმჩნევა. ტრანსნაციონალური კორპორაცია არის ისეთი ფირმა (კომპანია), რომელსაც შტაბ-ბინა აქვს ერთ ქვეყანაში, ხოლო მისი საქმიანობა კიდევ ერთ ან მეტ ქვეყანაში ვრცელდება. ტრანსნაციონალური კორპორაცია (ტნკ) არის უცხოეთში ფილიალის (ფილიალების) მქონე ფირმა. ეს არ არის უბრალოდ დიდი კორპორაცია, რომელიც თავის პროდუქციას საზღვარგარეთ ყიდის. ტნკ ისეთი ფირმაა, რომელმაც, საწარმოო მიზნებით, უცხოეთში „ტადაიყანა" გარკვეული კაპიტალი, ტექნოლოგია, მართვისა და მარკეტინგის გამოცდილება. ხშირად ამგვარი ფირმების საწარმოო პროცესი და მარკეტინგი გლობალურ ხასიათს იძენს, მათი განსხვავებული საფეხურით (ეტაპით) სხვადასხვა ქვეყნებში. ტნკ-ები ყველა დარგს მოიცავს; ისინი გეხედება როგორც წარმოებაში, ასევე მომსახურებაში. მათი სტრუქტურა (ორგანიზაცია) ასევე მრავალგვარია. სტრუქტურა დამოკიდებულია იმ ქვეყნების პირობებზე, რომლებშიც მოღვაწეობს ესა თუ ის ტნკ. იმის გამო, რომ ტნკ-ები მაინც უცხო სხეულს წარმოადგენს ეროვნულ მეურნეობებში, „მიმღები" ქვეყნის მთავრობასა და მათ შორის ხშირია კონფლიქტები. მაქსიმალურ მოგებაზე გათვლილი ტნკ-ების პოლიტიკა ხშირად მიმღები ქვეყნის ეროვნულ ინტერესებთან წინააღმდეგობაში მოდის. ამიტომ ტნკ-ები მობილურნი და მოქნილნი არიან.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ტნკ-ების საქმიანობა ეკონომიკურად ჩამორჩენილ და პატარა ქვეყნებში, რადგან ასეთ შემთხვევაში მსგავსი კორპორაციის არსებობა მიმღები ქვეყნისათვის მეტად „მგრძნობიარე" მომენტია. ჩვეულებრივ, ტნკ-ები აკონტროლებენ მიმღები ქვეყნების ყველაზე მნიშვნელოვან საწარმოო და მომსახურების დარგებს, საექსპორტო სექტორს. მიმღები ქვეყნის მთავრობისათვის კი ძალიან ძნელია ეფექტიანად გააკონტროლოს საქმიანობა ისეთი კორპორაციისა, რომელსაც რამდენიმე „ეროვნება" აქვს და სრულიადაც არ ემორჩილება არც ერთი მიმღები ქვეყნის კანონებს.*

1977; S.D.Krasner. Structural Conflict. The Third World Against Global Liberalism. University of California Press, Berkeley, 1985; C.F. Bergsten. The Threat From the Third World. "Foreign Policy". N 11, Summer 1973, pp.102-124

* ტნკ-ების შესახებ იხ.: R. Vernon. Sovereignty at Bay: The Multinational Spread of US Enterprises. New York, Basic Books, 1971; United Nations. Transnational Corporations in World Development: Trends and Prospects. New York, United Nations, 1988; Ch. Kindleberger (Ed.). The International Corporation. Cambridge, Mass., MIT Press, 1971; J. Fayerweather (Ed.) Host National Attitudes

საყურადღებოა აგრეთვე, რომ ტნკ-ები, რომელთა რიცხვმა უკვე 40 ათასს გადააჭარბა, თავს იყრიან არა ყველა ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყანაში, არამედ მხოლოდ მათ მცირე ჯგუფში[296]. 80-იანი წლების მიწურულისათვის, მაგალითად, განვითარებად სამყაროში დაბანდებული კერძო უცხოური კაპიტალის 86 % (!) მხოლოდ 18 ქვეყანაზე მოდიოდა. ტნკ-ები მოქმედებს ყველა კონტინენტზე და პრაქტიკულად – სუვერენულ სახელმწიფოთა უმრავლესობაში. ამჟამად ისინი იწყებენ ყოფილი სოციალისტური ბანაკის სახელმწიფოთა ათვისებას. ამიერკავკასიაში ტნკ-ების საქმიანობა გამოიკვეთა აზერბაიჯანის ნავთობის მოპოვებისა და ტრანსპორტირების სფეროში.

ტნკ-ებისა და მიმღები ქვეყნების ურთიერთობათა ევოლუციის საყურადღებო სქემას გვთავაზობს ჩ. კენედი, რომლის აზრით, ხსენებული ურთიერთობები სამ ეტაპს მოიცავს: 1. ტნკ-ების დომინირება (60-იან წლებამდე); 2. დაპირისპირება მიმღები ქვეყნების მთავრობებსა და ტნკ-ებს შორის (1970-იანი წლები); 3. მოლაპარაკებები მიმღები ქვეყნების მთავრობებსა და ტნკ-ებს შორის (70-იანი წლების მიწურულიდან დღემდე)[297].

რას წარმოადგენს ტნკ? დამონების სამუალებას თუ პროგრესის ინსტრუმენტს? ხომ არ არის ტნკ ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების ექსპლუატაციის კიდევ ერთი, უფრო სრულყოფილი ფორმა, ნეოკოლონიალიზმის პირმშო? – ამ საკითხების გარშემო უკვე სამი ათეული წელია გაჟღერებული დისკუსიები მიმდინარეობს, მაგრამ ტნკ-ების ექსპანსია გრძელდება და ისინი მსოფლიო მეურნეობის ინტერნაციონალიზაციის ყველაზე მძლავრ ფაქტორად იქცნენ. ე.წ. „ახალი ინდუსტრიული ქვეყნების" ფენომენიც მნიშვნელოვანწილად სწორედ ტნკ-ების საქმიანობის შედეგია.

დაქვემდებარებისა და სხვა „მემარცხენე" თეორიებში ტნკ-ები წარმოდგენილია ურჩხულებად, რომლებიც ისედაც უძლურ ჩამორჩენილ ქვეყნებს უკანასკნელ ძალებს აცლიან, მაგრამ სინამდვილე გვიჩვენებს, რომ ფრთაშესხმულ ანგელოზთა თვისებებს მოკლებული ტნკ-ები, ამავე დროს კაპიტალის, ახალი ტექნოლოგიების, დასაქმების, მენეჯმენტის პროგრესული ფორმების, მარკეტინგის გამოცდილების და სხვა სახის სიახლეების შეტანით საკმაოდ უწყობენ ხელს ეკონომიკურად სუსტი ქვეყნების აღმავლობას.

დაქვემდებარების უარყოფა შეუძლებელია, თუ მას განვითარებადი ქვეყნების წინსვლის სტრატეგიაზე უდიდესი ზეგავლენის მომხდენ ფაქტორად

Toward Multinational Corporations. New York, Praeger, 1982; T.R.Bierstaker. Distortion or Development? Contending Perspectives on the Multinational Corporation. Cambridge, Mass., MIT Press, 1978; L. Turner. Multinational Companies and the Third World. New York, Hill and Wang, 1973

296 World Investment Report 1995. Transnational Corporations and Competitiveness. Overview. United Nations, New York and Jeneva, 1995, pp. 2-13

297 Ch. R. Kennedy, Jr. Relations Between Transnational Corporations and Governments of Host Countries: A Look to the Future. "Transnational Corporations." Vol. I. №1, February 1992, p. 67

განესაზღვრავთ. ნებისმიერი ნაკლებად განვითარებული ქვეყანა ეშვეგარეშეა, რომ მსოფლიო ბაზრის ცვალებადობაზე იქნება დამოკიდებული, დაქვემდებარებული. მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ყველა ერთმანეთზეა დაქვემდებარებული, მაგრამ ზოგიერთებზე ეს მეტად ითქმის; ასეთები, პირველ რიგში, ჩამორჩენილი და პატარა ქვეყნებია. ნუთუ ზოგიერთი ქვეყანა იმიტომ არის ჩამორჩენილი, რომ იგი დაქვემდებარებულია, როგორც ამას დაქვემდებარების თეორია აცხადებს? ნუთუ პირდაპირ უცხოურ კაპიტალდაბანდებებს ექსპლუატაცია უფრო მოაქვთ, ვიდრე სიკეთე? – ზოგიერთი ავტორის აზრით, ყოველივე ეს, პირველ ყოვლისა, დამოკიდებულია დაბანდებათა ტიპზე, მათ პირობებზე და მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაზე.[298]

დაქვემდებარების თეორიას, მისი იდეოლოგიური მიმზიდველობის მიუხედავად, დღეს შესამჩნევად ნაკლები მიმდევარი ჰყავს. ეშვეგარეშეა, რომ იგი ვერ გამოდგება ისეთი მნიშვნელოვანი ფენომენის ასახსნელად, როგორიც არის ე.წ. ახალი ინდუსტრიული ქვეყნები (ტაივანი, სამხრეთ კორეა, სინგაპური, ჰონკონგი, არგენტინა, ბრაზილია, ფილიპინები, ინდოეთი, მექსიკა, ვენესუელა, ტაილანდი და მალაიზია). ეს ქვეყნები კი საერთაშორისო ეკონომიკის შესამჩნევი მოქმედი პირები და ზოგიერთი სახის სამრეწველო პროდუქციის მნიშვნელოვანი ექსპორტიორები გახდნენ.

<u>რადიკალიზმი (მარქსიზმი).</u> ლიბერალიზმისა არ იყოს, ეკონომიკაში მარქსიზმიც წარმოიშვა, როგორც მერკანტილიზმზე რეაქცია. მარქსიზმი ასევე იყო ლიბერალიზმის იდეებისა და პრაქტიკის გავრცელებაზე პასუხი. მარქსიზმმა უარყო ლიბერალიზმის შეხედულება, რომლის თანახმად, თავისუფალი საბაზრო ურთიერთობები არა მარტო მთელი საზოგადოების, არამედ მთელი მსოფლიო ეკონომიკური სისტემის კეთილდღეობის საწინდარი და აუცილებელი პირობაა. კაპიტალიზმი, მარქსიზმის მოძღვრების მიხედვით, კონფლიქტური საზოგადოებრივი სისტემაა, რომელიც ბოლოს და ბოლოს აუცილებლად უარყოფილი უნდა იყოს და მისი ადგილი სოციალიზმმა უნდა დაიკავოს.*

მარქსისტები უარყოფენ ლიბერალიზმს და მას ნათლავენ კაპიტალისტური ექსპლუატაციის სისტემად, რომელშიც განვითარებული სახელმწიფოები ეფექტურად იყენებენ თავიანთ დიდ ეკონომიკურ და პოლიტიკურ უპირატესობას სუსტად განვითარებულ სახელმწიფოებზე ზეგავლენის მოსახდენად და საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემას თავიანთ შემდგომ გაძლიერებასა და გამდიდრებას ახმარენ. ამის შედეგად ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნები ექსპლუატირებულ მდგომარეობაში იმყოფებიან, ეკო-

---

298 R.Gilpin. Three Models of the Future. In: "International Politics". R.J. Art, R.Jervis (Eds.). Second Edition. Harper Collins, 1985, p.388

* მარქსიზმის ეკონომიკური ასპექტების შესახებ იხ.: S.Schiavo-Campo, H.W.Singer. Perspectives of Economic Development. Houghton and Mifflin, Boston, 1970,pp.35-42. R.Gilpin. The Political Economy of International Relations. Princeton University Press, Princeton, 1987,pp.34-43, 50-54

ნომიკურად ვერ ეითარდებიან და კიდეე უფრო ღარიბდებიან. მარქსისტების აზრით, ლიბერალური ანუ კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემა ხელს უწყობს ძლიერს და ამონებს სუსტს.

საერთაშორისო ეკონომიკური სისტემისა და მასში მიმდინარე პროცესების მარქსისტული ანალიზის ცდებმა მკეეთრად იმაგა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როცა ბეერი კოლონია დამოუკიდებელი განვითარების გზას დაადგა და საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში შემაეალი ქვეყნების უმრავლესობა ამაოდ ცდილობდა ჩამორჩენილობისა და სიღარიბის დაძლევას, განვითარების „რეცეპტების" მონახვას და ძლიერი კაპიტალისტური სახელმწიფოების ნეოიმპერიალისტურ ექსპანსიასთან ბრძოლას. მარქსისტული ეკონომიკური თეორიების გავრცელებას ძლიერ უწყობდა ხელს საბჭოთა კავშირის არსებობა, ე.წ. სოციალისტური ბანაკის ჩამოყალიბება და კომუნისტური სახელმწიფოების პროპაგანდა. ამავე დროს მარქსისტულმა აზროვნებამ დიდი გასაეალი ნახა დასაელეთის ლიბერალურ და მემარცხენე წრეებში, ხოლო ამ ქვეყნების კომუნისტური პარტიების სამეცნიერო პერიოდიკაში ეკონომიკური განვითარების პრობლემატიკას დიდი ადგილი დაეთმო.

რადიკალური, მარქსისტული საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის კონცეფციებიდან ყველაზე ცნობილია ე.წ. „მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის" კონცეფცია. ეს გლობალისტური კონცეფციაა და იგი, პირველ ყოვლისა, იმანუელ ვალერსტაინის შრომებიდან იღებს სათაეეს.* ვალერსტაინის კონცეფცია წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიო მეურნეობის წარმოშობისა და განვითარების, მსოფლიოს სხვადასხვაა რეგიონს შორის ეკონომიკურ განვითარებაში არსებული დიდი სხვაობების მიზეზების ანალიზის ცდას. ამავე დროს, ვალერსტაინი გვთავაზობს მსოფლიოს ეკონომიკური სისტემის განვითარების კონცეფციასაც, რომელსაც იგი მსოფლიოს სისტემის თეორიას უწოდებს.

ვალერსტაინის ნეომარქსისტული მსოფლიო სისტემის თეორია თავისი ხედვითა და ინტერესების საზღერებით სცილდება ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების პრობლემებს და ამ მხრივ, დაქვემდებარების თეორიასთან შედარებით, უფრო რადიკალური და გლობალურია. ვალერსტაინის ანალიტიკური სისტემა ნეომარქსისტულია, მაგრამ იგი რეალიზმის ელემენტებსაც მოიცავს. იგი იზიარებს ისეთი რეალისტების შეხედულებებს, როგორიც არიან ქ. უოლცი და ჰ. ბული; მათი აზრით, საერთაშორისო სისტემა არსებითად ანარქიულია. აქედან გამომდინარე, ვალერსტაინის შეხედულების თანახმად, არც ერთ სახელმწიფოს არ ძალუძს მთელი მსოფლიო ეკონომიკის გაკონტროლება. ყოველივე ამის შედეგად ყალიბდება შრომის

* I. Wallerstein. The Capitalist World-Economy. Cambridge University Press, Cambridge, 1979; I.Wallerstein. The Modern World System I. Academic Press, New York, 1974; I. Wallerstein. The Modern World System II. Academic Press, New York, 1980; I. Wallerstein. The Politics of the World-Economy. Cambridge University Press, New York, 1984; I. Wallerstein. Historical Capitalism. Verso, London, 1983

საერთაშორისო ეკონომიკური დანაწილება, რომელშიც წარმოდგენილი არის ცენტრალური ბირთვი, ნახევრადპერიფერია და პერიფერია. თაეიდან ყოველი საზოგადოება მინისისტემას" წარმოადგენდა; როგორც ვალერსტაინი შენიშნავს, „მინისისტემა ისეთი მთლიანობაა, რომელშიც წარმოდგენილია შრომის სრული დანაწილება და ერთი კულტურა".[299] ამ მინისისტემებს მოპყვა „მსოფლიო-სისტემები," ისეთი მთლიანობები, რომლებშიც იყო ერთიანი შრომის დანაწილება და რამდენიმე კულტურული სისტემა. ეს ერთეულებია მსოფლიო იმპერიები (ძველი ჩინეთი, ძველი ეგვიპტე, ძველი რომი). ეს მსოფლიო იმპერიები დაიმსხერნენ, რადგანაც სათანადო ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა ვერ შეძლეს და ბიუროკრატიასა და სამხედრო საქმეებზე ხარჯებს გადაპყვნენ. XVII საუკუნიდან მსოფლიო ეკონომიკის ახალი, კაპიტალისტური ეტაპი იწყებს ჩამოყალიბებას და ეს ევროპაში ხდება.

ევროპაში აღმოცენებული კაპიტალიზმი თანდათანობით გადაიზარდა თანამედროვე მსოფლიო კაპიტალისტურ სისტემაში, რომლის ბირთვი შედგება განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნებისაგან, სადაც თავმოყრილია ყველაზე მოწინავე ეკონომიკური საქმიანობა (საბანკო საქმე, გადამამუშავებელი მრეწველობა, მოწინავე სოფლის მეურნეობა და ა.შ.). ნახევრადპერიფერიაში წამოდგენილია როგორც ჩამორჩენილი პერიფერიისთვის დამახასიათებელი ეკონომიკური საქმიანობა, ასევე ისეთი დარგები და საქმიანობა, რომელიც ზოგჯერ ბირთვშიც გვხვდება. პერიფერია კი ნედლეულის მიმწოდებელია, მისი მუშახელი – ნაკლებად კვალიფიციური, ხოლო ტექნოლოგია-ჩამორჩენილი. პერიფერიის შემადგენელი ქვეყნები ეკონომიკურად ჩამორჩენილი და ღარიბია.*

ეროვნული მეურნეობა დღეს აღარ არის მსოფლიო მეურნეობის ერთადერთი შემადგენელი ელემენტი, რადგან საერთაშორისო კორპორაციები უკვე უშუალოდ მონაწილეობენ მსოფლიო მასშტაბის წარმოებაში, მომსახურებაში, მარკეტინგში და ა.შ. ბევრი ტრანსნაციონალური კორპორაციისათვის ეროვნული ბაზარი უკვე მხოლოდ გლობალური ბაზრის ნაწილია.

ვალერსტაინის მოდელის თანახმად, მსოფლიო ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური პროცესების განვითარება კაპიტალიზმის განვითარებაა, გლობალური, სისტემური მოვლენაა. ამიტომაც ნებისმიერი ცალკეული სახელმწიფოს ბედი კაპიტალისტური მსოფლიო სისტემის ხასიათითა და განვითარების თავისებურებებით განისაზღვრება. ამ მხრივ ვალერსტაინის თეორია გვაგონებს ნეორეალიზმის თეორიას, რომელიც საერთაშორისო პოლიტიკური სისტემის სტრუქტურასა და ხასიათს საერთაშორისო პოლიტი-

---

[299] I. Wallerstein. The Capitalist World-Economy...p.17

* ვალერსტაინის მოდელის საყურადღებო სივრცითი ინტერპრეტაცია იხ.:P.Knox, J. Agnew. The Geography of the World Economy. Edward Arnold, London, 1989; S.Corbridge. Capitalist World Development: A Critique of Radical Development Geography. Macmillan, London, 1986

კის განმსაზღვრელ ფაქტორად მიიჩნევს. ვალერსტაინის თეორიის თანახმად, საერთაშორისო სისტემის მთავარი მასასიათებელი ის კი არ არის, რომ იგი ძლიერი და სუსტი სახელმწიფოებისაგან შედგება, არამედ ის, რომ ხსენებული სისტემა თავისი ბუნებით კაპიტალისტურია. სწორედ საერთაშორისო სისტემის ეს „კლასობრივი" ხასიათი განსაზღვრავს მასში შემავალი ქვეყნების როლსა და ფუნქციებს მსოფლიო ეკონომიკაში. ამ ეკონომიკაში კი ზოგიერთი კლასი და სახელმწიფო კარგად გრძნობს თავს, დანარჩენებს კი მხოლოდ მეორეხარისხოვანი, დაქვემდებარებული მონაწილეების როლის შესრულება უწევთ.

სახელმწიფოთა სისტემა დამოკიდებულია იმ ინსტიტუტებზე და შესაძლებლობებზე, რომლებსაც მსოფლიო ბაზარი ქმნის თავის გადარჩენის მიზნით, – შენიშნავს ქ. ჩეის-დანი.[300] აქედან გამომდინარე, ცვლილებები მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში შეიძლება სამი სახის იყოს: პირველი – ცვლილებები მსოფლიო კაპიტალისტური ეკონომიკის მოქმედი პირების იერარქიაში. როგორც ი. ვალერსტაინი აღნიშნავს, ეკონომიკური მოქმედი პირები ენაცვლებიან ერთმანეთს „წარმოების, მოგებისა და მოხმარების იერარქიულ სტრუქტურაში.[301] თუ XVII საუკუნეში ნიდერლანდები ბატონობდნენ, შემდგომში ისინი დიდი ბრიტანეთის იმპერიამ შეცვალა, ხოლო XX საუკუნეში აშშ-ს დომინირება დაიწყო. იცვლებოდა „ბირთვი," მაგრამ სისტემის იერარქიული ხასიათი არ შეცვლილა. მეორე სახის ცვლილებები კაპიტალისტური განვითარების ფაზები და ციკლებია. ეს არის აღმავლობისა და სტაგნაციის მონაცვლეობა, რაც დიდ გავლენას ახდენს მსოფლიო ეკონომიკური სისტემის ყველა მონაწილეზე. მესამე სახის ცვლილებები სისტემის სტრუქტურული ტრანსფორმაციის პროცესია. ეს მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის ისტორიული და გეოგრაფიული განვითარებაა, რომელიც ამ სისტემაში დედამიწის ახალ-ახალი ტერიტორიებისა და ეკონომიკური საქმიანობის ინკორპორირებას გულისხმობს. სისტემა სტატიკური არ არის, იგი ვითარდება, იცვლება, მაგრამ შეიცვლება კი მისი კაპიტალისტური ბუნება მომავალში? ფეოდალიზმი ხომ შეიცვალა კაპიტალიზმით, ამ უკანასკნელს კი რა შეცვლის? მსოფლიო ეკონომიკის მოდელის მომხრეებს სოციალიზმი პქონდათ მხედველობაში, მაგრამ ამგვარი პერსპექტივა დღეისათვის ერთობ სათუოა.

საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის რადიკალური კონცეფციები, განსაკუთრებით კი – დაქვემდებარების თეორია და ი. ვალერსტაინის მოდელი, დასავლეთის საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში სასტიკი კრიტიკის ობიექტი აღმოჩნდა და ეს გასაგებიც არის, თუნდაც იდეოლოგიური მიზეზების გამო. განსაკუთრებით საყურადღებოა ის კრიტიკა, რომელიც

---

300 Ch.Chase-Dunn. Interstate System and Capitalist World-Economy: One Logic or Two? In: "World System Structure:Continuity and Change". W.L. Hollist and J.N.Rosenau (Eds.). Beverly Hills, CA, Sage Publications, 1981, p.31

301 I. Wallerstein. Capitalist World-Economy..., p.67

საერთაშორისო პოლიტიკაში ეკონომიკური ფაქტორის პრიმატის წინააღმდეგ არის მიმართული. რადიკალურ თეორიებში, როგორც დავინახეთ, ეკონომიკა, ეკონომიკური ფაქტორები ლამის საერთაშორისო ურთიერთობათა დეტერმინანტად არის გამოცხადებული. უფრო მეტიც, ნებისმიერი პოლიტიკური მოვლენა თუ პროცესი შეიძლება გაგებული და ახსნილი იყოს მხოლოდ „დაქვემდებარების" ან „მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის" თეორიული კონცეფციებიდან გამომდინარე. ამავე დროს, ხსენებული რადიკალური თეორიები, როგორც უკვე აღრე აღინიშნა, ეერ ხსნიან, რამ გამოიწვია „მესამე სამყაროს" ბევრი ქვეყნის (ბრაზილია, სამხრეთი კორეა, ვენესუელა, სინგაპური და სსვ.) სწრაფი ეკონომიკური აღმაველობა და ე.წ. „ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებად" გადაქცევა.

რადიკალური თეორიები, მათი სერიოზული სისუსტეების მიუხედაეად, მაინც გვეხმარება საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის დროს, რადგან რეალიზმთან და პლურალიზმთან (კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულება) ერთად, რთული საერთაშორისო ცხოვრების ბევრ მნიშვნელოვან მხარეზე მიგვითითებს. სანამ ეკონომიკური ჩამორჩენილობა, სოციალური კონტრასტები, შიმშილი არსებობს, რადიკალური კრიტიკა და თეორიებიც იარსებებს.

საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის განვითარების პერსპექტივები

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდიდან მოყოლებული, მსოფლიო მეურნეობაში (ე.წ. სოციალისტური ბანაკის გამოკლებით) სამი ეკონომიკური პოლუსი გამოიკვეთა (აშშ – დასავლეთი ევროპა – იაპონია). აშშ-ის ატომური „ქოლგის" ქვეშ დასავლეთი ევროპა და იაპონია წელში გაიმართნენ და დემოკრატიზებული, დინამიკური ეკონომიკის შენებას შეუდგნენ. სსრკ-ჩინეთის ბლოკის საწინააღმდეგოდ, აშშ-მა ყველაფერი იღონა დასავლეთ ევროპისა და იაპონიის ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის. ამით აშშ-მა არა მხოლოდ ახალი ძლიერი მოკავშირეები, არამედ დღეისათვის ეკონომიკურად საშიში კონკურენტებიც გაიჩინა.

დღევანდელი საერთაშორისო ეკონომიკური სისტემა დრამატულ ძერებს განიცდის. სსრკ-ის დაშლა და ყოფილი სოციალისტური ქვეყნების საბაზრო ეკონომიკისაკენ შემობრუნება, ახალი ტექნოლოგიების სწრაფად დანერგვა-გავრცელება, ტრანსნაციონალური კორპორაციების მკეეთრად გაზრდილი როლი, სამეურნეო ცხოერების ინტერნაციონალიზაცია – ყველაფერი ეს ძალიან განასხვავებს თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკას მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდისაგან.

როცა საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ მსჯელობენ, მხედველობაში აქვთ ლიბერალიზმის, დაქვემდებარებისა და ეკონომიკური ნაციონალიზმის (ნეომერკანტილიზმის) სამი გზა, სამი მოდელი. რა თქმა უნდა, სამივე მოდელი სინამდვილის მეტ-ნაკლებად განზოგადებული, იდეალური ასახვაა.

ლიბერალიზმისა და დაქვემდებარების შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი. პირველი მათგანი სუვერენული სახელმწიფოს გადაშენებას გვპირდება, მეორე კი ე.წ. ლიბერალურ „თავისუფალ ვაჭრობას" იმპერიალიზმად და სუსტად განვითარებული ქვეყნების დამონების მექანიზმად მიიჩნევს. მესამე მოდელის – ეკონომიკური ნაციონალიზმის (მერკანტილიზმის) ქვაკუთხედია სუვერენული სახელმწიფო, ხოლო მოქმედების ასპარეზი – რეალიზმის პოზიციებიდან დანახული საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემები.

ლიბერალიზმისა და დაქვემდებარების მოდელებში მსოფლიო მეურნეობა, საერთაშორისო ეკონომიკური სისტემა განიხილება როგორც ერთი მთლიანობა, რომელშიც ეროენულ მეურნეობას (სუვერენულ სახელმწიფოს) ან უკვე აღარა აქვს ან, საერთოდ არა აქვს დიდი მნიშვნელობა. ნეომერკანტილისთა აზრით კი მომავალი მსოფლიო ეკონომიკის განვითარების მთავარ მოქმედ პირად და ანალიზის ერთეულად კელავაც სუვერენული სახელმწიფო დარჩება, ხოლო ძირითად პროცესად – სუვერენულ სახელმწიფოთა ინტერესების ურთიერთქმედება. ამ შეხედულების თანახმად, მომავალ მსოფლიო ეკონომიკაში გამწვავდება მეტოქეობა. ეს იქნება მეტოქეობა კაპიტალდაბანდებათა სფეროში, მეტოქეობა ბაზრებისთვის და ნედლეულის

წყაროებისთვის.

რ. გილპინის აზრით, XVIII საუკუნის მერკანტილისტური შეხედულებებისაგან განსხვავებით, თანამედროვე მერკანტილიზმი (ნეომერკანტილიზმი) გლობალური ეკონომიკური წინსვლისა და კეთილდღეობის მიზნებთან შედარებით, ეროვნული ეკონომიკური და პოლიტიკური მიზნების პრიორიტეტად უნდა გავიგოთ.[302] ნეომერკანტილიზმის გამოვლინების ფორმებია: დადებითი საგადასახდელო ბალანსისაკენ სწრაფვა, უმუშევრობის და ინფლაციის „ექსპორტი", ექსპორტსა და იმპორტზე კონტროლის დაწესება, მოწინავე ტექნოლოგიების სტიმულირება და სხვ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოველი ქვეყანა უნდა ახორციელებდეს ისეთ პოლიტიკას, რომელიც მიმართული იქნება შიდა ეკონომიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა და საგარეო პოლიტიკური მიზნების მიღწევისაკენ, სხვა ქვეყნების ასეთივე ინტერესებისა და მთელი საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის მდგომარეობის გათვალისწინების გარეშე.

ნეომერკანტილიზმის მოდელის მომხრენი მიიჩნევენ, რომ გლობალური ურთიერთდამოკიდებულების და სწრაფი ეკონომიკური აღმავლობის ძირითადი წყაროები იყო იაფი ენერგია და განვითარებულ და განვითარებად სახელმწიფოებს შორის არსებული ტექნოლოგიური „უფსკრული". ამჟამად კი ურთიერთდამოკიდებულების პროცესის გაღრმავება ველარ მოხდება, რადგან ტრანსნაციონალური კორპორაციების შემდგომი გაფურჩქვნისათვის ხელსაყრელი პირობები ისეთი ვითარებით იცვლება, როცა საკუთარი ეროვნული ინტერესების კბილებით დაცვას უკვე მრავალი ქვეყანა შეეცდება.

საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებში მიმდინარე პროცესებისათვის და, სამოგადოდ, ამ სისტემების არსებობისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია პეგემონის ადგილი და როლი, მისი გავლენა სისტემაზე და წესრიგის ის ხასიათი, რომელსაც პეგემონი სისტემაში დაამყარებს.* თანამედროვე ეტაპზე როგორც საერთაშორისო პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ სისტემაში ერთადერთი პეგემონი – აშშ-ია. ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ აშშ-ის ეკონომიკური აღმავლობისა და ბაგონობის, პეგემონობის პერიოდი თავდება და იწყება ამ გიგანტი სახელმწიფოს

---

302 R. Gilpin. Three Models of the Future. In: "International Politics. Enduring Concepts and Contemporary Issues". R. J. Art and R. Jervis (Eds.). 3rd Editon. Harper Collins Publishers, 1992, p.293.

* პოლიტიკურ სისტემაში პეგემონის მნიშვნელობის შესახებ ვისაუბრეთ ქვეთავში „ნეორეალიზმი". საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში პეგემონობა იმას ნიშნავს, რომ პეგემონი სახელმწიფო აკონტროლებს მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი ნედლეულის ძირითად წყაროებს, კაპიტალის წყაროებს და კაპიტალდაბანდებებს, ბაზრებს და მას მოეპოვება შეფარდებითი უპირატესობა, რათა აწარმოოს ტექნოლოგიურად ყველაზე მოწინავე და ძვირადღირებული პროდუქცია. პეგემონის საკუთარი შიდა ბაზარი მეტად ტევადი უნდა იყოს, რადგან იმპორტის სტრუქტურისა და გეოგრაფიის ცელით მას შეუძლია დიდი გავლენა მოახდინოს დანარჩენ ქვეყნებზე.

როლისა და შესაძლებლობების თანდათანობით დაკნინება (ე.ი. აშშ-ის პეგემონობის პიკმა ჩაიარა).[303] ყველაზე მკაფიოდ ეს შეხედულება გამოხატა ამერიკელმა ისტორიკოსმა პოლ კენედიმ თავის გახმაურებულ შრომაში „დიდი ქვეყნების აღზევება და დაცემა", სადაც მან აშშ-ის პეგემონობის დაცემა იწინასწარმეტყველა.[304]

ექსპერტთა მეორე ჯგუფი კი, პირიქით, აშშ-ის ჰეგემონობის დაკნინებას უარყოფს და ამ სახელმწიფოს მიერ როგორც ეკონომიკური დინამიზმის, ასევე მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში პეგემონობის შენარჩუნების იმედს გამოთქვამს. ამერიკელი რიჩარდ როუზკრენსის აზრით, აშშ მართლაც გარკვეული დაკნინების პროცესში იმყოფება, მაგრამ მას ძალუძს საკუთარი პეგემონური პოზიციის შენარჩუნება. უფრო მეტიც, რ. როუზკრენსს მიაჩნია, რომ საერთაშორისო სისტემა მულტიპოლარული ხდება და, სწორედ ამიტომ, აშშ-ის გამოკვეთილი ჰეგემონობა ამ სისტემაში წესრიგის შენარჩუნების აუცილებელი ფაქტორი იქნება.[305]

საყურადღებოა ამერიკელი ეკონომისტის ჩარლზ კინდლბერგერის შეხედულება „დიდი დეპრესიის" (1929-1933 წწ.) თაობაზე, რომლის თანახმად ხსენებულ პერიოდში დაწყებული მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი იმის გამო მოხდა, რომ დიდ ბრიტანეთს აღარ შეეძლო ჰეგემონის ფუნქციის შესრულება, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატები ამ ფუნქციის შესრულებისათვის თავს მზად არ გრძნობდა და მას გაურბოდა. სწორედ ამიტომ გაიწელა ეს საშინელი კრიზისი.[306] ამერიკელი რ. გილპინის აზრით, აშშ-მა უნდა გაითვალისწინოს ეს გაკვეთილი, როცა დიდი ბრიტანეთის დაკნინების დიდად გახანგრძლივებულმა პროცესმა შეარყია საერთაშორისო ეკონომიკური სისტემა. ეს კი ბრიტანეთს, რ. გილპინის შეხედულებით, იმიტომ მოუვიდა, რომ მან საზღვარგარეთ ძალზე ბევრი დააბანდა, ხოლო მისმა საკუთარმა ეკონომიკამ დინამიზმი დაკარგა, ამის შედეგად კი თავად შესუსტდა

---

303 C. F. Bergsten (Ed.). The Future of the International Economic Order: An Agenda for Research. Lexington Books, D. C. Heath and Company, Lexington, 1973, p.132; W. Brock and R. Hormats (Eds.). The Global Economy. America's Role in the Decade Ahead. W. W. Norton and Company, New York, 1990, p.224.

304 P. Kennedy. The Rise and Fall of the Great Powers. Random House, New York, 1987, pp.514-535.

305 R. Gilpin. The Political Economy of International Relations. Princeton University Press, Princeton, 1987, pp.341-363; C. Layne, B. Schwartz. American Hegemony Without an Enemy. "Foreign Policy", 92, Fall 1993, pp.5-23; H. R. Nau. The Myth of America's Decline: Leading the World Economy into the 1990s. Oxford University Press, New York, 1990; A. L. Friedberg. The Future of American Power. "Political Science Quarterly". Vol. 109, N1, 1994, pp. 1-22.

306 C. P. Kindleberger. The World in Depression. 1929-1939. London, Allen Lane,1973, pp.291-294.

და ჰეგემონის ფუნქციისათვის ეელარ ივარგა.* რ. გილპინი მიიჩნევს, რომ ჰეგემონის უპირველესი ამოცანაა, სწორად გაანაწილოს საკუთარი შესაძლებლობანი და არ დაუშვას საკუთარი დინამიკური განვითარებისათვის საჭირო კაპიტალის თავის საშღვრებს გარეთ გადინება, რაც ხელს შეუწყობს მეტოქეთა ეკონომიკურ გაძლიერებას ჰეგემონის ხარჯზე.[307]

ბრიტანელი ეკონომისტის სიუზენ სტრეინჯის შესედულების თანახმად, აშშ-ის ჰეგემონია არ შესუსტებულა, რადგანაც იგი დამყარებულია სტრუქტურულ უპირატესობასა და ძლიერებაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ აშშ-ს აქვთ უნარი, თავიანთ ყაიდაზე „აწყონ" საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, ინსტიტუტები, „ქცევის" წესები და ნორმები.[308] აშშ-ის სტრუქტურული ძლიერება, ს. სტრეინჯის აზრით, გამომდინარეობს ამ სახელმწიფოს წამყვანი პოზიციებიდან საერთაშორისო უსაფრთხოების სტრუქტურაში, მსოფლიო წარმოების სტრუქტურაში, დოლარის უწინდებურ ყოვლისშემძლეობაში და მსოფლიომი ცოდნის „წარმოების" სტრუქტურაში. ცოდნა ძლიერებაა და ამას კარგად გვიდასტურებს აშშ-ის უმაღლესი სასწავლებლების რიცხვი (3 ათასამდე უმაღლესი სასწაელებელი და 12 მლნ. სტუდენტგზე მეტი!), მათი სიმდიდრე და დინამიზმი. თუ ევროპისა და სხვა რეგიონების უნივერსიტეტები ხშირად პოლიტიკური დისიდენტობისა და ოპოზიციის ბურჯების როლს ასრულებდნენ, აშშ-ის უნივერსიტეტები ახალი ცოდნის მიღებისა და დანერგვის, ახალი ტექნოლოგიების გენერატორები იყვნენ. ამგვარად, აშშ-ის ჰეგემონობა სერიოზულ საძირკველზე დგას და თუ ამ ქვეყანამ მართლაც შეძლო ეკონომიკური დინამიზმის შენარჩუნება, საეჭვოა, მის ჰეგემონობას საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში ვინმე დაემუქროს.

ჰეგემონური წესრიგის არსებობა საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში სრულებითაც არ გამორიცხავს ამ სისტემის მულტიპოლარულობას და ნეომერკანტილიზმის ტენდენციების გაძლიერებას. რადგან საერთაშორისო პოლიტიკური სისტემა მულტიპოლარული გახდა, ნეომერკანტილიზმის მომხრეები მიიჩნეეენ, რომ პოლიტიკური მულტიპოლარულობა ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ნაციონალიზმს და ნეომერკანტილისტური ეკონომიკური პროცესები დათრგუნავს ინტეგრაციულ და ურთიერთდამოკიდებულების გაღრმავების ტენდენციებს. ნეომერკანტილისტები მიიჩნევენ, რომ მსოფლიო ეკონომიკა დანაწილდება რეგიონულ ბლოკებად, რადგან ინტეგრაციის, სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის ფაქტორების და ეკონომიკური ნაციონალიზმის ძალებს შორის ჭიდილს მხოლოდ ამგვარი შედეგი შეიძლება მოპყვეს. ინტეგრაცია მსოფლიოს ცალკეული რეგიონების ფარ-

---

* ამ მოელენას სპეციალური ლიტერატურაში „ჰეგემონის დილემა" შეარქვეს.

307 R. Gilpin. U. S. Power and the Multinational Corporation: The Political Economy of Foreign Direct Investment. Basic Books, New York, 1975.

308 S. Strange. The Persistent Myth of Lost Hegemony. "International Organization". Vol. 41,№14, 1987, p.565.

გლობში განხორციელდება, რადგან ცალკეული ქვეყნები ვერ შეძლებენ კონკურენტუნარიანნი იყვნენ, მაგრამ არც სუვერენულობაზე ხელის აღებას მოინდომებენ. ეკონომიკური კეთილდღეობისა და სუვერენულობის მეტნაკლებად შეხამება და ამ რთული დილემის გადაწყვეტა რეგიონული ინტეგრაციის გზით მოხერხდება; სახელმწიფოთა ცალკეული ჯგუფები შექმნიან რეგიონულ ბლოკებს (დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა მსგავსად), რომლებშიც სუვერენულობის ზოგიერთ ელემენტს ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესები იმსხვერპლებს. ამგვარ ბლოკებად დაყოფის შედეგად საერთაშორისო ვაჭრობა, საფინანსო ურთიერთობები და ინვესტირება უფრო რეგიონთაშორისი ურთიერთქმედების ხასიათს მიიღებს. ეკონომიკურ ურთიერთობათა რეგიონალიზაციას ძალუძს, ერთგვარად შემცულოს აშშ-ის ჰეგემონია საერთაშორისო ვაჭრობაში, შეასუსტოს დოლარის საერთაშორისო როლი და აშშ-ის ტრანსნაციონალური კორპორაციების ბატონობა. ეს ყველაფერი კი უფრო მძაფრ საერთაშორისო ეკონომიკურ კონფლიქტამდე მიგვიყვანს.[309]

როგორც რ. გილპინი შენიშნავს, თანამედროვე მერკანტილისტები შეიძლება ორ ბანაკად – ე.წ. „უარყოფით" და „დადებით" მერკანტილისტებად დავაჯგუფოთ. ორივე ბანაკის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ მსოფლიო ეკონომიკა დაიყოფა რეგიონულ ბლოკებად. „უარყოფითი" მერკანტილისტების შეხედულებით, ამგვარი რეგიონალიზაცია გაამწვავებს საერთაშორისო ეკონომიკურ კონფლიქტს.* ყოველი ბლოკის კონსოლიდაცია მოხდება წამყვანი სამრეწველო სახელმწიფოს თუ რეგიონის – აშშ-ის, იაპონიის, დასავლეთ ევროპის ან სხვათა ირგვლივ. ყოველი ბლოკი იბრძოლებს დანარჩენებთან ბაზრების, ნედლეულის, კაპიტალდაბანდებების განაწილების გამო. ამგვარად, მსოფლიო დაუბრუნდება იმ ვითარებას, რომელიც მიმდინარე საუკუნის 30-იან წლებში იყო.[310]

„დადებითი" მერკანტილისტები კი ეკონომიკურ რეგიონალიზაციაში მსოფლიო ეკონომიკურ ურთიერთობათა სტაბილიზაციის ფაქტორს ხედავენ.* მათი აზრით, რეგიონალიზაცია საშუალებას მისცემს სახელმწიფოებს, მაქსიმალური პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტის შენარჩუნებასთან ერთად, მასშტაბური ეკონომიკით და ურთიერთდამოკიდებულებით ისარგებლონ. თუმცა შრომის გლობალური დანაწილებისაგან ეკონომიკური სარგე-

---

309 J. E. Garten. A Cold Peace: America, Japan, Germany and the Struggle for Supremacy. A Twentieth Century Fund Book, Times Books, 1992.

* იხ.: E. Mandel. Europe vs. America-Contradictions of Imperialism. New York, Monthly Revue Press, 1970.

310 L. Silk. Dangers of Slow Growth. "Foreign Affairs", Vol. 72, N1, 1993, p. 181.

* იხ.: D. Calleo, B. Rowland. America and the World Political Economy. Bloomington, Ind., Indiana University Press, 1973; E. Preeg. Economic Blocs and U. S. Foreign Policy. Washington, D. C., National Planning Association, 1974; S.J.Kobrin. Regional Integration in a Globally Networked Economy, "Transnational Corporations". Vol.4, August 1995, pp. 15-33

ბელი და კეთილდღეობა მეტი იქნებოდა, რეგიონულ ბლოკებში ინტეგრაციით სუვერენული სახელმწიფოები შეძლებენ წინააღმდეგობა გაუწიონ იმ ბლობალურ გარეშე ძალებს, რომლებიც მათ სუვერენულობას ემუქრებიან და რომლებთანაც გამკლავებას სახელმწიფოები ცალ-ცალკე ვერ შეძლებენ. „დადებითი" მერკანტილისტები მიიჩნევენ, რომ ამგვარად გახდება შესაძლებელი მსოფლიო ეკონომიკური წესრიგისა და უსაფრთხოების დამკვიდრება. „დადებითი" მერკანტილისტების შეხედულებით, სწორედ რეგიონულ ბლოკებად დაყოფა იქნება ის გამოსავალი, რომლის მონახვა საჭირო გახდება, როცა აშშ-ის, როგორც პეგემონის, დაკნინება ამ სახელმწიფოს პეგემონობაზე დაყრდნობილ საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემას უწესრიგობისა და ბლობალური ეკონომიკური კონფლიქტებისაკენ გადახრიდა.[311]

ნეომერკანტილიზმის შეხედულებები თანდათანობით ფეხს იკიდებს, მაგრამ მისი მოწინააღმდეგენი მიიჩნევენ, რომ აშშ-ს ჯერ არ ამოუწურავს თავისი შესაძლებლობები, მას ჯერ კიდევ ძალუძს პეგემონობა, ხოლო ეკონომიკური რეგიონალიზაციის უკვე გამოკვეთილი ტენდენციები, ჯერ კიდევ ვერ იქცა შეუქცევად, სტაბილურ პროცესად.

არსებობს შეხედულება, რომლის თანახმად საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში გარკვეული წესრიგის შენარჩუნება უპეგემონოდ ყოფნის პირობებშიც კი არის შესაძლებელი. რ. ქიოპეინის აზრით, აშშ-ს აღარ ძალუძს და აღარც უნდა იყოს გამოკვეთილი პეგემონი, რადგან მას საკუთარი პრობლემებიც თავზე საყრელად აქვს. ამიტომ საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში თანამშრომლობა ძლიერი, ყოვლისშემძლე პეგემონის გარეშეც იქნება. ამგვარი თანამშრომლობის მიღწევა მეტად რთული ამოცანაა, მაგრამ ამის გაკეთება აუცილებელი და შესაძლებელია ე.წ. „საერთაშორისო რეჟიმების" ინსტიტუტის შემდგომი დახვეწის და დანერგვის გზით.[312]

რეჟიმი ქმედებების კოორდინატორის როლში გვეელინება. რეჟიმის ძირეული, განმსაზღვრელი მახასიათებლები პრინციპები და ნორმებია. წესები და გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურები შეიძლება იყოს მრავალგვარი, მაგრამ ისინი საერთაშორისო რეჟიმში მიღებული პრინციპებიდან და ნორმებიდან უნდა გამომდინარეობდნენ. თუ პრინციპები და ნორმები უცვლელია, წესებსა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურებში მომხდარი ცვლილებები მიდასარეჟიმო ხასიათისაა. თუ პრინციპები და ნორმები იცვლება, მაშასადამე, იცვლება რეჟიმიც. ძირეული პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები უფრო პრინციპებთან და ნორმებთან არის დაკავშირებულია, ვიდრე წესებთან და პროცედურებთან. რეჟიმი სოციალური ინსტიტუტია, რომელიც წარმართავს დაინტერესებული და მასში ჩართული მონაწილეების ქმედებებს. საერთაშორისო რეჟიმი კი საერთაშორისო სის-

---

311 B. Buzan. Economic Structure and International Security: the Limits of the Liberal Case. "International Organization". Vol. 38, N4, 1984, pp. 597-624.

312 R.O. Keohane. After Hegemony. Cooperation and Discord in the World Political Economy. Princeton University Press, Princeton, 1984, pp.182-216, 243-259.

ტემის დაინტერესებულ მონაწილეებს აერთიანებს. თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური სისტემა ურთიერთდამოკიდებულების მაღალი დონით ხასიათდება. ამგვარი ურთიერთდამოკიდებულების პირობებში მონაწილეებს უჭირთ ისე იმოქმედონ, რომ ერთმანეთი არ „დააზიანონ", რომ არავინ დაზარალდეს, რადგან ურთიერთდამოკიდებულება მონაწილეებს შორის უამრავ ხილულ და უხილავ ურთიერთკავშირს გულისხმობს. ამ დახლართულ ქსელში ურთიერთქმედება ურთულესი ამოცანაა. ყოველი მონაწილის ინტერესები სხვებთან ხშირად კონფლიქტში აღმოჩნდება და მთელი ურთიერთქმედებები კონფლიქტურ სახეს იძენს.

რეჟიმი და წესრიგი ერთსა და იმავეს როდი ნიშნავს. რეჟიმი კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების პირობებში კონფლიქტურობის თავიდან ასაცილებლად ან შესარბილებლად ადამიანის მიერ შექმნილი სოციალური ინსტიტუტია. საერთაშორისო რეჟიმის მიზნები განისაზღვრება იმ ფასეულობებით, რომლებსაც რეჟიმის შემქმნელები იზიარებენ. ეს შეიძლება იყოს სახელმწიფოთა თანასწორობა, ეკონომიკური ეფექტიანობა ან ოპტიმალურობა, საყოველთაო კეთილდღეობა, სახელმწიფოს გადარჩენა და ა.შ. საერთაშორისო ურთიერთობებში გადარჩენა კი სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებას ნიშნავს. მმარდი კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების პირობებში გადარჩენა შეიძლება ავტონომიურობის გარკვეული დონის შენარჩუნებასაც ნიშნავდეს. საერთაშორისო ურთიერთობებში რეჟიმები, როგორც წესი, რომელიმე ჰეგემონის ან ჰეგემონური კოალიციის ნახელავია.

ლიბერალების აზრი იმის თაობაზე, რომ ეკონომიკური ეფექტიანობა და კეთილდღეობის მაღალი დონე წესრიგის კრიტერიუმებია, ნეომერკანტილიზმის მიმდევართ მართებულად არ მიაჩნიათ. მათი წარმოდგენით, ეკონომიკა საბოლოო ჯამში სახელმწიფოს ძლიერებისა და გადარჩენისათვის არის მოწოდებული და არა – მხოლოდ კეთილდღეობისათვის. ამიტომ საერთაშორისო რეჟიმებში სახელმწიფოთა მონაწილეობა ნეომერკანტილისტებისათვის გარკვეულწილად მისაღებია, რადგან რეჟიმში სახელმწიფო ისე არ ითქვიფება, როგორც ეს თავისუფალი ვაჭრობის, ლიბერალური კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების პირობებში ხდება ხოლმე. საერთაშორისო რეჟიმები თანამედროვე ეტაპზე თანამშრომლობის მეტად გაფერცელებულ ფორმად იქცევა. ყოველ რეჟიმში არსებობს ფასეულობათა გარკვეული იერარქია. ზოგიერთი ფასეულობა წინა პლანზეა წამოწეული, ზოგიერთი კი მეორეხარისხოვნად არის მიჩნეული. რეჟიმის მიზნების იერარქიაც ფასეულობებიდან გამომდინარე განისაზღვრება. საერთაშორისო რეჟიმებში, როგორც წესი, პირველ ყოელისა, გათვალისწინებულია უძლიერესი მონაწილეების ინტერესები. თუ რეჟიმი ყველასათვის მეტნაკლებად მისაღებია, მაშინ მისი არსებობა-ფუნქციონირება ხანგრძლივი იქნება. კოლონიალიზმიც რეჟიმი იყო, მაგრამ მისი დიდსანს არსებობა ყველა მონაწილის კმაყოფილებამ კი არ განაპირობა, არამედ ამ რეჟიმის დამამყარებელთა სურვილმა, საერთაშორისო სისტემაში მათმა განსაკუთრებულმა მდგომარეობამ და შესაძლებლობებმა. თანამედროვე საერ-

თაშორისო რეჟიმები უფრო პეგემონთა დომინირებით ხასიათდება, და მათ, კოლონიალიზმთან შედარებით, მეტი თანასწორობა გამოარჩევს. თუმცა ტ. შვარცენბერგერის შენიშვნაც უნდა გავახსოვდეს – „პეგემონობა იგივე იმპერიალიზმია, ოღონდ კარგი მანერებით“.

საერთაშორისო რეჟიმები არსებობენ და ფუნქციონირებენ. ისინი ხელს უწყობენ მრავალი რთული პრობლების გაადვილებას, საერთაშორისო სისტემაში გარკვეული წესრიგის დამყარებას.

საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაბატონდა ისეთი ეითარება, რომელსაც ხშირად „პეგემონურ თანამშრომლობას“ უწოდებენ. ფ. ჰირშმა და მ. დოილმა ამგვარ ეითარებას უწოდეს „პეგემონური ხელმძღვანელობა“, რაც თანამშრომლობისა და ეიღაცის ხელმძღვანელობის გარკეეულ შეხამებას გულისხმობს.[313] მრავალი ექსპერტის აზრით, პეგემონის ძლიერება და პეგემონიის პირობებში დამყარებული საერთაშორისო რეჟიმები აადვილებენ თანამშრომლობას. როცა აშშ-ის პეგემონობით წარმართულ საერთაშორისო რეჟიმებს აანალიზებენ, აღნიშნავენ, რომ ისინი, მართალია, პირველ ყოვლისა, ამ სახელმწიფოს ინტერესებს ითვალისწინებდნენ, მაგრამ ამავე დროს გამიზნულნი იყვნენ ყველა მონაწილისა და საერთაშორისო წესრიგის სასიკეთოდაც. ამ რეჟიმების შექმნისათვის აშშ-მა ბეერი ხარჯი ნახა და დიდი ჯაფაც გასწია. ამის წყალობით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბდა საკმაოდ შედეგიანი ისეთი რეჟიმები, როგორიცაა, მაგალითად, სტაბილური საერთაშორისო სავალუტო სისტემა, ბაზრების გახსნილობის უზრუნველყოფა, ნავთობის ამოღების და მისი სტაბილურ ფასებში გაყიდვის და მრავალი სხვა – განსაკუთრებით საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის სფეროში.* როგორც რ. ქეოჰეინი შენიშნავს, აშშ-ის პეგემონური ხელმძღვანელობის, ლიდერობის სტრატეგიამ გვიჩვენა, რომ პეგემონობა და თანამშრომლობა ხშირად ურთიერთშემავსებელი უფროა, ვიდრე შეუთავსებელი.[314] თუმცა ამ ქვეყნის ჰეგემონობით შექმნილ საერთაშორისო რეჟიმებში ყველაფერი ისე როდი იყო, როგორც ეს ყველა მონაწილეს სურდა, ხსენებულმა რეჟიმებმა თავიანთი ამოცანის შესრულება მაინც შეძლეს.

საერთაშორისო ეკონომიკური სისტემა ნეომერკანტილიზმის გზით თუ სხვაგვარად, პეგემონით თუ უპეგემონოდ განვითარდება, მისი შემდგომი არსებობისა და ფუნქციონირებისათვის საჭირო იქნება მონაწილეთა თანამშრომლობა და გარკვეული წესრიგი. ნეომერკანტილიზმის ძირითადი იდეა არის ის, რომ წესრიგი მსოფლიო ეკონომიკაში მოითხოვს სუვერენულ სახელმწიფოთა თანამშრომლობას, ხოლო პეგემონიზმი (ისტორიულად

---

313 F. Hirsch, M. Doyle. Politicization in the World Economy: Necessary Conditions for an International Economic Order. In: F. Hirsch, M. Doyle at al., "Alternatives to Monetary Disorder". McGraw–Hill for the Council on Foreign Relations, New York, 1977, p.27.

* ამის შესახებ დაწერილებით იხ.: R. O. Keohane. After Hegemony... pp.141-181.

314 R. O. Keohane. After Hegemony... p.179.

მაინც) ამგვარი თანამშრომლობის აუცილებელი პირობაა.[315] საერთაშორისო რეჟიმები, ბევრი ექსპერტის შეხედულებით, სწორედ ის ინსტიტუტია, რომელსაც ძალუძს თანამშრომლობის და, მაშასადამე, გარკვეული წესრიგის შეტანა საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში.

თანამედროვე ეკონომიკური ურთიერთობები ორი ურთიერთგამომრიცხავი ტენდენციით – ინტეგრაციით (ურთიერთდამოკიდებულება) და ნეომერკანტილიზმით (ეკონომიკური ნაციონალიზმი) – ხასიათდება. აქამდე ხან ერთი ტენდენცია ბატონობდა, ხან – მეორე. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ინტეგრაციულმა პროცესებმა უფრო იჩინა თავი. ამჟამად, ბევრი ექსპერტის აზრით, ნეომერკანტილიზმის გაბატონებისა და მსოფლიოს რეგიონულ ეკონომიკურ ბლოკებად დაყოფის ეპოქა იწყება. გლობალური ინტეგრაცია, ექსპერტთა აზრით, ძლიერი ჰეგემონის არსებობის პირობებში იყო შესაძლებელი, ხოლო ამჟამად, როცა ეს ჰეგემონი ერთგვარ დაკნინებას განიცდის და მსოფლიო უფრო მულტიპოლარული ხდება, ინტეგრაციული პროცესები მეტ რეგიონულ მასშტაბებს მიიღებს. ევროპის „საერთო ბაზარი", NAFTA და ბევრი სხვა რეგიონული ინტეგრაციული სისტემა და პროცესი ამის დადასტურებად გამოდგება, მაგრამ საერთამორისო ეკონომიკური სისტემის შემდგომი განვითარების ხასიათის თაობაზე კატეგორიული საუბარი ჯერ ნაადრევად გვეჩვენება.

---

[315] A. Walter. World Power and World Money: The Role of Hegemony and International Monetary Order. London, Harvester–Wheat Sheaf, 1991, p.23.

VI. საერთაშორისო საზოგადოება

საერთაშორისო საზოგადოება თუ სისტემა?

კაცს მაგოდენად ვერა შეელის თურმე ვერც სიკეთე პაერისა, ვერც სიმსუქნე მიწისა, ვერც შეძლება ყოველგვარის წარმოებისა, თუკი კაცთა შორის კეთილად დადგენილი და ცხადად განსაზღვრული არ არის ურთიერთშორისი უფლება და მოვალეობა.

ილია

საერთაშორისო საზოგადოების იდეა, შესაძლოა, საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიასა და პრაქტიკაში ყველაზე კეთილშობილი და სანუკვარი იყოს. მისი რეალიზება კი ყველაზე მეტად პაგარა, სუსტ სახელმწიფოებს წაადგებოდა, რადგან მათი უსაფრთხოება ისეთე იქნებოდა გარანტირებული, როგორც ნებისმიერი მოქალაქისა ისეთ საზოგადოებაში, რომელშიც კანონის უმნიაესობის პრინციპი სრულად არის განხორციელებული.

საერთაშორისო საზოგადოების თაობაზე უკვე კარგა ხანია მწვავე დებატები მიმდინარეობს. ზოგის აზრით, ხსენებული საზოგადოება უკვე ჩამოყალიბდა და ჩვენ უკვე მისი წევრები ვართ. მეორენი მიიჩნევენ, რომ გამოიკვეთა საერთაშორისო საზოგადოების მხოლოდ ზოგიერთი ელემენტი და საერთაშორისო სისტემა საზოგადოებად გადაქცევის დაწყებით ფაზაში იმყოფება. ექსპერტთა მესამე ჯგუფი (უმთავრესად რეალისტები) უარყოფს ამგვარი საზოგადოების ჩამოყალიბების შესაძლებლობასაც კი, რადგან, მათი აზრით, სუვერენული სახელმწიფოებისაგან შემდგარი სისტემა არ შეიძლება საზოგადოებად იქცეს. საერთაშორისო საზოგადოება მხოლოდ მითია, – აცხადებენ ისინი, – ხოლო ისეთ ცნებებს და იდეალებს, როგორიც არის სამართლიანობა, თავისუფლება და თანასწორობა, კონკრეტული მნიშვნელობა მხოლოდ სახელმწიფოს შიდა ცხოვრებაში და მის ინსტიტუტებში მოეპოვებათ.[316]

ბევრჯერ აღნიშნულა, რომ საერთაშორისო სისტემა არ არის მისი შემადგენელი ელემენტების ურთიერთქმედებათა მხოლოდ მექანიკური ჯამი და მასში წარმოდგენილია „ქცევის" გარკვეული წესები და ნორმები, რაც საზოგადოების არსებობაზე მიგვითითებს. საზოგადოებას არ შეუძლია ფუნქციონირება, თუ მისი წევრების ქცევასა და ქმედებებზე არ ხორციელდება საზოგადოებრივი კონტროლი, არ არსებობს კანონები და ა.შ. სუვერენული

---

316 M. Wight. Western Values in International Relations. In: "Diplomatic Investigations. Essays in the Theory of International Politics". H. Butterfield and M. Wight (Eds.). Harvard University Press, Camridge, Mass., 1966, p.120; The Study of World Society: A London Perspective. International Studies. Occasional Paper N1, p.31; T. Nardin. Law, Morality, and the Relations of States. Princeton University Press, Princeton, 1983, p.34.

სახელმწიფოებისაგან შემდგარი საერთაშორისო სისტემა, როგორც უკვე ვიცით, ანარქიულია, რადგან მასში არ არის წარმოდგენილი უმნიშვნელოვანესი ხელისუფლება (მთავრობა). მაშ რა უფლება გვაქვს, თანამედროვე საერთაშორისო სისტემა საერთაშორისო საზოგადოებად გამოვაცხადოთ?

საერთაშორისო საზოგადოების იდეა დაკავშირებულია ნიდერლანდელი პუგო გროციუსის (1583–1645წ.წ.) სახელთან. სწორედ გროციუსის შრომებიდან მომდინარეობს საერთაშორისო საზოგადოებაზე ის წარმოდგენა, რომელმაც მიმდინარე საუკუნეში განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიიპყრო. გროციუსის მიხედვით, არსებობს საერთაშორისო საზოგადოება და კანონები, რომლებიც ამ საზოგადოების წევრი-სახელმწიფოების ურთიერთობებს არეგულირებენ. გროციუსის ძირითადი აზრი მდგომარეობს იმაში, რომ საერთაშორისო საზოგადოების წევრებს შორის არსებობს პოტენციური სოლიდარობა, ხოლო საერთო ეკონომიკური, საკაჭრო ინტერესები და დიპლომატია თანდათან ადამიანებს და სახელმწიფოებს რაციონალურ, მეგობრულ ურთიერთობებამდე, მშვიდობიან საერთაშორისო საზოგადოებამდე მიიყვანს. გროციუსის შეხედულების თანახმად, ხალხები ქცევის საერთო წესებს გამოიმუშავებენ და გაჩნდება სახელმწიფოთა ურთიერთობის დამარეგულირებელი კანონები.[317] გროციუსის შეხედულებიდან ის გამომდინარეობს, რომ ომი უამრობაა და ადამიანები საბოლოოდ ომზე უარს იტყვიან.

საერთაშორისო საზოგადოების იდეა ამა თუ იმ სახით ყოველთვის იყო წარმოდგენილი საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიასა და პრაქტიკაში. ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ ტერმინი „საერთაშორისო საზოგადოება" უფრო ხშირად გამოიყენებოდა მიმდინარე საუკუნის 40-იან წლებამდე, როცა საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში პოლიტიკური რეალიზმისა და ნეორეალიზმის გაბატონებასთან დაკავშირებით ტერმინი „საერთაშორისო სისტემა" დამკვიდრდა.

საერთაშორისო საზოგადოების იდეა იდგა ერთა ლიგის, პარიზის პაქტის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის და ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის ქარტიების უკან. დღეს კი საერთაშორისო საზოგადოების შესახებ საუბარი კიდევ უფრო აქტუალური გახდა, ვინაიდან თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში წარმოდგენილია მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელთა საქმიანობა საერთაშორისო ურთიერთობებს მეტად თავისებურ, „ტლობალურ" ელფერს ანიჭებს.

საერთაშორისო საზოგადოების საკითხები, ტრადიციულად, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტთა ინტერესების სფეროში რჩებოდა.* ეს იმით იყო გამოწვეული, რომ სახელმწიფოთა ურთიერთობების დარეგულირება,

---

[317] M. Wight. International Theory. The Three Traditions. Edited by G. Wight and B. Porter. Leicester University Press, 1991, pp.37-48.

* ამის შესახებ დაწერილებით იხ.: H. Bull. The Anarchical Society..., pp.24-52; I. Brownlie. The Expansion of International Society: The Consequences for the Law of Nations. In: "The Expansion of International Society". Edited by H. Bull and A. Watson. Clarendon Press, Oxford, 1989, pp.357-369.

სპეციალისტთა აზრით, სწორედ საერთაშორისო სამართლებრივი ინსტიტუტებითა და მათ მიერ შემუშავებული ნორმებით იყო შესაძლებელი, რადგან, საყოველთაო აღიარებით, სადაც საზოგადოებაა, იქ კანონიცაა. მიმდინარე საუკუნის 40-იანი წლებიდან ამ შეხედულების მიმართ ძლიერი სკეპტიციზმი გამომუშავდა და საერთაშორისო წესრიგისა და საზოგადოების იდეამ ახალი განზომილებები შეიძინა. საერთაშორისო ურთიერთობების კვლევაში აქცენტმა სამართლებრივი ინტერპრეტაციიდან გადაინაცელა სახელმწიფოთა ქმედებების მიზეზებსა და მექანიზმებზე. ვერ ეიტყვით, რომ საერთაშორისო საზოგადოების იდეამ დისკრედიტაცია განიცადა, მაგრამ, საზოგადოდ, საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევამ ასალი განზომილება და მიმართულება შეიძინა.[318]

საერთაშორისო საზოგადოება გულისხმობს სახელმწიფოთა ურთიერთმიმართებას საერთო პრაქტიკის, ტრადიციებისა და წესების თვალსაზრისით. ამგვარი წესები წარმოადგენს საერთაშორისო „ქცევის" შედარების საფუძველს. მათი მეშვეობით ვარკვევთ, თუ რა არის სამართლიანი და რა არის უსამართლო; ეს წესები იძლევა სახელმწიფოთა უფლება-მოვალეობების, მათი მოთხოვნების და ქმედებების განსჯის სამუალებას. სამწუხაროდ, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში ქცევის მიღებული წესები დაეიწყებას ეძლევა, როცა ისინი წინააღმდეგობაშია სახელმწიფოთა სასიცოცხლო ინტერესებთან და უფრო მეტად მეორეხარისხოვანი პრობლემების დარეგულირებისათვის გამოიყენება. ამიტომაც ლაპარაკობენ საერთაშორისო ანარქიაზე და არა – საერთაშორისო საზოგადოებაზე. დღეს ხშირად იხმარება გამოთქმა „ანარქიული საზოგადოება" და იგი ობიექტურად ასახავს საერთაშორისო ურთიერთობებში არსებულ ვითარებას. ანარქია ხელისუფლების, წესრიგის უქონლობას ნიშნავს. იგი შეიძლება აგრეთვე ნიშნავდეს საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირების უქონლობასაც. საერთაშორისო სისტემის შესახებ მსჯელობისას, როგორც უკვე აღინიშნა, ანარქია საერთაშორისო ურთიერთობათა კონტექსტში აუცილებლად სრულ უწესრიგობასა და ქაოსს არ ნიშნავს. უფრო მეტიც, უზენაესი ხელისუფლების უქონლობის პირობებშიც კი შესაძლებელია არსებობდეს და მოქმედებდეს საერთო წესები.

ზოგიერთ ავტორს საერთაშორისო საზოგადოება ესმის როგორც სუვერენულ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, რომელშიც მოქმედებს საერთო წესები, მაგრამ არ არსებობს საერთო ხელისუფლება, მთავრობა.[319] არსებობს აგრეთვე მოსაზრება, რომ საერთაშორისო საზოგადოება არის სუვერენული სახელმწიფოებისაგან შემდგარი სისტემა, რომელშიც დამკვიდრებულია გარკვეული წესები; მას შეიძლება ახასიათებდეს ორი უკიდურესი მდგომარეობა: სრული უწესრიგობა და მსოფლიო სახელმწიფო. სუვერ-

---

318 G. Evans, J. Newnham. The Dictionary of World Politics. Simon and Schuster, New York, 1990, pp.195-196.

319 T. Nardin. Law, Morality, and the Relations of States..., p.39.

ენული სახელმწიფოებისაგან შემდგარი ამგვარი სისტემის ფუნქციონირება, რომ ზემოხსენებული ორი უკიდურესი მდგომარეობის გარეთ შეიძლება მოხდეს, თავისთავად ღირსშესანიშნავი მოვლენაა. მამასადამე, ეს არის საერთაშორისო სისტემა, რომელშიც ურთიერთქმედებენ სუვერენული სახელმწიფოები და ამასთანავე მიღწეულია საერთო წესებისა და ინსტიტუტების აღიარებისა და პატიეისცემის გარკვეული დონე, რაც საზოგადოების არსებობაზეც მიგვანიშნებს. სინამდვილეში ყველა სახელმწიფო როდი აღიარებს მიღებულ წესებს და ინსტიტუტებს, ზოგიერთი სახელმწიფო კი ზოგჯერ აღიარებს და პატივს სცემს ამა თუ იმ წესს და ინსტიტუტს, ზოგჯერ კი – არა. საკითხავია, რომელი ინსტიტუტები, წესები და ნორმები არის არსებითი და ყველასთვის მისაღები? საკითხავია აგრეთვე, ამ ზემოთ ჩამოთვლილთაგან მომავალში რომელი დარჩება მისაღებად და არსებითად და რომელი – არა? ამის თაობაზე ჯერჯერობით ერთი გარკვეული პასუხი არ არსებობს.

როგორც ვხედავთ, სინამდვილეში ეს არის საერთაშორისო სისტემა, რომელშიც ვხედავთ გარკვეულ წესრიგს და სწორედ ამიტომ გვინდა შევარქვათ მას საერთაშორისო საზოგადოება. ამგვარი საზოგადოება გულისხმობს საერთაშორისო სისტემის აუცილებელ არსებობას. საერთაშორისო საზოგადოება საერთაშორისო სისტემიდან უნდა ამოიზარდოს, იგი შეუძლებელია შეიქმნას ისე, თუ არ იქნება საერთაშორისო სისტემა. ეს უკანასკნელი კი შეიძლება არსებობდეს ისე, რომ არ იყოს საერთაშორისო საზოგადოება, რაზეც თავის დროზე მიგვანიშნა ჰ. ბულმა.[320]

როცა საერთაშორისო საზოგადოების შესახებ ვსაუბრობთ, აუცილებელია გაეიხსენოთ ყველა ის წარმოდგენა და შეხედულება, რომლებიც ამგვარი საზოგადოების კონცეფციას დაედო საფუძვლად. ასეთი წარმოდგენები და შეხედულებები შეგვიძლია სამ მიმართულებად, სამ ტრადიციად დაეჯგუფოდ: ჰობსისეული ანუ რეალიზმის შეხედულება საერთაშორისო პოლიტიკას განიხილავს როგორც სამარ მდგომარეობას; კანტისეული ანუ უნიეერსალისტური თეალსაზრისი საერთაშორისო პოლიტიკის წიაღში კაცობრიობის თანამეგობრობის, ძმობის ჩამოყალიბების პოტენციურ შესაძლებლობას ხედავს; გროციუსისეული ანუ ინტერნაციონალისტური ტრადიციის თანახმად, საერთაშორისო პოლიტიკა საერთაშორისო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესია.*

ჰობსისეული ტრადიციის თანახმად, სახელმწიფოები მუდმივად კონფლიქტის ვითარებაში იმყოფებიან, მათი ინტერესები ურთიერთსაწინააღმდეგოა და, ამდენად, ომი საესებით ბუნებრივი მოვლენაა. კანტისეული ტრადიციის თანახამად, პირიქით, სახელმწიფოთა ურთიერთობა ზედ-

---

[320] H. Bull, The Anarchical Society..., pp.13-14.

* საერთაშორისო ურთიერთობათა ამ სამ მიმართულებას, მიმდინარეობას ტრადიცია უწოდა ავტორიტეტულმა ბრიტანელმა მკვლევარმა მარტინ უაიტმა. იხ.: M. Wight. International Theory. The Three Traditions. Edited by G. Wight and B. Porter. Leicester University Press, 1991.

აპირული და დროებითი მოვლენაა და საერთაშორისო ურთიერთობები, პირველ ყოელისა, კაცობრიობის თითოეული წევრის, ადამიანების ურთიერთობებია. კაცობრიობის წიაღში კი საყოველთაო ძმობაა და ამ ძმობის რეალიზება თანდათანობით მოხდება ჯერ ყველა ქვეყნის რესპუბლიკად ქცევის გზით; შემდეგ კი მსოფლიო ადამიანების საერთო ინტერესების რეალიზების და თანამშრომლობის გზით განვითარდება და საყოველთაო მშვიდობა დამყარდება. კანტისეული ტრადიციის თანახმად, ადამიანებს გასაყოფი არაფერი აქვთ და კონფლიქტური ინტერესები მხოლოდ მმართველებს და მმართველ ელიტებს ახასიათებთ. გროციუსისეული ტრადიცია ორ ზემოხსენებულ თვალსაზრისს შორის იმყოფება და საერთაშორისო ურთიერთობებს გვიხატავს როგორც სახელმწიფოთა საზოგადოებას ან საერთაშორისო საზოგადოებას. ამ ტრადიციის თანახმად, საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი მონაწილეები სუვერენული სახელმწიფოებია, მაგრამ მათი კონფლიქტური ინტერესები და შესაბამისი ქმედებები საერთო წესებით და ინსტიტუტებით იზღუდება, ხოლო საერთაშორისო ურთიერთობათა ძირითადი ფორმა ომები კი არა, ეავრობაა, სასელმწიფოთა ეკონომიკური და სოციალური ურთიერთქმედებაა. ამიტომ, სახელმწიფოები გამონახავენ თანამშრომლობის ფორმებს, მათ არა მხოლოდ საერთო წესებზე და ინსტიტუტებზე, არამედ მნეობრივ იმპერატივებსა და სამართალზე დააფუძნებენ. სახელმწიფოთა თანაარსებობა და თანამშრომლობა საზოგადოებაში ადამიანთა ურთიერთობის მსგავსი გახდება.*

ამგვარად, გროციუსისეული ტრადიციის თანახმად, საერთაშორისო საზოგადოება საერთაშორისო ურთიერთობათა რეალური და რაციონალური ფორმაა. თანამედროვე საერთაშორისო სისტემა, როგორც უკვე აღინიშნა, შეგვიძლია დავახასიათოთ როგორც საზოგადოება, თუნდაც ჩანასახობრივი ფორმით წარმოდგენილი. მ. უაითი შენიშნავს, რომ საერთაშორისო საზოგადოება არ წააგავს არც ერთ სხვა საზოგადოებას, რადგან იგი ყველაზე მრავალფეროვანი და რთულია; მას ოთხი მნიშვნელოვანი თავისებურება ახასიათებს: 1. ეს საზოგადოება შედგება სხვა, მასზე უფრო ორგანიზებული საზოგადოებებისაგან, რომლებსაც ჩვენ სახელმწიფოებს ეუწოდებთ. სასელმწიფოები წარმოადგენს ამ საზოგადოების ძირითად წევრებს, თუმცა საბოლოოდ მისი წევრები ადამიანები არიან; 2. საერთაშორისო საზოგადოების წევრთა რიცხვი ყოველთვის მცირეა. ეს მაჩვენებელი დღეისათვის ორასს ოდნავ აღემატება, ეს მაშინ, როცა სახელმწიფოთა უმრავლესობა მილიონობით ადამიანს ითვლის; 3. საერთაშორისო საზოგადოების წევრები ერთმანეთისაგან უფრო განსხვავდებიან, ვიდრე ადამიანები. მიუხედავად იმისა, რომ მათი რიცხვი დიდი არ არის, ისინი ერთმანეთისაგან უკიდურესად განსხვავდებიან ტერიტორიის სიდიდით, გეოგრაფიული მდებარეობით, რესურსებით, მოსახლეობის მრავალი მახასიათებლით, კულტურით, სა-

* ამ საკითხის შესახებ იხ.: H. Bull, The Anarchical Society..., pp.24-33; M. Wight. International Theory..., pp.7-24, 30-48.

ზოგადოებრივი მოწყობით, იდეოლოგიით და ა.შ.; 4. საერთაშორისო საზოგადოების წევრები, შეიძლება ითქვას, უკედაენი არიან. მართალია, სახელმწიფოები დროდადრო უჩინარდებიან და ჩნდებიან, მაგრამ მათი სიცოცხლის პერიოდი ბევრად აღემატება ადამიანის ცხოერების დროით ჩარჩოებს. ამიგომ სახელმწიფოთა პოლიტიკა გადარჩენაზე, სასიცოცხლო ინტერესების დაცვაზე, შორს მიმაეალ ტეგმებსა და მიზნებზეა გამიზნული.[321]

ბეერს მიაჩნია, რომ არსებობს „სახელმწიფოთა საზოგადოება" და ეს დიპლომატიურ ურთიერთობებში, მთაერობათაშორის ხელშეკრულებებსა და სხვა კაეშირებში, საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობაში აისახება(ეს ორგანიზაციები კი სახელმწიფოთა წარმომადგენლების მიერ იმართება).[322]

საერთაშორისო საზოგადოების ფორმირება

თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოება ეეროპული საერთაშორისო საზოგადოების პირმშოა. იგი ამოიზარდა ეეროპის სახელმწიფოთა სისტემიდან და დასაველური, ეეროპული კულტურული, სამართლებრივი და სხვა სახის ფასეულობების, ნორმებისა და წესების გაერცელების გზით გლობალური განზომილება მიიღო.

ევროპული საერთაშორისო საზოგადოება განეითარდა შუა საუკუნეების ლათინური ქრისტიანული სამყაროს წიაღში. ეს სამყარო არც ცენტრალიზებული იყო და არც სხვა კულტურებისა და საზოგადოებისაგან იზოლირებული. იგი სიახლეთა გენერატორი იყო და ამავე დროს ექსპანსიონისტურიც აღმოჩნდა. მართალია, ექსპანსიის ბიძგი ეკლესია იდგა, მაგრამ მისი გამტარებლები იყვნენ მეფეები და მთაერები, ვაჭრები და ათასგეარი ჯურისა და პროფესიის ადამიანები.

შუა საუკუნეების ქრისტიანულმა სამყარომ გამოიარა რენესანსი, რის შედეგად დამოუკიდებელი სახელმწიფოს მოდელი სულ უფრო მიმზიდველი გახდა. რეფორმაციამ კი ბოლო მოუღო კათოლიკური ეკლესიის საყოველთაო ბატონობას, რამაც კიდეე უფრო შეუწყო ხელი სუეერენული სახელმწიფოების ჩამოყალიბებას და განეითარებას. შუა საუკუნეების ევროპული ქრისტიანული სამყარო სუეერენულ სახელმწიფოთა საზოგადოების შენების გზას დაადგა.[323] დაიწყო ამერიკის კოლონიზაცია და კიდეე უფრო ინტენსიური გახდა კონტაქტები აღმოსავლეთთან. ეეროპიდან ყეელა მიმართულებით წარმოებული ექსპანსიის პარალელურად, საკუთრივ ეეროპაში გრძელდება,

---

321 M. Wight. Power Politics. Edited by H. Bull and C. Holbrnad. Leicester University Press, Royal Institute of International Affairs, 1995, pp.106-107.

322 E. Luard. International Society. Macmillan, London, 1990, p.4.

323 A. Watson. European International Society and Its Expansion. In :"The Expansion of International Society", Edited by H. Bull and A. Watson. Clarendon Press, Oxford, 1989, p.16.

ერთი მხრივ, სახელმწიფოთა და, მეორე მხრივ, ამ სახელმწიფოთაგან შემდგარი საზოგადოების ჩამოყალიბება, რომლის ძირითადი პრინციპი ის არის, რომ ყოველი სახელმწიფო იურიდიულად თანასწორუფლებიანი, ხოლო მისი სუვერენულობა აბსოლუტურია.

არაევროპული სამყაროს ახალ გლობალურ საზოგადოებად გაერთიანება რთული და ხანგრძლივი პროცესი იყო. XIX საუკუნის მიწურულისათვის კი ნათელი გახდა, რომ ამ პროცესში, ევროპის სახელმწიფოებთან ერთად, წამყვან როლს აშშ-იც და იაპონიაც ასრულებენ. სწორედ XIX საუკუნეში ყალიბდება მთელ მსოფლიოში ევროპეიზებული ადგილობრივი ელიტა, რომელიც სიხარულით ეგებება დასავლურ იდეებს, პრინციპებს და ინსტიტუტებს, ცდილობს მათ დანერგვას თავის კულტურაში. დასავლურის „იმპორტი" ყოველთვის როდი იყო ადვილი. ეს პროცესი მრავალ წინააღმდეგობას აწყდებოდა და ხშირად სისხლიან კონფლიქტებს იწვევდა კიდეც. მიმდინარე საუკუნისათვის უკვე მსოფლიო პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემები ყალიბდება, სოლო გლობალური საერთაშორისო ურთიერთობები საერთაშორისო საზოგადოების ფორმას იძენს. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოში იყო და ამჟამადაც არის კულტურული პლურალიზმი. მიუხედავად იმისა, რომ დასავლური, ევროპული იდეები, პრინციპები და ინსტიტუტები უნიეერსალურ, საყოველთაო ხასიათსა და განზომილებას იძენს, მსოფლიოს კულტურული მრავალფეროვნება საბედნიეროდ, ჯერ კიდევ, ძალიან არის გამოკვეთილი. ევროპული, დასავლური და სხვა კულტურების სინთეზი მტკივნეული პროცესია და იგი ახალ-ახალ განზომილებებს იძენს. თანამედროვე სამყაროში ვესტერნიზაცია სულ უფრო გვევლინება ამერიკანიზაციის სახით. ამერიკული მასობრივი კულტურის გავრცელება, ბევრის შეხედულებით, კულტურული იმპერიალიზმია, ხოლო ამ კულტურის მსოფლიოს ხალხებში დამკვიდრება წამყვანი სახელმწიფოების, პირველ რიგში კი აშშ-ის, კაპიტალის მიერ ეკონომიკურად უფრო სუსტი ხალხების დაქვემდებარებასა და ექსპლუატაციის უწყობს ხელს.*

კაცობრიობის პოლიტიკური და კულტურული პლურალიზმი უცილობელი ჭეშმარიტებაა. თანამედროვე მსოფლიოში, საყოველთაო ვესტერნიზაციის მიუხედავად, და, ალბათ, მის საწინააღმდეგოდ, ძლიერდება ნაციონალიზმი, რელიგიური ფუნდამენტალიზმი, კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების სურვილი, რაც მეტად თავისებურ შინაარსს და ხასიათს ანიჭებს როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ საერთაშორისო ურთიერთობებს. კულტურული განსხვავებების, კულტურული იმპერიალიზმისა და, საზოგადოდ, კულტურის პრობლემები მეტად მნიშვნელოვან ადგილს იკავებს საერთაშორისო

---

* ამ საკითხის შესახებ ერთ-ერთი ყველაზე რადიკალური მოსაზრება გამოთქვა კენიელმა მეცნიერმა ალი მაზრუიმ. იხ.: A. Mazrui. Africa Entrapped: Between the Protestant Ethic and the Legacy of Westphalia. In: "The Expansion of International Society". Edited by H. Bull and A. Watson..., pp.289-308.

ურთიერთობათა თეორიასა და პრაქტიკაში.*

ევროპული, დასავლური იდეები, პრინციპები, ცხოვრების წესი და ინსტიტუტები მსოფლიოს სხვადასხვა კულტურამდე გავრცელდა და ამჟამადაც ვრცელდება ძირითადად განათლების მეშვეობით. ევროპული განათლების სისტემა სამაგალითო გახდა ყველასათვის და ამან უდიდესი გავლენა იქონია არაევროპულ კულტურებზე. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასავლური კულტურის მსოფლიო მასშტაბით გავრცელებისა და დამკვიდრების კიდევ ერთი მძლავრი ინსტრუმენტი აღმოჩნდა მასობრივი კომუნიკაციების საშუალებები (მას-მედია) და კინო. სამწუხაროდ, ერთიც და მეორეც მნიშვნელოვანწილად იაფფასიანი, ლამაზად დაფასოებული „კულტურული" ფასეულობების გამავრცელებლები აღმოჩნდნენ, მაგრამ მათი ზეგავლენა მსოფლიოს მოსახლეობაზე უმარმაზარია. სწორედ ამგვარი ზემოქმედების შედეგი გახლავთ, დასავლური (უფრო ხშირად, ამერიკული) ცხოვრების წესი, მოთხოვნილებები, გემოვნება და ა.შ. სულ უფრო რომ იკიდებს ფეხს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის უბრალო ადამიანებში. ადრე ადგილობრივი ელიტები (ძირითადად დასავლეთში მიღებული განათლების წყალობით!) ცდილობდნენ დასავლური იდეების გავრცელებასა და დამკვიდრებას, ხოლო მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, უბრალო ადამიანები, საკუთარ კულტურულ ფასეულობებსა და იდეებს იზიარებდნენ. დღეისთვის ვითარება მკვეთრად შეიცვალა – ხშირად ადგილობრივი ელიტები კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების, ნაციონალიზმის და ზოგჯერ რელიგიური ფუნდამენტალიზმის პოზიციებზეც კი დგანან, ხოლო მოსახლეობის სხვადასხვა ფენები, მისი უმრავლესობა დასავლურ ფასეულობებს და კულტურას ეწაფება.

დასავლური და სხვა კულტურების კონტაქტი, მათი თანაარსებობა და სინთეზი საერთაშორისო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია. დასავლური კულტურისაგან რისი სესხება და საკუთარ კულტურაში, ფასეულობათა სისტემასა და პოლიტიკურ წესრიგში რისი ინტეგრირება არის საჭირო ან შესაძლებელი – აი რა წარმოადგენს არადასავლური კულტურებისა და მსოფლიო საზოგადოების შემდგომი პოლიტიკურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ პრობლემას. თანამედროვე მსოფლიო კულტურათა მოზაიკაა, მაგრამ ამავე დროს ჩვენ იმის მოწმენიც ვართ, რომ სხვადასხვა კულტურები ერთიან საერთაშორისო სისტემაში და, უფრო მეტიც, გლობალურ საერთაშორისო საზოგადოებაში თანაარსებობას და თანამშრომლობასაც კი ახერხებენ. თუ მსოფლიოს ამჟამინდელ კულტურულ დიფერენცირებას სხვა პოზიციებიდან შევხედავთ, მაშინ მზად უნდა ვიყოთ, XIX საუკუნემდე არსებულ ვითარებას

---

* ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ქ-ნ ა. ბოუზმანის ფუნდამენტური შრომები, რომელთა გაცნობის გარეშე ძნელია ამ საკითხის სათანადოდ შესწავლა. იხ.: A. B. Bozeman. Politics and Culture in International History. Princeton University Press, Princeton, 1960; A. B. Bozeman. The Future of Law in a Multicultural World. Princeton University Press, Princeton, 1971.

დაეუბრუნდეთ, როცა მსოფლიოს ჯერ კიდევ არ ჰქონდა ერთიანი პოლიტიკური კულტურა და პოლიტიკური წესრიგი და იგი მზად არც იყო, საერთაშორისო ურთიერთობათა გაძღოლის დასაელურ სტანდარტებს დამორჩილებოდა.[324]

საერთაშორისო საზოგადოების ფორმირების ხელისშემშლელი და ხელშემწყობი ფაქტორები

კაცობრიობის კულტურული პლურალიზმი, ზოგიერთი ექსპერტის აზრით, საერთაშორისო ურთიერთობებში არა მხოლოდ რთულ პრობლემებს წარმოშობს, არამედ, შესაძლოა, მსოფლიოს კულტურულ დივერგენციაში, სხვადასხვა ცივილიზაციათა დაპირისპირებაშიც გადაიზარდოს. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა ამერიკელი სემიუელ პანტინგტონის შეხედულებები. მან 1993 წელს გამოცემულ თავის გახმაურებულ სტატიაში კაცობრიობის შემდგომი განვითარების და, მაშასადამე, საერთაშორისო საზოგადოების ევოლუციის თავისებური კონცეფცია შემოგვთავაზა.[325] პანტინგტონის სტატია-პროგნოზი არ იყო რაღაც იზოლირებული, საერთაშორისო ურთიერთობათა პრობლემებისადმი მიძღვნილი თეორიული ლიტერატურის ძირითად ნაკადს მოწყვეტილი მოელენა და იგი, ალბათ, ზოგიერთი სხვა ავტორის (პირველ რიგში ფ. ფუკუიამას) მოდელებსა და კონცეფციებზე გაცემულ პასუხად უნდა შეფასდეს. ამერიკელმა ფ. ფუკუიამამ ჯერ თავის გახმაურებულ სტატიაში „ისტორიის დასასრული?", შემდეგ კი ამავე სახელწოდების წიგნში გააგარა ის აზრი, რომ ლიბერალური დემოკრატია გლობალური მასშტაბით იმარჯვებს.[326] სსრკ-ის დაშლისა და სოციალისტური ბანაკის ტრანსფორმაციის შედეგად მსოფლიოს დემოკრატიზაციის პროცესს წინ უკვე აღარაფერი ეღობება და ყველა ქვეყანაში ლიბერალურ-დემოკრატიული რეჟიმის დამკვიდრებისა და მომძლავრების შედეგად მსოფლიო თანდათანობით განთავისუფლდება პოლიტიკური, ნაციონალისტური კონფლიქტებისა და ომებისაგან. „ცივი ომის" დასასრული ბევრი დასავლელი ექსპერტისათვის მსოფლიოს ახალი გზით, ურთიერთდამოკიდებულებისა და თანამშრომლობის გზით, განვითარებას მოასწავებდა. ამიტომ, მათი აზრით, საერთაშორისო ურთიერთობების „პოლიტიკური რეალიზმისა" და, სამოგადოდ, რეალიზმის პოზიციებიდან ხედვა დაეწყებას უნდა მიეცეს. ზემოხსენებულ შეხედულებათა მომხრეები, ნაციონალიზმის მომძლავრებას თანამედროვე მსოფ-

---

324 A. B. Bozeman. The International Order in a Multicultural World. In: "The Expansion of International Society...", p.406.

325 S.P. Huntington. The Clash of Civilizations? "Foreign Affairs", Vol.72, N3, Summer 1993, pp.22-49.

326 F. Fukuyama. The End of History? "National Interest", N16, Summer 1989, pp.3-18; F. Fukuyama. The End of History and the Last Man. Avon Books, New York, 1992.

ლიოში და მის მნიშვნელოვან როლს საერთაშორისო ურთიერთობებში, მართალია, არ უარყოფენ, მაგრამ ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების, ინტეგრაციისა და ლიბერალურ-დემოკრატიული ინსტიტუტების გავრცელებასა და განმტკიცებას მაინც გადამწყვეტ როლს ანიჭებენ.

ამ ფონზე ს. ჰანტინგტონმა ჯერ 1989 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში („არაეითარი გზა გარეთკენ: დასასრულიზმის შეცდომები") გააკრიტიკა ფ. ფუკუიამა და სხვები და აღნიშნა, რომ „ციეი ომის" დასასრული არ ნიშნავს საერთაშორისო ურთიერთობებში თეისებრივ ცვლილებებს.[327] ჰანტინგტონმა ფ. ფუკუიამას და სხვა ექსპერტებს გადამეტებული ოპტიმიზმი დააბრალა, ხოლო თავის კიდევ ერთ სტატიაში („ციეილიზაციათა შეჯახება?") მსოფლიოს მომავალი განეითარების საკუთარი პროგნოზი წარმოგიდგინა.

ჰანტინგტონის აზრით, ამიერიდან კონფლიქტების მთავარი წყარო იდეოლოგიური თუ ეკონომიკური ხასიათისა კი არ იქნება, არამედ თანამედროვე საერთაშორისო სამოგადოებაში კულტურული განსხვავებები. სუვერენული სახელმწიფოები კვლავაც დარჩებიან საერთაშორისო ურთიერთობათა მთავარ მოქმედ პირებად, მაგრამ მსოფლიო პოლიტიკის ძირითადი კონფლიქტები სხვადასხვა ციეილიზაციის ქვეყნებსა თუ ქვეყნების ჯგუფებს შორის მოხდება.[328] ამიტომ სხვადასხვა ციეილიზაციებს შორის საზღვრები მომავლის „ფრონტის ხაზები" იქნება. ჰანტინგტონს მიაჩნია, რომ ციეილიზაციებს შორის ანუ კულტურული სხვაობებით გამოწვეული კონფლიქტები კაცობრიობის კონფლიქტთა ეეოლუციის საბოლოო ფაზა იქნება. ეესტფალიის ზავის (1648 წ.) შემდეგ, საუკუნენახევრის განმავლობაში, ომები დასავლურ სამყაროში მეფეებს, მთავრებს, კონსტიტუციურ მონარქებს შორის მიმდინარეობდა. ამ პროცესში ჩამოყალიბდა ერი-სახელმწიფოები, ხოლო საფრანგეთის რეეოლუციის შემდეგ, კონფლიქტები ძირითადად ერ-სახელმწიფოებს შორის ომები იყო. დასრულდა მეფეთა შორის ომების ეპოქა და დაიწყო ომები ერებს შორის. ასე გაგრძელდა პირველი მსოფლიო ომის დასრულებამდე. რუსეთის 1917 წლის რეეოლუციისა და მისი საწინააღმდეგო მოძრაობების შედეგად სახელმწიფოთა კონფლიქტებმა უმთავრესად იდეოლოგიური ხასიათი მიიღო. „ციეი ომი" უკვე ორ სუპერძალას შორის დაპირისპირება იყო. ამ სუპერძალათაგან არც ერთი არ იყო ერი-სახელმწიფო მისი კლასიკური ევროპული მნიშვნელობით და ორივე საკუთარ არსს უფრო იდეოლოგიური ცნებებით (დემოკრატია და სოციალიზმი) გამოხატავდა.

ყველა ხსენებული კონფლიქტი დასავლური ციეილიზაციის ჩარჩოებში იყო მოქცეული, ხოლო ციეი ომის დასრულების შემდეგ საერთაშორისო პოლიტიკა, – მიიჩნევს ჰანტინგტონი, – გამოდის მისი „დასავლური" ფაზიდან და დაპირისპირება იწყება დასავლურსა და არადასავლურს შორის (და

---

327 S.P. Huntington. No Exit: The Errors of Endism. "National Interest", N3, Fall 1989, pp.3-11.

328 S.P. Huntington. The Clash of Civilizations?..., p.22.

არადასავლურის შიგნითაც!).[329] არადასავლური ცივილიზაციების ხალხები და მთავრობები უკვე აღარ არიან ისტორიის ობიექტები (როგორც დასავლური კოლონიალიზმის ობიექტები), არამედ ისინი დასავლეთთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ ისტორიის „ქმნაში". ცივი ომის ეპოქაში იყო სამი სამყარო, დღეს კი სახელმწიფოები უნდა დაჯგუფდეს არა მათი პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემებისა თუ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეების მიხედვით, არამედ კულტურისა და ცივილიზაციის ნიშნების მიხედვით.

პანგინგტონისათვის ცივილიზაცია არის კულტურული ერთიანობა და ამიტომ იგი წარმოადგენს ადამიანთა კულტურული დაჯგუფების უმაღლეს საფეხურს და კულტურული თვითშეგნების, თვითიდენტიფიცირების იმ ყველაზე მოგად დონეს, რომლის იქითაც ადამიანი სხვა სულდგმულებისაგან არ განსხვავდება. ეს კულტურული ერთიანობა ხასიათდება საერთო ობიექტური ნიშნებით (ენა, ისტორია, რელიგია, ჩვეულები და ტრადიციები, ინსტიტუტები და ადამიანების სუბიექტური თვითიდენტიფიცირება).

დასავლური ცივილიზაციის წარმომადგენელთათვის საერთაშორისო ურთიერთობებში მთავარი მოქმედი პირი ერი-სახელმწიფოა, მაგრამ ეს კაცობრიობის ისტორიის მხოლოდ რამდენიმე საუკუნის ისტორიაა. ინგლისელი ისტორიკოსის არნოლდ ტოინბის კონცეფციის თანახმად, დედამიწაზე 21 დიდი ცივილიზაცია იყო. პანგინგტონის კონცეფციის მიხედვით, დღეს მხოლოდ ექვსია, მაგრამ შესაძლებელია, გამოეყოთ ის 7 ან 8 ძირითადი ცივილიზაცია, რომლებიც განსაზღვრავენ მსოფლიოს მომავალი განვითარების ხასიათს. ესენია: დასავლური, კონფუციანური, ინდუისტური, სლავურ-მართლმადიდებლური, იაპონური, ისლამური, ლათინურამერიკული, და შესაძლოა, აფრიკული. ყველა დიდი კონფლიქტი, როგორც უკვე აღინიშნა, უნდა მოხდეს იმ მიჯნებზე, რომლებიც ხსენებულ ცივილიზაციებს ერთმანეთისაგან გამოყოფს.

პანგინგტონი მიიჩნევს, რომ ცივილიზაციათა შორის სხვაობები ძირეულია, რადგანაც ისინი ერთმანეთისაგან ისტორიით, კულტურით, ენით, ტრადიციებითა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სარწმუნოებით განსხვავდება. ეს სხვაობები მრავალსაუკუნოვანი პროცესების შედეგია და მალე ვერ გაქრება. ისინი ბევრად უფრო ღრმაა, ვიდრე პოლიტიკურ იდეოლოგიებსა და პოლიტიკურ რეჟიმებს შორის განსხვავებები.[330]

მსოფლიო „დაპატარავდა", ცივილიზაციების ურთიერთქმედება იზრდება და ეს თავის მხრივ ხელს უწყობს ცივილიზაციების შიგნით თვითშეგნებას, შიდა საცივილიზაციო ერთიანობის შეგრძნების ზრდას. ეკონომიკური და სოციალური მოდერნიზაციის გლობალური მასშტაბით მიმდინარე პროცესი, უშუალო გარემოსთან ადამიანთა კავშირს, მათ „ლოკალურ თვითშეგნებას" ასუსტებს. ეს პროცესი აგრეთვე აკნინებს ეროვნულ სახელმწიფოს, როგორც

---

329 S.P. Huntington. The Clash of Civilizations?..., p.22.
330 S.P. Huntington. The Clash of Civilizations?..., p.25.

თვითშეგნების წყაროსა და ორიენტირის, როლს. მსოფლიოში ბევრგან ამ ეაკუუმის შესავსებად, ხშირად გარკვეული მოძრაობების სახით შემოიჭრა რელიგია. მათ „ფუნდამენტალიზმს" ეუწოდებთ. პანტინგტონის მტკიცებით, ფუნდამენტალიზმი მკაფიო სოციალური მოვლენაა, რომელიც საფუძველს უმაგრებს ეროვნულ საზღვრებს გაცილებულ და შიდასაცივილიზაციო ერთიანობის განმამტკიცებელ თვითშეგნებას. იდეოლოგიურ და კლასობრივ კონფლიქტებში მთავარი მომენტია – „ვის მხარეზე ხარ?" და ადამიანს შეუძლია აირჩიოს, მაგრამ ცივილიზაციებს შორის კონფლიქტებში მთავარი კითხვაა – „ვინ ხარ შენ?". ეს კი იმთავითვე არის მოცემული და ამის შეცვლა აღარ შეიძლება (განსაკუთრებით, რელიგიური თვალსაზრისით).

მსოფლიოს ეკონომიკური რეგიონალიზაცია, პანტინგტონის აზრით, კიდევ უფრო გაზრდის „ცივილიზაციურ თვითშეგნებას" და ეკონომიკური რეგიონალიზმი მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს შედეგიანი, როცა იგი ემყარება საერთო კულტურას, ცივილიზაციას. კულტურა და რელიგია ქმნიან იმ საძირკველს, რომელზეც უნდა განვითარდეს ეკონომიკური თანამშრომლობა და ინტეგრაცია.[331]

ძნელი სათქმელია, რამდენად რეალურია პანტინგტონის პროგნოზი, მაგრამ იგი უთუოდ არ ცდება, როცა კულტურულ თავისებურებებს ესოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

საერთაშორისო საზოგადოების ცხოვრებაში თავი იჩინა კიდევ ერთმა, შესაძლოა, საგანგაშო მოვლენამ, რომელიც არ არის ახალი ფენომენი, მაგრამ XX საუკუნეში მის ამგვარ მომძლავრებას ცოტა თუ ელოდა. ეს ფენომენი ნაციონალიზმია; მისი მნიშვნელობა საერთაშორისო ურთიერთობებისათვის უაღრესად დიდია. ისეთმა გამჭრიახმა ექსპერტმაც კი, როგორიც იყო ბრიტანელი ედუარდ ქარი (პოლიტიკური რეალიზმის ერთ-ერთი „მამა"), ვერ შეძლო განესაზღვრა ნაციონალიზმის ადგილი და როლი საერთაშორისო ურთიერთობათა შემდგომ განვითარებაში. თავის შრომაში „ნაციონალიზმი და შემდეგ", რომელიც მეორე მსოფლიო ომის მიწურულს გამოქვეყნდა, ე. ქარი შეეცადა, გაეანალიზებინა ნაციონალ-სოციალიზმი და მომავალი მსოფლიოს განვითარების ძირითადი ტენდენციები გამოეელინებინა.[332] საყურადღებოა, რომ ამ შრომაში, მსოფლიოს მომავალ განვითარებაზე მსჯელობისას აეგორი ეხება მსოფლიოს შესაძლო დაყოფას ცივილიზაციების მიხედვით და ს. პანტინგტონის ზემოთ განხილული თეორიის წინამორბედად გვევლინება.[333] მაგრამ ქარმა მსოფლიოს ხალხების შემდგომი განვითარება იწინასწარმეტყველა, როგორც სოციალური თანასწორობისაკენ სწრაფვა. მან ნაციონალიზმის როლი მნიშვნელოვნად არ მიიჩნია, რაც, როგორც ეხედავთ, მართალი არ აღმოჩნდა. ნაციონალიზმმა მიმდინარე საუკუნის მეორე ნახევარში კიდევ უფრო გამალა ფრთები და საერთაშორისო

---

331 S P. Huntington. The Clash of Civilizations?..., p.28.

332 E.H. Carr. Nationalism and After. Macmillan, London, 1967.

333 E.H. Carr. Nationalism and After..., p.52.

ურთიერთობათა ერთ-ერთ უმძლაერეს ფაქტორად მოგეეელინა.*

ნაციონალიზმი საერთაშორისო საზოგადოების განეითარებისთვის მამუხრუჭებელი, ნეგატიური ფაქტორია. ნაციონალიზმის გაფურჩქვნა გლობალური ურთიერთდამოკიდებულების, სამეურნეო ცხოერების ინტერნაციონალიზაციის, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაციის ეპოქაში შეიძლება პარადოქსადაც მოგვეჩვენოს. უკვე თითქმის ერთი საუკუნეა, რაც ლიბერალი კოსმოპოლიტები ოცნებობენ მსოფლიოზე, რომელსაც ერთიანი ცივილიზაცია ექნება. ეს ოცნება საფუძვლად უდეეს მსოფლიო მთაერობის შექმნის იდეას, რომელსაც ბევრი ემბრიონის სახით ხედავდა ჯერ ერთა ლიგაში, ხოლო შემდეგ კი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. მასობრივი ტურიზმის განუხრელი ზრდა, ინფორმაციის გაცელის გლობალიზაცია და საერთაშორისო ეაჭრობის არნახული განეითარება, კოსმოპოლიტების აზრით, დააკნინებდა ნაციონალიზმს და სუვერენული სახელმწიფოების როლს, შექმნიდა ახალ მსოფლიო კულტურას და ადამიანებში პატარა ეროვნული ერთეულებისადმი კუთვნილების შეგრძნებას შეასუსტებდა. ზედმეტია იმის თქმა, რომ დღეისათვის ამგვარი შესედულებები მეტად გულუბრყვილოდ გამოიყურება. მსოფლიო მთაერობის ყველაზე პირწავარდნილი მომხრეები შორეულ მომავალშიც კი ვერ ხედავენ მისი შექმნის შესაძლებლობას, ხოლო გაეროს ფუნქციები და რეალური საქმიანობა მეტად შეზღუდულია.

ინდუსტრიალიზაციამ, ურბანიზაციამ, მოდერნიზაციამ ვერ შეძლო კულტურული პლურალიზმის ნიეელირება, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისაკენ სწრაფვის დათრგუნვა. უფრო მეტიც, ნაციონალიზმმა თაეისი ერთი ძველი როლი და თვისება – პოლიტიკური პროცესების ძლიერი კატალიზატორისა და ფერმენტისა, – კიდეე უფრო მეტად წარმოაჩინა. არათანაბარი განეითარებისას, მდიდარი და ღარიბი ქეეყნების დაპირისპირებისას, რესურსებისათვის ბრძოლის პირობებში ნაციონალიზმი საერთაშორისო

---

* ამას მოწმობს ნაციონალიზმისა და მასთან დაკაეშირებული პრობლემებისადმი მიძღვნილი სპეციალური ლიტერატურის მომრაელებაც. იხ.: B. Anderson. Imagined Communities. Verso, London, 1992; J. M. Blaut. The National Question. Decolonising the Theory of Nationalism. Zed Books Ltd, London, 1987; O. Dahbour and M. R. Ishay. The Nationalism. Reader. Humanities Press, New Jersey, 1995; E. J. Hobsbawm. Nations and Nationalism Since 1780. Programme, Myth, Reality. Cambridge University Press, 1990; The Nationalism. Edited by J. Hutchinson and A. D. Smith. Oxford University Press, Oxford, 1994; E. Gellner. Nations and Nationalism. Cornell University Press, Ithaca, New York, 1983; E. Kedourie. Nationalism. Hutchinson, London, 1960; F. H. Hinsley. Nationalism and the International System. Hodder and Stoughton, London, 1973; E. Kamenka (Ed.). Nationalism: The Nature and Evolution of an Idea. Edward Arnold, London, 1976; A. D. Smith. National Identity. University of Nevada Press, Reno, 1991; A. Smith. The Ethnic Origins of Nations. Blackwell, Oxford, 1991; A. Smith. Nationalism in the Twentieth Century. New York University Press, New York, 1982.

ურთიერთობათა უმძლავრეს ფაქტორად მოგვეელინა. ზოგიერთი ექსპერტი (მაგალითად, ელი კედური) ნაციონალიზმს უარყოფით მოვლენად მიიჩნევს, მაგრამ უმრავლესობა მას განიხილავს როგორც ურთულეს, კომპლექსურ ფენომენს, რომელიც ერთსა და იმავე დროს მოიცავს ურთიერსაწინააღმდეგო მახასიათებლებს და როგორც დადებით, ასევე უარყოფით როლს ასრულებს. განსაკუთრებით საშიშია ნაციონალიზმი თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკური სისტემის სტაბილურობისათვის, რადგან იგი ბევრ ეთნოკონფლიქტს წარმოშობს.[334]

საკმარისია გაეიხსენოთ ნაციონალიზმის ზოგიერთი თვისება და შედეგი, რომ კიდევ ერთხელ დავრწმუნდეთ, რა რთულ და ძნელად გამოსაცნობ ფენომენთან გვაქვს საქმე. ნაციონალიზმი გამაერთიანებელი, აღმშენებლობის, სოლიდარობის, თვითგამორკვევის, პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის, ანტიკოლონიალიზმის, ძმობის ფაქტორია და ამავე დროს იგი კოლონიური ექსპანსიის, იმპერიალიზმის, აგრესიის, ნგრევის, ექსპლუატაციის, ტოტალიტარიზმის ფაქტორიცაა. ნაციონალიზმის შედეგებში ეხედავთ პატრიოტიზმს, დამოუკიდებლობას, კულტურულ აღორძინებას, ეკონომიკურ განვითარებას და, ამავე დროს, კარჩაკეტილობას, პროვინციალიზმს, კონფლიქტებს, შოვინიზმს, ფაშიზმს, ბელადებს, გათიშვას, აგრესიას, გენოციდს. აზვირთებული ნაციონალიზმის გახედნა, მართვა შეუძლებელი ხდება და ამიტომ არის, ამ ფენომენის გამოვლინებები ხშირად უკიდურეს ხასიათს რომ ღებულობს. ნაციონალიზმის მკვლევარნი ამ ფენომენში მრავალ თავისებურებას ხედავენ და უჭირთ მისი ანალიზი.*

საერთაშორისო სამოგადოების ჩამოყალიბების პროცესში კიდევ ერთი დამამუხრუჭებელი, ნეგატიური ფაქტორია სხვადასხვა სახის რესურსებისათვის (ბუნებრივი, ადამიანის, ტექნოლოგია, ინფორმაცია და სხვ.) ბრძოლა. წავიდა ის დრო, როცა შესაძლებელი იყო ადამიანების დაჯერება იმაში, რომ დედამიწის რესურსები ყველას ეყოფა და პრობლემა მხოლოდ მათი სამართლიანი გადანაწილებაა. რესურსების უკმარისობა, განსხვავებები განვითარებისა და მოხმარების დონეებში, ტექნოლოგიური კონკურენცია, ბრძოლა საარსებო რესურსებისათვის ის მწარე სინამდვილეა, რომელზეც არის დაფუძნებული თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები.** საკმარისია წარმოვიდგინოთ, რა გლობალური ეკოლოგიური კატასტროფა მოხდებოდა,

---

334 T.R. Gurr. Peoples Against States: Ethnopolitical Conflict and the Changing World System. "International Studies Quarterly". Vol.38, N3, pp.347-377.

* იხ.: L. L. Snyder. Encyclopedia of Nationalism.Paragon House, New York, 1990, pp.IX-XXII, 240-248.

** იხ.: D. H. Meadows, D. L. Meadows, J. Randers, W. Behrens III. The Limits to Growth. Pan Books, London, 1975; J. Weiner. The Next One Hundred Years. Bantam Books, New York, 1990; Э.А. Араб-оглы. Обозримое будущее. Социальные последствия НТР: год 2000. М., "Мысль", 1986; Б. Скиннер. Хватит ли человечеству земных ресурсов? М., "Мир", 1989; К-Х. Прайс. Пути к умеренности. Стратегия на будущее. М., "Прогресс", 1984.

ინდოეთის თითქმის 900 მილიონიან ან ჩინეთის 1200 მილიონიან მოსახლეობას აშშ-ის ან დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა მოხმარების სტრუქტურა რომ პქონოდა. მოწინავე სახელმწიფოთა მოსახლეობის ცხოვრების დონე და მოხმარების სტანდარტები კაცობრიობის უდიდესი ნაწილისათვის უახლოეს მომავალში პრაქტიკულად მიუღწეველია. ეს მწარე სინამდვილე აისახა ე.წ. „ჩრდილოეთისა" და „სამხრეთის" არსებობასა და დაპირისპირებაში.

მიუხედავად იმისა, რომ საარსებო რესურსებისათვის ბრძოლა თიშავს კაცობრიობას და სუვერენულ სახელმწიფოებს აიძულებს, საკუთარი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედონ, გლობალური პრობლემები (ეკოლოგიური, ეკონომიკური, სოციალური და სხვ.) ამავე დროს აიძულებს კაცობრიობას, ეძებოს გამოსავალი, შეარბილოს და გადაჭრას ხსენებული პრობლემები. ვერც ერთი სახელმწიფო სხვებთან თანამშრომლობის გარეშე ვერ შეძლებს გლობალურ პრობლემებთან შეჭიდებას. მთელმა კაცობრიობამ, სუვერენული სასელმწიფოების მთავრობებმა ეს უკვე კარგა ხანია გაიცნობიერეს და თანამშრომლობის აუცილებლობის საყოველთაო შეგრძნებამ გამოხატულება პპოვა მრავალ სპეციალიზებულ საერთაშორისო ორგანიზაციასა და სააგენტოში, რომლებიც მოწოდებულნი არიან შეამსუბუქონ გლობალური პრობლემების ტვირთი, კოორდინაცია გაუწიონ საერთაშორისო თანამშრომლობას და უმუალოდ იმოქმედონ ყველაზე მნიშვნელოვან და რთულ სფეროებში. ამგვარად, მწვავე გლობალური პრობლემების არსებობა და მათთან გამკლავების აუცილებლობის გაცნობიერება ხელს უწყობს სახელმწიფოთა თანამშრომლობას, საერთაშორისო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესს.

საერთაშორისო საზოგადოების არსებობის ყველაზე არსებითი, უტყუარი დამამტკიცებელი საბუთი საერთაშორისო სამართლის არსებობაა.[335] ყოველ საზოგადოებას აქვს სამართალი, რომელშიც საზოგადოების წევრების უფლებები და მოვალეობები გარკვეული წესების სისტემის სახით არის წარმოდგენილი. მაგრამ საერთაშორისო სამართალი მეტად თავისებური სახისაა, რადგან განკუთვნილია საზოგადოებისათვის, რომელიც პოლიტიკურად სუვერენულ სასელმწიფოებად არის დაყოფილი. ბევრი იტყოდა, რომ საერთაშორისო სამართალს უკან საერთაშორისო მთავრობა უნდა ედგასო, მაგრამ საერთაშორისო, მსოფლიო მთავრობა არ არსებობს და კიდევ დიდხანს არ იარსებებს, ხოლო საერთაშორისო სამართალი არსებობს და იგი სუვერენულ სახელმწიფოთა საზოგადოების სამართალია. „საერთაშორისო სამართალი საერთაშორისო პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, სავაჭრო, კულტურული და სხვა ურთიერთობების იურიდიული ჩარჩოა, რაც აძლევს ამ ურთიერთობებს სპეციფიკურ, სხვა სოციალური მოელენებისაგან განსხვავებულ ხასიათს".[336] საერთაშორისო სამართალი

---

335 M. Wight. Power Politics..., p.107.

336 ლ. ალექსიძე. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი, თბ., 1994, გვ.3.

საუკუნეების განმაელობაში ვითარდებოდა და დღეისათვის იგი წარმოდგენილია საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების სისტემით და ინსტიტუტებით.*

გავრცელებული შეხედულების თანახმად, საერთაშორისო სამართალი, მართალია, არსებობს, მაგრამ მის ნორმებს ცოტა ვინმე თუ ემორჩილება. საერთაშორისო სამართლის რეპუტაცია მართლაც რომ არ არის ძალიან მაღალი. ამას აქვს თავისი გამართლება, რადგან ძალის პრიმატზე დაფუძნებული საერთაშორისო ურთიერთობები ხშირად წინააღმდეგობაში მოდის საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან. სანქციების ეფექტური სისტემისა და მექანიზმის უქონლობა საერთაშორისო სამართლის ბევრ შესანიშნავ და კაცობრიობისათვის მეტად საჭირო პრინციპსა და წესს საკმაოდ ხშირად მხოლოდ ფორმალურ, განუხორციელებელ ინსტიტუტად წარმოაჩენს. ამიტომ საზოგადოების გარკვეულ ნაწილს მიაჩნია, რომ უნდა შეიქმნას საერთაშორისო პოლიციური ძალები, რომლებიც დასჯიან საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების დარღვევებს და კიდევ უფრო უნდა განვითარდეს საერთაშორისო სასამართლოების ინსტიტუტი. მართალია, სანქციების ეფექტური გატარება და გამკაცრება დადებით როლს შეასრულებდა, – მიაჩნია ექსპერტთა ნაწილს, – მაგრამ პრობლემის არსი ისაა, რომ თავად საერთაშორისო საზოგადოება უნდა განვითარდეს იმ დონემდე, როცა სამართლებრივი ნორმების დაცვა მხოლოდ სანქციების შიშით არ უნდა მოხდეს. საერთაშორისო სამართლის ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპია – pacta sunt servanda (ხელშეკრულებები უნდა შესრულდეს). ამ პრინციპის განხორციელება შესაძლებელს ხდის საერთაშორისო ურთიერთობებს.[337] სახელმწიფოები უმეტესწილად პატივს სცემენ და იცავენ მათ მიერ ხელმოწერილ ხელშეკრულებებს. ასეა მიღებული საერთაშორისო საზოგადოებაში და ეს ყველა მისი წევრის ინტერესებში შედის. ზოგიერთ საერთაშორისო ხელშეკრულებებს განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ისინი საერთაშორისო საზოგადოების ხასიათს განსაზღვრავენ. გავიხსენოთ თუნდაც უტრეხტის, ვესტფალიის, ვენის, ვერსალის, იალტის, პელსინკის ხელშეკრულებები.

საყურადღებოა, რომ საერთაშორისო საზოგადოებაში არ არსებობს კანონშემოქმედი ორგანო ან პროცესი. ზოგადი პრინციპები დაფუძნებულია სახელმწიფოთა კონსენსუსზე. ახალი პრინციპები და ნორმები და, მითუმეტეს ახალი უნივერსალური სამართალი ძალზე ხანგრძლივი პროცესის შედეგად შეიძლება დამკვიდრდეს. ასევე საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ საერ-

---

* საერთაშორისო სამართლის შესახებ იხ.: Encyclopedia of Public International Law. Vol.7. North-Holland, Amsterdam, 1984: Encyclopedia of Public and International Law. Vol.10, North-Holland, Amsterdam, 1987; Traditions of International Ethics. T. Nardin and E. R. Mapel (Eds.). Cambridge University Press, 1993, pp.23-61.

337 L. Henkin. How Nations Behave. Columbia University Press, New York, 1979, p.16.

თამორისო სამართლებრივი ინსტიტუტები, კერძოდ კი, საერთაშორისო სასამართლები, ვერ იქცა იმ ორგანოდ, რომელიც მიუკერძოებლად გაარჩევდა სადავო საკითხებს და აიძულებდა სახელმწიფოებს, დამორჩილებოდნენ საერთაშორისო დონეზე მიღებულ გადაწყვეტილებებს. ამიტომაც სუვერენული სახელმწიფოები სადავო საკითხების შემთხვევებში უპირატესობას დიპლომატიას ანიჭებენ და ხშირად ამგვარი საკითხების მოწესრიგების პროცესში თავს არიდებენ საერთაშორისო სასამართლოს ჩართვას. სამწუხაროდ, სუვერენული სახელმწიფოების სამოგადოებაში ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ინტერესები, როგორიც არის სუვერენიტეტი, ეროვნული უსაფრთხოება და სხვა სასიცოცხლო ინტერესები, საერთაშორისო სამართლის ნორმებთან ხშირად წინააღმდეგობაში მოდის და მათი დაცვა დიპლომატიის ან ომის საშუალებით ხორციელდება. სწორედ ამის გამოა, რომ საერთაშორისო სამართალს და მის ინსტიტუტებს ამდენი კრიტიკოსი რომ პყავს. ამავე დროს ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ საერთაშორისო სამართლისა და მისი ინსტიტუტების ეფექტურობა მიმდინარე საუკუნის განმავლობაში გაიზარდა.[338] ტექნოლოგიური სიახლეები, გლობალური პრობლემები და საერთაშორისო დონეზე მათი რეგულირების აუცილებლობა მოითხოვს საერთაშორისო სამართლის კიდევ უფრო დახვეწას და მისი როლისა და ეფექტურობის გაზრდას.* ამ მხრივ კარგ მაგალითს წარმოადგენს 1959 წლის საერთაშორისო კონვენცია ანტარქტიკის შესახებ, რომელმაც სამხრეთ განედის 60°-ის სამხრეთით საგანგებო საერთაშორისო რეჟიმი დააწესა. ბევრი რამ გაკეთდა კოსმოსისა და ოკეანის ფსკერის საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირების თვალსაზრისითაც. ახალ-ახალი მწვავე პრობლემები საერთაშორისო სამართლისა და მის ნორმებზე დაფუძნებულ საერთაშორისო თანამშრომლობას მოითხოვს. საერთაშორისო სამართლის დიდ დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ უკანასკნელი 60 წლის განმავლობაში დანერგილი ან დახვეწილი ერთიანი სტანდარტები არა მხოლოდ სამოქალაქო აეროპლანში, ტელეკომუნიკაციებში, შრომის პირობებსა და ჯანმრთელობის დაცვაში, არამედ ისეთ სფეროებშიც, როგორიც არის სახელმწიფო მართვა, სოციალური პოლიტიკა და სამოქალაქო უფლებები. ამგვარად, საერთაშორისო სამართლის განვითარების ძირითადი მიმართულებები მიმდინარე საუკუნეში იყო საერთაშორისო ინსტიტუტების სტრუქტურისა და ფუნქციონირების გაუმჯობესება, მათი გავრცელება საერთაშორისო თანამშრომლობის ახალ და მნიშვნელოვან სფეროებში.

ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს კაცობრიობას თავს არავინ ახვევს. მათ ქმნიან და იყენებენ თვით სუვერენული სახელმწიფოები და ხელს საერთაშორისო საზოგადოების ჩა-

---

338 C.G. Fenvick. International Law: The Old and the New. "American Journal of International Law". LX, July 1966, p.483.

* A. L. Springer. International Environmental Law After Rio: The Continuing Search for Equity. "Ethics and International Affairs". Vol.7, 1993, pp.115-129.

მოყალიბებას სწორედ ეს უწყობს.

საერთაშორისო საზოგადოების განვითარების პროცესის ერთ-ერთ თავისებურებას საერთაშორისო ორგანიზაციების მომრავლება, მათი საქმიანობის გაღრმავება და მასშტაბების ზრდა წარმოადგენს. საერთაშორისო ორგანიზაციები როგორც სამთავრობათაშორისო, ასევე არასამთავრობათაშორისოა და მათი გაერცელება-განვითარება მრავალ სფეროში გაზრდილ საერთაშორისო თანამშრომლობას, კოორდინაციასა და პარმონიზაციას ასახავს. საერთაშორისო ორგანიზაციების რიცხვისა და მათი საქმიანობის მასშტაბების გაზრდა საზოგადოებრივი ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის უტყუარი ნიშანია.

საერთაშორისო ორგანიზაციები უნდა განვიხილოთ როგორც გლობალური პოლიტიკური და სოციალური ცვლილებების გამოხატულება და არა როგორც მხოლოდ უსაფრთხოების ძიებით გამოწვეული ფენომენი.**

საერთაშორისო საზოგადოების წევრები – სუვერენული სახელმწიფოები განსხვავდებიან სიდიდით, სამხედრო ძლიერებით, როლით (პეგემონი, სტელიტი, კოლონიზატორი, კოლონია, ნეიტრალური სახელმწიფო, მეგოქე და სხვ.), სტატუსით და ა.შ. ამიტომ სახელმწიფოთა ურთიერთქმედებას რაიმე მარეგულირებელი მექანიზმი უნდა პქონდეს. ერთ-ერთი ასეთი მექანიზმი საერთაშორისო სამართალია. კიდევ ერთი მექანიზმი არის „ქცევის" ნორმები. საერთაშორისო საზოგადოების არსებობისა და ფუნქციონირების, მისი წევრების თანაცხოვრებისა და თანამშრომლობის აუცილებელი პირობა არის გარკვეული ქცევის ნორმების ანუ ურთიერთქმედებათა საყოველთაოდ აღიარებული და მიღებული პრინციპების არსებობა. რ. კოენი ამგვარ ნორმებს „თამაშის წესებად" ნათლავს და შენიშნავს, რომ საერთაშორისო საზოგადოებაში, ისინი ასრულებენ იმავე ფუნქციას, რასაც ჩვეულებრივ საზოგადოებაში – ნორმები.[339] ხსენებული წესები განსაზღვრავენ შესაძლებელი ქცევის ჩარჩოებს, ყველაზე უფრო მისაღები ქცევის ხასიათს და ქმნიან აქტიური თანამშრომლობის შესაძლებლობას. ქცევის წესებში ასახული ნორმები, არეგულირებენ საერთაშორისო წესრიგს. ისინი არ ეწინააღმდეგებიან საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს. ეს უკანასკნელნი სწორედ ის ნორმებია, რომელებმაც სამართლებრივი, ოფიციალური სახე მიიღეს. ნორმების გარეშე საერთაშორისო საზოგადოებაში წესრიგი ვერ იარსებებდა. ამდენად, მათ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ საერთაშორისო ურთიერთო-

---

** საერთაშორისო ორგანიზაციების შესახებ დაწვრილებით იხ.: H. K. Jakobsen. Networks of Interdependence: International Organizations and the Global Political System. Alfred Knopf /Random House, New York/ Westminster MD, 1979; C. Archer. International Organizations. Second Edition. Routledge, London, 1992.

339 R. Cohen. International Politics: The Rules of the Game. Longman, London, 1981, p.6.

ბებისათვის.[340] ნორმებიდან გამომდინარეობს ქმედებების, ქცევის დამარეგულირებელი წესები. ნებისმიერ საზოგადოებაში წესები წესრიგის ძირითადი ინსტიტუტია.

საზოგადოებაში და, მითუმეტეს, ანარქიულ საერთაშორისო საზოგადოებაში არსებობს გაურკვევლობის, არასტაბილურობის მინიმუმამდე დაყვანის, პროგნოზირების აუცილებლობა. საერთაშორისო საზოგადოება, ისევე როგორც სამოქალაქო საზოგადოებათა უმრავლესობა, წარმოადგენს ომის სისტემიდან მშვიდობის სისტემაში გარდამავალ, საშუალედო სისტემას.[341] საერთაშორისო საზოგადოებაში დიდი კონფლიქტურობა შეინიშნება. სასიცოცხლო ინტერესები, რესურსებსა და ძალიერებაში უთანასწორობა დღენიადაგ ფეთქებად ვითარებას ქმნიან. აქედან გამომდინარე, საჭიროა არა მხოლოდ საერთაშორისო სამართალი, არამედ კიდევ სხვა მექანიზმები, ნორმები, გარკვეული კრიტერიუმები და სტანდარტები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება საკუთარი ან სხვა სახელმწიფოების ქმედებათა განსჯა, შეფასება. ამგვარი საჭიროება მთელი საერთაშორისო საზოგადოების და არა ერთი რომელიმე სახელმწიფოს მოთხოვნილებებს ასახავს. საერთაშორისო საზოგადოების ერთ-ერთი ისეთი ინსტიტუტი, როგორიც არის ომები, ასევე გარკვეული ნორმებისა და წესების მიხედვით წარმოებდა და ახლაც წარმოებს. საყურადღებოა, რომ ომთან დაკავშირებული ნორმები და წესები აისახება საერთაშორისო სამართალში, მაგრამ, ისინი, პირველ ყოვლისა, ყალიბდებიან საზოგადოებრივი აზრის მეშვეობით. სახელმწიფოთა ქმედებებზე, საერთაშორისო ნორმებსა და ინსტიტუტებზე მეტ ზეგავლენას ხშირად საზოგადოებრივი აზრი ახდენს. ორმა მსოფლიო ომმა, რომლებმაც ათობით მილიონი ადამიანი იმსხვერპლა, განსაკუთრებით დიდი გავლენა მოახდინა საზოგადოებაზე; ომები საბოლოოდ დაგმობილ იქნა კაცობრიობის მიერ. 1928 წლის კელლგ-ბრიანის პაქტის თანახმად, ომი, როგორც პოლიტიკის ინსტრუმენტი, აიკრძალა. ასეთივე შეფასება მიეცა ომს გაეროს ქარტიაში.[342]

საერთაშორისო საზოგადოებაში სახელმწიფოთა ურთიერთობებს მათი დამოუკიდებლობისა და პოლიტიკური ნების შეუბღალავად ნორმები არეგულირებენ და აწესრიგებენ.[343] ცენტრალური, საერთაშორისო უზენაესი ხელისუფლების უქონლობის პირობებში ქცევის ნორმები და საერთაშორისო სამართალი საერთაშორისო საზოგადოებაში გარკვეული წესრიგის არსებობისა და შენარჩუნების უმნიშვნელოვანესი ფაქტორებია.

---

340 S.A. Kocs. Explaining the Strategic Behavior of States: International Law as System Structure. "International Studies Quarterly". Vol.38, N4, December 1994, p.539.

341 R.A. Falk. This Endangered Planet: Prospects and Proposals for Human Survival. Vintage Books, New York, 1972, p.105.

342 Encyclopedia of Public International Law. Vol. 4. North-Holland Publishing Company, Amsterdam, 1982, p.283.

343 E. Luard. International Society..., p.225.

საერთაშორისო საზოგადოება განვითარების პროცესში იმყოფება. ცვლილებები ძალის განაწილებაში, ტექნოლოგიაში, კაცობრიობის ინტერესებსა და პრიორიტეტებში ის ფაქტორებია, რომლებიც წარმართავენ საერთაშორისო საზოგადოების განვითარების პროცესს.

რა გზით განვითარდება თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოება? რა სახეს მიიღებს იგი მომავალში? ბრიტანელი ივენ ლუარდი ხუთ შესაძლებელ ვარიანტს გეთავაზობს: 1. ტრანსნაციონალური საზოგადოება; 2. საერთაშორისო საზოგადოება; 3. გალენის სფეროთა საზოგადოება; 4. რეგიონებისაგან შემდგარი მსოფლიო; 5. მდიდართა და ღარიბთა საზოგადოება.[344]

1. <u>ტრანსნაციონალური საზოგადოება.</u> ამ ტიპის საერთაშორისო საზოგადოებაში თანამედროვე სამყაროს ერთი ტენდენცია – სახელმწიფო საზღვრების მნიშვნელობის დაკნინების პროცესი – კიდევ უფრო ინტენსიური გახდება. ერი-სახელმწიფო, ტერიტორიული სახელმწიფო თავის მნიშვნელობას თითქმის დაკარგავს. მსოფლიოში ტრანსნაციონალური პროცესები გაბატონდება. საზღვრების მნიშვნელობის დაკნინების გამო ტერიტორიული კონფლიქტების და, აქედან გამომდინარე, მათი ძირითადი წყაროს – ნაციონალიზმის როლი მეტად შემცირდება. კონფლიქტები უფრო სამოქალაქო ხასიათს მიიღებს. ამავე დროს შესაძლოა განვითარდეს სხვადასხვა სახის ტერორიზმი, რაც მწვავე პრობლემად შეიძლება იქცეს.
2. <u>საერთაშორისო საზოგადოება.</u> იგი თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოებისაგან განსხვავებული იქნება, პირველ ყოვლისა, იმით, რომ მასში მკვეთრად გაიზრდება ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის როლი და ძალაუფლება. აქაც, ისევე როგორც ტრანსნაციონალურ საზოგადოებაში, ხელისუფლება სახელმწიფოთა მთავრობებისაგან საერთაშორისო ორგანიზაციებს გადაეცემა. საერთაშორისო ინსტიტუტების ხელისუფლება უმენავესი იქნება როგორც სახელმწიფოების, ასევე ინდივიდებისათვის. უკვე არსებული ან რომელიმე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები და ინსტიტუტები (საერთაშორისო საკალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია და სხვ.) შესაძლებელია გადაიქცნენ მსოფლიო სამინისტროების მსგავს ორგანოებად, რაც მსოფლიო მთავრობის მაგვარი რამ შეიძლება გახდეს. ამგვარი ტიპის საერთაშორისო საზოგადოება ყველაზე მმვიდობიანი იქნება.
3. <u>გალენის სფეროთა საზოგადოება.</u> შესაძლებელია, წამყვანმა, უძლიერესმა სახელმწიფოებმა მსოფლიო თავიანთი გავლენის სფეროებად დაყონ და თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოება ამ მიმართულებით განვითარდეს. ამ შემთხვევაში ჩამოყალიბდება მკაფიოდ გა-

---

344 E. Luard. Types of International Society. The Free Press, New York, 1976, pp.345-358.

მოკვეთილი გაელენის სფეროები, რომლებშიც წამყვანი სახელმწიფოები თითქმის სრულ დომინირებას და კონტროლს მოახდენენ. ამგვარი სისტემა ოლიგარქიული იქნება. ეინაიდან გაელენის სფეროები მკაფიოდ იქნება განსაზღვრული, მსოფლიო ომის შესაძლებლობა მინიმუმამდე იქნება დაყვანილი. სამაგიეროდ, ადამიანის უფლებების დაცვა მსოფლიო მასშტაბით შეუძლებელი გახდება, რადგან გაელენის ყოველ სფეროში პეგემონი თავისთვის მისაღებ ნორმებსა და წესებს დაამყარებს.

4. <u>რეგიონებისაგან შემდგარი მსოფლიო.</u> რეგიონული ინტეგრაციის პროცესმა შესაძლოა მიგვიყვანოს ხელისუფლების კონცენტრაციამდე რეგიონის დონეზე (მაგ., კონტინენტზე), რაც ნიშნავს სახელმწიფო და მსოფლიო დონეზე ხელისუფლების ძლიერ შესუსტებას. ყოველი რეგიონი საკუთარ ეკონომიკას და პოლიტიკურ ინსტიტუტებს განაკითარებს და რეგიონები ერთიმეორის საქმეებში არ ჩაერევიან. საყურადღებოა, რომ, გაელენის სფეროების მოდელისაგან განსხვავებით, რეგიონებს არ ეყოლება გაბატონებული სუპერძალა, პეგემონი.

5. <u>მდიდართა და ღარიბთა საზოგადოება.</u> არსებობს ამგვარი ტიპის საერთაშორისო საზოგადოების ჩამოყალიბების შესაძლებლობაც. თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოებაში ამის ტენდენციაც შეინიშნება. ამგვარ საზოგადოებაში გამიჯნვა მოსდება არა გეოგრაფიული ან იდეოლოგიური მახასიათებლების, არამედ ეკონომიკური განვითარების დონეების მიხედვით; მსოფლიო დაიყოფა ორ ან სამ საკმაოდ მკაფიოდ გამოკვეთილ ეკონომიკურ კლასად, რომლებსაც ანტაგონისტური ინტერესები ექნებათ. ეს იქნება ძალზე არასტაბილური საერთაშორისო საზოგადოება, რომელშიც წესრიგი მდიდარი სახელმწიფოების სამხედრო ძალის მეშვეობით დამყარდება. ამგვარი ტიპის საზოგადოებაში ინტერესების შეჯახება და კონფლიქტები ეკონომიკური ხასიათისა იქნება.

ლუარდის მიერ შემოთავაზებული მომავალი საერთაშორისო საზოგადოების ტიპები თუ მოდელები უამრავ მიდა წინააღმდეგობას შეიცავს. ეს ტიპები საყურადღებოა, პირველ ყოვლისა, იმით, რომ ყოველი მათგანი არსებული საერთაშორისო საზოგადოების წიაღში მიმდინარე პროცესების, განვითარების ძირითადი ტენდენციების გათვალისწინებისა და პროგნოზირების მცდელობას წარმოადგენს. თუ როგორი იქნება მომავალი საერთაშორისო საზოგადოება, ამას დიდად განსაზღვრავს ეკოლოგიური პრობლემები, მოსალოდნელი დიდი აღმოჩენები ბიოლოგიასა და ფიზიკაში და მრავალი სხვა მოვლენა, რომელთა შესაძლებელი შედეგების წარმოდგენა და საერთაშორისო საზოგადოების განვითარებაზე მათ მიერ მოხდენილი ზეგავლენის სისტემურ დინამიკაში გააზრება ამჟამად შეუძლებელია. ნებისმიერი რთული სისტემის პროგნოზირება ძნელი საქმეა. ეს მითუმეტეს საერთაშორისო საზოგადოებაზე ითქმის. დიდი, რთული სისტემების სამუალო და გრძელვადიანი მდგომარეობის პროგნოზირება არ ხერხდება, მაგრამ

ამგვარი ცდები მაინც საჭიროა, რადგან მიმდინარე პროცესების შესაძლებელი შედეგების მოგვადად წარმოდგენის საშუალებას მაინც გვიქმნის.

ადამიანი სრულყოფს იმ საზოგადოებას, რომელშიც ცხოვრობს და მოღვაწეობს. ასევე სრულყოფს იგი საერთაშორისო საზოგადოებასაც. ეს პროცესი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჰაგარა, სუსგი სახელმწიფოებისათვის, რადგან, რაც უფრო ანარქიულია საერთაშორისო სისტემა და რაც უფრო სუსგია საერთაშორისო საზოგადოება და მისი ინსტიტუტები (ომის გამოკლებით!), მით უფრო მცირეა ამგვარი სახელმწიფოს გადარჩენის შანსები. ადამიანი უსაფრთხოებას, კეთილდღეობას ესწრაფვის. მას სურს ისეთ საერთაშორისო საზოგადოებაში იცხოვროს, სადაც არ იქნება ომები და სამართლიანობა იბატონებს. თავის დროზე გერმანელმა ფილოსოფოსმა ი. კანგმა შემდეგნაირად გამოხატა კაცობრიობის საზოგადოებად გადაქცევის არსი: „კაცობრიობის უდიდესი პრობლემა, რომლის გადაწყვეტასაც აიძულებს მას ბუნება, არის საყოველთაო სამართლიანი სამოქალაქო საზოგადოება. მხოლოდ საზოგადოებაში და სახელდობრ ისეთში, რომელიც იძლევა თავისი წევრებისათვის უდიდეს თავისუფლებას, ე.ი. სრულ ანტაგონიზმს და მაინც ამ თავისუფლების საზღვრების მუსტად განსაზღვრებას და გარანტირებას, რათა სხვების თავისუფლებასთან თანაარსებობა იყოს შესაძლებელი; მხოლოდ მასშია შესაძლებელი მიღწეულ იქნეს ბუნების უმაღლესი მიზანი, კაცობრიობაში მოცემული მისი ყველა ჩანასახის განვითარება. ბუნებას აგრეთვე სურს, რომ კაცობრიობამ მისი განსაზღვრულობის ყოველი სხვა მიზნის მსგავსად, ეს მიზანიც თვითონ განახორციელოს."[345]

---

[345] ციტირებულია: გ. თევზაძე. იმანუელ კანტი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1974, გვ.137.

VII. პატარა ქვეყანა საერთაშორისო ურთიერთობებში

არ უშლის ხმალსა სიმოკლე, ვაჟკაცსა დაბალაობაო.
ქართული ანდაზა

ისტორია მარტო იმ ერს ეკითხება, რომელსაც
მიწამდე ფები უდგას და ხელი გუთანს უჭირავს.
ილია

დედამიწაზე არსებული ქვეყნების უმრავლესობა პატარა და სუსტია. მათი რიცხვი განუხრელად იზრდება და, ექსპერტთა აზრით, უახლოეს მომავალში ეს ტენდენცია არ შეიცვლება. პატარა ქვეყნებს საერთაშორისო პოლიტიკაში შემღუდული შესაძლებლობები აქვთ და მათ საგარეო პოლიტიკას გამოკვეთილი თავისებურებები ახასიათებს.

რადგანაც ცნება „პატარა" შეფარდებითია, არც პატარა ქვეყნის ყველასათვის მისაღები განმარტება არსებობს. ქვეყნების კლასიფიკაცია შეიძლება ტერიტორიის სიდიდის, მათი მოსახლეობის რიცხოვნობის, ერთობლივი ეროვნული პროდუქტის და ზოგიერთი სხვა მახასიათებლის მიხედვით, მაგრამ საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში პატარა ქვეყნის დეფინიცია უფრო კომპლექსური, თვისებრივი უნდა იყოს. რა თქმა უნდა, ქვეყნის სიდიდე და მოსახლეობის რიცხოვნობა ნებისმიერი დეფინიციის საფუძველს წარმოადგენს, რადგან სწორედ ეს ორი მახასიათებელი განსაზღვრავს ცალკეული ქვეყნის ეკონომიკურ და სამხედრო ძლიერებას, მის პოლიტიკურ „წონას" და გავლენას საერთაშორისო ურთიერთობებში.

ზოგიერთმა მკვლევარმა სცადა პატარა სახელმწიფოს დეფინიცია მოეცა. „პატარად" ეგულისხმობთ ისეთ სახელმწიფოს, რომლის საგარეო ძლიერებაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება თუნდაც ერთ-ერთ მის მეზობელს" (ო. კნუტსენი);[346] „პატარაა ისეთი სახელმწიფო, რომელსაც არც მსოფლიო და არც რეგიონის მასშტაბით არ ძალუძს საკუთარი პოლიტიკური ნების ცხოვრებაში გატარება, ანუ საკუთარი ეროვნული ინტერესების ძალის პოლიტიკის მეშვეობით დაცვა" (ლ. ვაკე);[347] „ტერმინი „პატარა ქვეყანა", როგორც ჩანს, წაადგება დიდ ქვეყნებს მცირე მოსახლეობით, პატარა ქვეყნებს დიდი მოსახლეობით, პატარა ქვეყნებს მცირე მოსახლეობით და ზოგჯერ ნებისმიერი სიდიდის ქვეყანას, რომელიც ძირითადად არ ერევა მსოფლიო საქმეებში" (ჰ. გოლდჰამერი);[348] „პატარა ქვეყანა მაღალი წნევის არეში

---

346 ოლაე კნუტსენი. პატარა სახელმწიფო: უსაფრთხოების პრობლემა. ჟურნალი „პოლიტიკა", თბ., №7, 1991, გვ. 27.

347 L.G. M. Jaquet. The Role of Small States Within Alliance Systems. In: A. Schou and A. O. Brundtland (Eds.). Small States in International Relations. Stockholm, Almquist and Wiksell, 1971, p. 58.

348 H. Goldhammer. The Foreign Powers in Latin America. Princeton, Princeton University Press, 1972, p. 237.

წარმოქმნილი ეაკუუმია. ის არსებობს არა იმიტომ, რომ სიცოცხლისუნარიანია, არამედ იმიტომ, რომ მისი ტერიტორია არაეის სჭირდება, ან კიდეე იმიტომ, რომ მისი არსებობა ძალთა წონასწორობის სისტემაში, ბუფერული სახელმწიფოს ან გარკეეული ელემენტის სახით, ხელს აძლეეს ძლიერ ქეეყანას. როცა წონასწორობა ქრება, პატარა სახელმწიფო, ჩეეულებრივ, მასთან ერთად ქრება" (ნ. სპაიკმენი);[349] „პატარა ქეეყანა არის ისეთი სახელმწიფო, რომელსაც შეგნებული აქვს, რომ მას არ ძალუძს საკუთარი უსაფრთხოების უმრუნეელყოფა მის ხელთ არსებული შესაძლებლობების გამოყენებით და, მაშასადამე, იგი ძირითადად უნდა დაეყრდნოს სხვა სახელმწიფოს მხრიდან მიღებულ დახმარებას, სხვადასხვა ინსტიტუტებს, პროცესებს და მოელენებს და ა.შ. პატარა ქეეყნის მიერ საკუთარი უძლურების შეგრძნება აგრეთვე გამიარებული უნდა იყოს საერთაშორისო პოლიტიკაში ჩართული სხვა სახელმწიფოების მიერ" (რ. როთსტაინი).[350]

როგორც ეხედაეთ, შემოთავაზებულ განმარტებათა აეტორები ერთსულოვანნი არიან მთაეარ საკითხში – რომ პატარა ქეეყანა, სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით, სუსტი ქეეყანაა, რომელსაც დამოუკიდებლად არ ძალუძს საკუთარი ეროვნული ინტერესების უმრუნეელყოფა. ამ გარემოებაზე ყურადღებას ამახვილებს პრაქტიკულად ყველა მკვლეეარი, რომელიც კი პატარა ქეეყნების პრობლემატიკით დაინტერესებულა. ცნება „პატარა ქეეყანა" ხშირად იხმარება სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით სუსტი, მაგრამ მოზრდილი ტერიტორიის მქონე ქეეყნების მიმართაც (მაგალითად, საუდის არაბეთი, მონგოლეთი, ლიბია, მაერიტანია და სხვ.). ამიტომ უფრო მიზანშეწონილია, ტერმინი „პატარა ქეეყანა" იხმარებოდეს იმ ქეეყნების მიმართ, რომლებიც ტერიტორიის თვალსაზრისითაც პატარები არიან და სამხედრო-პოლიტიკურადაც სუსტნი. სწორედ ამიტომ, უფრო ხშირად იხმარება ტერმინი „სუსტი ქეეყანა" და ეს გამართლებულიცაა, რადგან ამ კატეგორიაში იგულისხმება არა მხოლოდ პატარა, სუსტი ქეეყნები, არამედ ტერიტორიის თვალსაზრისით შედარებით უფრო დიდებიც, რომლებიც, ამის მიუხედავად, სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით სუსტნი და უმწეონი არიან.[351]

არჩეევენ ძლიერ და სუსტ ქეეყნებს, ძლიერ და სუსტ სახელმწიფოებს. ქეეყანა შეიძლება ძლიერი იყოს სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით, მაგრამ როგორც სახელმწიფო იყოს საკმაოდ სუსტი (მაგ., ნიგერია, ბრაზილია). ქეეყანა სამხედრო-ეკონომიკური თვალსაზრისით შეიძლება პატარა, სუსტი იყოს, მაგრამ ამავე დროს ძლიერი სახელმწიფო ჰქონდეს (მაგ., ნიდერლანდები, ნორეეგია, სინგაპური, აესტრია). ეროვნული უსა-

---

349 N.J. Spykman, ციტირებულია შრომაში: Amry Vandenbosch. The Small States in International Politics and Organization. "The Journal of Politics", 26, 1964, pp. 294-295.

350 R.L. Rothstein. Alliances and Small Powers. Columbia Univerity Press. New York and London, 1968, p. 29.

351 M. Handel. Weak States in the International System. Frank Cass, London, 1990, p. 11.

ფრთხოების პოზიციებიდან გამომდინარე, სუსტი სახელმწიფოებრიობის მქონე თუნდაც გიგანტ ქვეყანას ძლიერი სახელმწიფოებრიობის მქონე სუსტ, პატარა ქვეყანასთან შედარებით, მეტი თუ არა, არანაკლები პრობლემები ექნება. შიდა სისუსტე, სოციალური და ეთნიკური გათიშულობა, სუსტი ეკონომიკა, ძლიერი და მდგრადი სახელმწიფო ინსტიტუტების უქონლობა, ეროვნულ უმცირესობათა მიმართ არატოლერანტული დამოკიდებულება ნებისმიერი ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას დიდ პრობლემებს უქმნის.[352]

ადრე, გაეროსა და სხვა საერთაშორისო ინსტიტუტების შექმნამდე, როცა ლიბერალურ-დემოკრატიული რეჟიმების მქონე ქვეყნები არც ისე ბევრი იყო, სუსტი სახელმწიფოები, განსაკუთრებით, წაგებული ომის შემდეგ, იშლებოდა და ძლიერი მეზობლების ნადაელი ხდებოდა. თანამედროვე საერთაშორისო სამოგადოებაში კი მომრაელდა ისეთი ქვეყნები, რომლებსაც არ გააჩნიათ ერთიანი სამოქალაქო საზოგადოება. ხშირად არც მათ მთავრობებს ძალუძთ თავიანთი მოქალაქეების ფუნდამენტური უფლებების დაცვა და მათი მინიმალური მოთხოვნილებების უზრუნველყოფა (მაგ., აფღანეთი, ზოგიერთი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა). ამის შედეგად, დღეს არსებობენ ქვეყნები, რომლებსაც არც პოლიტიკური სიცოცხლისუნარიანობა ახასიათებთ, და არც ეკონომიკური. მაგრამ მათი სუვერენულობა გარანტირებულია საერთაშორისო თანამეგობრობის, გაეროს მიერ.* ვინაიდან ამ ქვეყნების მთავრობები ხშირად სამოქალაქო ხელისუფლების ელემენტარულ მოვალეობებსაც კი (მოსახლეობის განიარაღებას, გადასახადებისაგან საკმარისი შემოსავლის უზრუნველყოფას, ელემენტარული წესრიგის დამყარებას და სხვ.) ვერ ახორციელებენ, ამ მოვალეობათა აღსრულება კოლექტიურად შეიძლება დაეკისროს გარეშე ძალებს, საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე, ან გაელენის საკუთარი სფეროების დამყარებაში მეტოქეობის შედეგად. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ამგვარი ვითარება უდიდესი შელავათია სუსტი სახელმწიფოებისათვის, რადგან მათ „საერთაშორისო აღიარება აქვთ და უნდა განაგრძონ არსებობა მათი მთავრობების პოლიტიკური თუ ეკონომიკური უუნარობის მიუხედავად".[353]

<u>ფორმალური და რეალური სტატუსი.</u> ფართოდ გავრცელებული პოლიტიკური და ეკონომიკური შეფასებებიდან (სისუსტე, დაუცველობა, მცირე და

---

352 B. Buzan. People, States and Fear. The National Security Problem in International Relations. The University of North Carolina Press, Chapel Hill, 1983, p. 66.

* ამგვარ სახელმწიფოებს კანადელმა მკელეარმა რ. ჯექსონმა „კვაზისახელმწიფოები" უწოდა. იხ.: R. H. Jackson. Quasi-States: Sovereignty, International Relations and the Third World. Cambridge University Press, 1993, pp. 21-31; ზოგიერთი მკელეარი ამგვარ სახელმწიფოებს „არშემდგარ" სახელმწიფოებსაც კი უწოდებს!

353 J. Mayall. Nationalism and International Society. Cambridge University Press, 1990, p. 123.

მცირე და არატევადი შიდა ბაზარი, მასშტაბური წარმოების გამლის შეუძლებლობა და ა.შ.) გამომდინარე, პატარა ქვეყნები არ უნდა არსებობდნენ. საერთაშორისო ურთიერთობათა თეორეტიკოსებს და ბევრ დიდ პოლიტიკოსსაც კი პატარა ქვეყნები ანაქრონიზმად მიაჩნიათ. გერმანული „გეოპოლიტიკის მამა" კარლ პაუსპოფერი თვლიდა, რომ პატარა ქვეყნებს დამოუკიდებელი არსებობის სულ უფრო ნაკლები შანსი რჩებათ; მისი აზრით, ამგვარი ქვეყნები დიდი ქვეყნების შემადგენლობაში უნდა შეეიდნენ. პირველი და მეორე მსოფლიო ომების წლებში ბევრი პატარა ქვეყანა ოკუპირებული იქნა, მაგრამ ომის დამთავრების შემდეგ ისინი, როგორც სუვერენული სახელმწიფოები, კვლავ აღორძინდნენ. უფრო მეტიც, მიმდინარე საუკუნის 40-იანი წლების მიწურულიდან დღემდე ათობით ახალი სუვერენული სახელმწიფო წარმოიქმნა; მათი უმრავლესობა კი პატარა ქვეყნებია (მათ შორის – საქართველოც!).

თუ თვალს გადავაყლებთ მიმდინარე საუკუნის მოვლენებს, დავრწმუნდებით, რაოდენ „გამძლე" და სიცოცხლისუნარიანნი აღმოჩნდნენ პატარა ქვეყნები. ბევრი მათგანი, სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით, იმდენად სუსტი იყო, რომ პირველივე სერიოზულ კრიზისს უნდა „აღეგავა პირისაგან მიწისა", მაგრამ ისინი არათუ გადარჩნენ და განმტკიცდნენ, არამედ ბევრი ახალი „კოლეგაც" კი გაიჩინეს. რას უნდა უმადლოდნენ პატარა, სუსტი ქვეყნები თავიანთ გადარჩენას და ამჟამინდელ მომრავლებას? მხოლოდ საკუთარ მონდომებას და სიცოცხლისუნარიანობას, თუ კიდევ სხვა, უფრო ობიექტურ გარეშე პირობებსა და ფაქტორებს? უნდა ვაღიაროთ, რომ უფრო მეტად – მეორეს.

პატარა ქვეყნების წარმოქმნა და არსებობა განპირობებულია გეოგრაფიული, პოლიტიკური, ეთნიკური თუ ეკონომიკური ობიექტური ფაქტორებით და მათი არსებობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი დიდი, ძლიერი ქვეყნების სურვილი და დაინტერესებაა. საერთაშორისო სისტემის სტაბილურობის შენარჩუნებაში ძალთა წონასწორობის მექანიზმიც მონაწილეობს და, მისი წყალობით, რეგიონულ და მსოფლიო დონეზე, პატარა ქვეყნების არსებობა ფუნქციურ აუცილებლობას წარმოადგენს. როცა ძალთა წონასწორობის მექანიზმი დიდ ცვლილებებს განიცდის, სწორედ მაშინ ხდება დრამატული მოვლენები, რომლებიც, პირველ ყოვლისა, პატარა ქვეყნებზე ახდენს გავლენას.

არის კიდევ ერთი ძალზე მნიშვნელოვანი გარემოება, რომელმაც უდიდესი გავლენა იქონია საერთაშორისო საზოგადოებაზე და, პირველ ყოვლისა, პატარა და სუსტ ქვეყნებზე. ეს არის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ახლებური, გაზრდილი როლი საერთაშორისო ურთიერთობებში, მსოფლიო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. საერთაშორისო სისტემაში ამ ქვეყნების მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა სახელმწიფოთა „ქცევის" ახალი წესებისა და ნორმების დამკვიდრების გამო. ეს პროცესი XIX საუკუნის შემდეგ დაიწყო და თანდათანობით დამკვიდრდა ერთა თვითგამორკვევის უფლება, საკუთარ

ტერიტორიაზე სახელმწიფოთა სუვერენული უფლებები, საერთაშორისო ორგანიზაციებში სახელმწიფოთა თანასწორუფლებიანობა, საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარე, სახელმწიფოთა თანასწორობა და, რაც მთავარია, ძალის გამოყენების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება. ამ ახალი ნორმების გაბატონება მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენას წარმოადგენს და იგი შედეგია დემოკრატიული, ლიბერალური და ეგალიტარული ტრადიციების დამკვიდრებისა XIX საუკუნიდან, ჯერ, დასაელურ საზოგადოებაში და შემდგომში – საერთაშორისო ურთიერთობებში. მართალია, პოლიტიკაში ჯერ კიდევ ძალა ბატონობს და საერთაშორისო ურთიერთობებში ეროვნული ინტერესები უპირველესი მნიშვნელობისაა, სახელმწიფოთა „ქცევის" დემოკრატიული და ლიბერალური ნორმები მაინც სულ მეტად იკიდებს ფეხს.

ძლიერმა ქვეყნებმა აღიარეს სუსტი ქვეყნების კანონიერი უფლებები ჰაგის პირველ (1889 წ.) და მეორე (1907 წ.) კონფერენციებზე, მაგრამ სინამდვილეში მაინც ორმაგი სტანდარტის პოლიტიკა ბატონობდა და საერთაშორისო პოლიტიკასა და ეკონომიკაში ძლიერი ქვეყნები პარპაშებდნენ. ახალი საერთაშორისო ნორმების დამკვიდრებაში მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო აშშ-ის პრეზიდენტის ვუდრო ვილსონის საქმიანობა, მიმართული ყველა ერის თვითგამორკვევის უფლების ლეგალიზაციისაკენ, რის შედეგადაც ლიბერალური დემოკრატიის თეორია განხორციელდა საერთაშორისო ურთიერთობებში. ერთა ლიგის შექმნაც საერთაშორისო წესრიგის მექანიზმში ჯ. ლოკისეული ლიბერალიზმის გამოყენების ცდა იყო.[354] ერთა ლიგაშიც და შემდეგ – გაეროშიც სუსტი სახელმწიფოები თითქმის ისეთივე უფლებებით სარგებლობდნენ, როგორითაც ძლიერი სახელმწიფოები. ერთა ლიგაში ძლიერი ქვეყნების ტოლი უფლებები ჰქონდათ სუსტ ქვეყნებსაც, მაგრამ მათი რეალური ძალა და შესაძლებლობები მაინც მინიმალური იყო. ერთა ლიგის ყველა გადაწყვეტილება ძლიერი სახელმწიფოების ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული, მაგრამ ეს იყო ფორუმი, რომელზეც სუსტ, პატარა ქვეყნებს შეეძლოთ საჯაროდ გამოეტანათ თავიანთი პრობლემები, ეთქვათ საკუთარი სათქმელი, ხმა მიეწვდინათ მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის და სოლიდარობისთვისაც კი მიეღწიათ.

მოგვიანებით, იგივე ვითარება განმეორდა გაეროში. თუ ერთა ლიგაში პატარა, სუსტ ქვეყნებს ლიგის საბჭოში არ ჰქონდათ მუდმივი ადგილის უფლება, გაეროშიც, უშიშროების საბჭოში, მუდმივი ადგილი და ვეტოს უფლება მხოლოდ ძლიერ სახელმწიფოებს მიაკუთვნეს. მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, ორივე საერთაშორისო ორგანიზაციაში ძირითადად თანასწორუფლებიანი მონაწილეობა პატარა ქვეყნებისათვის ახალ ისტორიულ საფეხურს, დიდ მონაპოვარს წარმოადგენდა.[355] 20-იანი წლებიდან მოყოლებული, პატარა სახელმწიფოთა მიმართ წარმოებული აგრესია ძლიერი სახელმწიფოებისათვის უკვე საჩოთირო საქმე ხდება. ყოველ ცალკეულ

---

[354] E.H. Carr. The Twenty Year's Crisis, 1919-1939. ..., p. 28.

[355] M. Handel. Weak States in the International System..., p. 269.

შემთხვევაში ძლიერი ქვეყანა საკუთარი აგრესიის სამართლიანობის დასაასაბუთებლად იძულებულია, ომის მიზეზად პატარა ქვეყნის მიერ ჩადენილი მტრული აქტი და თავდასხმა გამოაცხადოს და ამით საკუთარ ქმედებას მნეობრივი საფუძველი შეუქმნას მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში. ასე იყო, როცა უცნობი პირების მიერ ალბანეთ-საბერძნეთის საზღვარზე იტალიელი გენერლის ტელინის მკვლელობა (1923 წლის 17 აგვისტო) იტალიის მთავრობამ საბაბად გამოიყენა საბერძნეთის კუნძულ კორფუზე თავდასხმისათვის. ასე იყო, როცა იაპონელებმა მუკდენის ინციდენტი (1931 წლის 27 აგვისტო) საბაბად გამოიყენეს მანჯურიის ოკუპაციისათვის. 1934 წლის 5 დეკემბერს ვალ-ვალის ინციდენტი უმწეო აბისინიაზე (ეთიოპიაზე) თავდასხმისათვის გამოიყენა ფაშისტურმა იტალიამ. 1939 წლის აგვისტოს მიწურულს პოლონურ სამხედრო ფორმაში გადაცმულმა გერმანელებმა გლაივიცში (გლივიცე) საკუთარ რადიოსადგურზე მიიგანეს ივრიში და ფაშისტური გერმანიის მთავრობამ ეს საბაბად გამოიყენა პოლონეთზე თავდასხმისათვის. საბჭოთა მთავრობამ ფინეთს დაბრალა, რომ მისმა არტილერიამ ცეცხლი გაუხსნა საბჭოთა ჯარებს მაინილასთან (1939 წლის 25 ნოემბერი), რაც გახდა საბაბი საბჭოთა აგრესიისათვის. ძნელი დასაჯერებელია, რომ სუსტმა ქვეყანამ პირველმა გამოიყენოს ძალა მასზე ბევრად ძლიერი ქვეყნის წინააღმდეგ; ცნობილია, რომ ამ ინციდენტთაგან ბევრი სწორედ ძლიერი აგრესორის მიერ იყო მოწყობილი ან პროვოცირებული, რათა თავისი მომავალი აგრესია მას მნეობრივად რამდენადმე მაინც გაემართლებინა. სუსტის დაჩაგვრა სულ უფრო და უფრო მეტ უმნეობად გამოიყურება საერთაშორისო საზოგადოებრიობის თვალში და, მიუხედავად იმისა, რომ სუსტი, პატარა ქვეყნების ფორმალურ სტატუსსა და მის რეალურ ძალას შორის დღეს ჯერ კიდევ საკმაო სხვაობაა, გარკვეული პროგრესი მაინც უდაოა – სუსტი ქვეყნების საერთაშორისო სტატუსი და მათი სოლიდარობა საგრძნობლად განმტკიცდა.

<u>სუსტი ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში.</u> უკვე აღინიშნა, რომ საერთაშორისო ურთიერთობათა თანამედროვე თეორიებში დიდი გავლენა აქვს მოპოვებული პოლიტიკური რეალიზმის უახლეს სახესხვაობას – სტრუქტურულ რეალიზმს ანუ ნეორეალიზმს. მას საერთაშორისო პოლიტიკის მთავარ, განმსაზღვრელ ფაქტორად საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა და ხასიათი მიაჩნია. კლასიკური, ტრადიციული პოლიტიკური რეალიზმიც, როგორც გვახსოვს, ძალის, ძლიერების პრიმატზეა დაფუძნებული და პატარა, სუსტ სახელმწიფოს საერთაშორისო ურთიერთობებში მეორეხარისხოვან, უმნიშვნელო როლს ანიჭებს. ნეორეალიზმის კონცეფციის მიხედვითაც, საერთაშორისო სისტემაში ჩართული სახელმწიფოები იერარქიას თავიანთი ძლიერების შესაბამისად ქმნიან. ბუნებრივია, რომ პატარა, სუსტი ქვეყნების სიცოცხლისუნარიანობა ამგვარ გარემოში, პირველ ყოვლისა, ძლიერი სახელმწიფოების ინტერესებით განისაზღვრება. ამგვარ გარემოცვაში ყველაფერი ძალთა წონასწორობაზეა დამოკიდებული და უსაფრთხოება

მსოლოდ მის საფუძველზე მყარდება, ხოლო კავშირები (ალიანსები) და კოალიციები ამ წონასწორობის ყველაზე მნიშვნელოვანი მექანიზმია. ყველაფერი თუ არა, ბევრი რამ მაინც სუსტი ქვეყნის გეოპოლიტიკურ მახასიათებლებზე, საერთაშორისო სისტემის ყველაზე ძლიერი ქვეყნების მიმართ მის მდებარეობაზე არის დამოკიდებული. სუსტი ქვეყნისათვის განსაკუთრებით სახიფათოა ძლიერ ქვეყანასთან უშუალო მეზობლობა, რაც მას ძალიან ხშირად საგარეო პოლიტიკური მანევრებისა და არჩევანის შესაძლებლობას არ უტოვებს.[356]

ნეორეალიზმის კონცეფციის მიხედვით, საერთაშორისო პოლიტიკა განისაზღვრება საერთაშორისო სისტემის თავისებურებებით. მაშასადამე, საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა, მისი შემადგენელი ელემენტების ურთიერთმიმართება, სტრუქტურული ცვლილებები განაპირობებენ საერთაშორისო პოლიტიკურ მოვლენებს – ომებს, მშვიდობას, კავშირებს, ძალთა წონასწორობას, პეგემონიზმს და ა.შ. ნეორეალიზმის სკოლის წარმომადგენელთა აზრით, სუვერენული სახელმწიფოები არიან და კიდევ ძალიან დიდხანს დარჩებიან საერთაშორისო ურთიერთობათა მთავარ მოქმედ პირებად. ნაციონალიზმი და ეროვნული თვითგამორკვევა ახალ-ახალი სახელმწიფოების წარმოქმნის მძლავრი და სულ უფრო მზარდი ფაქტორებია.[357]

სუსტი, პატარა ქვეყნების პოლიტიკა და შესაძლებლობები საერთაშორისო პოლიტიკის ნეორეალისტურ მოდელში ისეთივე შეზღუდული და ულიმღამოა, როგორც პოლიტიკური რეალიზმის კონცეფციაში. ამ მოდელში წონასწორობის მექანიზმს ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მის გარეშე სისტემა რღვევას განიცდის. სუვერენული სახელმწიფოები საერთაშორისო სისტემის უნიტარულ მონაწილეებს წარმოადგენს და ყოველი მათგანის მიზანია, სულ მცირე ფიზიკური გადარჩენა და სტატუს-კვოს (დამოუკიდებლობა, მთლიანობა, პოლიტიკური ინსტიტუტები და ა.შ.) შენარჩუნება, ხოლო ყველაზე მეტი – საყოველთაო ბატონობა. ამიტომ საკუთარი მიზნების მიღწევისათვის სახელმწიფოები იყენებენ ნებისმიერ გზას. ერთი მხრივ, ისინი მრდიან საკუთარ შესაძლებლობებს (ეკონომიკური და სამხედრო ძალა, შიდა პოლიტიკური ძალების ერთიანობა და ა.შ.), მეორე მხრივ, „საგარეო ფრონტზე", ისინი აქტიურად მოქმედებენ ხელსაყრელი მოკავშირეების მოსაძიებლად და მომგებიანი კავშირების და კოალიციების შესაქმნელად (ამავე დროს, საპირისპირო, მეტოქე კავშირების შესასუსტებლად). ყოველი სახელმწიფო, პირველ ყოელისა, ცდილობს საერთაშორისო სისტემაში საკუთარი ადგილის შენარჩუნებას და ძალის მაქსიმიზაციას. უსაფრთხოება და დამოუკიდებლობის შენარჩუნება ნებისმიერი ქვეყნის უპირველესი მიზნებია

---

356 ო. კნუტსენი, პატარა სახელმწიფო; უსაფრთხოების პრობლემა. „პოლიტიკა", თბ., №8, 1991, გვ. 27.

357 R. Stavenhagen. Self-Determination: Right or Demon? "Stanford Journal of International Affairs". Vol. II, Issue 2, Summer 1993, pp. 1-12; H.Hannum. Autonomy, Sovereignty and Self-Determination. The Accomodation of Conflicting Rights. University of Pennsylvania Press. Philadelphia, 1990.

საერთაშორისო პოლიტიკაში, მაგრამ ეს ყველაზე მეტად სუსტ ქვეყნებზე ითქმის. მათ კარგად ესმით, რომ ამ ორი მიზნის მიღწევა საკუთარი მოკრძალებული შესაძლებლობების იმედით ძალზე რთული ამოცანაა ანარქიულ და დაუნდობელ საერთაშორისო პოლიტიკაში. ჯ. ბული მოსწრებულად შენიშნავს: „ძალთა წონასწორობის შენარჩუნების პრინციპი, ეჭვგარეშეა, ძლიერი ქვეყნისათვის არის ხელსაყრელი, ხოლო სუსტი ქვეყნებისათვის იგი არახელსაყრელია, რადგანაც ხშირად მათ დაქუცმაცებას და გაქრობას ნიშნავს".[358]

გაზრდილი ეკონომიკური ინტეგრაციის, საერთაშორისო ვაჭრობის, ტრანსეროვნული კორპორაციების, კაპიტალის ექსპორტის, საერთაშორისო ფორმალური და არაფორმალური ორგანიზაციების და სხვადასხვა გლობალური პროცესების გაღრმავების შედეგად დიდად გაიზარდა სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულება.[359] სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის პირობებში სახელმწიფოთა საშინაო და საგარეო პოლიტიკა სულ უფრო გადახლართული და ურთიერთგანმსაზღვრელი გახდა. პატარა ქვეყნები, რომელთა ეკონომიკა, დიდ ქვეყნებთან შედარებით, უფრო „გახსნილი" და ნაკლებად დიფერსიფიცირებულია, ურთიერთდამოკიდებულებისა და ინტეგრაციული პროცესების დიდ ზეგავლენას განიცდიან. აქედან გამომდინარე, მათი საგარეო პოლიტიკაც სულ უფრო „ეკონომიზებული" ხდება და საგარეო ვაჭრობის საკითხები პატარა, სუსტი ქვეყნებისათვის გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს. პატარა ქვეყნების ეროვნული ინტერესებისა და უსაფრთხოების პრიორიტეტებში ეკონომიკური კავშირების სტაბილურობისა და ექსპორტის უზრუნველყოფის საკითხებმა თვალსაჩინო ადგილი დაიკავეს.

კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების კონცეფციიდან გამომდინარე, გეოპოლიტიკური სივრცე თანდათან გეოეკონომიკურ ხასიათს იძენს და მომავალი კონფლიქტები, პოლიტიკურთან შედარებით, უფრო ეკონომიკური ხასიათისა იქნება.* რ. არგის აზრით, ძლიერ ქვეყნებს შორის ურთიერთობებში ძალის გამოყენება კლებულობს, მაგრამ ეს არ ითქმის დანარჩენი კატეგორიის (საშუალო და პატარა) ქვეყნების შესახებ.[360] პატარა ქვეყნების უსაფრთხოების ეკონომიკური კომპონენტის მნიშვნელობის განუხრელი ზრდის მიუხედავად, სხვა „ტრადიციული" კომპონენტების (სამხედრო, შიდა სიმტკიცე, ხელსაყრელი კავშირები და სხვ.) როლი კელავინდებურად დიდია.

საერთაშორისო ურთიერთობათა რადიკალურ მოდელებში არც პატარა,

---

358 H. Bull. The Anarchical Society. Columbia University Press, New York, 1977, p. 107.

359 R.O. Keohane, J. S. Nye. Power and Interdependence. 2rd Edition, Scott, Foresman and Company, 1989, pp. 23-24.

* E.N. Luttwak. From Geopolitics to Geo-Economics. Logic of Conflict, Grammar of Commerce. "The National Interest", N20, Summer 1990.

360 R.J. Art. To What Ends Military Power? "International Security", Vol. 4, N4, 1980, pp. 29-30.

სუსტი სახელმწიფოების უმრავლესობის ბედი უნდა იყოს შესაშური. დაქვემდებარების კონცეფციიდან გამომდინარე, პატარა ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობა ეკონომიკურად და პოლიტიკურად იმდენად სუსტი და უმწეოა, რომ, ეკონომიკასა და პოლიტიკაში მსოფლიო მასშტაბის რადიკალური ცვლილებების გარეშე, ისინი დაქვემდებარებულ და ექსპლუატირებულ მდგომარეობაში დასარჩენად არიან განწირულნი.

<u>სუსტი ქვეყნების საგარეო პოლიტიკის თავისებურებანი.</u> პატარა, სუსტ ქვეყნებს, ძლიერი ქვეყნებისგან განსხვავებით, საერთაშორისო სინამდვილე ყოველთვის მეტ ხიფათს უქმნიდა; სუსტებს, ძლიერებთან შედარებით, არჩევანის შესაძლებლობები თითქმის ყოველთვის ნაკლები ჰქონდათ. სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით, სუსტი ქვეყნები, ჩვეულებრივ, საკუთარი გეოპოლიტიკური მდებარეობის „მონა-მორჩილნი" არიან – ზოგს შეიძლება ბედმა გაუღიმოს, ზოგი კი ძლიერ ქვეყანას მეზობლობს და მის მდებარეობას გეოპოლიტიკური თუ სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება.

უნდა აღინიშნოს, რომ პატარა, სუსტი ქვეყნის ეროვნული ინტერესები და, მაშასადამე, საგარეო პოლიტიკის ძირითადი ინტერესები და ძალისხმევა არა მსოფლიო, არამედ რეგიონული მასშტაბისაა. არის შემთხვევები, როცა პატარა ქვეყანა ორი „სუპერძალის" ინტერესების „ტადაკვეთაზე" ან სხვა გლობალური პოლიტიკური მოვლენების „მაგნიტურ ველსა" და უმნიშვნელოვანეს კვანძებზეა განლაგებული, მაგრამ პატარა ქვეყნების უმუალო ინტერესები უმეტესწილად რეგიონის ფარგლებს არ სცილდება. თუ პატარა ქვეყანა ძლიერ სახელმწიფოს ან სუპერძალას უშუალოდ მეზობლობს, ან უმნიშვნელოვანესი კომუნიკაციების გამგარია, ასეთ შემთხვევაში მას სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება და მისდა უნებურად ძლიერი ქვეყნების ინტერესთა წრესა და გლობალური პოლიტიკის არეში ხვდება. თუ საერთაშორისო სისტემა ბიპოლარულია, მაშინ ერთ-ერთი ძალის პოლუსის მეზობელი პატარა ქვეყანა ერთი ან მეორე სუპერძალის უდიდესი დაწოლის ქვეშ აღმოჩნდება ხოლმე, რაც, ჩვეულებრივ, ერთ-ერთ დაპირისპირებულ ბანაკში მისი ჩათრევით თავდება.[361]

მულტიპოლარულ ანუ ძალთა წონასწორობის სისტემაში, ექსპერტთა აზრით, სუსტი ქვეყნისათვის არჩევანის მეტი შესაძლებლობები არსებობს. საშოგადოდ, ნებისმიერი ტიპის საერთაშორისო სისტემაში სუსტ ქვეყანას, საკუთარი ეროვნული ინტერესების, პირველ ყოვლისა კი, დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად მოქნილი პოლიტიკის გატარება, მანევრირება მართებს. ძალთა წონასწორობის სისტემაში სუსტ ქვეყნებს გადარჩენის მეტი საშუალება აქვთ, მაგრამ, ძლიერმა ქვეყნებმა ძალიან თუ მოინდომეს, შეუძლიათ სუსტი ქვეყნები დაანაწილონ და მიიერთონ კიდეც. ძალთა წონასწორობა ზოგჯერ, დროებით, „სისუსტის წონასწორობაში" გადადის. ასე იყო, მაგალითად, პირველი მსოფლიო ომის დამ-

---

[361] M. Handel. Weak States..., p. 138.

თავრების შემდეგ, როცა დამარცხებული და მიგნიდან დასუსტებული გერმანია და რუსეთი წინ ეერ აღუდგნენ ბალტიის ქვეყნების (ესტონეთი, ლატვია, ლიტვა) დამოუკიდებლობას. 30-იანი წლების მიწურულს კი კელავ აღმეეებულმა გერმანიამ და საბჭოთა კავშირმა იქ ისევ თავიანთი „წესრიგი" დაამყარეს და სამივე ბალტიის ქვეყანამ დამოუკიდებლობა დაკარგა.

ძალთა წონასწორობის სისტემაში ერთი ძლიერი ქვეყნის ან კოალიციის წინააღმდეგ გამაწონასწორებელი კავშირი ან კოალიცია იქმნება ხოლმე. საინტერესოა, რომ სუსტი ქვეყნები იმ შემთხვევაში, როცა წონასწორობა ირღვევა და რომელიმე მხარე გადაწონის, ძლიერის მხარეზე გადადიან და მასთან კრავენ კავშირს. ამ მოვლენას ა. ფოქსი „ძალთა ანტიწონასწორობას" უწოდებს.[362] კონფლიქტების პერიოდში სუსტ ქვეყნებს განსაკუთრებით მძიმე დრო უდგებათ. ამ დროს მათ განზე დარჩენის არავითარი საშუალება აღარა აქვთ და, კონფლიქტში მონაწილე ძლიერი ქვეყნების სამინელი დაწოლის შედეგად, ერთ-ერთი მხარე უნდა აირჩიონ. ისიც კარგია, თუ მათ არჩევანის საშუალება მაინც დარჩათ.

ქვეყნის სისუსტე მის საგარეო პოლიტიკაზე ძალზე ნეგატიურ, შემზღუდველ გავლენას ახდენს. მართალია, ზოგიერთი პატარა ქვეყანა (შვეიცარია, ავსტრია, ბელგია და სხვ.) ეკონომიკურად ძალზე განვითარებულია, მაგრამ მათი საგარეო პოლიტიკური შესაძლებლობები და არჩევანის დიაპაზონი დიდი მაინც არ არის. პატარა, სუსტი ქვეყნების უმრავლესობა ეკონომიკურად არ არის დაწინაურებული, მათი ეკონომიკა რთული პრობლემების წინაშე დგას. სწორედ ამიტომ დომინირებს ამგვარი ქვეყნების საგარეო პოლიტიკაში ეკონომიკური განვითარების საკითხები (მეურნეობის რესტრუქტურიზაცია, ექსპორტის გაზრდა და მისი დიეერსიფიკაცია და სხვ.). ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქვეყნების საგარეო პოლიტიკაში ეკონომიკური ინტერესების უპირატესობას განაპირობებს მათი მეცადინეობა, გადარჩენ როგორც სუვერენული სახელმწიფოები, განიმტკიცონ პოლიტიკური დამოუკიდებლობა.[363]

აღიარებულია, რომ სუსტი ქვეყნებისათვის რომელიმე კავშირში გაერთიანება გადარჩენის ყველაზე გავრცელებულ გზას წარმოადგენს. სწორედ ამ გზით ხერხდება „ძალის სესხება".[364] მაგრამ კავშირში შესვლა ერთსა და იმავე დროს იმედსაც ნიშნავს და შესაძლებელ ხიფათსაც.[365] აგრეთვე აღიარებულია, რომ უკეთესია, ქვეყანა არც ერთ კავშირში არ შევიდეს და მანევრის შესაძლებლობა დაიტოეოს. სამწუხაროდ, საერთაშორისო სინამდვილე პატარა, სუსტ ქვეყანას მიუმხრობლად დარჩენის პირობებს იშ-

---

362 A.B. Fox. The Power of Small States: Diplomacy in World War Two. Chicago University Press, 1959, p. 187.

363 The Other Powers. Studies in the Foreign Policies of Small States. Edited by R. P. Barston. Allen and Unwin Ltd., London, 1973, p. 35.

364 ო. კნუტსენი. პატარა სახელმწიფო: უსაფრთხოების პრობლემა. ჟურნ. „პოლიტიკა", 1991, №7, გვ. 31.

365 J. Barrea. Theories des Relations Internationales. Ciaco Editeur, 1978, p. 180.

ვიათად უქმნის და მას იძულებულს ხდის, რომელიმე სამხედრო-პოლიტიკურ კავშირს შეაფაროს თავი.

კავშირში შესელას სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური მიზეზებიც აქვს. პატარა, სუსტი ქვეყნისათვის რომელიმე კავშირში გაერთიანება ეკონომიკურ შელავათებსაც ნიშნავს, რადგან ძლიერ მოკავშირეს ეკონომიკური დახმარებისა და ხელშეწყობის უნარიც შესწევს და, როგორც წესი, კავშირის სამხედრო ხარჯების „ლომის წილიც" მასზე მოდის.

სუსტი ქვეყანა კავშირში ზოგჯერ საკუთარი შიდა პრობლემების (პოლიტიკური და ეკონომიკური) შესამსუბუქებლად შედის. ამგვარი მოქმედება დამახასიათებელია ძლიერი საახელმწიფოს მეზობელი სუსტი ქვეყნისათვის, რომელშიც შიდა გათიშულობა ან სეპარატიზმის საშიშროება არსებობს, რისი „მიზეზიც" შეიძლება თვით ძლიერი მეზობელი იყოს.

კავშირში შესელა ძალდატანებითაც ხორციელდება. ზოგიერთი ძლიერი სახელმწიფო ისეთი იძულების მეთოდებს მიმართავს, რომ სუსტ ქვეყანას, განსაკუთრებით, თუ იგი მისი მეზობელია, სხვა გზა აღარ რჩება. არსებობს კავშირში შესელის კიდევ ერთი გზა, რომელსაც, ჩვეულებრივ, მიმართავს ძლიერი და პოტენციურად აგრესიული სახელმწიფოს უშუალო სიახლოვეს განლაგებული ან ძლიერი ქვეყნის გავლენის სფეროში მოხვედრილი სუსტი ქვეყანა, რადგანაც, ამგვარი ნაბიჯის დროზე გადადგმის გარეშე, მას „ჩაყლაპავა" ან დანაწევრება ემუქრება. ამგვარი გზით შექმნილ კავშირებს მეტსახელად „კატისა და თაგვების" კავშირებს უწოდებენ. ვარშავის პაქტის დახასიათებისას რ. ქიოპეინმა მას „ალ კაპონეს" ტიპის კავშირი უწოდა და ისიც შენიშნა, რომ ვარშავის პაქტის სუსტი მონაწილეები მითიური გარეშე საშიშროების (დასავლეთის, ნატოს) წინააღმდეგ კი არ არიან შეკავშირებულნი, არამედ, ჩიკაგოს 20-იანი წლების განგსტერთა ბანდების იერარქიის მსგავსად, საბჭოთა კავშირისაგან მომდინარე რეალური საშიშროების გამო, მასთან იძულების, „დახარკეის" გზით. ამგვარ კავშირში „შესვლა" სუსტი ქვეყნისათვის ზოგჯერ გადარჩენის ტოლფასია, ზოგჯერ კი პოტენციური აგრესორის „მოთვინიერების" ან დაშოშმინების ცდაა.[366]

საგარეო პოლიტიკაში, სუსტი ქვეყნის არჩეანი, როგორც ეს უკვე არაერთგზის აღინიშნა, უმეტესწილად შეზღუდულია. ამგვარ ვითარებას „ხელს უწყობს" საერთაშორისო პოლიტიკის ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, როგორიცაა ძლიერი ქვეყნების ე.წ. გავლენის სფეროს არსებობა. ძლიერი ქვეყნები, ტრადიციულად, ერთმანეთში იყოფენ გავლენის სფეროებს. ეს გაყოფა ზოგჯერ საკმაოდ „მშვიდობიანად" ხდება, ზოგჯერ კი მხარეები ძალზე აქტიურად, ძალადობის, მუქარისა და შანტაჟის გამოყენებით ამკვიდრებენ სხვა ქვეყნებზე (უფრო ხშირად – უშუალო მეზობლებზე და სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე სახელმწიფოებზე) თავიანთ გავლენას. რა თქმა უნდა, ჩვენს ეპოქაში მსოფლიოსა თუ რეგიონების გავ-

---

366 ო. კნუტსენი. პატარა სახელმწიფოები: უსაფრთხოების პრობლემა. ჟურნ. „პოლიტიკა", №7, 1991, გვ. 31.

ლენის სფეროებად დაყოფა ხელშეკრულებებში (ყოველ შემთხვევაში, მათ გამოქვეყნებულ ნაწილში) პირდაპირ არ აისახება, მაგრამ, საიდუმლო დიპლომატიის მეშვეობით, ორმხრივი ან კოლექტიური კავშირების შექმნით და საერთაშორისო ურთიერთობათა პრაქტიკაში დამკვიდრებულ „თამაშის წესებზე" დაყრდნობით უძლიერესი სახელმწიფოები ამკვიდრებენ თავიანთი გავლენის სფეროებს, რომლებშიც მათზე უფრო სუსტი ქვეყნები აღმოჩნდებიან.

გავლენის, ინტერესებისა თუ პასუხისმგებლობის სფეროს დამკვიდრების პოლიტიკური პრაქტიკა ახალი არ არის, მაგრამ საკუთრივ ტერმინი – „გავლენის სფერო" XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დამკვიდრდა. ლორდი კერზონი შენიშნავს, რომ ეს ტერმინი ერთ-ერთმა პირველმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გორჩაკოვმა გამოიყენა 1869 წელს, როცა ბრიტანელი კოლეგისადმი გაგზავნილ წერილში განაცხადა – ავღანეთი რუსეთის გავლენის სფეროს გარეთ არისო.[367] აფრიკის გავლენის სფეროებად დაყოფა ამ მხრივ კლასიკურ მაგალითად რჩება.

ის ფაქტი, რომ ორმა თუ მეტმა ძლიერმა სახელმწიფომ გარკვეული ტერიტორიები ურთიერთის გავლენის სფეროებად აღიარა, იმას როდი ნიშნავს, რომ ამ ტერიტორიებზე (ქვეყნებზე) მათ იმთავითვე ერთმანეთის უფლებებიც განსაზღვრეს.[368] მაგრამ გავლენის სფეროების დამამყარებელმა ძლიერმა ქვეყნებმა, როგორც წესი, იციან, რომ მათ მიერვე დადგენილ გარკვეულ „თამაშის წესებს" უნდა დაემორჩილონ. ზოგჯერ ერთ-ერთი ძლიერი ქვეყანა თავისი გავლენის სფეროში მისთვის უფრო ხელსაყრელ „ქცევის" წესებს ამკვიდრებს. ზოგჯერ თავიდან ძლიერი ქვეყანა ოდნავ გადაამეტებს უკვე არსებულ „სტატუს-კვოს" და, მეტოქეთა საპასუხო რეაქცია თუ ნაკლებად სახიფათო მოეჩვენა, კიდევ უფრო მეტს ბედავს. ამგვარად, ნაბიჯ-ნაბიჯ, მეტოქის თუ მეტოქეთა საპასუხო რეაქციის მოსინჯვით, სტატუს-კვოს დამრღვევი ძლიერი ქვეყანა თავისი ქცევით (ე.ი. პოლიტიკური, სამხედრო თუ ეკონომიკური ძალადობით) მიუახლოვდება იმ მღვარს, რომლის გადალახვაც მისთვის სერიოზული გართულებებით მეიძლება დასრულდეს. ამ მხრივ რუსეთის 1992-94 წლების სამხედრო-პოლიტიკური აქციები ე.წ. „ახლო საზღვარგარეთში" (მოლდავეთი, ტაჯიკეთი, აზერბაიჯანი, საქართველო) ზემოხსენებული „რეაქციის მოსინჯვის" თვალნათლივი მაგალითია. რუსეთის მიერ თამაშის საკუთარი წესების დამკვიდრების და გავლენის სფეროს გაფართოების სურვილზე მიუთითებს ამ სახელმწიფოს მიერ წარმოებული აქტიური პოლიტიკა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე (სერბია, ბოსნია-ჰერცეგოვინა).

უძლიერესი ქვეყნების მიერ საკუთარი გავლენის სფეროების განსაზღვრისა და დამკვიდრების პროცესში, ამ სფეროებში ნებსით თუ უნებლიეთ მოხვედრილი სუსტი ქვეყნების საგარეო პოლიტიკა ბევრად არის დამოკიდე-

---

367 Lord Curzon. Frontiers. Oxford, Clarendon Press, 1907, p. 42.
368 H. Bull. The Anarchical Society..., p. 221.

ბული იმ „თამაშის წესებზე", რომლებსაც გაელენის სფეროთა „პატრონები" და მათ შორის არსებული ანტაგონიზმის დონე განსაზღვრავენ. ეჭვგარეშეა, რომ ამგვარ პირობებში სუსტ ქვეყნებს მანევრირების მეტად შეზღუდული შესაძლებლობები აქვთ.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს დიპლომატიის როლი პატარა, სუსტი ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში. მართალია, დიპლომატია მაშინ არის შედეგიანი, როცა მას შურგს ძალა უმაგრებს, მაგრამ მაინც სუსტი ქვეყნისათვის ოსტატურ დიპლომატიას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. ყველაზე ნაყოფიერი დიპლომატია ნიშნავს სხვა, უფრო ძლიერი სახელმწიფოების ძალის გამოყენების უნარს საკუთარი ინტერესებისათვის.[369] ზოგიერთი ექსპერტის აზრით, არიან სუსტი ქვეყნები, რომლებიც თავიანთი ძლიერი მოკავშირეების საგარეო პოლიტიკაზე იმდენად დიდ გაელენას ახდენენ, რომ ეს უკანასკნელნი, არცთუ იშვიათად, საკუთარი ინტერესების გაუთვალისწინებლად მოქმედებენ. უფრო მეტიც, როგორც რ. ქიოპეინი აღნიშნავს, აშშ-ის ყველაზე სუსტი მოკავშირეები არა მხოლოდ ახერხებდნენ ამ ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში მათთვის სასურველი ცვლილებების „შეტანას", არამედ საკმაოდ დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკასაც ატარებდნენ.[370] როგორც ჩანს, სუსტ სახელმწიფოებს გარკვეულ პერიოდებში უფრო მოქნილი პოლიტიკის გატარება ძალუძთ, მაგრამ ეს, პირველ ყოელისა, დამოკიდებულია წამყვან ქვეყნებს შორის არსებული დაძაბულობის დონესა და მათ მიერ თავიანთი გაელენის სფეროებში დამყარებული „რეჟიმის" ხასიათზე.

საერთაშორისო საზოგადოების იდეა, რომელიც კარგა ხანია განიხილება, როგორც საერთაშორისო წესრიგის ყველაზე რეალური გარანტი, დღეს უკვე ნაწილობრივ სორცს ისხამს. გაეროს, სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციების, საერთაშორისო სამართლისა და სასამართლოს არსებობა საერთაშორისო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესის უტყუარი ნიშნებია. მაგრამ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი საერთაშორისო საზოგადოება ჯერაც ანარქიულია. ამგვარ საზოგადოებაში ძალის პოლიტიკა და უსაფრთხოების ინტერესები ბატონობს და, დიპლომატიური პოლიტიკისა და მთელი რიგი საერთაშორისო შეთანხმებების მიუხედავად, ძლიერი ქვეყნები პატარა, სუსტ სახელმწიფოებს საზოგადოების მეორესარისხოვან წევრებად განიხილავენ და მათ ასეთივე მიდგომით ექცევიან.

საერთაშორისო საზოგადოების განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე სუსტი ქვეყნების უსაფრთხოება და სხვა პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესებიც უფრო მეტად იქნება დაცული. სწორედ სახელმწიფოთა ჭეშმარიტ საერთაშორისო საზოგადოებაში არ უნდა იყოს „ძალის პოლიტიკის " ბატონობა და სუსტი ქვეყნების უსაფრთხოებაც მაქსიმალურად იქნება დაცული.

---

369 M. Handel. Weak States..., p. 257.

370 R.O. Keohane. The Big Influence of Small Allies. "Foreign Policy", Spring 1971, N2, p. 162.

VIII. საერთაშორისო ურთიერთობები: სამი პარადიგმა

არასფერი ქვეყანაზე არც იმით დაიწუნება, რომ ძველია, არც იმით მოიწონება, რომ ახალია.

ილია

გამარჯვება ერთისა თუ მეორისა, ჰოსი თუ არასი, ყოველთვის არა ესმაცავს ჭეშმარიტების გამარჯვებასა, მაგრამ მაინც ჰოსა და არას ჭიდილია ერთად-ერთი გზა ჭეშმარიტების აღმოჩენისა და პოვნისა.

ილია

საერთაშორისო ურთიერთობათა დისციპლინა, ფაქტობრივად, მიმდინარე საუკუნის 20-იან წლებში ჩაისახა და მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ჩამოყალიბდა როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინა. მისი განვითარების საწყის ეტაპზე, 30-იან და 40-იან წლებში, მიმდინარეობდა მძაფრი თეორიული დებატები, რის შედეგადაც ე.წ. „იდეალისტურმა" კონცეფციამ ადგილი დაუთმო „პოლიტიკური რეალიზმის" კონცეფციას, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიასა და პრაქტიკაში დღემდე ძლიერია. მეორე დიდი დებატები გაიმართა 60-იან წლებში, როცა სამოგადოებრივ მეცნიერებებში რაოდენობრივი მეთოდები შემოიჭრა და საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროშიც ე.წ. „ტრადიციონალისტებსა" და „ბიჰეივიორისტებს" შორის კონფრონტაცია დაიწყო. ამ უკანასკნელებმა თავიანთ მიმართულებას „სამეცნიერო" უწოდეს. ბიჰეივიორისტები ტრადიციონალისტებს ბრალს სდებდნენ იმაში, რომ ისინი მედმეტად ეყრდნობიან ისტორიასა და ფილოსოფიას მაშინ, როცა საერთაშორისო ურთიერთობათა დისციპლინა საჭიროებს კელევის ზუსტ მეცნიერულ მეთოდებს, რომელთა გარეშე ეს დარგი ვერ გახდება ნამდვილი მეცნიერება და არც მისი კელევის შედეგები გამოადგება პრაქტიკას. ეს დებატები მეტად ნაყოფიერი გამოდგა; ამან საერთაშორისო ურთიერთობათა დისციპლინა ახალი კონცეფციებითა და მეთოდებით გაამდიდრა. ამავე დროს საერთაშორისო ურთიერთობათა პრობლემატიკის კელევისათვის ბევრი ფორმალური მეთოდის გამოყენება ვერ მოხერხდა.

ამჟამად მიმდინარე მესამე დებატები, ისევე როგორც წინა ორი, უნივერსალური, უკეთესი თეორიის ძიების გამოხატულებაა; ამ დებატებში გამოკვეთილად იკრძნობა თანამედროვე სოციალური და პოლიტიკური თეორიის მიღწევათა გავლენა. მიმდინარე დებატები, პირველ ყოვლისა, ფოკუსირებულია მეტამეცნიერულ ერთეულებზე (პარადიგმებზე); ეს დებატები არსებითად პარადიგმათა შეჯახებაა, პარადიგმათაშორისი დებატებია.

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები, როგორც სამეცნიერო დისციპლინა, სამი პარადიგმით – რეალიზმი, პლურალიზმი და გლობალიზმი

(სტრუქტურალიზმი) შეიძლება იყოს კონცეფტუალიზებული.* თითოეული პარადიგმა მსოფლიოს სრულებით განსხვავებულ ხედვას ემყარება. რეალისტებისათვის საერთაშორისო სისტემა სუვერენული სახელმწიფოების (იმავე ბილიარდის ბურთების) დაუსრულებელი ურთიერთქმედებაა, პლურალისტებისათვის მსოფლიო ურთულესი ობობას ქსელია, სხვადასხვა სახისა და ხასიათის ურთიერთობათა გადახლართვაა. გლობალისტებისათვის კი საერთაშორისო სისტემა ის რვაფეხაა, რომელიც თავისი მძლავრი საცეცებით გამუდმებით იწოვს სიმდიდრეს დასუსტებული პერიფერიიდან და მას განვითარებული ცენტრებისაკენ გადატუმბავს. რეალისტები საერთაშორისო ურთიერთობათა მოქმედ პირებად სუვერენულ სახელმწიფოებს მიიჩნევენ, პლურალისტები – ასევე სახელმწიფოებს, მაგრამ მრავალ სხვა მოქმედ პირთან ერთად, ხოლო გლობალისტები – სოციალურ კლასებს. რეალისტები საერთაშორისო ურთიერთობათა დისციპლინის ამოცანას სახელმწიფოთა „ქცევის" ახსნა-განმარტებაში ხედავენ, პლურალისტები – მსოფლიოს ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის ახსნაში, ხოლო გლობალისტები მის ფუნქციად მსოფლიოში მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის არსებული უფსკრულის მიზეზებისა და მექანიზმების ახსნას მიიჩნევენ.

საერთაშორისო ურთიერთობათა პროცესებსა და ფაქტორებში რეალისტები განმსაზღვრელად ძალას, ძალაუფლებას მიიჩნევენ, პლურალისტები – კომპლექსურ სოციალურ ძვრებს, ხოლო გლობალისტები – კაპიტალისტურ ეკონომიკას.

კელევის ობიექტის თვალსაზრისით, რეალისტები უფრო ვიწრო ჩარჩოებს იყენებენ, სახელმწიფო-ცენტრულ მიდგომას ეყრდნობიან და ხშირად, „საერთაშორისო ურთიერთობებთან" შედარებით, ტერმინ „საერთაშორისო პოლიტიკას" ანიჭებენ უპირატესობას. პლურალისტები აფართოებენ დისციპლინის ჩარჩოებს და მასში აგრეთვე ტრანსნაციონალურ კორპორაციებს, საერთაშორისო ბაზრებს, ეთნიკურ ჯგუფებსა და ნაციონალიზმს რთავენ. გლობალისტები განმსაზღვრელ როლს მსოფლიო სისტემის მთლიანობას, მის ეკონომიკურ სტრუქტურას, წარმოების წესს ანიჭებენ, ხოლო სახელმწიფოთა შორის პოლიტიკურ ურთიერთობებს შედაპირულ მოვლენად განიხილავენ.[371]

საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში, როგორც აღინიშნა, სამი ხედვა, სამი კონცეფცია ჩამოყალიბდა, რომლებიც დღეს ვითარდება, მდიდრდება. ერთი იმათგანი, რეალიზმი, მაინც ყველაზე უფრო განვითარე-

---

* ამერიკელმა ჯეიმს როზენაუმ საერთაშორისო პრობლემატიკა სამ კატეგორიად წარმოადგინა: სახელმწიფო-ცენტრული, მულტი-ცენტრული და გლობალო-ცენტრული. ისინი ხსენებული სამი პარადიგმის მთავარ ნიშნებზე მიგვითითებს. იხ.: J. N. Rosenau. Order and Disorder in the Study of World Politics. In: "Globalism Versus Realism: International Relations' Third Debate", R. Maghroori and B. Ramberg (Eds.). Boulder, CO: Westview Press, 1982, pp.1-7.

371 M. Banks. The Inter-Paradigm Debate. In: "International Relations: A Handbook of Current Theory." M. Light and A. J. R. Groom (Eds.). Pinter, London, 1985, p.13.

ბული და გავლენიანი რჩება; სწორედ ამიტომ უწოდებენ მას ზედმეტსახელად საერთაშორისო ურთიერთობათა „კლასიკურ ტრადიციას“.[372]

დაახლოებით სამი საუკუნე მაინც იქნება, რაც საერთაშორისო ურთიერთობათა პრობლემებით დაინტერესებული აეტორები ამ დისციპლინის ჩარჩოებს და მისი პრობლემატიკის განმსაზღვრელ სამ საკვანძო საკითხს უტრიალებენ. ეს საკითხებია: 1. ომის მიზეზები და მშვიდობის (უსაფრთხოების)/ წესრიგის პირობები (ამ საკითხის განუყოფელი ნაწილია ძალაუფლების არსი); 2. ძირითადი მოქმედი პირები (ან ანალიზის ერთეულები); 3. სახელმწიფოთა სამყაროს (სისტემის) საზოგადოების კონცეფციები.

პირველი საკითხი განაპირობებს საერთაშორისო ურთიერთობათა კელეეის აუცილებლობას, რადგანაც ეს კვლევა, პირველ ყოვლისა, გამოწვეულია კაცობრიობაში ღრმად გამჯდარი ომის შიშით. ეინც კი საერთაშორისო პოლიტიკის პრობლემებს შეეხო, გეერდი ვერ აუარა ომის, მისი მიზეზებისა და თავიდან აცილების საკითხებს. ომი დღესაც საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის საკვანძო პრობლემად რჩება, რადგან იგი – ისტორიული ცვლილებების ძირითადი წყარო – მთელი პოლიტიკური ცხოვრების განმსაზღვრელია. საერთაშორისო ურთიერთობათა ძირითად მოქმედ პირებს ანუ ანალიზის ერთეულებს რაც შეეხება, ამ თვალსაზრისით, კლასიკური თეორიის პასუხი ერთია: – ესენი სუვერენული სახელმწიფოებია. ისინი ომობენ და ისინი ქმნიან იმ ნორმებსა და ინსტიტუტებს, რომლებიც საერთაშორისო სისტემაში მეტ-ნაკლებ სტაბილურობას, უსაფრთხოებას, წესრიგსა და მშვიდობას უზრუნველყოფენ.

მსოფლიოს „სურათს“, კონცეფციას თეორიისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან ყოველი კონცეფციიდან გამომდინარეობს განსხვავებული შეხედულება ძირითად მოქმედ პირებზე, მოვლენებსა და მექანიზმებზე. მსოფლიო შეგვიძლია წარმოვიდგინოთ როგორც სახელმწიფოთა საზოგადოება, ინდივიდთა გლობალური თანამეგობრობა, სახელმწიფოთა სისტემა, კაპიტალისტური გაცვლის უნივერსალური სისტემა ან მოქალაქეთა, მრავალრიცხოვანი ტრანსნაციონალური კორპორაციების, ბიუროკრატიული ინტერესების, მეეროვნული ინსტიტუტების და სხვ. ხლართი. ყოველი ხედვა ან კონცეფცია მსოფლიოს მართლაცდა სრულებით განსხვავებულ „სურათს“, სტრუქტურასა და განვითარების მექანიზმებს გვთავაზობს.

ყველა თეორიული დებატებისა და აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, კლასიკური ტრადიციის ჩარჩოებში, გამოიკვეთა კონსენსუსი სამი ძირითადი საკითხის თაობაზე: 1. საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიის არსებითი პრობლემაა ომის მიზეზები და მშვიდობის /უსაფრთხოების/ წესრიგის პირობები; 2. ანალიზის ძირითადი ერთეულები არის მთავარი მოქმედი პირების – სუვერენული სახელმწიფოების დიპლომატიურ-სამხედრო ქმედებები; 3.

---

372 K.J. Holsti. The Dividing Discipline: Hegemony and Diversity in International Theory. Unwin Hymen, Boston, 1985, p.1.

სახელმწიფოები ურთიერთქმედებენ საერთაშორისო სისტემაში, რომელიც ანარქიულობით ხასიათდება; მასში არ არსებობს უზენაესი, ცენტრალური ხელისუფლება.[373]

ამერიკელები ჯ. ეიოტი და მ. კაუპიც სამ პარადიგმას გამოყოფენ; ესენია: რეალიზმი, პლურალიზმი და გლობალიზმი (იგივე სტრუქტურალიზმი).[374] აღსანიშნავია, რომ სპეციალურ ლიტერატურაში, შეხედულებათა მრავალგვარობის მიუხედავად, ხსენებული სამი პარადიგმა საკმაოდ მკაფიოდ არის გამოკვეთილი.

რეალიზმი, როგორც უკვე არაერთგზის აღინიშნა, დღესაც ყველაზე გავლენიან პარადიგმას წარმოადგენს, მაგრამ ამავე დროს იგი ძლიერი კრიტიკის ობიექტიცაა. ზოგიერთი კრიტიკოსი იქამდეც კი მიდის, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში რეალიზმის გაბატონებას, პირველ ყოველისა, იმ ფაქტს უკავშირებს, რომ საერთაშორისო ურთიერთობები უპირატესად „ამერიკული დისციპლინაა". მათი აზრით, აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ინტერესები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ისე კარგად მოერგო რეალისტურ კონცეფციას, რომ ის გაბატონდა. მართლაც, რეალიზმის სამი საკვანძო ელემენტი (ეროვნული ინტერესები, ძლიერების მაქსიმიზაცია, ძალთა წონასწორობა) განსაკუთრებით კარგად მოერგო აშშ-ის საგარეო პოლიტიკის მოთხოვნებს. ამიტომ, რეალიზმის კრიტიკოსთა აზრით, იგი საერთაშორისო ურთიერთობათა არა ობიექტური, მიუკერძოებელი კონცეფცია კი არ არის, არამედ გარკვეული საზოგადოების (აშშ-ის სახელმწიფო მოხელეებისა და მეცნიერების) ხედვისა და პოლიტიკური ლექსიკონის პირმშოა.

პოლიტიკური რეალიზმისა და ნეორეალიზმის „ტანდემი", ბევრი თეორიული სისუსტისა და ობიექტური კრიტიკის მიუხედავად, ჯერჯერობით მაინც „უმკლავდება" დანარჩენ ორ პარადიგმას – პლურალიზმს და გლობალიზმს, განსაკუთრებით საერთაშორისო ურთიერთობათა პრაქტიკის სფეროში. აღსანიშნავია, რომ გლობალიზმის კონცეფცია სპეციალურ ლიტერატურაში ყველაზე სშირად რადიკალური (მარქსისტული) მოდელის და სტრუქტურალიზმის (დაქვემდებარების მოდელი) სახესხვაობებით გვხვდება, მაგრამ, პლურალიზმის კონცეფციასთანშედარებით, იგი დღეისათვის, ბევრად უფრო ნაკლები გავლენით სარგებლობს.

რეალიზმი, პლურალიზმი და გლობალიზმი საერთაშორისო ურთიერთობათა სამი იდეალური, ურთიერთგამომრიცხავი „სურათი", კონცეფცია და სამეცნიერო პარადიგმაა. მაგრამ მათ მსგავსებებიც ახასიათებს. საყურადღებოა, რომ ხშირად არც თითოეული კონცეფციის შიგნით შეინიშნება აზრთა ერთიანობა. ამავე დროს ხსენებული პარადიგმების ხასიათი, შიდა სტრუქტურა, წარმოდგენათა სისტემა არ იძლევა მათ შორის სერიოზული კომპრომისის შესაძლებლობას. კომპრომისი და კონსტრუქციული დისკუსია

---

373 K.J. Holsti. The Dividing Discipline, ... p.1

374 P.R. Viotti, M. V. Kauppi. International Relations Theory: Realism, Pluralism, Globalism. Macmillan, New York, 1987, p. 2.

მხოლოდ ერთი პარადიგმის ჩარჩოებშია შესაძლებელი.

ხაგგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ურთიერთობათა დისციპლინის ჩარჩოებში გრძელდება ისეთი თეორიისა და მოდელების შექმნისკენ მიმართული დისკუსიები, რომლებსაც არსებული პარადიგმის ფარგლებში უფრო ფორმალური და პროგნოსტიკური ღირებულება ექნებოდა. იყო გამალებული შეიარაღების ფორმალური თეორიის შექმნის ცდები (ლ. რიჩარდსონისა და მ. მაკგუაირის მოდელები), საერთაშორისო კონფლიქტების კელეეისას საკმაოდ კარგად იქნა გამოყენებული თამამთა თეორია (ქ. ბოულდინგი, უ. რაიკერი და სხვ.). საერთაშორისო ურთიერთობათა ზოგიერთ სფეროში გამოყენებული იყო აგრეთვე იმიტაციური მოდელირება. ყველა ზემოაღნიშნულმა ცდამ გეიჩვენა, რომ საერთაშორისო ურთიერთობათა პროცესები და მექანიზმები ვერ თავსდება ფორმალური მეთოდების პროკრუსტეს სარეცელში და საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში ფორმალური მეთოდების შედეგიან გამოყენებას კიდევ დიდი ხანი დასჭირდება. მიუხედაეად იმისა, რომ არსებობს მთელი რიგი ლოგიკური მოდელები, რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობების პრობლემების გარკვევაში გვეხმარებიან, ჯერ ვერა და ვერ შეიქმნა ისეთი თეორიული მოდელები, რომლებიც პროგნოზის, წინასწარმეტყველების მთამბეჭდავ შედეგებს მოიტანდნენ; პრაქტიკოსი პოლიტიკოსებისათვის კი სანდო პროგნოზს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

სარჩევი

წინასიტყვაობა 3
I. საერთაშორისო ურთიერთობები როგორც სამეცნიერო დისციპლინა 5
II. საერთაშორისო პოლიტიკური სისტემა: 15
საერთაშორისო ურთიერთობები როგორც სისტემა 15
საერთაშორისო სისტემის ანარქიულობა 24
- წესრიგი საერთაშორისო სისტემაში 29
III. რეალიზმი: 34
კლასიკური ტრადიციის ჩამოყალიბება 34
პოლიტიკური რეალიზმი: ძალის პრიმატი 42
სახელმწიფოს ძლიერება და მისი კომპონენტები 46
საერთაშორისო ასპარეზი პოლიტიკური რეალიზმის თვალით 52
ნეორეალიზმი 60
ეროვნული ინტერესები 74
ეროვნული უსაფრთხოება 83
ძალთა წონასწორობის კონცეფცია 95
კავშირები 105
IV. უფრო მშვიდობიანი მსოფლიო? 115
. კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია 115
„დემოკრატიული მშვიდობის“ თეორია 123
V. საერთაშორისო ეკონომიკური სისტემა: 129
საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება 129
საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის ქვესისტემები 136
საერთაშორისო ეკონომიკის სამი მოდელი 140
საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის
განვითარების პერსპექტივები 157
VI. საერთაშორისო საზოგადოება: 166
საერთაშორისო საზოგადოება თუ სისტემა? 166
საერთაშორისო საზოგადოების ფორმირება 171
საერთაშორისო საზოგადოების ფორმირების ხელისშემშლელი
და ხელშემწყობი ფაქტორები 174
საერთაშორისო საზოგადოების განვითარების პერსპექტივები 185
VII. პატარა ქვეყანა საერთაშორისო ურთიერთობებში 188
VIII. საერთაშორისო ურთიერთობები: სამი პარადიგმა 201

INTERNATIONAL RELATIONS
Contents

Foreword....3
I. International Relations as an academic discipline....5
II. The International political system:....15
International relations as a system....15
Anarchy in the international system....24
Order in the international system....29
III. Realism:....34
Formation of the classical tradition....34
Political realism: The primacy of power....42
The might of nations: Its components....46
International relations as political realism....52
Neorealism....60
National interest....74
National security....83
The "balance of power" concept....95
Alliances....105
IV. A more peaceful world?....115
Theory of complex interdependence....115
"Democratic peace"....123
V. The international economic system....129
Formation of the international economic system....129
Subsystems of the international economic system....136
Three models of the international economy....140
Perspectives on the international economic system....157
VI. International society....166
Society or system?....166
The formation of international society....171
Forces favoring and hampering its formation....174
Perspectives....185
VII. The small state in international relations....188
VIII. International Relations: Three paradigms....201

МЕЖДУНАРОДНЫЕ ОТНОШЕНИЯ
СОДЕРЖАНИЕ

Предисловие....3
I. Международные отношения как научная дисциплина....5
II. Международная политическая система....15
Международные отношения как система....15
Анархичность международной системы....24
Порядок в международной системе....29
III. Реализм....34
Становление классической традиции....34
Политический реализм: примат силы....42
Мощь государства: ее компоненты....46
Международная арена с точки зрения политического реализма....52
Неореализм....60
Национальные интересы....74
Национальная безопасность....83
Концепция равновесия сил....95
Союзы....105
IV. Более спокойный мир?....115
Теория комплексной взаимозависимости....115
"Демократический мир"....123
V. Международная экономическая система....129
Становление международной экономической системы....129
Подсистемы международной экономической системы....136
Три модели международной экономики....140
Перспективы развития международной экономической системы....157
VI. Международное общество....166
Международное общество или система?....166
Формирование международного общества....171
Факторы способствующие и препятствующие формированию международного общества....174
Перспективы развития международного общества....185
VII. Маленькая страна в международных отношениях....188
VIII. Международные отношения: три парадигмы....201